

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის
სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა

Kutaisi Ilia Chavchavadze public library

წ ე ლ ი წ დ ე უ ლ ი

VIII

ე ბ ლ ვ ნ ე ბ ა

სხვა სახელმწიფოებში მცხოვრებ ქართველებს

Dedicated to

Georgians living in other states

ქუთაისი
2016
Kutaisi

“წელიწლეულში” იბეჭდება ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საკარო ბიბლიოთეკის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები და რეცენზირებული ქართველობის (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები.

სარედაქციო საბჭო:

იოსებ ასათიანი, ნომადი ბართაია, მერაბ ბერიძე, მერაბ გვაზავა, თეიმურაზ გვანცელაძე, ზურაბ თოდუა, რუსუდან კაშია, მერაბ კეზევაძე, მაია მიქაუტაძე (რედაქტორი), ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ნათია სვინტრაძე, ნინო უგულავა (ინგლისური ტექსტის რედაქტორი), ტარიელ ფუტკარაძე (მთავარი რედაქტორი), ლეილა ქველიძე, რევაზ შეროზია, რიტა წაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი), სტივენ ჯონსი.

პროექტის დირექტორი
ნარგიზ ჩიგოვაძე

ISSN 1987 - 9288

რედაქციის მისამართი: 4600, ქ. ქუთაისი, ლ.ნუცუბიძის ქ. №1
ელ-ფოსტა: Library_Kutaisi@posta.ge
Library_Kutaisi@gmail.com

Anual publishes the papers of the Kutaisi Ilia Chavchavadze public library VIII International Scientific Conferencee and other reviewed research papers in Kartvelology (linguistic, literary studies, folklore, historiography, culture studies, ethnology, etc..).

EDITORIAL BOARD:

Ioseb Asatiani, Nomadi Bartaia, Merab Beridze, Merab Gvazava, Teimuraz Gvantseladze, Zurab Todua, Rusudan Kashia, Merab Kezevadze, Maia Mikautadze (editor), Avtandil Nikoleishvili, Natia Svintradze, Nino Ugulava (editor of the English texts), Tariel Putkaradze (editor in chief), Leila Kvelidze, Revaz Sherozia, Rita Tsakadze (secretary responsible), Stephen Jones.

Project Director
Nargiz Tchogovadze

Address of the Editorial Office: L. Nutsubidze str. #1

e-mail: Library_Kutaisi@posta.ge
Library_Kutaisi@gmail.com

შინაარსი

ნერიმან ალბაირაკი - ენობრივი სიტუაცია სოფელ პეტრეკში	9
Neriman Albairak - Linguistic situation in the village Peterek.....	11
ნომადი ბართაია - ქამანდი და ქამანდარი	12
Nomadi Bartaia - Kamandi and Kamandari	15
თეიმურაზ გვანცელაძე, თამარ გითოლენდია - ქართული გვარების ერთი ტიპი აფხაზ მუჭავირთა 1867 წლის სიებში და აფხაზური ფოლკლორის ერთი პერსონაჟის სახელის გტიმოლოგია.....	16
Teimuraz Gvantseladze, Tamar Gitolendia - Georgian surnames of one type in the Abkhazian Muhajirs' lists of and the etymology of one of the Abkhazian folklore character's name.....	22
გვანცა გვანცელაძე - ტაოურ-იმერული ლექსიკური იზოგლოსები.....	23
Gvantsa Gvantseladze - Isoglosses in the Vocabulary of Georgian Dialects of Tao and Imereti.....	26
თამარ გოგოლაძე - “ქართველთა გარდასახლების” საკითხი ზაქარია ჭიჭინაძის წიგნში “ქართველები სპარსეთში”.....	27
Tamar Gogoladze - The Issue of “The Georgians Exile” in the Book “The Georgians in Persia” by Zakaria Chichinadze.....	33
ეკა დაღიანი - ავ/-ამ სუფიქსიან ზმნათა უწყვეტლის ფორმათა წარმოება იმერხეულსა და ტაოურში.....	34
Eka Dadiani - Forming Past Continuous form of the verbs with -Av/-Am suffixes in Imerkheuli and Tao Dialects.....	41
ნათელა დანგაძე - ჰასან ჩელიქი - გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მთარგმენტი.....	42
Natela Dangadze - Hasan Chelik, the Translator of Galaktion Tabidze's poetry.....	46

ლუპა დვალიშვილი - ფაცას ქართველთა ზეპირსიტყვიერების თემატური თავისებურებები	47
Luka Dvalishvili - Thematic peculiarities of Georgians living in Patsa.....	54
ინგა ელიავა - დოკუმენტი მუჰაჯირ აფხაზთა რემიგრაციის შესახებ 1879 წლის 10 აგვისტოს შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულ აფხაზ მუჰაჯირთა (პრივილეგირებული წოდების) სია	55
Inga Eliava - Document about the immigration of Muhajir Abkhazians The list of the Muhajir Abkhazians (honorary title) who returned to homeland after the war	61
რუსულან ზექალაშვილი, მარიამ აბესაძე - უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.....	62
Rusudan Zekalashvili, Mariam Abesadze - The Functional-Semantic Microfield of Negation in the Georgian Literary Language and Dialects.....	69
მარიქა თელორაძე - მეგრულის საკითხი გაზეთ “დროების” ფურცლებზე	71
Marika Tedoradze - The issue of Mengrelian on the papers of “Droeba”	79
ზურაბ თოლდუა - უცხოური ჩარჩოთი შემოსილი ქართული სული	80
Zurab Todua - Georgian soul in a foreign framework	86
ეთერ ინტკირველი - ბიბლიური წარლვნის ლეგენდის ასახვა აჭარისა და ჩვენებურების ხალხურ ტრადიციაში	87
Eter Intskirveli - The Legend of the Biblical Flood in the Folk Traditions of Adzharia and in Georgian Population of Turkey	93
რუსულან კაშია - რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVIIIს. II ნახევარი).....	94

Rusudan Kashia - From the history of Georgian-Russian Relation (II half of XVIII century)	99
მარიამ კობერიძე - ფერედანის ული მეტყველება ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებში (ზურაბ შარაშენიძე “ფერედანელი გურჯები”)	100
Mariam Koberidze - Fereydani verbal speech in Georgian travelers' records (Zurab Sharashenidze "Fereydani Georgians").....	105
მარიამ კობერიძე, თამარ კობერიძე - ემოციების გამოხატვის სინტაქსური საშუალებები აკაკი წერეთლის ორატორულ მეტყველებაში.....	106
Mariam Koberidze, Tamar Koberidze - Sintactical Means of Expressing Emotions in oratorical narratives of Akaki sereteli.....	112
ნესტან კუტივაძე - გივი კობახიძის ერთი კრიტიკული ოპუსის შესახებ (დანიელ ჭონქაძე და მისი “სურამის ციხე”)	113
Nestan Kutivadze - About a Critical Opus by Givi Kobakhidze (Daniel Chonkadze and his Novella 'Surami Fortress')	118
შორენა ლომაია - სამურზაყანოს ზოგი ტოპონიმისათვის	119
Shorena Lomaia - On the issue of some toponyms from Samurzakano	121
მარიამ მარჯანიშვილი - უნივერსიტეტის ფუძემდებლის პორტრეტი ემიგრანტთა მოგონებებში.....	122
Mariam Marjanishvili - The portrait of the founder of university in emigrant's memories.....	127
მაია მიქაელიძე - ემიგრანტული პერიოდული გამოცემები – საბჭოთა ცენზურის მქაცრი თვალყურის ობიექტი.....	129
Maia Mikaberidze - Emigrant Literature – the Object of strict Soviet surveillance	136
მაია მიქაელიძე - სიტყვაწარმოების ზოგიერთი საკითხისათვის ტაოურში (2010-2014 წწ. ექსპედიციის მასალების მიხედვით)	137

Maia Mikautadze - About the Word-building Issue in Tao Dialect (According to the materials of 2010-2014 expedition).....	144
საიდ მულიანი - თანდებულები ფერეიდნულ ქართულში..... Said Muliani - Prepositions in Fereydan Georgian.....	145 149
ავთანდილ ნიკოლეიძეიშვილი - ნიკოლო მიწიშვილი ემიგრაციაში..... Avtandil Nikoleishvili - Niko Mitsishvili in Emigration	150 160
ოთარ ნიკოლეიძეიშვილი - მორდეხაი მიხაკაშვილი—ისრაელში მოღვაწე ქართველი ებრაელი	161
Otar Nikoleishvili - Mordekhai Mikhakashvili - Georgian Jew doing public work in Israel	166
ნიკოლოზ ოთიანაშვილი - დეპორტირებულ მესხთა ლექსიკა (გორის რაიონის სოფელ წითელუბანში ჩამოსახლებულთა მეტყველების მიხედვით)..... Nikoloz Otinashvili - The lexis of deported people from Meskheti (According to verbal speech of people settled in the village Tsitelubani, Gori region)	167 171
მაკა სალია - “შენ იცი რა არის მუჰაჯირობა?” (მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლის, აბდულაჰ ჩელებიოღლუს კრიტიკაში)..... Maka Salia - “Do you know how does it feel to be a Muhajir?” (Analyses of one poem by the descendant of Georgian Muhajir Abdullah Celebioglu)	172 176
რუსუდან სალინაძე - თურქეთელ ქართველთა ენობრივ- ლიტერატურული მემკვიდრეობიდან..... Rusudan Saginadze - From Linguistic-Literary Inheritance of Turkish Georgians.....	177 183
ნათია სვინტრაძე - ამბაკო ჭელიძე - სპარსული პოეზიის მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე..... Natia Svintradze - Ambako Chelidze – translator and public figure in Persian poetry.....	184 190

თარიელ ფუტკარაძე - ქართული ენის სწავლება საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველებისათვის.....	191
Tariel Putkaradze - Teaching Georgian language to Georgians living abroad at present Most New Problems.....	204
მაია ქუჩიშვილი - ქართული საგანმანათლებლო სკოლები ათენში (XX ს-ის დასასრული და XXI ს-ის დასაწყისი)...	216
Maia Kukchishvili - Georgian educational schools in Athens (The end of the 20th century and the beginning of the 21st)	221
ფევზი ჩელები - ანისის ქართული წარწერები.....	222
Fevzi Chelebi - Georgian inscriptions in Anisi	228
ემზარ ჭანტურიძე - XVII–XIX საუკუნეების ქართველი მოღვაწეები აღმოსავლეთის ქვეყნებში (თურქეთი, ეგვიპტე, ერაყი)	229
Emzar Tchanturidze - Georgian public people of XVII-XIX in Eastern countries (Turkey, Egypt, Iraq).....	239

შეთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

ნერიმან ალბაირაქი

ენობრივი სიტუაცია სოფელ პეტერეგი

სოფელი პეტერეკი ართვინის პროვინციაში, იუსუფელის რაიონში მდებარეობს, დღევანდელი თურქეთის აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონში, ისტორიულ ტაოში. სოფელში, იუსუფელის მერიის მონაცემებით, 674 ადამიანი ცხოვრობს. იუსუფელის რაიონის სოფლებს შორის ყველაზე მეტი მოსახლეობა პეტერეკსა და ოთხთაშია! სოფლის ოფიციალური სახელია ჩევრელი (çevreli), რაც გარემოს ნიშნავს. სოფელი ართვინიდან 124 კმ.-ით, იუსუფელიდან 19 კმ.-ითაა დაშორებული.

“პეტერეკი” ვერც ქართულენოვან და ვერც თურქულენოვან ლექსიკონში ვერ ვიპოვე. სომხური წყაროების მიხედვით კი **ბედ-აგარაკი** ციხეს ნიშნავს. სოფელში ზოგი ტოპონიმი სომხურია, ზოგი - თურქული და, უფრო მეტი, დაახლოებით 90 % ქართულია; მაგ., სოფლის თავკაცის, ნურქეთთინ ქილიჩის ცნობით, პეტერეკის ტოპონიმებია: გივნარი, გურუეთი, შაბეთი, ბაბქეთი, ჰაქანეთი, ავაზანი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ამ სოფლის მხოლოდ ერთ უბანში საუბრობენ ქართულად და ისიც გავარკვიეთ, რომ ამ უბნის მოსახლეობა ხევაიდან არის ჩამოსახლებული. ეს უბანია გივნარი (Givnar/Ballidut). ამ ტოპონიმში **-ნარ** კრებითობის აღმნიშვნელი ქართული სუფიქსია. შდრ.: კლდევნარი - ადგილი, სადაც ბევრი კლდეა, თხილნარი - ადგილი, სადაც ბევრი თხილის ბუჩქი ხარობს. უბნის სახელი ფუქე გივ- შესაძლოა იყოს გვიმრა- “გვიმრა”; შესაბამისად, გვიმრა-ნარი - ადგილი, სადაც ბევრი გვიმრაა: გვიმნარი > გვინარი > გივნარი.

პეტერეკელ რესპონდენტებს ჩემს საღისერტაციო თემაზე მუშაობის დროს შევხვდი. აქ მხოლოდ 50 წლისა და უფრო მეტი ასაკის ადამიანები საუბრობენ ქართულად; ამდენად, ქართული ენა, როგორც სამეტყველო კოდი, ცოტა ხანში დაიკარგება.

თანერ ართვინლის წიგნის მიხედვით (“yusufeli külliyatı”) უბანი **გივნარი**, ისმალეთის დროს, 1549 წლიდან - 1930 წლამდე სოფელი იყო. ამ სოფელში, 1555 წლის მონაცემების მიხედვით, სამი კომლი ცხოვრობდა, რომელიც 15 ადამიანს შეადგენდა. 1574 წლს, ოსმალეთის არქივების მიხედვით, 18 კომლი იყო და 98 ადამიანი. ამ დროს მოსახლეობა გამუსლიმანებული არ იყო. 1682 წლიდან უკვე მთელი სოფელი მუსლიმანია. 1848 წლის მონაცემებით, მოსახლეობა 13 კომლს და 65 ადამიანს შეადგენდა.²

¹ http://yusufeli.gov.tr/koyle-803_tr_lc.html. ართვინის ადგილებისა და გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი (ტოპონიმიკა); http://yusufeli.gov.tr/koyle-803_tr_lc.html 20.09.2016.

² თანერ ართვინლი იუსუფელის ქულლიათი (დაფთარი) - Taner Artvinli yusufeli külliyatı 1cilt sayfa 328, 2013.

გივნარის მაცხოვრებლების მონაცოლის მიხედვით, სოფელში ორი უბანია, რომელთაგან ერთი - მათივე თქმით, ქართველებისაა, მეორე კი - ადგილობრივების, ანუ არა ჩამოსახლებულების.

პეტრერეკში 1938 წელს ხევაიდან ჩამოსახლებულა ორი ქართული ოჯახი და მერე გამრავლდნენ. ხევაიში დღესაც ქართულად საუბრობენ. დღეისთვის იუსუფელის მხოლოდ სამ დასახლებაში (თითოეულში რამდენიმე პატარა სოფელი შედის) ლაპარაკობენ ქართულად. ეს სოფლებია: ქვებაი // ქობაი // ქობაქი // ქიაბაქ // ქიაბახი (თურქ. *yüksekoba*), ხევაი // ხევეგი (თურქ. *Bıçakçılar*), ბალხი (თურქ. *Balcılı*). ხევაი მდებარეობს პარხლის ხეობაში და ძალიან შორს არის ამ სოფლიდან. იქ მოხუცებმა ძალიან კარგად იციან ქართული ენის ტაოური დიალექტი, საშუალო თაობამ საკმაოდ კარგად იცის, ბავშვებს ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. დაინტერესებული ახალგაზრდები ცდილობენ, ქართული ინტერნეტიდან ისტავლონ.

გივანარში თურქული კველამ იცის; მოხუცებმა კი საკმაოდ კარგად იციან ქართული ენის ტაოური ღიალექტი. რამდენიმე ქართველთან ვისაუბრე ქართული ენის ცოდნის პრობლემაზე; ესენი ივყნენ: ფეჭიმე სილაჭი, ნედიმ სილაჭი, ნუსრეთ იშიქი, ბეჭიჯე იშიქი, აბდი ქიზილქან, ემინე ქიზილქან, ფუნფულ დემირელ, ნეჭათი დემირელი... მათ ძალიან გაუხარდათ ჩემი ქართულის მოსმენა და თვითონაც ცდილობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, თითქმის დავიწყებული აქვთ დედაენა და თურქულად საუბრობენ.

ზამთარსა და ზაფხულში ამ უბანში იცვლება მოსახლეობის რაოდენობა: ზამთარში დაახლოებით 10 კომლი ცხოვრობს და დანარჩენები ქალაქებში მიდიან. სოფლის კინტრაში დასახლება უფრო მჭირია.

ლინგვისტური თვალსაზრისით, სოფელში ტოპონიმები 3 ენაზეა; ესენია: თურქული, ქართული და სომხური.

სომხური ტოპონიმების შესახებ ინფორმაცია გადავამოწმე სომხეთის მეცნიერობან, არყად აქაფოვთან და რაც არც ქართული იყო და არც თურქული არყადმა დამიდასტურა, რომ სომხური იყო; მაგალითად:

ତେଣୁକ୍ଷେଣରୁଠ - ଶାଶ୍ଵତମିଳାଙ୍କ ନିଶ୍ଚନ୍ଦ୍ରାଙ୍କ;

სმანსორი ან **სმანზორი** - სმანის ხევი;

ალექსანდრი - ოქტომბერი.

აშეკრისა, რომ სოფელში თავიდანვე მეზობლად ცხოვრობდნენ ქართველები და სომხები; შდრ., მაგ., XVIII საუკუნის სომხები ავტორი ღუკას ინჭიჭიანი³ წერს: ბერდაგრაკის სანგაყი იყო ზოლიანი და საუკეთესო ღვინო ჰქონდა. სოთლები გაშენებული იყო ჭოროხების ნაპირზე.

გინვარში ჩავატარეთ გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო ქართული ენის ფლობის დონის გარეშე; სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ასეთი სურათი გვაძვს:

ქართულს ფლობს 8 ადამიანი: 4 - ქალი, 4 - კაცი; მათი ასაკი არის 65 წლიდან 75 წლამდე.

³ Ըստ Ա. Վահագունյանի, Ելեսական պատմությունները և աշխարհական պատմությունները Հայոց պատմություններում, Երևան, 1980, էջ 132-133.

“100-ბალიანი სისტემით რამდენი ქულით შეაფასებთ თქვენ მიერ ქართული ენის ფლობის ღონეს?“

სოფ. გივნარის იმ უბანში, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართულის ცოდნის ღონეს 60 ქულით აფასებენ.

სხვა უბნებში ქართული ფაქტობრივად არ იციან. მათი ძირითადი სამეტყველო ენაა თურქული ენის შავიზლვისბარული დიალექტი. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც პეტერეკის, ასევე ოთხთის მოსახლეობის თურქულენოვან მეტყველებაში ბევრია ქართული წარმომავლობის სიტყვა, რომელიც აშკარად სუბსტრაქტულ ფენას წარმოადგენს.

NERIMAN ALBAIRAK

LINGUISTIC SITUATION IN THE VILLAGE PETEREK

The village Peterek situates in Artvin province, particularly in Yusufeli region, in the west Black Sea region of the present day Turkey, which is a historical Tao. The population of the village according to Yusufeli city council contains 674 people. Official name of the village is Chevrel (çevreli), meaning environment. The village is 124 kilometer distance from Artvin and 19 kilometer from Yusufeli. According to Armenian sources “Peterek” (Bed- Agarak) denotes the meaning of fortress.

Some toponyms are of Armenian origin in the village, some are Turkish and most of them are Georgian, approximately 90% of them; Main language of the village is Turkish, there is only one district where people speak Georgian; population of this district was settled from Khevai in 1938.

In other districts no one actually knows Georgian. Their main language is the black sea region dialect of Turkish. We should notice that words of Georgian origin abound in Turkish speech of Peterek population as well as in Otkhta people, which obviously represents substructural layer.

ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

ნომადი ბართაია

ქამანდი და ქამანდარი

ქართულ ენაში არის ორი სხვადასხვა სემანტიკური დატვირთვის მქონე ლექსიკური ერთეული - **ქამანდი** და **ქამანდარი**. ორივე სპარსულ ნასესხობას წარმოადგენს. ქართულ ტექსტებში ისინი აღორძინების ხანიდან დასტურდება.

ქამანდი:

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ქამანდი განმარტებულია ასე:

ქამანდი (ქამანდისა) [სპარს. ქამანდ “ყულფი”]. ცხოველის დასაჭერი ყულფიანი სასროლი თოკი. ჭოგსაც ესროლა ქამანდი, ქამანდს გაჰქონდა ზრიალი, ხუთი ქურანი გააბა, ხუთივე ხუთ-ხუთიანი (ხალხ.). ქამანდებში გაებათ გარეული ცხენი (ვაჟა). ფიგურ. გმირისეული მიუხვალა [მოურავს] ეშმაკობასა, მაგრამ თვითონაც ქამანდი ჰქონდა (ს. მგალობლივი...)

განსხვავებული განმარტება ამ სიტყვას სხვა ქართულ ლექსიკონებში არა აქვს.

ქართულ განმარტებით ლექსიკონში სწორად არის მითითებული, რომ ქამანდი არის სპარსული სიტყვა, სადაც იგი იწერება და იკითხება ასე: **კმანდი** [kamand]. მისი მნიშვნელობებია: 1. ქამანდი; მარყუჟი; 2. თოკის კიბე; ბაგირი; 3. მახე; 4. სადავე; პოეტ. **კმანდ ზლი** [kamand-e zolf] - ზილფის ქამანდი; სატრაფოს თმები; **ზლ კმანდ** [zolf-e kamand] - ქამანდის ზილფი.

კმანდ ასა (i) — პოეტ. ქამანდის მსგავსი, ლასო, ქამანდი (სატრაფოს თმა) (ი. რუბინჩიკი, 2012).

ქართულში **ქამანდი**-ის განმარტებასთან დაკავშირებით გვექნებოდა შემდეგი შენიშვნა. **ქამანდი** — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით მხოლოდ საბრძოლო იარაღის მნიშვნელობა აქვს. სინამდვილეში კი, მსგავსად სპარსულისა, მას მეტაფორულად **სატრაფოს ზილფის** გაგებაცა აქვს, რისი უამრავი მაგალითია ქართულ ტექსტებში; აი, ზოგი მათგანი:

“გოზაგარდახრილი **ქამანდი** და ტევრი შეხშირებული წარბი შეფრუშვილ-შენაკენულ იქმნეს” (რუსულანიანი, 1957, 601, გვ. 22).

“იგ მარგალიტი ობოლი, კვლავ იაგუნდი რეული,
მშვილდი გიშრისა, ქამანდი მოხდომით გამოზეული” (ბარამგურიანი, 1958, გვ. 119, 2).

“განკვეთილმან რამე ვჰყო,

“შექამანდა თმანია” (თუმანიშვილი, 1963, გვ. 182, 40; 1963).

“მკერდის მან კისერი მე მანკისერი

ქამანდ ზილფ შავით მან დამიბარა” (ეშიო-ხონია, 1964, გვ. 18, 2).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილი უნდა იქნას **ქამანდი**-ის მეტაფორული განმარტებაც - **ზილფი** (სატრაფოსი).

ქამანდარი:

ქართულ ენაში არის სპარსული ნასესხობა **ქამანდარი**-ი, რომელიც აღორძინების ხანის ძეგლებიდან დასტურდება. ქართული ენის განმარტებით

ლექსიკონში იგი განმარტებულია ასე: (ქამანდრისა) [სპარს. ქამანდარ “შვილდოსანი”]. 1. ქამანდის მსროლელი, - ჩუბინი. ფიგურ. თამარ ქალი ქალია, სიტყვის ქამანდარია (ზალხ.). 2. კუთხ. (მოხევ. ხევსურ.) კარგი მსროლელი. გამართა თოფით ვარჯიშობა, რომელსაც მთის ხალხი ბავშვობიდანვე ეწვეოდა და საუკეთესო “ქამანდრებად” გამოდიან... (ი. ყაზბეგი) (ქ ე გ ღ, 1950-1964).

სხვა მნიშვნელობა ამ სიტყვას ქართულ ენაში არა აქვს.

როგორც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მითითებული, **ქამანდარი** არის სპარსული სიტყვა. სპარსული ლექსიკონები მას ასე განმარტავს: **ქმანდარ [kāmandâr]** - მოისარი, ჩუბინი (ი. ჩუბინჩიკი, 2012). **ქმანდარ [kāmandâr]** ორკომბონენტიანი კომბინიტია, რომლის პირველი წევრია **ქმან [kāman]** მნიშვნელობებით: 1. მშვილდი; 2. რკალი; 3. ასტრ. მშვილდოსანი; 4. თაღი და ძალი დაშათნ [dâštan] - **ქონა, ყოლა** ზმნის აწმყო დროის ფუძე - და [dâr].

ქართულში არის სიტყვა **ქამანი**, მაგრამ შეცვლილი შინაარსით, რომელსაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ასე განმარტავს: ქამანი (ქამანისა [სპარს. ქამან “მშვილდი”]) 1. მჭედლისა და დურღლის იარაღი - ბურღის გადასატრიალებელი მშვილდი. 2. ზოგი სიმებიანი ინსტრუმენტის გასმით საყრავი, ძუის ლარიანი მშვილდი, - ხემი. 3. “სუსტი მშვილდი” (საბა) (ქ ე გ ღ, 1950-1964).

საბა **ქამან-ს** ასე განმარტავს: სუსტი მშვილდი (ს.-ს. ორბელიანი, 1993).

ქამანის საბასეული განმარტება “სუსტი მშვილდი” არასწორია, რადგან ქამანი არის ხემი და არა მშვილდი.

არც ქართულ განმარტებით ლექსიკონშია **ქამანი** განმარტებული სწორად, რომლის მიხედვითაც ის არის “ბურღის გადასატრიალებელი მშვილდი”. თანაც იქვე აღნიშნულია, რომ ის იგივეა, რაც ხემი, რითაც ლექსიკონი წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან. ამავე დროს, აზრობრივად ბუნდოვანია “ბურღის გადასატრიალებელი მშვილდი”. მშვილდა როგორ უნდა გადასატრიალოს ბურღი? შინაარსობრივად სწორი იქნებოდა: ბურღის გადასატრიალებელი **ქამანი** (ხემი) და არა **მშვილდი**, რომელიც ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული: **მშვილდი**-ი ისრის გასატყორცი ძველებური იარაღი - დრეკადი რკალი, რომლის ბოლოებზედაც გადაჭიმულია ლარი (ქ ე გ ღ, 1950-1964).

მშვილდი სულ სხვა სემანტიკური დატვირთვის მქონე ლექსიკური ერთეულია.

ქართულ ლექსიკონებში ბოლომდე არ არის სწორად გაგებული **ქამანდის, ქამანდარისა და მექამანდის** მნიშვნელობები. მაგალითად, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **ქამანდარი** განმარტებულია ასე: **ქამანდის მსროლელი**, რაც არასწორია, რადგან **ქამანდარი** არის **ისრის** და არა **ქამანდის** მსროლელი.

განმარტებითი ლექსიკონის ეს შეცდომა შეიძლება მოდიოდეს დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონიდან, სადაც **ქამანდარი** განმარტებულია, როგორც **ქამანდის მსროლელი** (დ. ჩუბინაშვილი, 1984).

ასევე შეცდომითა განმარტებული **ქამანდარი** იოსებ გრიშაშვილის “ქალაქურ ლექსიკონში” **ქამანდარი** – “მექამანდე, ქამანდის მომდები. “თამარ ქალი ქალი, სიტყვის ქამანდარია (ზალხ.)” (ი. გრიშაშვილი, 1997).

ამგვარად:

- ა) **ქამანდი**-ი სპარსულსა და ქართულ ენებში, გარდა **ქამანდისა**, მეტაფორულად ნიშნავს **ზიღფს** (სატრაფოსი).
- ბ) **ქამანდარი** ნიშნავს არა **ქამანდის** მსროლელს, როგორც ეს ქართულ ლექსიკონებშია მოცემული, არამედ - **ისრის** მსროლელს.
- გ) ბუნდოვანია **ქამანი**-ის ქართული ლექსიკონებისეული განმარტება - "ბურლის გადასატრიიალებელი **მშვილდი**". შინაარსობრივად სწორი იქნებოდა: ბურლის გადასატრიიალებელი **ქამანი**.
- ყოველივე ეს ასახული უნდა იყოს ქართულ ლექსიკონებში.

დამოწმებული ლიტერატურა

- ანგარი, 1381** — ჰასან ანგარი, ფარპანგე რუზე სოხან, თეშრან, 1381
- გ. გვანცელაძე, 2013** — გ. გვანცელაძე, თ. გვანცელაძე, ნარკვევები ათხაზურ-ქართული შედარებითი მორთოლოგიდან, 1. ფრინველთა სახელები, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდებული, ქუთაისი, 2013.
- ი. გრიშაშვილი, 1997** - ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.
- მოინი, 1382** - ფარპანგე ფარსიე მოინ, თეშრან - მოინის სპარსული ლექსიკონი, თეირანი.
- ს-ს. ორბელიანი, 1991 — 1993** — ს-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, თბ., 1991-1993.
- რუბინჩიკი, 1985** - Персидско-русский словарь, под редакцией Рубинчика Ю. А., I-II, Москва, 1985.
- თ. სახოკია, 1979** - თ. სახოკია, ქართულ ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979.
- ჰ. ფენრიჩი, ზ. სარჯველაძე, 2000** — ჰ. ფენრიჩი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.
- ქ ე გ ლ, 1950 - 1964** - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, აკად. არნოლდ ჩიქობავას რედაქციით, თბ., 1950-1964.
- ი. ქობალავა, 1980** - ი. ქობალავა, ზოგიერთი ტიპის ხმაბაძვითი სიტყვის წარმოებისათვის ქართულში, საქ. მეცნ. აკადემიის აკად. არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბ., 2000.
- ა. ღლონტი, 1984** — ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- არნ. ჩიქობავა, 1938** - არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1938.
- დ. ჩუბინაშვილი 1984** — დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
- გ. ხორნაული, 2000** - გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბ., 2000.

NOMADI BARTAIA

KAMANDI AND KAMANDARI

The article discusses the Persian borrowings of the second stream (XVI-XVIII cc.) of the new Persian vocabulary in Georgian language: kamandi and kamandari.

- a) Kamand-iin Persian and Georgian languages, besides lasso, metaphorically means hair hook (of beloved person).
- b) Kamandari means not a thrower of kamandi (lasso), like this is given in the Georgian dictionaries, but – an arrow shooter.
- c) The definition of Georgian dictionaries for kaman – a bow for turning of a drill, is vague, an arch for turning of a drill would be more correct from the point of view of contents.

All of these should be reflected in the Georgian dictionaries.

ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

**თემურაზ გვანცელაძე
თამარ გითოლენდია**

**ქართული გვარების ერთი ტიპი აფხაზ მუკაჩირთა 1867
წლის სიებში და აფხაზერი ჭოლალორის ერთი
კერსონაშის სახელის ეტიმოლოგია**

აფხაზთა შორის გავრცელებული გვარები სხვადასხვა წარმომავლობისაა: გვხვდება აფხაზური, ქართული, ხერქეზული და თურქული ეტიმოლოგიის მქონე გვარები. მათგან რაოდენობის მხრივ ყველაზე მეტია აფხაზური და ქართული წარმომავლობის მქონე გვარები. საკუთრივ აფხაზური გვარები მორფოლოგიური აგებულების მხრივ იყოფა რამდენიმე ჯგუფად (ვრცლად იხ.: თ. გვანცელაძე, 2011, გვ. 136-143).

ქართული წარმომავლობის გვარები სხვადასხვაგვარად არის ადაპტირებული აფხაზური ენის მიერ: ზოგს მთლიანად ჩამოცილებული აქვს გვარების მარტომოებელი ქართული დაბოლოებები, ან ისინი შეცვლილია აფხაზური აფიქსებით. მაგალითად, ქართული გვარები **მარუშ-იან-ი, შეცრილა-ვა,** **მექვაბი-ა // მიქვაბი-ა, ჯინჯოლ-ია** მათ მტარებელ პირთა სხვადასხვა მიზეზით გააფხაზების შემდეგ აფსურიზირდა და წარმოიქმნა ახალი ვარიანტები: **ა-მარშან, შაყრილ, ა-მექვაბ // ა-ნექვაბ, ა-ჯგნჯალ** (თ. გვანცელაძე, 2011, გვ. 137-138), ხოლო **-ვა** დაბოლოებიანი ქართული გვარები, თუ მათ აფხაზები ატარებენ, უმეტესწილად აფხაზურად გამოითქმის **-ვა** სუფიქსის გარეშე, თანაც ამ ქართულ სუფიქსს ენაცვლება კრებითობის აფხაზური **-აა** სუფიქსი (თ. გვანცელაძე, 2011, გვ. 140-141).

მოცემულ ნაშრომში მოკლედ მიმოვინილავთ **-ია** დაბოლოების მქონე ზოგ იმ ქართულ გვარს, რომლებიც გადაკეთებული სახით დასტურდება რუსი მოხელეების მიერ 1867 წელს ოსმალეთის იმპერიაში გასაძევებელ აფხაზ მუშავირთა სიაში. ამასთანავე, აქვე დავაკავშირებთ ამ საკითხს აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაში ძალზე პოპულარული პერსონაჟის აბრსკილის სახელთან.

აფხაზ მუშავირთა 1867 წლის სია (ზ. ხორავა, 2004; ზ. ხორავა, 2013), წარმოდგენას ქმნის იმ გვარებზე, რომლებიც გავრცელებული იყო აფხაზეთის ტერიტორიაზე არამარტო 1867 წლის მუშავირობის დროს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. დასახელებულ სიაში მრავლად მოიპოვება ქართული, კერძოდ, მეგრული გვარები, რომელთაც აფხაზურში დაუკარგავთ დაბოლოება. მაგალითად:

სოფ. კელასურში წარმოდგენილია გვარი **ამფარ**. მისთვის ამოსავალია მეგრული **მეფორია** (თ. გვანცელაძე, 2003, გვ. 41), რომელიც დასტურდება 1616-1621 წლების „საცაიშლო დავთარში“ სოფ. ჭალის (სოფ. ჭლოუ, ოჩამჩ. რ.) ტექსტში (ქსd, III გვ. 467). **მეფორია-ს ე** აფხაზურში გადმოცემულია **ა** ხმოვნით. **ო-მ** მოგვცა **ა.** სიტყვის თავში გაჩენილია ზოგადობის აფხაზური პრეფიქსი **ა-**. **ე** ხმოვანი რედუცირდა, რადგან მახვილმა **ა-** პრეფიქსზე გადაინაცვლა: **მეფორია > *მაფარ > ამფარ**. სამეგრელოში **მეფორია**

არის ეპითეტი კაცისა, ვინც თოხნისას ბალახს კი არ მოჭრის, არამედ მიწით დაფარავს (პ. ცხადაია, 2000, გვ. 112).

სოფ. აბგიძირაში გვხვდება გვარი **ბარკალ**, რომელიც დღეს იშვიათი მეგრული **ბარკალია** გვარის ვარიანტია. თვით **ბარკალია** ფორმა **ბარკალია-ს** ვარიანტია. შდრ., მეგრ.: **ბარკალ** “ბორძიკი”, **ბარკალ-ა** // **ფარკალ-ა** “ბორძიკით მოსიარულე”. ამგვარი შეტახელი არაა მოულოდნელი (პ. ცხადაია, 2000, გვ. 56).

სოფ. აბგიძირაში დასტურდება **ბერცხელა**, რომლისთვისაც ამოსავალია იშვიათი ქართული გვარი **ცერცხელავა**. **ცერცხელავა** შეიძლება იყოს **ცირცხალავას** ვარიანტი, ანდა შეიძლება ეპონიმის მეტსახელი მომდინარეობდეს **ცერცხელ-ი** “კოტრიალი, გორაობა” ფუძისაგან. მეგრულად **ცერცხელა** ნიშნავს “კოტრიალას, გორაობას” და ბავშვისათვის ასეთი მეტსახელის შერქმევა ბუნებრივია (პ. ცხადაია, 2000, გვ. 134). **ცერცხელავა** ფორმის **ც** თანხმოვნისგან აფხაზურში მივიღეთ **ბ**. გვარს აკლია ქართული დაბოლოება **-ვა**.

სოფ. ჯამბალში წარმოდგენილი **გუარდალ** გვარის ამოსავალი ფუძეა ქართული **გორდელ**, რომელიც იშვიათ ქართულ **გორდელ-ა-ვა** გვარში გამოიყოფა (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997, გვ. 64), შდრ., **გორდელ-ა-ძე**. **გორდელ-ა** მოფერებითი ვარიანტია პირსახელ **გორდი-სა**, რომელიც არის გვარში **გორდიშვილი** (პ. ცხადაია, 2000, გვ. 66). შესაძლოა, **გორდ-ელ** სოფელ გორდიდან ეპონიმის წარმოშობის აღმნიშვნელიც იყოს. **გორდელავა-**საგან აფხაზური **გუარდალ** (**გარდალ**) ფორმა ასე მივიღეთ: **ო** ხმოვანმა აფხაზურში მოგვცა **უა** დიფონნები, რომლის **უ** ელემენტი **გ** თანხმოვნის ლაბიალიზაციის მომენტად იქცა. ამოსავალი **ე** აფხაზურში გადმოცემულია **ა** ხმოვნით. გვარს მოკვეცილი აქვს **-ვა** დაბოლოება წინამავალ ხმოვანთან ერთად: **გორდელა-ვა > გუარდალ**.

სოფ. ჯამბალში დასახელებულია გვარი **გუნა**. მუჰაკირთა სიაში არის, აგრეთვე, ვარიანტები: **გუნია**, **აგუნბა**. პირველი დასტურდება სოფ. ბესლახუბაში. მეორე — გულრიფშში. ცხადია, რომ **გუნა** ქართული **გუნავა-**საგან მომდინარეობს.

სოფ. მოქვში სახელდება გვარი **კერსალ**. მისთვის ამოსავალია ქართული გვარი **კერესელიძე**, რომელსაც მოშორდა **-ძე** დაბოლოება და წინა **ო** ხმოვანი. **კერესელ** ფორმის მეორე **ე** უმნევილო პრზიციაში გაქრა, ხოლო უკანასკნელი **ე** აფხაზურში შეიცვალა **ა** ხმოვნით: **კერესელიძე > *კარასალ > კერსალ**.

სოფ. ფსირცხაში დასტურდება გვარი **კიფა**, რომელიც მომდინარეობს იშვიათი მეგრული **კიფაია** გვარისაგან (პ. ცხადაია, 2000, გვ. 98). აღდგება პირსახელი ***კიფა**.

სოფ. გერჩეულში წარმოდგენილია გვარი **კუტა**. **კუტა** საქართველოში ძველად გავრცელებული პირსახელია (ქსს, 1967, გვ. 96). აფხაზური **კუტა** მოდის დღევანდელი ქართული **კუტავა**-საგან, რომელიც უკვე დასტურდება 1616-1621 წლებში (პალ, I, გვ. 632).

სოფ. ლათაში იხსენიება გვარი **ლომა**, რომელიც აღგვადგენინებს მეგრულში დაკარგულ ***ლომავა** ვარიანტს.

სიებში არის გვარი **უურდგელი**. ამოსავალი ფორმაა მეგრული **უურდღელია // უურდგელია**, რომელსაც ჩამოცლილი აქვს დაბოლოება - ია. ქართ. **უურდგელია > აფხ. *ურდგალ [უურდგმალ] > აფხ. ურდგელ [უურდგელ]** > რუს. **Курдгель**.

სოფ. კელასურში იხსენიება გვარი **ხარაზი**, სოფ. აბჯაყვაში — მისი ვარიანტი **ხარაზა**. გვარი **ხარაზი** ამჟამადაც გვხვდება ქართულში, რეალურად არსებობს იშვიათი **ხარაზია** ფორმაც (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997, გვ. 237), რომლისგანაც მოდის აფხაზური **ხარაზი**, უფრო ზუსტად, **ჰარაზი** < **ხარაზი**. სხვათა შორის, აფხაზებში დღესაც გავრცელებულია ქართულსუფიქსიანი **ჰარაზია** ვარიანტი.

წებელდასა და ამტყელში წარმოდგენილია გვარი **ხორა**, რომელიც ამავე სიაში წარმოდგენილი **ხორაია** ან **ხორავა** ფორმის ვარიანტია (თ. გიორგენდია, 2008, გვ., 111).

სოფ. ზიმასა და ბეშიკვარაში დასტურდება გვარი **ხურხუმალი**. მისთვის ამოსავალია ქართული **ხორხმელიძე** (ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997, გვ. 241), შდრ., **კერესელიძე > კერსალი**. არ გამოირიცხება მისი მომდინარეობა ოლად აღსადგენი მეგრული ***ხორხმელია** სახეობისაგან...

ჩვენი დაკვირვებით, აფხაზ მუჭაჭირთა 1867 წლის სიაში სულ ასახულია 32 ქართული წარმოშობის დაბოლოებამოკვეცილი გვარსახელი, რაც ამ პროცესის სისტემურობაზე მიუთითებს და უეჭველად უნდა იქნეს გათვალისწინებული აფხაზურ და ქართულ, კერძოდ, მეგრულ გვარსახელთა და ანთროპონიმთა კვლევის დროს. ამის გათვალისწინებით ფართო პერსპექტივა იშლება მომიჯნავე სამეცნიერო დარგების ზოგი პრობლემის ანალიზისთვისაც. თქმულის საილუსტრაციოდ აქ წარმოვადგენთ ერთ მაგალითს.

აფხაზებში ამჟამად პობულარულია საგმირო თქმულება **აბრსკილის შესახებ** (ს. ზუხბა, 1988, გვ. 343). ყერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ ამ თქმულებას ნაკლებად იცნობდნენ გუდაუთის რაიონში მცხოვრები აფხაზები, ხოლო თურქეთში მცხოვრებ აფხაზთაგან იგი იციან მხოლოდ ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორიიდან წასულთა შთამომავლებმა. იმის გამო, რომ თქმულება შეტანილია სასკოლო პროგრამაში, ამჟამად იგი იცის აფხაზთა უმრავლესობამ. თქმულების მოქლე სიუჟეტი ასეთია:

სოფელ გუფში (ამჟ. ოჩამჩ. რ.) უცხოვრია გამორჩეულ ქალწულს, რომელსაც ალთქმა ჰქონდა დადებული, რომ არ გათხოვდებოდა, მაგრამ რაღაც გრძელებით დაორსულდა და საოცარი ვაჟი შეეძინა. ბიჭს **აბრსკილი [აბრ(გ)სკელი]** ერქვა. იგი გულადი დადგა. იმ დროს **ზღვისა და კავკასიონის მხრიდან** აფხაზეთს თავს ესხმოდნენ მტრები. აბრსკილი ხალხის დიდ იმედად იქცა: ხოცავდა მტრებს, რომლებიც ვეღარ ბედავდნენ თარეშს. მხარე აყვავდა, დამშვიდდა. აბრსკილი შინაურ მტრებსაც ებრძოდა. მას მფრინავი რაში ბზოუ ჰყავდა, რომელიც ერთი ნახტომით მოქმედია **ზღვის ნაპირიდან ერცანუს მთის** წვერზე და პირიქით. აბრსკილი თანდათან გამედიდურდა, რამაც ღმერთი გააჭავრა. მან ყერ ტებილი სიტყვით სცადა, გონს მოეყვანა აბრსკილი, მაგრამ უშედეგოდ. ღმერთმა უბრძანა მოციქულებს, შეებყროთ იგი და მანამ ჰყოლოდათ ბნელში, სანამ ღმერთს ქედს არ მოუხრიდა. მოციქულებმა შეიბყრეს აბრსკილი და ბზოუ. ისინი

სოფლებს ჭლოუსა და ოტაფს შორის მდებარე გამოქვაბულში რკინის ბოს მიაკრეს სქელი ჯაჭვით. აბრსკილი იბრძების დასახსნელად, მაგრამ ვერ ახერხებს. იგი მუდამ თავის ხალჩზე ფიქრობს, მაგრამ არ შეუძლია მისი შველა. ბევრჯერ სცადეს აფხაზებმა მიჯაჭვული ამირანის დახსნა, მაგრამ ეს შეუძლებელია (ს. ზუხბა, 1988, გვ. 344-349).

აბრსკილის სახელის ეტიმოლოგია დადგენილი ჯერაც არაა (ვრცლად იხ.: ს. ზუხბა, 1988, გვ. 359-361). ჩვენი აზრით, პერსპექტიულია მ. ჩიქოვანის აზრი აბრსკილის სახელის პირველი ნაწილისა და ამირანიანის ქართული ეპოსის პერსონაჟ **ამბრის** სახელის იგივეობის შესახებ (მ. ჩიქოვანი, 1959, გვ. 45; მ. ჩიქოვანი, 1966, გვ. 15). თუ ეს მოსაზრება მართებულია, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ თავიდან არსებობდა მეგრული სახელი ***ამბრიშ სქირი > *ამბრიშ სკირი** “ამბრის შვილი”, რომელმაც განიცადა შემდეგი ცვლილებები: მეგრ. ***ამბრიშ სქირი > *ამბრიშსკირი > *ამბრისკილი > *ამბრისკილი > *აბრსკილი > აფხ. აბრსკელ > აბრგასკელ**. ლინგვისტური თვალსაზრისით, არც მეგრულისათვის აქ ნავარაუდევი ვარიანტების მიღების გზებია მოულოდნელ-დაუშვებელი და არც აფხაზურისა, თუმცა, ჩვენი აზრით, აბრსკილის სახელის ქართული წარმომავლობის მტკიცება სხვა არგუმენტების მოშველებითაც შეიძლება. კერძო: ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ **აბრსკილის თქმულება უცნობია აბაზურ ფოლკლორში, ამასთანავე ის ბზიფელ აფხაზთა შორისაც კი უცნობი იყო სასკოლო პროგრამაში მის შეტანამდე და ვიწრო ლოკალური გავრცელება ჰქონდა მხოლოდ აბეუელთა შორის.** ამიტომ გმირის სახელის ეტიმოლოგის რკვევისას მეტი პერსპექტივა იმ მოსაზრებას აქვს, რომელიც ითვალისწინებს თქმულების სიუჟეტის გეოგრაფიული არეალისა და **აბეუეს**, ანუ ისტორიული **შუასოფლის** ისტორიული ეთნიკურ-ენობრივი ვითარების მიმართებას. ამ შერიც შემდეგი უნდა ითქვას:

აბრსკილის თქმულების მოქმედების არეალი არ სცილდება **აბეუეს**, ანუ ქველი **შუასოფლის**, ე.ი. თანამედროვე ოჩამჩირის რაიონის ნაწილის ტერიტორიისა. ესაა სოფლები: **გუფი, ჭლოუ, ოტაფი, ერცახუს მთა, ოტაფის გამოქვაბული**. ამის გათვალისწინებით, სრულიად უდავოა, რომ სწორედ ამ ვიწრო ზონაში უნდა შექმნილიყო ეს თქმულებაც. რაც შეეხება ამ ზონის ისტორიულ ეთნიკურ-ენობრივ ვითარებას, ცნობილია, რომ აბეუეში ახლანდელ აფხაზთა წინაპრები პირველად გამოჩნდნენ მხოლოდ XVII საუკუნის მიწურულს და მერე დაიწყეს ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის მიწებზე დასახლება, სადაც მანამდე მხოლოდ ქართველები, კერძოდ, მეგრელები სახლობდნენ (იხ.: ნარკვევები, 2007, გვ. 151-169). ეს გარემოებანი გვიბიძგებენ იქითკენ, რომ აბრსკილის სახელის ეტიმოლოგია ვეძიოთ საკუთრივ აფხაზურ, ან მეგრულ ინომასტიკონში.

როგორც ალინიშნა, აფხაზურ ენაზე თქმულების პერსონაჟის სახელი ჟლერს როგორც **აბრსკელ** და **აბრსკელი**. მათ აფხაზურად დამაჯერებელი ახსნა არ ეძებნება (ს. ზუხბა), მაგრამ ზოგ წყაროში დასტურდება მეტად საინტერესო მონაცემები. კერძოდ, 1867 წლის მუჭაჭირთა სიებში ყურადღებას იქცევს კოდორისა და დალის ხეობის სოფლებში **მერხეულში, ბეშიკვარასა და აბგალახვარაში**

მცხოვრებ აფხაზთა შორის გავრცელებული ერთი და იმავე გვარსახელის 7 var i ant i : **Брескиль** (**ბრეგსკილ**), **Брискель** (**ბრისკელ**), **Брислекъ** (**ბრისლეკъ**), **Крыскель** (**კრეგსკელ**), **Брыскель** (**ბრეგსკელ**), **Блескиръ** (**ბლეგსკირъ**), **Блескеръ** (**ბლეგსკერъ**). ამ ვარიანტებიდან ძირითად ფორმებად აღსაღვენია *ბლეგსკერ' და *ბრეგსკელ, ხოლო დანარჩენები რუსი მოხელეების მიერ აფხაზურ ვარიანტთა მცდარი აღქმის შედეგი უნდა იყოს. *ბლეგსკერ' და *ბრეგსკელ რეალურად არის ვარიანტები ქართული გვარსახელისა, რომელიც 6 ფორმითაა ამჟამად წარმოდგენილი სამურზაყანო-სამეგრელოში. ეს ვარიანტებია: **ბულეისქირი**, **ბულეისკირი**, **ბულესკერია**, **ბულესკირია** და **ბულისკირია**. ისნი მომდინარეობენ **ბულ-ი**, **ბულ-ა** და **ბულ-ე** ანთროპონიმებისაგან, რომელსაც დართული აქვთ “შვილის” სემანტიკის მქონე საერთოქართველური ფუძის მეგრული სახეობა **სქირ-ი** // **სკირ-ი** სიტყვა, შდრ., გვარები: **წულეისკირი**, **ბაბასკირი**, **ასკილეისკირი**... (ვ. ცხადათ, 2000, 63; თ. გიორგიშვილი, 2010-2011, გვ. 62; ბ. ხორავა, 2013, გვ. 97). ქართული ფორმებიდან 4 ვარიანტში (**ბულესკერია**, **ბულესკირია**, **ბულისკერია**, **ბულისკირია**) გვაქვს ასევე საერთოქართველური წარმომავლობის -ია < -იან სუფიქსიც. აღსანიშნავია ისიც, რომ გვარსახელი **ა-ბლეგსკერ'** ამჟამადაცაა გავრცელებული აბუუელ აფხაზთა შორის და მას დამატებული აქვს აფხაზური ენის სახელებისათვის დამახასიათებელი **ა-პრეფიქსი**, რომელიც ქართული გვარის გააფხაზურების ფუნქციას ასრულებს (თ. გვანცელაძე, 2003, გვ. 41).

ამ მონაცემების გათვალისწინებით, **სრულიად უეპველია**, რომ **ამჟამინდელი** რეალურად **არსებული** აფხაზური გვარსახელი და აფხაზ მუჭაჭირთა 1867 წლის სიებში ასახული უველა ვარიანტი მომდინარეობს ქართული, კერძოდ, მეგრული **ბულისკირია** ვარიანტისაგან. ამისი დამაღალსტურებელია ისიც, რომ გალის რაიონში მუხურისა და ოქუმის თემებში დღემდე არსებობს 2 ქართული სოფელი ერთი და იმავე **საბულისკერიო** სახელით, რაც წარსულში ამ გვარსახელის ახლანდელი აფხაზეთის შიწაზე ფართოდ გავრცელების კიდევ ერთი დასტურია.

მაშასადამე, თქმულება **აბრსკილის შესახებ უნდა შეექმნათ არა აფხაზებს**, არამედ **შუასოფლელ ქართველებს**, კერძოდ, მეგრელებს. მთავარ პერსონაჟს ***ბულიშ სქირი** “ბლის შვილი” უნდა რქმეოდა. ამ ანთროპონიმისაგან მომდინარეობს ჯერ ***ბულიშ სკირი**, შემდგომ კი ***ბულისკირი** სახელები. სავარაუდო, შუასოფელში აფხაზთა შემოსახლებამდე ამ პირსახელს უკვე შეძენილი ჰქონდა გვარსახელის ფუნქციაც და მოეპოვებოდა დღემდე შემორჩენილი ქართული **ბულეისქირ-ი**, **ბულეისკირ-ი**, **ბულესკერ-ია**, **ბულესკირ-ია**, **ბულისკერ-ია** და **ბულისკირ-ია** ფონეტიკური ვარიანტებიც.

ამრიგად, ცხადია, რომ ისტორიულ შუასოფელში მოსულმა აფხაზებმა დამხვდური ქართველებისაგან სუბსტრატულ ფოლკლორულ ძეგლად შეითვისეს თქმულება, რომელიც დღეს უკვე აფხაზთა დიდმა ნაწილმა იცის.

დამოწმებული ლიტერატურა

- ს. ბდაუბა, 1964** — X.C. Бгажба, Бзыбский диалект абхазского языка (Исследование и тексты) Тб., 1964.
- თ. გვანცელაძე, 2003** — თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწოლელთათვის, ტ. I, თბ., 2003.
- თ. გვანცელაძე, 2008** — თ. გვანცელაძე, აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის ლინგვისტური საფუძვლები, თბ., 2008.
- თ. გვანცელაძე, 2011** — თ. გვანცელაძე, აფხაზური ენა, სტრუქტურა, ისტორია, ფუნქციონირება, თბ., 2011.
- თ. გითოლენდია 2008** — თ. გითოლენდია, - ია დაბოლოებიანი გვარსახელები მუჭაჭირთა 1867 წლის სიაში, ჟურნ. „მარჯი“, №1, 2008.
- თ. გითოლენდია, 2010 – 2011** — თ. გითოლენდია, აფხაზ მუჭაჭირთა 1867 წლის სიაში გამოვლენილი ქართველური წარმოშობის გვარსახელები, „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“, ტ. VIII, თბ., 2010-2011.
- ს. ზუბა, 1988** — ს. ზუბა, აფხაზური ზეპირსიტყვიერება, აფხაზურიდან თარგმნეს ავთანდილ არაბულმა და თეიმურაზ გვანცელაძემ, თბ., 1988.
- ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან:** აფხაზეთი, თბ., 2007.
- პალ, I, 1991** — პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1991.
- ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, 1997** — ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარსახელები საქართველოში, 1997.
- სწბ, I, 1986** — სვანეთის წერილობითი ძეგლები (ისტორიული საბუთები და სულთა მატიანები), ტ. I, თბ., 1986.
- ა. ღლონტი, 1987** — ა. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1987.
- ქსძ, II, 1965** — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965.
- ქსძ, III, 1970** — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
- გ. ჩიქოვანი, 1959** — გ. ჩიქოვანი, ქართული ეპონი, წიგნი I, თბ., 1959.
- გ. ჩიქოვანი, 1969** — M. Я. Чиковани, Амираниани, Грузинский эпос, Тб., 1966.
- გ. ცხადაია, 2000** — გ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახელებანი სამეცნიელოში, თბ., 2000.
- გ. ხორავა, 2004** — გ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჭაჭირობა, თბ., 2004.
- გ. ხორავა, 2013** — გ. ხორავა, Мухаджирство абхазов 1867 года, Тб., 2013.

TEIMURAZ GVANTSELADZE, TAMAR GITOLENDIA

GEORGIAN SURNAMES OF ONE TYPE IN THE ABKHAZIAN MUHAJIRS' LISTS OF 1867 AND THE ETYMOLOGY OF ONE OF THE ABKHAZIAN FOLKLORE CHARACTER'S NAME

In 1867 the Russian Empire officials drew up lists of the Abkhaz families, who had to be deported to the Ottoman Empire. In these lists were confirmed more than dozens of surnames with Georgian origin, including 32 such Georgian surnames, from which were removed away **-ia**< **-ian** surname-forming endings. For example, in the village Jampal the surname **Гуардал** [Gwardal] is based on the Georgian anthroponym **Gordel**, which is found in current rare Georgian surname **Gord-el-a-va**, and Georgian surnames: **Gordel-a-dze** and **Gord-i-švil-i**. Abkhazian form **Gwardal** derived from Georgian **Gordel-a-va** was adopted in Abkhaz language in full compliance with the word adoption rules.

Taking into account the systemic nature of such change process of Georgian surnames, makes it possible to solve issues of anthroponyms history of some Abkhazian and Georgian surnames.

The study also considers the etymology issues of the most important monument of Abkhazian folklore, the main character's name of **Abrsk'il**'s legends. The following conclusions were made:

1. The name **Abrsk'il** is the Georgian surname **Bulisk'iria** adapted in Abkhazian language, which in its turn was taken from Megrelian syntagma **Buliš skiri** "cherries's (plant name) son."
2. Taking into account that the Abkhaz legend Abrsk'il 50 years ago was common only in Ochamchire district of the Autonomous Republic of Abkhazia, and the story takes place in the same region, we assume that the legend was created in this region before XVII century by the Georgians residing there, and then it was adopted by the Abkhazians, who came here later.

This assumption is supported by the lists dated of 1867 compiled by the Russian officials, where are recorded variants of the Abkhazian names adopted from the Georgian name **Bulisk'iria**: **Брескиль** (**Bresk'il**), **Брискель** (**Brisk'el**), **Брислекъ** (**Brislek'**), **Крыскель** (**K'rəsk'el**), **Брыскель** (**Brəsk'el**), **Блескиръ** (**Blesk'ir**), **Блескеръ** (**Blesk'er**).

ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

გვანცა გვანცელაძე

თარიღ-იმპრული ლექსიკური 08ოგლოსები

ქართული ენის დიალექტები, რომლებიც წარმოდგენილია როგორც საქართველოს ამჟამინდელ ფარგლებში, ისე მის იქთ, ქართველ დიალექტოლოგთა თაობების მიერ საქმაოდ მაღალ დონეზეა გამოკვლეული. ამის შედევად დაგროვილია უზარმაზარი მოცულობის ემპირიული მასალა, რომლის საფუძველზეც უნდა შედგეს და გამოიცეს ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასი. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია, მაგრამ ატლასის პრობლემა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა, ვინაიდან იგი დიდი სამუშაოების შესრულებასა და ფინანსური წყაროს მოძებნას მოითხოვს.

დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად, რა თქმა უნდა, უმთავრესი სამუშაოთაგანია კონკრეტულ დიალექტთა ლექსიკის სხვადასხვა ნიშნის (ფონეტიკურ-ფონოლოგიურის, მორფოლოგიურის, სემანტიკურის) მიხედვით ზუსტად აღწერა და დაჯგუფება-კლასიფიკაცია ყოველი სიტყვის თუ ფორმის გავრცელების ზუსტი გეოგრაფიის მითითებით.

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველების ნიმუშების შესწავლა საშუალებელი საქმეს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ბუნებრივია, განსაკუთრებით საინტერესო და საჭიროა ჩვენებურების ქართულის კვლევა სხვა დიალექტებთან მიმართებაში. ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ თურქეთელ ქართველთა მეტყველებებში ბევრია საერთო სხვა ქართულ დიალექტებთან.

წინამდებარე ნაშრომის მოკრძალებული მიზანია, გამოივალინოთ ლექსიკური იზოგლოსების ერთი მცირედი ნაწილი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, კერძოდ ისტორიულ ტაოში გავრცელებულ ტაოურ დიალექტსა და მისგან გეოგრაფიულად საკმაოდ დაცილებულ იმერულ დიალექტს შორის, რომელიც ქართული სამწიგნობრო ენის ერთ-ერთი საყრდენთაგანია. ბუნებრივია, ამგვარი მუშაობა გულისხმობს იმის გარევას, თუ რა მსგავსება და განსხვავება ახასიათებს ორივე კილოს ლექსიკურ ერთეულთა პოვნიერების მხრივ.

საანალიზოდ ტაოური ლექსიკური მასალა ამოკრებილი გვაქვს პროფ. **შუშანა ფუტკარაძეს** ნაშრომიდან „ჩვენებურების ქართული“ (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 181), რომელშიც ქართულ დიალექტოლოგიაში პირველად იქნა აღნუსხული თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული კილოების თავისებურებათა ამსახველი ტექსტები და ტიპური ფრაზები საქმაოდ ვრცელი ლექსიკონითურთ, მოკლედაა მიმოხილული ამ მიკროსისტემათა გავრცელების გეოგრაფია და მითითებულია ძირითადი სამეცნიერო ლიტერატურა.

ჩვენი ზოგადი შთაბეჭდილებით, თურქეთის რესპუბლიკაში გავრცელებულ ქართულ მეტყველებებსა და იმერულ კილოს, ლექსიკური შედგენილობის მხრივ, ბევრი საზიანო აქვს. ამ მხრივ გამოიყოფა საერთო ლექსიკის შემდეგი ჯგუფები:

— სრულად იდენტური სიტყვები;

- ფონეტიკურად იდენტური, მაგრამ სემანტიკურად განსხვავებული სიტუვები;
- ფონეტიკურად განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად ერთნაირი სიტუვები;
- სემანტიკურად იდენტური, მაგრამ მორფოლოგიურად განსხვავებული საზიარო ძირიანი სიტუვები;
- ფონეტიკურად და სემანტიკურად მცირედ განსხვავებული სიტუვები.

როგორც ტაოური და იმერული დიალექტური მასალის შედარების შედეგად აღმოჩნდა, ზემოთ დასახელებული 5 ჯუფიდან ორივე კილოს მოეპოვება საერთო ლექსიკური ერთეულების მხოლოდ 2 ჯგუფი. გაცილებით მეტი დადასტურდა შესაძარებელ დიალექტთა განმასხვავებელი ლექსიკური ფაქტები: საზიარო ლექსიკაში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. სრულად იდენტური სიტუვები. ამ ჯგუფს განეკუთვნება ძირითადი ლექსიკური ფონდის შემადგენლი ლექსიკა: სხეულის ნაწილთა სახელები, ნათესაობის ტერმინები, ცხოველთა და მცენარეთა სახელები, ბუნების მოვლენების სახელები, ნაცვალსახელები, რიცხვითი სახელები, ზმნები და სხვანი. ისინი ტაოურსა და იმერულ კილოებში სრულად ემთხვევა ერთმანეთს ბერითი შემადგენლობითაც, მორფოლოგიურადც და მნიშვნელობათა მიხედვითაც. ამ ჯგუფში გაერთიანებულ საზიარო ლექსიკაში, თავის მხრივ, ორი ქვეჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი:

a. ქართულ სალიტერატურო ენასა და დანარჩენ ქართულ დიალექტთა უმრავლესობასთან საზიარო ლექსიკა. ამ ქვეჯგუფს განეკუთვნება შემდეგი სიტუვები: მე, შენ, შენი, სოფელი, გზა, მადლობა, ცოლი, და, ციხე, წყალი, ენა, სისხლი, დელე, ქვა, სახლი, სახელი, ოქრო, მიწა, აკვანი, აღგილი, თითი, ცხენი, ჭორი, გაშლი, ხე, თეთრი, წითელი, ფართე, გაღმა, ვარ, ერთი, ორი, ოცი, ორმოცი, ორასი, ბევრი, ცოტა, დილაზე და მრ. სხვ.;

ბ. მხოლოდ იმერულთან, ანდა დასავლურ ქართულ დიალექტებთან საერთო სიტუვები თუ სიტუვაფორმები. ამ სიტყვათა ნაწილი ორსავე დიალექტში სამწიგნობრო ენასთან შედარებით ზუსტად ერთნაირადაა ფონეტიკურად სახეცვლილი. საყურადღებოა ისიც, რომ ამ ქვეჯგუფის ლექსიკაში ჭარბობს არსებითი სახელები და ის ზმნური ფორმები, რომლებშიც ორივე დიალექტს ერთი და იგივე ფონეტიკური ცვლილებები, უბირატესად ნაწილობრივი ასიმილაცია მოუხდენია. რაც შეეხება სხვა მეტყველების ნაწილებს, მათგან მხოლოდ სრულად საზიარო რამდენიმე სიტყვა გამოვლინდა. ამ ქვეჯგუფში შედის შემდეგი სიტუვები: წუმა “წვიმა”, ქვირე “კვირა”, გელი “მგელი”, დოდოფალი “დედოფალი”, ლაპარიკი “ლაპარაკი”, თავრობა “მთავრობა”, ჭადი “მჭადი”, თა “მთა”, ბურკა “კურკა”, სალამომდი “სალამომდე”, ორმოზდაათი “ორმოცდაათი”, მიორე “მეორე”, უმფრო “უფრო”, რომელცხა “რომელიც, რომელიღაც”, დამწუროული “დამწყდეული”, არი “არის”, დაუდომა “დაჯდომა”, გეიარდენ “გაივლიდნენ”, ჩამეიარს “ჩამოივლის”, დეინახავ “დაინახავ”, ჩამეიყვანა “ჩამოიყვანა”, დეესმარა “დაეხმარა”, დოუდგა “დაუდგა”, გედეიხედავ

“გადაიხედავ”, **გადეიტანოს** “გადაიტანოს”, **გეიგონა** “გაიგონა”, **ჩავაწევ** “ჩავაღწევ”, **მეეწევა** “დაეწევა, წამოეწევა”, **დეინახა** “დაინახა”, **წეიტა** “წაიქცა”, **ქონებაი** “ჰქონია”, **ამეილეს** “ამოილეს”, **ამეილებ** “ამოილებ”, **ჩამეიტანეს** “ჩამოიტანეს”, **მეიტან** “მოიტან”, **მეირწყას** “მოირწყას”, **დეელაბარაკეთ** “დაელაბარაკეთ”, **გედეიცვა** “გადაიცვა”, **გოურევენ** “გაურევენ”, **გადმეილებენ** “გადმოილებენ”, **წეილებ** “წაილებ”, **გამეილებენ** “გამოილებენ”, **როის** “როდის” და **სხვ.** ამ **სიტყვათა** და **სიტყვაფორმათა** დიდი ნაწილი, განსაკუთრებით, ზმნური ფორმები **ტაოურისა** და **იმერულს** **საზიარო** აქვს გურულსა და **ლეჩხუმურ** კილოებთან, ნაწილობრივ რაჭულთანაც. შევნიშნავთ **იმასაც**, რომ **ტაოურ** კილოში ორი **ხევსურულ** დიალექტთან **საზიარო** **სიტყვაც** კი **აღმოჩნდა:** **ხავიწი** “ნალებში, ან ერბოში მოთუშული ფქვილით დამზადებული საჭმელი; **იქა** “იზამ, შვრები, აკეთებ” (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 180).

2. ფონეტიკურად მცირედ განსხვავებული, მაგრამ სემანტიკურად ერთნაირი სიტყვები. ამ ჯგუფს განეკუთვნება მორფოლოგიურ-სემანტიკურად ერთნაირი, მაგრამ ბევრითი შემადგენლობით ოდნავ განსხვავებული ლექსიკა, კერძოდ, დადასტურდა ფონეტიკურად სახეცვლილი საერთო ქართული **სიტყვები**, რომელთა ერთ ნაწილში **ტაოური** დიალექტი გვიჩვენებს თანამედროვე სამწიგნობრივ ქართული ენისაგან მეტ გადახრას, ვიდრე იმერული. მაგალითების ერთ ნაწილში მომხდარია **ძ** თანხმოვნის დეზაფრიკატიზაცია, რის გმოც ამ ფონემას ენაცვლება **ზ** ბევრა: ტაო. **ზმა, ზირი, ეზეც** — იმერ. **ძმა, ძირი, ეძებ...** მეორე ქვეტის ქმნიან ის **სიტყვები**, რომლებშიც **ტაოურ** დიალექტს შემოუნახავს თანამედროვე სამწიგნობრივ ენასა და იმერულ დიალექტში ამჟამად არსებულ ვითარებასთან შედარებით უფრო არქაული მდგომარეობა, როცა **ტაოური** ინარჩუნებს **ჭ** ფონემს, იმერულს კი მის ადგილას სამწიგნობრივ ენის მსგავსად იგი **ხ** ფონემით ჩაუნაცვლებია შემდეგ **სიტყვებში:** **ჭელი, ჭიდი, ჭარი, ჭმელი, თოჭ-ნიჩაბი, ჭევი, მოვჭნავთ, მოვჭალვენ...** საყურადღებოა ერთი ფაქტი: როცა **შ. ფუტკარაძე** იწერდა **სოფელ ჭუაბაგში** მცხოვრები ერთ-ერთი მთქმელის ნათქვამს, ამ უკანასკნელს შეუნიშნავს მკვლევრის ინტერესი იმ **სიტყვებისადმი**, რომლებშიც **ჭ** თანხმოვანი დასტურდება და **უთქვამს:**

“**ჭევი, ჭევნარი — ვიტყვით. ჭელი, გემიჭელდი — ვამბობთ, ცოტა კიდე გავჭელდეო, თუ ვიტყვით. ცოლის მოყუანა მინდაო, იმისმაპანა [მნიშვნელობა — გ.გ.]** იქნება. **ჭარები — ვიტყვით. შენ რომ რომელცა ხართსა [ასოს — გ.გ.] ეზეფ, ამ სიტყვებშია, იშტაჲ!** [სწორედ ასე — გ.გ.]. **მოვჭნათ ყანა, გაჭმა, ჭმელი, ბლი ჭმელი...** ბლი ჭმელი ბლისა იქნება. **ბალ მოკრეფდეს, გაჭმებოდა, ზუელაც [ძველადაც, წარსულშიც — გ.გ.]** იყო ესა. თუთა გააჭმობდეს, ხურმა გააჭმობდეს. ფეჭი — ვიტყვით” (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 173-174).

ვფიქრობთ, მოყვანილი მაგალითები კარგად აჩვენებს იმას, რომ მუშაობა **ტაოური** და **იმერული** დიალექტების ლექსიკური იზოგლოსების გამოსავლენად პერსპექტიულია და იგი ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში აღწერილი და მისი ანალოგიური ენობრივი ფაქტები აუცილებლად უნდა აისახოს ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შემადგენელ ერთ-ერთ რუკებზე.

შ. ფუტკარაძე, 1993 — შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993.

GVANTSAGVANTSELADZE

ISOGLOSSES IN THE VOCABULARY OF GEORGIAN DIALECTS OF TAO AND IMERETI

Two groups of the common vocabulary of the Georgian dialects - the dialect of Tao that is spread in the north-eastern part of the Republic of Turkey and Imeretian dialect are distinguished:

1.Words that are identical not only in both dialects but also they have the same phonetic, morphological and semantic structure in the Georgian literary language and most of its dialects;

2.Words that are slightly different phonetically but are identical in terms of semantics.

ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

თამარ გოგოლაძე

**"ქართველთა გარდასახლების" საპიტხი გაქარია
ჭიჭინაძის ნიზნი წიგნი "ქართველები საარსეთში"**

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული იშვიათად შეგნება ავტორი, რომელიც მუშაობს სპარსეთში მცხოვრებ ქართველებზე, გვერდი აუკარის ზაქარია ჭიჭინაძის (1854-1931) წიგნს "ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი" (1895 წ.), დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას რომ წარმოადგენს.

უშუალოდ სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა მოსანახულებლად 1894 წელს იქ წასული ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ლოტბარი და პედაგოგი ლადო აღნიაშვილი (1860-1904) ერთგვარად არასანდოდ მიმწერს ზოგიერთ ფაქტს ზემოდასახელებული წიგნიდან: "დანარჩენი ქართული სოფლების სახელები, რომელიც მოჰყავს თავის წიგნში ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს და რომელიც მე აქ ტფილისში აღმოვიყითხე, სინამდვილეს არიან სრულიად მოკლებული. ბ-ნ ზაქარია ჭიჭინაძეს დამყარებული აქვს ეს თავისი ცნობები, რასაკვირველია, ბ-ნ ონიკაშვილის სიტყვებზედ და რომ ბ-ნ ონიკაშვილს სრულის სისწორით არ უამბნია, ამაზედ მე დავარწმუნებ მკითხველს შემდეგი მოსაზრებიდან (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 190). ვფიქრობთ, როგორც პირველი წიგნი, XIX საუკუნეში გამოსული და უამრავი ფაქტობრივი მასალით დამოწმებულ-წარმოდგენილი, საყურადღებოა თავისი ისტორიული მნიშვნელობითაც, რაც ვცალეთ კიდეც გვეჩენებინა წინამდებარე სტატიაში.

ენათმეცნიერი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა ფერეიდნული კილოს კვლევისას ემყარება 1922 წელს პროფ. ა. შანიძის დავალებით ფერეიდნიდან ჩამოსული ქართველის, ბ. სეიფოლ-ხან იოსელიანის მასალას, მაგრამ მანამდე ლადო აღნიაშვილის ინფორმაციას წიგნიდან "სპარსეთი და იქაური ქართველობა", (ტიფლ. 1896 წ.). ამბაკო ჭელიძე, რომელიც 1923 წელს გაემგზავრა ირანში, სადაც მსახურობდა გარკვეული პერიოდი, თავის წიგნში "ფერეიდნელი ქართველები" თუმცა პირველ მოგზაურად ფერეიდნში ლადო აღნიაშვილს იხსენიებს, წინასიტყვაობაში აღნიშნავს, ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებულ წიგნაკს ირანში გადასახლებული ქართველების შესახებ" (ი. ჭელიძე, 1951, გვ. 3).

ზ. ჭიჭინაძის წიგნი დასახელებულია ნოდარ ნაჭყებიას ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნაკვევის "ირანის" ლიტერატურის სიაში, თუმცა არა პირველი, არამედ 1907 წლის გამოცემა. ასევე იხსენიებს მას ზურაბ შარაშენიძე თავის წიგნში "ფერეიდნელი გურჯები", სადაც მოჰყავს ამონარიდი ზ. ჭიჭინაძის წიგნიდან (გვ. 63).

ჩვენი ყურადღება "ქართველები სპარსეთში" პირველ გამოცემაზე მახვილდება, რამდენადაც იგი უფრო ადრეულია და ამავდროულად შეიცავს ბევრ საინტერესო ინფორმაციას საზღვარგარეთ ძალით თუ ნებით წასულ ქართველთა შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, რომლისთვისაც ავტორი,

როგორც სქოლიობში მიუთითებს, უნდა ემყარებოდეს: “დავით რექტორის შენიშვნას ვახუშტის გეოგრაფიაზე”, “საქართველოს აოხრებას, შედგენილს XVIII საუკუნ. 1883 წ. ტფილისი”, “ბრძოლას საქართველოს მოსპობაზე, ა. ფურცელაძისა, ტფილისი, 1894 წ., “ნამბობს სპარსეთში ყოფილის სალამბეგოვის მიერ”, 1877, სხვადასხვა წელს სომხურ სასულიერო ურნალ “არარატში” და “შშაკის” სხვადასხვა წლების ნომრებში გამოქვეყნებულ ინფორმაციებს, “ნორდარის” ცნობებს და სხვ. აქედან “ბრძოლას საქართველოს მოსპობაზე, ა. ფურცელაძისა — ტფილისი, 1894 წელი “ქართული წიგნის” ბიბლიოგრაფიის I ტომში ჩვენ მივაკვლიეთ, აქ მხოლოდ დაცულია თავად ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ანტონ ფურცელაძის პოემა “შარაბდა” (1894) და პოემა “წყალობა” (1894). ხალხოსანი მწერლის ანტონ ფურცელაძის პოემებში დასმულ საქართველოსთვის მეტად მწვავე პრობლემებს ხომ არ გულისხმობდა ზ. ჭიჭინაძე?

რაც შეეხება ლ. აღნიაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციის სიმცდარის გამო, ვცადოთ შევუდაროთ, ა. ონიკაშვილის ცნობებზე დაყრდნობით, რომელ ქართულ სოფლებზე მსჯელობს ზ. ჭიჭინაძე:

“წვრილ სოფლებთ შორის, გამოჩენილ სოფლებათ შემდეგი სოფლები ითვლებიან, სადაც მთლად ქართველები ცხოვრობენო.

მარტყოფი — 1000 კომლი, მუკუზანი — 100 კომლი, აფუსი — 800 კომლი, მაჩხანი — 200 კომლი, თელავი — 900 კომლი, ზემო-აკურა — 30 კომლი, ტაშკენაში — 500 კომლი, ქვემო — აყურა — 20 კომლი, ახჩა — 50 კომლი, ბოინი — 60 კომლი, მელანი — 50 კომლი.

გილანის ზღვისკენ, თავრიზსა თუ თეირანს აქეთ, გზაში, არის შემდეგი სოფლები: პატარძეული — 30 კომლი, ლილო — 40 კომლი, ნორიო — 30 კომლი.

აქ მოხსენიებული უკანასკნელი სამი სოფლის შესახებ, ათამ ონიკაშვილის გარდა, მე მიამბო ერთმა მოხუცმა საქართველოს სომეხმა ვაჭარბა, რომელსაც მთელი სპარსეთი დაევლო, ეს სოფლები ენახა და იქ რამდენიმე დღე ეცხოვრნა და ქართველებთანაც ბევრი რამ ესაუბრა, ამ სოფელში ალექსანდრე ბატონიშვილსაც ხშირად უცხოვრია ხოლმე” (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 24-25).

აღნიაშვილს ამის უარსაყოფად მოჰყავს შემდეგი საბუთი: “ყველა სოფლებში ერთნაირად ვერ არის დაცული ენა, ასე მაგალითად ახჩაში და აფუსში უხეიროდ ლაპარაკობენ და ნახევარმა თითქმის აღარც იციან. შაანათში სპარსული ენაა, ქვემო მარტყოფში — სპარსული და ლორული, შაიურდში — თათრული (თურქული) და დევსურსა და ქულუბანაქში ანუ ნინოშინდაში — ქურთული. დანარჩენ სოფლებში კარგა იციან და ზოგიერთში ხომ ჩინებულად დაგვხვდებიან” (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 192).

ბუნებრივია ის ფაქტი, რომ ათამ ონიკაშვილი 1891 წელს ჩამოვიდა საქართველოში, 24 წლის შემდეგ კი შეიძლება სხვა სურათი დახვედროდა ლადო აღნიაშვილს.

მაგალითისათვის მოგვყავს ამონარიდი უკვე 1929 წლის ინფორმაციიდან. დავასახელებთ მხოლოდ ზემო მარტყოფს, სადაც ძალიან ცოტა ადამიანი თუ ლაპარაკობს ქართულად: “მცხოვრებთა საერთო რაოდენობა, 1929 წლის აღწერით, უდრის 79.000 სულს, ქართველები შეადგენენ ფერეიდნის მცხოვრებთა ერთ მერვედს — 10.000 სულს, თუ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ იმ

ქართველებს, რომლებსაც ჯერ ენა არ დაუკარგავთ და მას ყოველდღიურად იყენებენ" (ი. ჭელიძე, 1951, გვ. 44-45).

აშენარაა მოგზაურის შთაბეჭდილებებით აღსავსე ლადო აღნიაშვილი ერთგვარ სიმკაცრეს იჩენს ზ. ჭიჭინაძის ინფორმაციისადმი, რამდენადაც ადგილზე ჩასულს, სულ სხვა სურათი დახვედრია.

ზაქარია ჭიჭინაძის ლვანის დროზე ცნობილი იყო ფართო საზოგადოებისათვის: წიგნების ავტორი საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის საკითხებზე, პუბლიცისტი, პოლემიკოსი, ფანქრითა და ქალალდით "შეიარაღებული" ქართველი, რომელიც არც ერთ ფაქტს თავისი ეპოქის მოვლენებიდან უყურადღებოდ არ ტოვებდა. აშენარაა, რომ იგი თვით გამოეხმაურა ათამა ონიგაშვილს, ესაუბრებოდა მას და ამავდროულად იწერდა საქართველოს ფარგლებს გარეთ მოგზაურ ქართველ თუ სომეხ ვაჭართა ნაამბობებს. ამიტომაც მისი გულისტკივილი ლრმაა იმ ფაქტისადმი, რომ "ქართლის ცხოვრება" თავის დროზე უყურადღებოდ ტოვებდა საქართველოდან იძულებით გადასახლებულ თუ ემიგრაციაში წასულების შესახებ ინფორმაციებს, რომლებიც დროთა განმავლობაში მიერწყებულ იქნენ. ამის მიზეზებს ზაქარია ჭიჭინაძე შემდეგში ხელავს: "მიგვავიწყდნენ იმიტომ, რადგანაც მათ შესახებ ჩვენი ძველი ისტორია სულ მცირედ გარდომოვცემს; მთელი "ქართლის ცხოვრება" ცარიელია ამის შესახებ ცნობებით და თუ არის სადმე რამ მოხსენებული, ისიც ორი-სამი სიტყვით ასე: "შაჰაბაზი მოვიდა, კახეთი აჲყარა და სპარსეთში გადასახლა", ეს არის, მორჩა, მოისვენა ამით, გათავდა საქმე. საკვირველია, ნეტა ისეთი დიდი შემთხვევები, როგორიც იყო ქართველთ გარდასახლება სპარსეთში, ქართველთა მესტორეფთათვის რად იყო უმნიშვნელო და, ისე დამცირებული, რომ ასეთს დიდს შემთხვევებზე ისე მცირედ გაღმოგვცემენ "აჲყარა და წაიყვანა" ეს არის "ქართლის ცხოვრების" ცნობა (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 17), ამიტომ ზ. ჭიჭინაძე თვლის სარწმუნოდ მაინც "ლათინთა მოძღვართა" ("კათოლიკ მისიონერებისა") და სომეხთა ინფორმაციებს, ეს რომ არ გვქონდა, ისიც არ გვეცოდინებოდა სპარსეთში მცხოვრები ქართველების შესახებო. აქვე ავტორი კვლავ დიდ გულისტკივილს გამოთქვამს თავის თანამედროვე ქართველებზე, რომლებმაც არამცოუ სპარსეთში გადასახლებულთა, არამედ საკუთარი კუთხების ხალხთა შესახებ არ უწყიან არაფერი მთიულებზე, ფშავ-ხევსურებზე, საინგილოს, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის, ჯავახეთის მკვიდრთა შესახებ. ამიტომ დაცემად მიიჩნევს ზოგიერთი ქართველისაგან გაოცებას სპარსეთში მცხოვრები ქართველების ამბის გაგებაზე: "ის მაშინვე ეჭვით შემოგვხედავდა და გაპკვირდებოდა, ბევრნი ასეც იტყოდნენ ხოლმე:

შე კაი კაცო, ქართველები საქართველოშიაც აღარ სცხოვრობენ და იქ რამ წაიყვანა, იქ რა აცხოვრებოთ" (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 18). ამიტომ ავტორი თავს მოვალედ მიიჩნევს, ვიღრე ათამა ონიგაშვილის ისტორიაზე გადავიდოდეს, იმ პირველ, სპარსეთისაგან მოსულ ქართველზე, მანამდე მოუთხრის მკითხველს, როგორი იყო ქართველების რიცხვი სამშობლოში, რომელ საუკუნეებში და რამ განაპირობა მათი იძულებითი თუ საკუთარი სურვილით წასვლა სხვა ქვეყანაში. აქვე ავტორი ახასიათებს ემიგრაციაში წასულთ, ანუ გადახვეწილთ საქართველოდან და ძირითად ფაქტორად მაინც XIII საუკუნის შემდგომი პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს მიიჩნევს.

ზაქარია ჭიჭინაძე ნაწილობრივ ემყარება იმ ინფორმაციას, რომ ყველაზე მეტი ქართველი საქართველოში XII საუკუნეში იყო, კერძოდ 8 მილიონი. მისი აზრით, რაოდენობა მეტი უნდა ყოფილიყო, იმ ადამიანთა გამოკლებით, რომლებიც იძულებით თუ ნებით სხვაგან სახლდებოდნენ. აქ ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოს ადრეულ ტერიტორიებზე, მის კულტურაზე და თვლის, რომ ამდენი დიდებული ტაძარი, როგორიცაა მცხეთის, ბოლნისის, ხახულის, იშხნის, ტბეთის, პარხლის, ტფილისის სიონის, საფარას, ზარზმის, ვარძიის და სხვათა მშენებლობანი ცოტანი არ იქნებოდნენ, მთელი V-X საუკუნის მანძილზე: “ეს ისტორიული ძეგლი შთენთ ნაშთინი ცხადათ არ გვამცნობენ ქართველთ რაოდენობას, სიმძლავრესა და განვითარებას, მაგრამ ჩვენ რა დაგვარწმუნებს და რა დაგვაჯერებს! თვით ჩვენ ვყოფთ ჩვენ თავს უარს და ვარღვევთ მას, რასაც სხვანი უნდა არღვევდნენ და სცდილობდნენ, სხვანი რაღაზე გავამტყუნოთ. ასეა გათახსირებული ერის საქმე, მაგრამ ქართველნი ამას არ გრძნობენ, დღესაც კვლავ ის გზასა და კვალს ადგანან, რასაც ჩვენი მამა-პაპანი ადგნენ და რამაც დაგვაუძლურა და მიწასთან გაგვასწორა” (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 4-5) — კვლავ გულისტკივილით ამოთქვამს ავტორი. აქვე იგი ცდილობს ძეგლ ქართველთა გონივრული პოლიტიკის ზოგიერთი მაგალითიც მოიყვანოს. ასეთად მას მიაჩნია ლეკების გაქრისტიანება XII საუკუნეში და ოხრებულ, გაუკაცრიელებულ სომხეთის მიწაზე, ანისში, ასი ათასზე მეტი ქართველის გადასახლება, რომელთაც ააგეს იქ უმრავი მართლმადიდებლური ტაძარი.

ზ. ჭიჭინაძე თვლის, რომ დღეს ქართველს საქვიდ ეჩვენება წარსული განვითარებული ყოფა-ცხოვრება, მოქალაქეობა, სამხედრო ხელოვნება. ამის გამო აცხადებს პატარა ქვეყნის შვილი ერთგვარი სიამყით: “გარემოებას რომ ქართველთ წინ მხედველობისათვის ხელი არ შეაშალა და ყველა ღონისძიებათა ძალი და სახსარი მკვიდრად დაშთებილიყვნენ და ისე წარმართული იყვნენ, როგორც ის წინეთ იყო, დღეს საქართველო თანაბარი სამეფო და ერი იქნებოდა ევროპის განვითარებულ ერსა და სამეფოთა შორის, დღეს საქართველო არც ერთ ევროპის სახელმწიფოს და ხალხს არ ჩამორჩებოდა უკან” (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 6).

ქართველთა სიმრავლის მიზეზს უწინ (გაქრისტიანებამდე) ზ. ჭიჭინაძე თვლის კავკასიის მონათესავე ხალხებთან მჭიდრო ნათესაური კავშირის შედეგად, მაჰმადიანობის გავრცელებამ კი ხელი შეუწყო ქართველთა რიცხვის გაზრდას: “საბრალო და ახოვან ქართველებს ხშირად შინ გაწყვეტის გარდა სპარსეთ-სმალეთშიაც მიერეკებოდნენ და ასახლებდნენ, ზოგს სადა და ზოგს სადა. ვინც საქართველოში რჩებოდნენ, ისინიც მუდმივ ომში იყვნენ გართულნი და ქრისტიანობის გულისოვის მწარედ ემუქრებოდნენ გარშემოსეულ მაჰმადიანებს” (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 6).

ამის შემდეგ ავტორი ცდილობს ერთგვარი სტატისტიკური ინფორმაცია წარმოადგინოს ქართველთა იძულებითი გარდასახლების შესახებ:

გალალედინმა საბაზეთში გადასახლაო, პირველი შემოსევის დროს 15.000 ქართველი, მეორედ შემოსევისას 10.000 ქართველი, თემურ-ლენგმა 10.000 (უმცირესად ახალგაზრდა გოგო-ბიჭები წაიყვანაო ხელნაწერებთან ერთად): შაჰ-ისმაილისა და მისი მამის მიერ გადასახლეს 25.000 ქართველზე მეტი, “უმეტესი სამხრეთ და გავხეთის საქართველოს ქართველნი, რომელ მხარესაც დღეს სამხრეთის მაგიერ “სომხეთი“ ეწოდებაო. შაჰ-თამაზმა 50.000 ქართველი

გადასახლა და ხვარასანში დაასახლაო, შაპ-აბაზმა გადასახლა დაახლოებით 100 ათასი ქართველი. აზანმა გადასახლა 5.000 ქართველი გილანში (ესენი 1840 წლამდე ქართულად ლაპარაკობდნენ).

სელიმ-ხანმა წაიყვანა 10.000 ქართველი (რომელთაგანაც ნაწილი ხოსრო-მირზამ უკან დააბრუნაო). შაპუსენის დროს წაყვანილ იქნა 3.000 ქართველი, არ ჩანსო, რამდენი გადასახლა მირკესმა კონსტანტინეს მძევლობის დროს 100 კაცზე მეტი იქნა წაყვანილი, ლეონ, ირანთა მსაჯულის დროს 200 კაცი, ირაკლი ნაზარალიხანის დროს 300 კაცზე მეტი, დაუთ-ხანის დროს 300 კაცზე მეტი, ზოგნი ურუმიისკენ იქნენ გადასახლებულნიო, 1795 წელს წაყვანილ იქნა 10.000 კაცი, ვახტანგ VI 100 კაცი წაიყვანა რუსეთში, ერეკლე მეორის დროს 300 გამოჩენილი ქართველ მხედართა უმეტესობა ავღანისტანში იქნა გადაწყვეტილი.

ყარსიდან ოლთისაკენ, არტანში და სხვა ადგილებიდან ქართველები, რომლებიც არ თათრდებოდნენ, 1600-1844 წლებში გადაუსახლებიათ 300.000 მეტი ქურთისტანში, ევიპტესა და სხვა ქვეყნებში.

1878 წელს ოშალოს საქართველოდან 100.000 სულზე მეტი გადასახლეს, 30.000 მაჭახლიდამ, 10.000 ქობულეთიდამ, 10.000 ლიკანიდამ, ამდენივე ქვედა და ზედა აჭარიდან ქართველები სახლობენ (სულ 100.000 სულზე მეტი) სტამბოლში, ტრაპიზონში, სუნიას, ორდს და სხვ. ასევე რუსეთშიც 1640-1820 წლებში სტავროპოლისკენ თავისი ნებით გაექცა ბატონს 10.000 მეტი ქართველი, რომლებიც დასახლდნენ ყიზლარში, მოზღვეში და სხვა ადგილებში, ზოგი უზბეკეთში, ხივაშიც, ყოფილან გადასახლებული და აქ ასეთი ქალაქი ახალთექაც ქართველებით ყოფილა დასახლებული: "დღევანდელ თექელებს ახსოვთ, რომ ისინი ქართველთა შთამომავალნი ყოფილანო. ასევე დალესტანშიც ბევრი გაუტაციათ ძალით. ერთ ქართველ თავადს ბანქოში წაუგია 150 კომლი ქართველი, რომელიც სომქე ვაჭარს მოუგია და ისინი შუაგულ სომხეთში დაუსახლებიაო, ავტორი ჩამოთვლის ბევრ გაბერძნებულ ქართველს, გასომხებულს და სხვ. ქართველები სპარსეთში ან მაჰმადიანურ სარწმუნოებას იღებდნენ, ან კათოლიკობას, ან სომხურ სარწმუნოებას, ან აისორებისას. საქართველოდან გადასახლებულთ (უმეტესად მღვდლებს) თან მიჰქონდათ ხელნაწერები, ჯვრები და შთამომავლობას უტოვებდნენ ანდერძად, არ გამოეტანათ სახლიდან ან ტაძრიდან (კათოლიკური ან სომხურ-გრიგორიანული ტაძრიდან).

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, "1879 წელს თბილისში თავრიზიდან მოვიდნენ სპარსთა მეწიგნენი. ამათ თან მოიტანეს დიდი ძალი ძველი წიგნები და ნივთები წაღებული და ამ წიგნებს შორის მოიტანეს რამდენიმე ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნები, რომლებიც აქ დაჰყიდეს: ყველა ხელთ-ნაწერი წიგნები სპარსეთში იყვნენ ნაწერნი, სამთელგავლებულს ქალალდზე, სრულიად სპარსთა წესით. სპარსეთში ნაწერი ქართული ასოები დიდათ განიჩევა საქართველოში ნაწერ ანბანისაგან" (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 13).

ეს ინფორმაცია საყურადღებოა იმ დამატებითი ცნობით, რომელიც მომდევნო აბზაცშია: "უნდა ითქვას, რომ იქ მცხოვრებ ქართველნი ხშირად მწიგნობრობდნენ და კიდეც სწერდნენ სხვა და სხვა ისტორიულ წერილებსა, რომლებშიაც ქება-ლიღებით და ცრემლებით მოიხსენიებდნენ თავის ამბებს, სამშობლოსაგან მოშორებას, ომებს, გაჭირვებას, თავ-გადასავალს, ქართველთ

მეფეთ ამბებს და ბევრს კიდევ სხვა ცნობებს, ასეთ ცნობებს გარდა ესენი სწრედნენ ლექსებს, სთარგმნილნენ სპარსულ ზენ-ხასიათის ზღაპრულ მოთხრობებს, სამეცნიერო და საექიმო წერილებს და ამ წიგნებიდან ზოგს საქართველოშიც ჰეზავნიდნენ ხოლმე და ზოგს იქ იტოვებდნენ. შთამომავლობისაგან ეს წერილები შთამომავლობას გადაეცემოდა ხოლმე“ (ზ. ჭიჭინაძე, 1895, გვ. 13).

სწორედ ამ ინფორმაციებს აყოლებს ზაქარია ჭიჭინაძის ამბავს, რომლის შესახებაც უკვე ვიმსჯელეთ ბათუმის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე “ჩვენი სულიერების ბალავარი“ სტატიაში “ათამა ონიკაშვილი, პირველი ფერეიდნელი ქართველი და XIX საუკუნის ქართველო საზოგადო მოღვაწენი“. წინამდებარე წერილში კი ვცადეთ წარმოგვედგინა სპარსეთში მცხოვრებ ქართველებზე ერთ-ერთი პირველი წიგნი, ზაქარია ჭიჭინაძის “ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსული ქართველი ათამ ონიკაშვილი“, რომელსაც ჩვენი აზრით, დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, რამდენადაც იგი წარმოგვიდგენს ნათელ სურათს ქართული მოსახლეობის გარდასახლებისა და მათი ცხოვრების საუკუნეთა მანძილზე.

დამოწმებული ლიტერატურა

ლ. ალნიაშვილი, 1896 - ლ. ალნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები (მგზავრის წერილები), ტფილისი, 1896.

მ. თოდუა, 1975 - მ. თოდუა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, II, “შეცნიერება“ თბ., 1975.

ნ. ნაჭყებია, 1972 - ნ. ნაჭყებია, ირანი, თსუ, თბ., 1972.

ზ. შარაშენიძე, 1979 - ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი გურჯები, “შეცნიერება“ თბ., 1979.

ჩვენი სულიერების ბალავარი, 2016 - ჩვენი სულიერების ბალავარი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 13-14 მაისი, ბათუმი, 2016.

არნ. ჩიქობავა, 2010 - არნ. ჩიქობავა, “შრომები“, I, თბ., 2010.

ა. ჭელიძე, 1951 - ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, “საბჭოთა მწერალი“ თბ., 1951.

ზ. ჭიჭინაძე, 1895 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსული ქართველი ათამ ონიკაშვილი, სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძის, თბ., 1895.

TAMAR GOGOLADZE

THE ISSUE OF “THE GEORGIANS EXILE” IN THE BOOK “THE GEORGIANS IN PERSIA” BY ZAKARIA CHICHINADZE

Since the 90s of the XIX century we rarely meet the author, who works on the issue of Georgians living in Persia and without a book by Zakaria Chichinadze “Georgians in Persia and Atam Onikashvili (1895.), a Persian Georgian who has come in Georgia”. The book currently represents bibliographical rarity. Though Lado Aghniashvili, the first Georgian traveler in Fereydan considers suspicious some of the facts from the above mentioned book, which is the first work published in the 19th century about the exile of Georgians not only in Persia but also in other countries.

Zakaria Chichinadze, as a sympathetic patriot, tries to show the tragedy that befell the Georgians for centuries by migration-voluntarily or by force. He allocates the reasons and points out that the authors of “Kartlis Tskhovreba” (The Kartli Life) are somehow silent about the issue. Zakaria Chichinadze tries to bring the sources on which he relied while working on his book. In addition, he used the information published in Armenian newspapers of that time about the Armenian tradesmen’s travelling impressions.

We consider that the book by Zakaria Chichinadze is important not only from the historical point but also it is important even nowadays as the process of emigration of the Georgians became so frequent. In the presented article we tried to highlight the importance of the book.

ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

ეკა დადიანი

-ავ/ამ სულიერი 80-იათა უცხვეტლის შორმათა
წარმოება იმპრესიული და ტაოურები

უწყვეტლის წარმოება, როგორც წესი, დაკავშირებულია აწმოს ფუძის წარმოებასთან: თუ აწმოს ფუძე გაფორმებულია თემის ნიშნით, ასევე თემის ნიშანი იქნება წარმოდგენილი უწყვეტელშიც. და პირიქით, თუ ზმნა უთემისინიშნია, მარტივფუძიანი წარმოება გვექნება უწყვეტელში (აგრეთვე I სერიის დანარჩენ მწკრივებში). უწყვეტლის ფორმას დაერთვის -დ/ოდ სუფიქსები. წესი საერთოა ქართული სალიტერატურო ენისა და კილოებისათვის.

აწმოს მარტივფუძიანი წარმოება არქაული ქართულისთვის არის დამახასიათებელი. დაცულია აგრეთვე ცალკეულ კილოებში (ხევს., მოხ., მთ.-გუდ., რაჭ...). იმერხეულსა და ტაოურში, სხვა დიალექტების მსგავსად, აწმოში ზმნები უმთავრესად თემის ნიშნებს დაირთავენ. შესაბამისად, ისინი უწყვეტელშიც გამოვლინდება.

უწყვეტლის წარმოების თვალსაზრისით საინტერესოა -ავ, -ამ სუფიქსიანი ზმნები. ამ ტიპის ზმნათა წარმოება განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს როგორც დიაქრონიულ (ძველ და თანამედროვე სალიტერატურო ენაში), ისე სინქრონიულ ღონებე (დიალექტებში).

ქველ ქართულ სალიტერატურო ენაში -ავ/ამ ფორმანტები უწყვეტლის სხვადასხვა პირის ფორმებში სხვადასხვა ვარიანტით გამოვლინდება: I-II პირში -ავ/ამ > -ევ/ემ, ხოლო III პირში -ავ/ამ > -ვ/მ:

ვ-კლ-ევ-დ(ი)
ჰ-კლ-ევ-დ(ი)
კლ-ვ-ი-დ-ა
ვ-კლ-ევ-დ-ი-თ
ჰ-კლ-ევ-დ-ი-თ
კლ-ვ-ი-დ-ეს

(ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, გვ. 125-126).

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უწყვეტლის ყველა პირსა და რიცხვში -ავ/ამ სუფიქსებია წარმოდგენილი:

ვ-კლ-ავ-დ-ი	ვ-სუ-ემ-დ(ი)
კლ-ავ-დ-ი	ჰ-სუ-ემ-დ(ი)
კლ-ავ-დ-ა	სუ-მ-ი-დ-ა
ვ-კლ-ავ-დ-ი-თ	ვ-სუ-ემ-დ-ი-თ
კლ-ავ-დ-ი-თ	ჰ-სუ-ემ-დ-ი-თ
კლ-ავ-დ-ნენ	სუ-მ-ი-დ-ეს
ქართული ენის კილოებში ამ მხრივ ჭრელი სურათი გვაქვს:	ვ-სვ-ამ-დ-ი
	სვ-ამ-დ-ი
	სვ-ამ-დ-ა
	ვ-სვ-ამ-დ-ი-თ
	სვ-ამ-დ-ი-თ
	სვ-ამ-დ-ნენ

ა) დიალექტთა ერთ ნაწილში (ქართლური, კახური, მოხეური, მთიულურ-გუდამყრული, ფშაური, ქვემოიმერული, ინგილოური), თანამედროვე სალიტერატურო ენის მსგავსად, -აგ/-ამ სუფიქსები უცვლელია;

ბ) დიალექტთა მეორე ნაწილში (ხევსურული, თუშური, რაჭული, აჭარული, სამცხურ-ჯავახური, ფერეიდნული, ზემოიმერული) ყველა პირსა და რიცხვში -აგ/-ამ > -ეგ/-ემ.¹ სამცხურ-ჯავახურში (-ავ > -ამ >) -ან > -ენ.

გ) ცალკეულ კილოებში (გურული, აჭარული, იშვ. რაჭული) -აგ/-ამ > -გ/-გ (ბ. ჯორბენაძე, 1995, გვ. 379).

ზოგ დიალექტში (აჭარულში, რაჭულში, ზედამაჭახლურში) პარალელური წარმოების ფაქტები (-აგ/-ამ > -ეგ/-ემ და -გ/-გ) დასტურდება (შ. ძიძიგური, 1970, გვ. 241; ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 562; შ. ფუტკარაძე, 2016, გვ. 245). ხევსურულში განსხვავება ვლინდება კილოკავებს შორის: პირაქეთულ-არხოტულში -აგ, -ამ > -ეგ, -ემ: კვევდი, კნევდი, კნევდ(ა); ვსვემდი, სვემდი, სვემდ(ა); შატილურ-მილმახეურულში კი სალიტერატურო ენის მსგავსი წარმოებაა (ალ. ჭინჭარაული, 1960, გვ. 152). თუშურში მხოლოდ -აგ სუფიქსისეული ხმოვანი რელუცირდება: -აგ > -გ, -ამ სუფიქსი კი უცვლელად იხმარება უწყვეტელში (თ. უთურგაიძე, 1960, გვ. 47).

იმერხეული და ტაოური უწყვეტელს სხვადასხვაგვარად აწარმოებენ: იმერხეულში -ეგ-დ-ემ-დ სუფიქსები დაერთვის, მსგავსად ხევს., თუშ., სამცხ.-ჯავახ. კილოებისა, ტაოურში კი -გ-იდ-ე-იდ სუფიქსებით არის გაფორმებული, როგორც გურულ, აჭარულ კილოებშია.

განვიხილოთ დაწერილებით -აგ/-ამ სუფიქსიან ზმნათა უწყვეტლის წარმოების თავისებურებები იმერხეულსა და ტაოურში ჩვენ მიერ 2006-2015 წლებში იმერხევსა და ტაოში ჩაწერილი დიალექტური მასალის მიხედვით.

საანალიზო კილოებში თემატურ სუფიქსებად, ჩვეულებრივ, გამოიყენება: -ი, -აგ, -ამ, ებ, -ობ, -ოფ, -ევ, -ემ... ყველა მათგანი, გარდა -აგ/-ამ ფორმანტებისა, უცვლელად იხმარება უწყვეტელში.

-აგ ყველაზე გავრცელებული ფორმანტია. ზოგადად, -აგ (/-ამ) სუფიქსიანი ზმნები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაყორთ:

ა) ისტორიულად -აგ (/-ამ) თემისნიშნიანი (კლავს, ზიდავს, ხარშავს, სვამს, ასხამს...);

ბ) ისტორიულად მარტივფუძიანი იყვნენ და შემდეგ გაფორმდნენ -აგ სუფიქსით (ლეწავს, თიბავს, ტეხავს...); ფუქედრეკადი ზმნები, რომლებიც დიალექტებში -აგ ნიშნით გვხვდება (კრე/იფავს, გლე/იჯავს, იჭირავს...);

გ) -აგ სუფიქსი გვხვდება სხვა თემის ნიშნის მონაცემებაც; -აგ / -ი: წველავს, ჭრავს, ყიდავს, ტენავს... -აგ / -ებ: ჰკიდავს, პატიუავს...

დასახელებული ტიპის ზმნებს აწმყოსეული -აგ (/-ამ) სუფიქსი გადაყვება უწყვეტელშიც (გვხვდება, აგრეთვე, შესაბამის ზმნისწინიან ფორმებში) სხვადასხვა ფონეტიკური ნაირსახეობით: იმერხეულში -აგ/-ამ თემისნიშნისეული ხმოვანი იცვლება და -ეგ/-ემ ვარიანტით გამოიყენება,

1. -ეგ სუფიქსი ზემოიმერულში დასტურდება აწმყოს ფორმებშიც, რაც არქაულ ფაქტად არის მიჩნეული (ქ. ძოწენიძე, 1973, გვ. 261-263).

ხოლო ტაოურში **-ავ/ამ** სუფიქსისეული ხმოვანი რედუცირდება და **-ვ/ვ** სახესხვაობით არის წარმოდგენილი. წესი სისტემებრ არის გატარებული ორივე კილოში.

შენიშვნა: ზოგადად შენიშნულია შემდეგი კანონზომიერება: თუ მრავლობითი რიცხვის მე-3 სუბიექტური პირის ფორმებში **-ავ** არ რედუცირდება (მალ-ავ-ენ...), მაშინ **-ავ** დაჩნდება ყველა სხვა ნაკვთშიც: მალ-ავ-ს, მალ-ავ-დ-ა, მალ-ავ-დ-ეს.... გამონაკლისა ქმნის ინგილოური, სადაც მრ. მე-3 პირის ფორმაში **-ავ** > **-ვ**, მაგრამ ნამყო უსრულსა და მასზე დამყარებულ ნაკვთებში **-ავ** ფონეტიკურად არ იცვლება (ბ. ჯორბერაძე, 1995, გვ. 377). განსხვავებული ვითარება დასტურდება, აგრეთვე, მოხეურსა და მთიულურ-გუდამყრულში, სადაც აწმყოს მე-3 პირის მრ. ფორმებში **-ავ**, **-ამ** > **-ვ**, **-ე**, ხოლო უწყვეტელში **-ავ**, **-ამ** სუფიქსები უცვლელია (ი. ღუტიძე, 1999(გ), გვ. 146).

იმერხეულსა და ტაოურში აწმყოს მრ. რიცხვის მე-3 პირში **-ავ/ამ** > **-ვ/ე**: თიბ-ვ-ენ, ასე-მ-ენ... უწყვეტელს კი იმერხეული **-ევ/ემ**, ხოლო ტაოური **-ვ/მ** ფორმანტებით აწარმოებს.

მეტეულში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უწყვეტლის სამივე პირში (მხოლობითსა და მრავლობითში) წარმოდგენილია **-ევ/ემ** ვარიანტები.² მესამე სუბიექტური პირის ნიშნად მრავლობითში, ჩვეულებრივ, **-ენ** (იშვიათად **-ენენ**) სუფიქსი გვხვდება.

საილუსტრაციო მასალა იმერხეული ტექსტებიდან:

-ამ > **-ემ**: წინ-წინ ზეებ გობებზე ასებმდენ; იმათ ხეფენგ უდგემდით.

-ავ > **-ევ**: თექრელ ვკითხევდი მე; გარმონ უკრევდი; ბარგსაც ზრუგით ვწიკევდით; ღორებ ვკლევდით, დათვებ ვკლევდით; წინ-წინ ა იმათ ვკავევდით; ბაშთან ხარებით ვხნევდით; მაშინ იმა თესევდენ; ახალ ჭიდნეფსა (ნერგებს) გვიხრევდენ...

ანალოგიურად იწარმოება **ძინავს** ზმნის უწყვეტლის ფორმა: ამა **ზინევდა**.

უთემისნიშნო ზმნები **-ევ** სუფიქსს დაირთავენ: ჩომას (საქონელს) ჩობანი (მწყემსი) იჭირევდა.

იშვიათად უთემისნიშნო წარმოების ფაქტები: ოფლებ ვიწრეტდით.

² უწყვეტლის **-ევ/ემ** ფორმანტების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზოება: ა) **-ევ/ემ** და **-ავ/ამ** სხვადასხვა თემის ნიშნებია; აქ აწყოს ორ განსხვავებული წარმოება უნდა გვქონდეს: ერთი **-ევ** სუფიქსიანია, მეორე **-ავ** სუფიქსიანი. მოხდა პარადიგმათა შერევა. მოვლენას დიალექტური ახსნა ეძლევა. როგორც **-ევ/ემ**, ისე **-ვ/ი-დ** წარმოებას თავისი ყველა პირი შეკოვებოდა (ირნ. ჩიქობაძა, 1948, გვ. 98-110);

ბ) **-ევ/ემ** მიღებულია **-ავ/ამ** სუფიქსებისაგან ფონეტიკურ ნიადაგზე; კერძოდ, ასიმილაციის საფუძველზე ი ხმოვის გაცლენით ა > ე (ლ. კინაძე, 1947, გვ. 317-344; ი. იმნაშვილი, ვ. იმნაშვილი, 1996, გვ. 127-128; ბ. ჯორბერაძე, 1998, გვ. 647). პროცესი მრავლობითის ფორმაში დაიწყო და შემდგებ ასიმილატიული ფორმა მხოლობითი გადავიდა. შირ.: უწყვეტლის პარადიგმაში **-ავ/ამ** სუფიქსისეული ხმოვნის უმლაუტი მოაზინა **-იდ** სუფიქსისეულმა ი-მ, თავად კი დაიკარგი (ვ. დეეტერსი, 1930, გვ. 134).

გ) **-ევ/ემ** და **-ავ/ამ** სუფიქსები ქველ ქართულში ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სუფიქსებად უძდა განვიხილოთ, რომლებიც უკვე მორფოლოგიური ფუნქციის მატარებლები არიან: პირველი აწმყოს ჟუქეს აფორმებს, ხოლო შეორე - ხამყო უსრულისას (ი. ღუტიძე, 1999(გ), გვ. 140).

-ავ სუფიქსი -ი-ს ნაცვლად: საქონელ ქალები **წველევდენ** (შდრ., აწმყო: წველაგს); იმა **ჩავტენევდით** ემეეფში (აწმყო: ტენავს).

განხილული ზმნები დასტურდება თემის ნიშნის გარეშეც: იმ ზეს თექრელ **მოგსწველდით**, **ჩავტენდით...** შეგვხვდა თანამედროვე სალიტერატურო ენის მსგავსი ფორმებიც: **წველი-ი-დ-ა**, **ჭრ-ი-დ-ა...**

საკუთრივ **-ევ/ემ** სუფიქსიანი ზმნები უწყვეტელში უცვლელად ინარჩუნებენ თემის ნიშნებს:

ერთმანეთ ხებერ **აძლევდენ**; კაკლი წენგოს ურევდენ შიგან; იმა **სწევდენ...** ზმნისწინიანი ფორმები: უკან **მოგდევდენ** შენ...

-ევ/ემ სუფიქსიანი უწყვეტლის ნიმუშები იმერხეულში განხილული აქვს შ. ფუტკარაძეს: აქავრელებ იჭირევდა; ყანას რწყევდა; ჩაქუჩით ნაყევდნენ; ჭიბონ უკრევდა; წენგოშიც ღებევდენ... (შ. ფუტკარაძე, 2016, გვ. 127).

მსგავსი ფაქტები გვხვდება ლივანურშიც: **ყიდევდა** რაცხიებსა; ხარით ვხევდით; ჩაის არ ვსუემდი; იმ მოლზე აბემდა თხასა (იქვე, გვ. 208).

ტაოური უწყვეტლის წარმოების მხრივ არსებითად განსხვავდება იმერხეულისაგან. უწყვეტლის სამივე პირში (როგორც მხოლობითში, ისე მრავლობითში) ნაცვლად **-ევ-დ/-ემ-დ** ნიშნებისა, ჩვეულებრივ, **-გ-იდ/-მ-იდ** დაბოლოება³ გამოიყენება. მრავლობითის მესამე პირში დაცულია არქაული **-ეს** სუფიქსი.

საილუსტრაციო მასალა (ტაოური ტექსტებიდან):

-ავ > -გ: თივებ ასე ვწუწვიდი; ყანებ ვთესვიდით, ცერც ვთესვიდით, დიკა ვთესვიდით; ვფეხვიდით დიკეფთა; ვთიბვიდით, ჟანი; ძველათ არ იკითხვიდა; ხუთ წელსაც იკითხვიდეს, მერე არ იკითხვიდეს ბგანები (გოგონები); ლებუო თესვიდეს, მარქვალ თესვიდეს...

-ამ > -მ: ჟარებ ვაბმიდით; რახ სმიდა, ბურსა სმიდა; ამათ უსკმიდა, გოგოეფთ; სისხლ ასხმიდა; მატყლიდამ მოქსოვლი, იმა იცმიდეს; აქ ირანელები იყვნეს, უშექროს სმიდეს (მ. ფალავა..., 2005, გვ. 154).

შდრ., შ. ფუტკარაძე: ტაოს ქართულში უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში შეგვხვდა როგორც “ევდ”, “ემდ”, ისე “ვიდ”,

³ ზოგადად უწყვეტლის **-ვიდ** და **-მიდ** სუფიქსების შესახებ:

-ევ/ემ მიღებულია ფონეტიკური გზით: ხმოვნის შემცველი აფიქსის დართვა იწვევს თემისნიშნისეული ა ხმოვნის რელუქციას: **-ავ > -გ - ამ > -მ** (ლ. კინაძე, 1947, გვ. 334; ბ. ჭირბეგნაძე, 1995, გვ. 376; ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, გვ. 128). პროცესი უწყვეტლის III პირში განვითარდა ძველ ქართულში, დაალექტიფირდა კი უნიფიკაციის საფუძველზე მესამე პირის დაბოლოება გამოიგადდა I-II პირებში. შდრ. უწყვეტლის III პირის ფორმაში **-ევ/ემ < -ევ, -ემ** (ი. ლუტიძე, 1999(გ), გვ. 144).

რაც შეეხება **-დ** სავრცობის წინ მოცემულ ი ხმოვანს, მისი ქვალიციკაცია არაერთგვაროვნია: ა) ი თანხმოვანთგამყარია, რომელიც გაჩნდა თემისნიშნისეული ა ხმოვნის რელუქციის შემდეგ ერთად თავმოყრილი თანხმოვნების გასათიშად (ლ. კინაძე, 1947, გვ. 337-338; ი. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, 1996, გვ. 128); ბ) ი პერმანენტულის/ხოლმებითის ი-ს უკავშირდება (არნ. ჩიქობავა, 1943, გვ. 95); გ) ი ხმოვნი **-იდ** სუფიქსის შემადგენელი ნაწილია, **-იდ** ერთიანი მაწარმოებელია, **-დ და -ოდ** ფორმანტთა ტოლფასი ოდენობა (ვ. თოფურია, 1967, გვ. 107; ბ. ჭირბეგნაძე, 1995, გვ. 376; ჭ. სარჯველაძე, 1997, გვ. 113; გ. გოგოლაშვილი, 1986, გვ. 15-16; ი. ლუტიძე, 1999(გ), გვ. 138).

“**მიღ**”-იანი წარმოების მაგალითები: **იკეცვდა** საკისურსა; ქომოთკე წამოსლიხან ბაბოა ჭორზე **დამსვემდა**; ცხენილაშ ჩამომსმილა; **ჩევცმიდი ყაზალსა**” (შ. ფუტკარაძე, 2016, გვ. 298).

შ. ფუტკარაძის ტაოურ ტექსტებში **-ევ** სუფიქსიანი უწყვეტლის ერთადერთი მაგალითი დასტურდება: პელით **იკეცვდა** საკისურსა (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 177).

-ავ/-ამ სუფიქსიან ზმნათა შესაბამისი **-ევ-დ**, **-ემ-დ** დაბოლოებიანი უწყვეტლის (ქოლმეობითის) ფორმები ჩვენს მასალაში არ ფიქსირდება. **-ევ-დ**, **-ემ-დ** დაბოლოება დაცულია საკუთრივ **-ევ/-ემ** სუფიქსიან ზმნათა უწყვეტლის (ქოლმეობითის) ფორმებში:

ფურებ, ვარებ ვაჭმევდით; ემე ვწევდით ასე; **ართმევდენ** ისინი; ამა ხანჩი ისინი **გვაძლევდეს**; მეცხვერეს ძროხებ მივცემდით...

-ავ/-ამ > -ევ/-ემ პროცესი, ჩვეულებრივ, ვითარდება ისტორიულად უთემისნიშნო ზმნებთანაც:

ზათი ქუა ვტეხვიდით;; იმხან ბევრ ვიჭირვიდი.... ზმნისწინიანი ფორმები: ჩუქე **დაკრეცვილეს**; **შევტყებიდი** ზოხან; **გაჩეჩვიდეს...**

ტაოურში **-ავ** სუფიქსი გვევლინება სხვა თემის ნიშნების მონაცვლედაც. ამ შემთხვევაშიც **უწყვეტელში** **-ვ-იდ** დაბოლოება გვექნება:

ვკიდვიდით (აწმყო: ვ-კიდ-ავ).

ზოგ ფორმაში **-ავ** სუფიქსისეული **ვ** დაკარგული ჩანს. მაგალითად:

ზათი დათსაც **ვკლიდით**, გელსაც, დოლუზეფთ **ვკლიდით** (<ვკლიდით. შდრ., აწმყო: ვკლავთ); მაშინ ტიკ **უკრიდით** (< უკვრიდით. აწმყო: უკრავთ); ჯამეში **ვიკითხიდით** (< ვიკითხვიდით. აწმყო: ვიკითხავ); ძველათ ნეკერ **დავკაფიდით** (მ. ფაღავა.., 2005, გვ. 151; < დავკაფვიდით. აწმყო: ვკაფავთ); **ვგლეჭიდით** ასე ღამი (< ვგლეჭვიდით. აწმყო: ვგლეჭავთ);

განხილულ ზმნათა აწმყოს ფორმები ჩვეულებრივ **-ავ** თემისნიშნიანია, ამდენად, ის მოსალოდნელი იყო **უწყვეტლის** ფორმებშიც, თუმცა ფონეტიკურ ნიადაგზე დაიკარგა.

-ავ სუფიქსი არ ჩანს, აგრეთვე, ზოგი **-ავ** სუფიქსიანი ზმნის უწყვეტლის (ქოლმეობითის) ფორმაში:

ხარებ ვინახდით, ფურებ ვინახდით (შდრ. აწმყო: ვინახავ); **დაგჭოხდით** (შდრ. “აწმყო: ჭოხავს აწყობს”). პარალელურად დასტურდება: საჭოეში **დაგჭოხიდით**; ბევრ შეშას **დაგჭოხიდით**.

განხილულ შემთხვევებშიც ფონეტიკურად გამარტივებულ ფორმებთან უნდა გვქონდეს საქმე; ზოგან იყარგება თემისნიშნისეული **ვ** თანხმოვანი, ზოგან კი **ვ**-სთან ერთად **-ი** სუფიქსიც.

შდრ., უთემისნიშნო **უწყვეტლის** ფორმები დასტურდება ზემომეტულში: **ნახთი, ხარჯდენ, ვთესდით, თიბდენ, ზომდენ, რეცხთენ, უკერდი** (ქ. ძმწენიძე, 1973, გვ. 27, 62, 88, 105). საგარაუდოდ, უსუფიქსო **უწყვეტლის** თვის ამოსავალი უსუფიქსო აწმყო უნდა იყოს“ (იქვე, გვ. 27).

ვფიქრობთ, ტაოურში **უწყვეტლის** უთემისნიშნო ფორმები უმთავრესად ფონეტიკური ცვლილების შედეგად უნდა იყოს მიღებული, რასაც პარალელურ ფორმათა არსებობა აღასტურებს. ზოგ შემთხვევაში არ

გამოირიცხება არქაული უთემისნიშნო წარმოების კვალიც. ტაოურში მარტივფუძიანი ზმნები იშვიათია. მაგალითად: აქ ხარებ ჭედდენ (ზ. ფაღავა.., 2005, გვ. 154).

ამგვარად, იმერხეული და ტაოური დიალექტები -ავ/-ამ სუფიქსიან ზმნათა უწყვეტლის ფორმათა წარმოების მხრივ არსებითად განსხვავდება: უნიფიკაციის შედეგად იმერხეულში უწყვეტლის ყველა პირსა და რიცხვში დამკვიდრდებულია -ევ-დ/-ემ-დ სუფიქსიანი წარმოება, ხოლო ტაოურში - -გ-იდ/-მ-იდ დაბოლოებიანი ფორმები. ორივე დიალექტი ქართული ენის სხვა კილოებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს ავლენს.

დამოწმებული ლიტერატურა

- გ. გოგოლაშვილი, 1986** - გ. გოგოლაშვილი, უწყვეტლის წარმოების საკითხისათვის ქართულში, ენათმეცნიერება, I, თბ., 1986.
- გ. დეეტერსი, 1930** - G. Deeters, Das Khartwelsche Verbum, Leipzig, 1930.
- გ. თოფურია, 1967** - გ. თოფურია, სვანური ენა, I, შრომები, I, თბ., 1967.
- ლ. კიკნაძე, 1947** - ლ. კიკნაძე, პირველი სერიის მწერივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXX, თბ., 1947.
- ს. სარჯველაძე, 1997** - ს. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
- თ. უთურგაიძე, 1960** - თ. უთურგაიძე, თუშური კილო, თბ., 1960.
- მ. ფაღავა.., 2005** - მ. ფაღავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები: ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.
- შ. ფუტკარაძე.., 2007** - შორ. ფუტკარაძე, შ. ფუტკარაძე, ზმნური ფორმების წარმოების თავისებურებანი ნიგალის ხეობის ქართულში: აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმი, 2007.
- შ. ფუტკარაძე, 1993** - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი, 1993.
- შ. ფუტკარაძე, 2016** - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი, 2016.
- ი. ღუტიძე, 1991 (ა)** - ი. ღუტიძე, -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა ნამყო უსრულის ფორმათა წარმოებისათვის ქართული ენის დიალექტებში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.
- ი. ღუტიძე, 1991 (ბ)** - ი. ღუტიძე, -ავ და -ამ თემისნიშნიანი ზმნები I სერიის მწერივებში ძველსა და საშუალ ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.
- არნ. ჩიქობავა, 1948** - არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.
- არნ. ჩიქობავა, 1964** - არნ. ჩიქობავა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის: 1. -ავ, -ამ და -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XIV, თბ., 1964.

- შ. ძიძიგური, 1970** - შ. ძიძიგური, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1970.
- ქ. ძოწენიძე, 1951** - ქ. ძოწენიძე, -ევ სუფიქსისათვის ზემოიმერულ კილოკავში. წიგნში: ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ქ. ძოწენიძე, 1973** - ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973.
- ა. ჭინჭარაული, 1960** - ა. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.
- ბ. ჯორბენაძე... 1988** - ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.
- ბ. ჯორბენაძე 1989** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1989.
- ბ. ჯორბენაძე 1995** - ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტები, თბ., 1995.
- ბ. ჯორბენაძე 1998** - ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბ., 1998.
- იმერხეული და ტაოური ტექსტები (დაცულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში).

EKA DADIANI

FORMING PAST CONTINUOUS FORM OF THE VERBS WITH -AV/-AM SUFFIXES IN IMERKHEULI AND TAO DIALECTS

Forming past continuous form is connected with present tense formation: If the root of verb in present tense if formed with subject symbol, this subject symbol will be found in past continuous form as well. And vice versa, if the verb has no subject symbol, in past continuous we'll have simple root formation (also in other sets of I series). Past continuous is formed by -d/-od suffixes. This is common rule for Georgian literary language and dialects.

Formation of verbs with -Av/-Am suffixes shows different situation both on diachronic (in old and modern literary language) and on synchronic (dialects) level as well.

Dialects of Imerkheuli and Tao are different in terms of formation past continuous form of the verbs with -Av/-Am suffixes; As a result of unification in all the person and number of the verb in Imerkheuli dialect formation of -Ev-D/-Em-D suffixes is established:

-Av >-Ev: vklevdit = vklavdit (We were killing); Vkhnevdit=vkhnavdit (we were cultivating)...

-Am >- Em: askhemdn = askhamdn (They were pouring); Udgemdit = udgamdit (We were placing).

In Tao dialect forms with -v-id/-m-id endings are used:

-av > - v: vtibvidit= vtibavdit (We were mowing); tesvides = tesavdnen (they were planting)...

-am > -m: vabmidit = vabamdit (tying); smida = svamda (She/he was drinking); askhmida = askhamda (she/he was pouring).

Mentioned rule of Past continuous formation is used in both dialects according to the system. In this respect Imerkheuli and Tao dialects reveal the characteristic regularity of other dialects of Georgian Language.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ნათელა დანგაძე

ჰასან ჩხლიშვილი - გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მთარგმნელი

თურქულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ძალიან ინტენსიურად ხდება ქართულიდან თურქულად და პირიქით თარგმნის პროცესი, რაც ორმხრივი ინტერესითაა გამოწვეული. მთარგმნელი ჰასან ჩხლიშვილი პროფესიით ექიმი, თურქეთელი (ართვინელი) ქართველია. მისი ინტერესების სფერო მეტად მრავალფეროვანია. იგი თარგმნის ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტაბიძის, ოთარ და თამაზ ჭილაძის, მირზა გელოვანის, ტერენტი გრანელის, ირაკლი აბაშიძის, ანა კალანდაძის, მირზა გელოვანის, ტარიელ ჭანტურიას, ლადო ასათიანის, მიხეილ ქვლივიძის, სოსო კაცუბავას და სხვათა ნაწარმოებებს.

ჰასან ჩხლიშვილი მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში სტუდენტობის პერიოდში დაიწყო. მას თარგმნილი და გამოქვეყნებული აქვს გურამ ჩხეიულიშვილის „უსახელო უფლისციხელი“ და ოთარ ჭილაძის „წერო“. აგრეთვე ქართველი პოეტების ლექსების ნაწილი გამოქვეყნდა სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში, ნაწილი კი ბექა-ფარნა ჭილაშვილთან ერთად გამოსცა წიგნად „ცხელი კაეშანი“ ("Sicak Huzun").

შხატვრული თარგმანი რთული ესთეტიკური ფენომენია და თარგმნის პროცესიც ორიგინალის ასლის გაღმოღებას არ ნიშნავს. თარგმნისას ერთმანეთს ხვდება არა მარტო ორი სხვადასხვა ენა, არამედ ორი სხვადასხვა კულტურა, სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციები, ცნებების აღქმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები (დ. ფანჯიკიძე, 1988, გვ. 7). თარგმანი არის ორი სტრუქტურის სინთეზი, სადაც უცხო და მშობლიური ერთ შხატვრულ თვისობრიობადა ქცეული. დალი ფანჯიკიძის აზრით, „შხატვრული თარგმანი შემოქმედებაა, ოღონდ ფილოლოგიურ შრომასთან შერწყმული შემოქმედება“. ამავე აზრის არის ინეს მერაბიშვილი. მთარგმნელს უნდა გაეგებოდეს, უნდა ესმოდეს ორიგინალური სიტყვა, როგორც აზრობრივად, ისე სტილისტურად. კარგი მთარგმნელი კარგად უნდა ფლობდეს ორივე ენას ავტორისა და მთარგმნელის ენას. მისი აზრით, მხოლოდ ბილინგვურმა და პოლილინგვურმა პირებმა უნდა მოჰკიდონ ხელი პოეზიის თარგმანს, ამავე დროს მათ თვითონაც უნდა შეძლონ ლექსის წერა (ი. მერაბიშვილი, 2005).

ალსანიშნავია, რომ ჰასან ჩხლიშვილის შემთხვევაში სწორედ ასეთ ნიჭიერ ბილინგვურ მთარგმნელთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებულია ჰასან ჩხლიშვილის ყურადღება გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი. მას თარგმნილი აქვს გალაკტიონის ბევრი ლექსი: „მესაფლავე“, „ზერი“, „მე და ღამე“, „რომელი საათია“, „ცამეტი წლის ხარ“, „სილაციარდე ანუ ვარდი სილაში“, „ლურჯა ცხენები“, „ეფემერა“, „ქარი ქრის“, „ედგარი მესამედ“, „გუშინ ღამით ქარი ქროდა“ და ა.შ.

1999 წელს უურნალში “ჩვენებური” დაბეჭდა გალაკტიონის ლექსის “სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში” თარგმანი. ლექსი გალაკტიონში დაწერა 1917 წელს. თარგმნისას ჩელიქი იყენებს ოთხსტრიქონიან სალექსო ფორმას. უნდა ითქვას, რომ იგი კარგად ახერხებს ორიგინალის რითმის გადმოცემას.

ლექსში “სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში” (Mavilik Veya Kumdaki Gül) გალაკტიონი შეგნებულად იმეორებს “ავემრიას” სახეებს. ეს თავისებური ციტირება ამდიდრებს ამ ლექსის ინტონაციას, მასში შეაქვს აღრინდელი სულიერი განწყობილების ხსოვნა. ამ ლექსის ინტონაცია ითხოვდა უფრო ტევად, მისტიკურ და საწყისს და გალაკტიონში საოცარ მეტაფორას მიაგნო. “სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში”. “სილაჟვარდისა” და “ვარდის” სიმბოლოები სემანტიკურად და ემოციურად საოცრად ლამაზი და შთამბეჭდავია. “ვარდი” და “სილა” ერთობლიობაში ქმნის უჩვეულო და ეფემერულ ხატს — ვარდს ნაწვიმარ სილაში. პირველივე ფრაზა — “ლედაო ლვთისავ, მზეო მარიამ!” ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს პოეტს საველრებელი აქვს აღსავლენი ლვთისმშობლისადმი, მაგრამ “სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში” ვედრება კი არა, მწარე საყვედურია აღსარულებელ ოცნებათა გამო. ლექსის დასაწყისი თავიღანვე ყურადღებას იქცევს. სტროფის ინტონაცია ლირიკულია, მაგრამ ევფონიური და სემანტიკური კონტრასტები ქმნიან დაბაბულ მოლოდინს, რომელსაც განსაზღვრავს რთული მეტაფორული სახე — “როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი”.

მიხეილ კვესელავას აზრით, გალაკტიონის პოეზიაში არის თვისობრივად გაუშიფრავი ინტეგრალური სახეები და სტრიქონები, იგივე “პოეტური სფინქსები”, რომელთა წინაშე უძლეური აღმოჩნდებოდა ყველა დიდი ფილოსოფონი თუ მკვლევარი. გალაკტიონისათვის დამახასიათებელი რიტმულ-მელოდიური დინება ისე იტაცებს მკითხველს, რომ ყურადღებას არ აქცევს სიტყვათა ლოგიკურ შეუსაბამობებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვა კარგავს სემანტიკურ წონას და რიტმულ-შელოდიური ნაკადის შემავსებელ “შიშველ” მასად იქცევა.

თ. ღოიაშვილთან ვკითხულობთ: “სილაში ვარდი” გალაკტიონის პოეზიის უმნიშვნელოვანესი სიმბოლოა. ღრმა მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური შინაარსის კონცეპტი, ამოზრდილი კონკრეტული ფილოსოფიური სისტემის წილიდან” (გალაკტიონოლოგია, ტ. III, 2004). ი. მერაბიშვილის მიხედვით კი “სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში” შემადგენელ სახე-სიმბოლოთა ომნინდურობიდან გამოდის. ვარდი საუკუნეების მანძილზე ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოა და ასოცირებულია ლვთისმშობელთან, სილა კი მარალიულობის სიმბოლოა. თავად გალაკტიონი მას სიწმინდეს, სიმშვენიერესა და სიფაქიზეს უკავშირებს. ნაწვიმარ სილაში დაგდებული ვარდი, იგივე ოცნების ბალით დაჭრილი გედი, თვითონ პოეტი და მოგზაურია.

ლექსის თარგმნისას მთარგმნელი დიდი ამოცანის წინაშე დგას. საჭიროა შენარჩუნდეს დედნის რიტმი, ინტონაცია. ამიტომ მთარგმნელმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლოს ყველა პოეტური საშუალება, რომელიც ემსახურება ფილოსოფიური აზრის განვითარებას. თარგმანში დაცულია სტროფთა და სტრიქონთა რაოდენობა. ჩვენი აზრით, სიმბოლოთა შენარჩუნება აუცილებელია და ჩელიქი ბოლომდე ახერხებს მათში ჩაწვდომას. ის ცდილობს, უფრო მარტივად წარმოაჩინოს გალაკტიონი, რათა თურქ მკითხველს არ გაუჭირდეს მისი შეცნობა.

“დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.“
ვნახოთ, როგორ თარგმნის მას ჰასან ჩელიქი:
Ey Tanrı'nın anası Güneş Meryem,
Yağmur sonrası ıslak kumdaki güle benzer
Bir rüzgardır yaşam yolum,
Ve maviligidir uzak gökyüzünün.

ჰასან ჩელიქისათვის, აზრობრივ დამთხვევასთან ერთად, მთავარია და მიღწეულია ამოიხსნას ყოველი სახე, ყოველი სიმბოლო გალაკტიონის პოეზიაში, რადგანაც ამის გარეშე წარმოუდგენელია აღეკვატური თარგმანის მიღწევა. “დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!“ ეს მიმართვა ასახავს პოეტის ვეღრებას, ლოცვას ღვთისმშობლის მიმართ, რაც დედნისეულ საღვთისმეტყველო შინაარსს ზუსტად გადმოსცემს. “როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი“ თარგმანში გადმოცემულია: წვიმის შემდეგ სკელ სილაში ვარდს ჰევვარ. თითქოს თარგმანი აქაც ახლოსაა დედანთან, თარგმანში შენარჩუნებულია რიტმი, ინტონაცია და მუსიკალობა. “ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია“ თარგმანში ასეთი სახითაა: ჩემი ცხოვრების გზა ქარია. ცხადად ჩანს, რომ მთარგმნელი პოეტური ნიჭით არის დაჭილდოებული. მის თარგმანში არის დედნის სწორი და ავთენტური გააზრება და მუსიკალობა. მთარგმნელმა წარმატებით ააქლერა ორიგინალის ჰარმონია და რიტმი, რაც შეძლებისადგვარად ზუსტად არის გადმოტანილი ეპითეტებში: “და შორეული ცის სილაჟვარდე“.

“შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა
ღმე ნათევი და ნამთვრალევი,
დალლილ ქალივით შივალ ხატებთან!“

მთარგმნელი:
Akşam iniverir dağın vadilerine,
Ve sabah olabilirse yeniden,
İçkili ve uykusuz geçen bir gecenin şafağında
İkonların huzuruna çıkarım bitkin bir kadın gibi.

ამ სტროფის თარგმანი აზრობრივად სწორია. ლექსის სტროფი მხატვრული ლირებულების შთაბეჭდილებას ტოვებს და თურქული თარგმანი ბუნებრივად ჟღერს, ის ზუსტად გადმოსცემს ლექსის მთელ სიმფონიას. აქ თვალშისაცემია დედნისა და თარგმანის განწყობილებათა თანხვდომა. აზრობრივი სიზუსტის მიღწევა მთარგმნელის ოსტატობის მაჩვენებელია. ამავე დროს, მთარგმნელი არ ცდილობს გაამარტივოს ლექსი. პირიქით, იგი ანერხებს ჩასწვდეს და გადაიტანოს თარგმანში გალაკტიონის აზროვნების სიღრმე და ლექსის განუმეორებელი მუსიკალობა.

“ღამე ნათევი და ნამთვრალევი
შე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებ სააელვარებს.“

მთარგმნელი:
Sarhoş, yorgun ve uykusuz,
Yaslanırım tapılısı kapılarla:

^aimşek gibi çakar beyaz sütunlarda,

Tapınağa sözülen ilk işinlar.

ჩელიქს აზრი სწორად აქვს გაგებული და გადმოცემული. მან მართებულად განსაზღვრა ის, რაც უნდა შეენარჩუნებინა თარგმანში. ლექსში გადმოტანილია პოეტური განწყობილება და დრამატულობა. “შემოიჭრება სიონში სხივი” თარგმნილა: ელვასავით გაიელვებს თეთრ სვეტებზე, ხოლო “და თეთრ ოლარებს ააელვარებს”: ტაძარში მოელვარე პირველი სხივი (გამოსხივება, გამონათება).

ჩელიქს შეუნარჩუნებია მუსიკა, ლექსის სპეციფიკური თავისებურებანი. ქართველი პოეტის ლექსი ქლერს, როგორც მაღალი თურქული პოეზია. მთარგმნელი პოეტის მიერ აღმოჩენილ სამყაროს ხელმეორედ სწვდება, რათა თარგმანში განხორციელდეს არამარტო ლექსში ასახული, არამედ მთარგმნელის მიერ აღქმული ლექსის მიღმა პლანიც:

“და მაშინ ვიტყვი: აპა! მოვედი

გედი დაჭრილი ოცნების ბალით!

შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის

დალლილ ხელებით, წამებულ სახით!”

მთარგმნელი:

Ben geldim derim işte o zaman;

Hayal bahçesinde yaralı bir kuğu.

Bak ve mest ol yazgısıyla toylüğümun,

Yorgun ellerimle, çileli yüzümle.

ჰასან ჩელიქი ცდილობს, გადმოსცეს დედნის შინაარსი, მაგრამ გალაკტიონის პოეტური ინტეგრალების წვდომა და ასახვა თარგმანში მეტ-ნაკლებად რთული აღმოჩნდა. მთარგმნელი ყოველთვის ახერხებს დაამთხვის სტროფების რიცხვი და გადმოსცეს მათი აზრი. იგი გრძნობს გალაკტიონის გენიალობას, მისი პოეზიის მუსიკას; ზედმიწევნით გაითავისა პოეტის რთული სამყარო, პოეტური ხატების განსაკუთრებულება და თავისთავადობა. თარგმანში გათვალისწინებულია გალაკტიონის პოეზიის მუსიკალობა, ბგერათა ევფონია და სიტყვათშეთანხმების თავისებურებანი.

ჰასან ჩელიქს მეტი ყურადღება გამოუჩენია პოეტური სამყაროს თარგმნისას. კარგად არის შეცნობილი გალაკტიონის სულიერი განწყობილება, ტკივილი სულისა და დიდი მგონის მიერ საწუთროს ტრაგიული შეგრძება. ჰასან ჩელიქმა სწორად განსაზღვრა ის, რაც აუცილებლად უნდა შეენარჩუნებინა თარგმანში. ეს არის გალაკტიონის განწყობილება და ემოციურობა. დედანთან ურთიერთობისას დიდი ზომიერებაა საჭირო. საზომი, ამ შემთხვევაში, მთარგმნელის გემოვნება და წვდომის უნარია. ჰასან ჩელიქის თარგმანები გამოირჩევა დედანთან სიახლოვითა და მხატვრული სამყაროს შეგრძებით. ჰასან ჩელიქი მკითხველამდე უთუოდ მიიტანს გალაკტიონის ლექსის აზრის ფილოსოფიურობასა და მხატვრული სამყაროს დიდებულებას.

დამოწმებული ლიტერატურა

- ლ. ბრეგაძე, 2014 - ლ. ბრეგაძე, თარგმანი და ორიგინალი, თბ., 2014.
- ჩ. ბურჭულაძე, 1980 - ჩ. ბურჭულაძე, მხოლოდ ინტეგრალები, თბ., 1980.
- გალაკტიონილოგია, ტ. I — V, თბ., 2002 — 2010.
- თ. დოიაშვილი, 1981 - თ. დოიაშვილი, ლექსის ევფონია, თბ., 1981.
- თ. დოიაშვილი, 2007 - თ. დოიაშვილი, ენა, თარგმანი, 2007.
- მ. კვესელავა, 1977 - მ. კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1977.
- ი. მერაბიშვილი, 1993 - ბაირონიდან გალაკტიონამდე, ლიტერატურული საქართველო, თბ., 1993.
- ი. მერაბიშვილი, 2003 - ი. მერაბიშვილი, გალაკტიონის ენიგმები, თბ., 2003.
- ი. მერაბიშვილი, 2005 - ი. მერაბიშვილი, პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა, თბ., 2005.
- დ. ფანჯიკიძე, 1988 - დ. ფანჯიკიძე, დალი, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, თბ., 1988.
- “ჩვენებური”, კულტურული კრებული, #31, სტამბოლი, 1999.

NATELA DANGADZE

HASAN CHELIK, THE TRANSLATOR OF GALAKTION TABIDZE'S POETRY

The Thesis deals with the Turkish translations of the works of a great Georgian poet Galaktion Tabidze. It is said that generally making translations is a complicated psychological phenomenon and at the same time it is stipulated by subjective factor. By discussing different scientists' point of views about the artistic translation, it reveals the huge importance and benefits of it. The thesis analyses Turkish translations of the poetry of Galaktion Tabidze's "Azure-land, as a rose in rain-soaked sand" experimented by translator Hasan Chelik in different styles.

If there is a literature, which is hard or easy to translate, the works of this poet can be easily referred to such kind of literature. It is very complicated for a translator to express quite original and symbolized forms and deciding the ultimate fate of translatable materials. Unexpectedness of artistic images, allusions, metaphors make the translation difficult. Translator has a huge responsibility, he/she should be well aware of not just the nature of materials he/she works on, but he/she should hold the virtue to conduct it in an artistic way. The translator has to reveal the inner rhythm of poetry and create its adequate version. Only such kind of work can be accepted by the reader and will be establish in its proper place. Introducing of prominent works of the famous Georgian poet Galaktion Tabidze to the rest of the world has a great importance in terms of culture dialogs. So, the scientific analysis of translations has a significant value.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ლუკა დვალიშვილი

**შაცას ქართველთა გეპირსიტყვიერების თემაზრი
თავისებაზრებები**

2015 წლის 3-12 აგვისტოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან „გარე საქართველოში“ (მე-19 საკუნის 70-იანი წლების ქართული პუბლიცისტიკის ტერმინი — ლ. დ.) თურქეთის შვიზლვისპირეთში, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ისტორიული, ლიტერატურულ-ულტურული, ენობრივი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად ვიმყოფებოდით პროფ. ა. ნიკოლეიშვილი, პროფ. ს. კუპრაშვილი, ასოც. პროფ. გ. ქამუშაძე და ასოც. პროფ. ლ. დვალიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქამუშაძის მარშრუტი ხშირად ძალიან მასშტაბური იყო, გადაადგილება გვიწევდა ძალიან დიდ მანძილზე, ზოგჯერ დღეში 500 კმ, ვფიქრობ, დალლა მანც არავის უგრძენია, იმდენად ამაღლვებელი, ამაღლებული, ემოციური და შთაბეჭდდავი იყო ისტორიის ავტელობის გამო რამდენიმე საუკუნით მოშორებულ თანამემამულებთან შეხვედრა. ჩვენმა ექსპედიციამ საინტერესო მასალები ჩაიწერა დაბა მურალულიდან მოყოლებული, ვიდრე ქალაქ სინოპამდე. სხვადასხვა დასახლებიდან წამოსულს ერთდროულად ორი გრძნობა მოგყვება: ერთი, რომ „გარე საქართველოში“ მცხოვრებ თანაფესველთა ეროვნულ-მამულიშვილური მუხტი ჯერ კიდევ მტკიცეა და ლიტერატურულ-ულტურული ურთიერთობები ჯერ კიდევ ნედლია, რაც იმის გარანტია, რომ მომავალში მაინც აღმავლობის გზას დაადგება. და მეორე: ზოგ ადგილებში, როგორც ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებში, ისე საკმაოდ სწრაფად განვითარებად თურქეთის რესპუბლიკის გლობალიზაცია-ურბანიზაციის წამლეკავ ტალღებში მეჩხრად შემორჩენილ ჩვენს თანამემამულეთა ინდიურენტული დამოკიდებულება წინაპართა ფესვებისა და ქართული იდენტობის მიმართ, ნამდვილად პოზიტიურ განწყობას ვერ ქმნის და ხვალის უკეთესობის რწმენით ვერ აღავსებს ქართველების სულიერ-მატერიალური აღორძინებით დაინტერესებულ ადამიანს.

ქართველი მოღვაწეები, განსაკუთრებით „თერგდალეულთა“ ეპოქიდან მოყოლებული, უდიდესი სიცრთხილით, სისათუთით, უფროსი ძმის განსაკუთრებული რუდუნებითა და ყურადღებით იყვნენ გამსჭვალულნი „სამუსულმან“ საქართველოს მიმართ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, გრიგოლ გურიელი, მოგვიანებით ზაქარია ჭიჭინაძე, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, თელო სახოვია, ილია ჭყონია და მრავალი სხვ. „ივერიის“ 1879 წლის № 4-ში გამოქვეყნებული კორესპონდენცია - „ხმა ბათომიძან“, - იუწყებოდა: “**ბრძოლა მთა-ბარში, წინ და უკან, თოხივე კუთხივე. ბრძოლა შეუწყვეტელი, პირისპირ უთვალავი მტებისა სამშობლოს თავისუფლების დასაცავად**“. ეს ის ადგილია,

სადაც ყოველი კუთხე მოფენილია „**ხუროთმოძღვრების შევენიერი ნაშეგბით**“. წერილის ავტორი აფრთხილებს სახელმწიფოს მესვეურებსა და ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, რომ ახლად შემოერთებულ აჭარაში, არასწორი საკადრო პოლიტიკით შეწუხებულ მოსახლეობას, ოსმალთა ემისრები, განსაკუთრებით სასულიერო პირები, მშობლიური ადგილებიდან აყრასა და ოსმალეთში გადასახლებას ურჩევდა. აქ ხელმძღვანელებად მოგვევლინენ: „**ძველი სამოქალაქო სამსახურიდან კაიკაცობისთვის გაგდებული ჩინოვნიკი**,“ კაიკაცობისთვის გაკრეჭილი მდგდელი, აფიცერი, რომლის ენა ისეა გაწაფული ერთი რიგის ლოცვა-კურთხევაში... აქტიორი, ამხანაგობიდან გაპარული გაჭარი და სხვ.“ სამწუხაროდ, იმ დროს ამ პროპაგანდას ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდა და მოსახლეობის ერთმა ნაწილმა მამაპაპური ადგილები მიატოვა და თურქეთში გადასახლდა. წერილის ავტორი მთავრობას შეახსენებს გერმანიის მიერ ელზას-ლოტარინგიის შეერთების ფაქტს და მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში მოსახლეობა ძირითადად გერმანულებოვანი იყო, მთავრობა მაანც დიდი სიფრთხილით მოქმედებდა. დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკაში თავის დროზე იძულებით ემიგრირებული ქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდგომი პერიოდიდანაა გადასახლებული. სხვადასხვა წყაროში დღევანდელ თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეთა რიცხვების შესახებ განსხვავებული ციფრებია დასახლებული, მაგრამ ყველა ეს რიცხვი შთამბეჭდავია და 3-5 მილიონ ადამიანამდე მერყეობს (ზოგჯერ ბევრად მეტი რაოდენობაა დასახლებული — ლ.დ.).

საბეჭნიეროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულებთან კულტურულ-ეკონომიკური კავშირები გააქტიურდა. ამ მხრივ დიდი მუშაობა მიმდინარეობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შენიშვნა: საინტერესო წიგნები: **უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქუთაისი, 2014; ანთოლოგია გამოსაცემად მოამზადეს და სათანადო კომენტარები დაურთეს პროფესორებმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და ნესტან კუტიგაძემ.** მურად შაჰინი (ძნელაძე), უნიელ ქართველთა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ქუთაისი, 2016; წიგნი გამოსაცემად მოამზადა და სათანადო კომენტარები დაურთო პროფესორშა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და სხვ).

ჩვენს ნაშრომში წარმოვადგენთ თურქეთის შავიზღვისპირეთის, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ, განსაკუთრებული სილამაზისა და ადგილმდებარეობის დაბას, ფაცას; აქაურ ქართველთა ზეპირსიტყვიერ ნიმუშებსა და მათ მხატვრულ-მეტაფორულ და თემატურ თავისებურებებს.

ფაცაში, ისევე როგორც თურქეთის რესპუბლიკის უმეტეს ნაწილში, ძირითადად რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომის შემდეგდროინდელი მუჭაჭირთა შთამომავლები ცხოვრობენ. სასიამოვნოა, რომ უმეტესმა მათგანმა, გამორჩევით ძველმა და საშუალო თაობამ, იცის ქართული ენა, ეროვნულობისა და იდენტობის ყველაზე მძლავრი ბაზისი. უმრავლესობა არცთუ გამართული ქართულით საუბრობს, თუმცა ბევრ მათგანს, აზრის მშობლიურ ენაზე გაღმოცემა

და გაგება არ უჭირს. ფაცელ ქართველთა დიდი ნაწილი ამაყობს თავისი წარმომავლობით, რაც დიდ იმედს აჩენს, რომ დღეს არც თუ მყარად შენარჩუნებული ნაციონალობის ხერხემალი, ქართული ენა, ამ კუთხეში ალორძინდება და მხარის დედა საქართველოსთან კულტურული ურთიერთობების განმტკიცებას შეუწყობს ხელს. აქაურ ქართველებს აინტერესებთ ქართული კულტურა და ხელოვნება. ამის უშუალო მაგალითს ბევრს ნახავს დაინტერესებული მკვლევარი. მაგ., სოფლის დასაწყისში მდებარე სასაუზმის მებატრონეს - ახმედ ბეჟანის ძეს თავისი ხელით საკმაოდ ლამაზად გადაუწერია “ვეფხისტყაოსნის” რამდენიმე სტროფი და ასევე ძალიან დახვეწილად, ლამაზი კალიგრაფიით შეუდგენია ქართული და შესაბამისი თურქული თარგმანით ქართული ანდაზები და მოხდენილი გამოთქმები. ახმედის თქმით, “**ჩემი ბაბუა 120 წელიწადის წინ მოსულა, ბათომიდან, გვარადან თუ სამებიდან მოვა არ ვიცი, მაგრამ იქა რომ ბეჟანისძენი არიან კვირიკეში, გვარაში, სახელ ქობულეთში იმასთან წავედი, დეველაპარაკე.** სულ ჩემი ამხანაგები არიან. იქაურობა ძალიან კაი ვიცი... მიხარიან, რომ ქართული ვიცი” (ფაცა. 5 აგვისტო. 2015 წელი).

ახმედი სასიამოვნო კილოთი, ღიმილით კითხულობს ქართულ ანდაზებს და ხშირად შემოგვხედავს, ჩვენი რეაქცია აინტერესებს. მაგ.: - “**რაც დათესავ, იმას მოიმკი. ნუ გასცინი სხვასა, გადახდება თავსა. ელაპარაკე მეგრელს, თავი დაარტყი კედელს. გასკდა იმან, სააკაშვილმან, სააკაშვილი ჩვენ სოფელში მოვიდა. მე ვუთხარი მაგას ...გადაკვდა, რა იქნა ამდენი სიცილი თქვა”.**

ფაცელთა ზეპირსიტყვიერებაში, ისევე როგორც ზოგადად ქართულში, სჭარბობს სოციალურ-საყოფაცხოვრებო, არცთუ იშვიათად რელიგიური, სიყვარულისა და ზოგადსაკაცობრიო თემები.

ისევე როგორც ბევრ კოლორიტულ ქართულ სოფელში, აქაც ჰყავთ გამორჩეული სახალხო მთქმელი, მაგ., 66 წლის მუქერემ მესხიძე, რომლის პიროვნებითაც ბევრი აქაური თავს იწონებს და ამ სიტყვაუს სახალხო მთქმელს სიყვარულით წარმოგიდგენს. მუქერემ მესხიძისგან 2015 წლის 5 აგვისტოს ჩავიწერეთ რამდენიმე ფოლკლორული ნიმუში, რომლებიც მცირე ვარიაციით დიდ სიახლოეს ავლენს აჭარულ და შესაბამისად ანალოგიურ ქართულ ფოლკლორულ მასალებთან. მაგ.: “**მესხიძე რასიმაი ბაღჩის ღობეს აკეთებდა. პანტონი (შარვალი — ლ. დ.) გაფრენწილი ჰქონებოდა, ნიფხავი უჩანდა. ორი ახალმწირილი (ვფიქრობთ, ახლადშეღერებული, წამოჩიტული — ლ. დ.) გოგონებ დუუნახიათ და სიცილი დუუწყიათ. რასიმას დუუნახია გუგუების სიცილი და უთქვამს:** “**რას იცინით გუგუებო, ღობეს ვლობავ სანიორეთ, არ გამაფუჭოთ** (ალბათ, არ გამაბრაზოთ - ლ. დ.), ხან ერთ გიზამ ხან მიორეს”.

მუქერემ მესხიძეს, თურქულად (ერდოღან გუნეშს) შეუთხზავს ფაცასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლებულ, საქართველოდან გადასახლებულ ქართველთა გვარებისადმი მიძღვნილი სახასიათო, სახუმარო ლექსები, რომელსაც ერთად შეკრებილი ქართველები სიამოვნებით ისმენენ, ერთმანეთს ეხუმრებიან, ან მსუბუქად აქილიკებენ კიდეც. ეს ლექსები იმდენად პოპულარულია აქაურ ქართველებში, რომ, როგორც ჩანს, იმ გვარის წარმომადგენელმა ქართველებმა,

რომლთა გვარებიც ლექსში არ იყო მოხსენიებული სპეციალურად სთხოვეს თუ დაუკვეთეს მუქერებ მესხიძეს მათი გვარების შესახებაც დაეწერა ე. წ. დაშმერობა. შესაბამისად, მუქერებს 1995 წელს დაწერილი ლექსებისთვის იქვე მიუწერია გაგრძელება. აღნიშნული სახუმარო ლექსი, ვფიქრობთ, მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, იგი ფაქტობრივად სრულყოფილად წარმოაჩენს აქ დასახლებულ ქართველთა მამაპაპისეულ გვარებს, მეორეც, ამ ხუმრობა-ქილიკობაში, მსუბუქ-ირონიული ფორმით, გვარებისა და პიროვნებებისთვის სახასიათო ბევრი ასებითი ინდივიდუალური ნიშანი, გენური კადი და შტრიხია წარმოქნილი, რასაც მხოლოდ გამჭრიახი მელექსის მეგობრულ-ცენზორული თვალი თუ შეამჩნევდა, თუ არადა, სხვა შემთხვევაში, უცხოსთვის მის ლანდშაფტურ სოციალურ-ეკონომიკურ ნიუანსებში წვდომა და სრულყოფილი გააზრება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. ლექსის ცალკეული გაუგებარი ადგილების გაშიფრაში დაგვეხმარა თურქული ენის საუკეთესო შცოდნე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გიგა ქამუშაძე. მუქერებ მესხიძის ლექსები მნიშვნელოვანი ტოპონიმური, ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული, გეოგრაფიული და სახასიათო ენობრივი მასალის დამტევია და ამიტომ სრულად წარმოვადგენთ.

დაშმერობა (დაწერილია 1995 წელს)

- 1)ქაბალდალის ჩვენებური,
მიგახტინომემელური,
აი გვარია, იი გვარია,
არცეთი კაცია და ყველა ხარია.
- 2) ელიოლლუვითან კაცი,
იბრიქვიან ვითაშ გვარით,
კაცობას ვერ დეიკავენ,
რუმ მოჰკიდო ზეიდან ჩვარით.
- 3) კაი გვარია მოწყობილი,
გოგვებიბაწაიკიბირი (ამაყი — გ.ქ.)
შეირგებენ და არ შაგარგებს,
იციან დუღლაიყუვრილი.
- 4) ბაჭელიძე უკადრესია,
ზეიდან გაღმოგხედავს,
მან თუ ხიდი გეიარა,
ალარ შამოგიხედავს.
- 5) ინაშვილი ჰინოლლია,
არ მოულივნო, გასწი იმგენ,
სიტყვას მოგცემ გიენდობი,
ფიშმანს (განანებს — გ.ქ) გაგხდის ჰამან მერმე.
- 6) გოლომანიძე შორ ქუეყანას,
აჭამონ და ყივნაყივნაი,

- ერი ვორინახვანგვაში,
დარჩენილია სულ უტივნაი.
- 7) მესხიძნები ღაშმერია, საქმეს ნახვარ ისტავლებენ, მათ სარკეში ვერ გვიხედვენ, შენ კი ჰქუვას გასტავლებენ.
- 8) მიქელაძე, ბიჭი, ბროვლია (ზევრია) ერი ეშხიე ხუთი ევლია (ყოველ 5 სახლში ერთი ბანდიტია), ლოცვაის კითხველს იქა ნახავ, თუ უძლვები თხებს, დაჰკარგავ.
- 9) მახაროლები არიან ორდი, დუგავიანსაზი, გორდი. სახში, კარში, მუშა არიან, არ აქვან დუნიის დარდი.
- 10) მაჭახლები სიზმარშია, მათ თავში ჭუგვა ეპრიანებიან, არ იციან ჩემო ბუწიავ, დაბადივიხან დუფრიალებიან.
- 11) გუმკლოველი ხალვაშოლლუ, ვორ ძმას ქონდა ერი სახლი, სოფლიანა საზღვარ ვლენ, ვითამ არიან ქაღა ძალი.
- 12) ბეჟიოლლები სანათქარია (ზელოვანია) უუველანი საქმეს იდრებიან, ცხენზე კარქა შეჯდებიან, ვირიდან გადმოიჩრებიან.
- 13) ჰირიაოლლები კია მათივინ, სიცოცხლეს გარუნებენ ფორთხვით ძალიან მარიფათელი არიან, საღალს ზიდვენ დიდი გოდრით.
- 14) ბეშიქოლლიბუიშვილი, ბროვლი სიტყვა, ბროვლი ტყვილი, საქმე თუ აქ, კაცათ დაქთლის, ზურგს დიგიგსევ, განზე გაჭრის.
- 15) ქათამიძე სახელიძეთ, გოგვები კაცს გასახელებს, ბიჭებს პირზე დიდი მასკე, არ გეწყინოს, თუ დაჰკარგე.
- 16) შავიშვილებ მამოისავენ, უბედურია კაცი, ქალი. ქუეყანაში ერთი იყო, ისკენდერა ის დურსუნ ალი.
- 17) საქმე თუ გაქ ხახუტოლლებში, ადრე გუყვები ტყეში,

- სუ მთელი დიდი კაცი არიან,
კაიმაკობას იზმენ იალოვაში (ქალაქ იალოვას გამგებლები არიან).
- 18) უსტოლლები, რაფერ გითხრა,
შორიდან შამოსარებელი,
მიდამოში თუ გუარე,
მაშინ ხარ შასაბრალებელი.
- 19) ხანიგაძე ძუღვის ფუხარა (ლარიბი)
ვერ მიგახტენს, ვერც მიხტება,
რასაც დასთლი, გზას ასწავლი,
ჩილიტო შიშა გახტება.
- 20) ოკრაბილოლლი ოქროს ფერი,
არ ვარგა გლახა სათქმელი,
ერთი გლახა თუ გამოვდა,
კაი არი ვოზდათუთხმეტი.
- 21) გაგალოლლები ბეჭერუქლია (მოხერხებულია)
წულვას ურბას შუკერვენ,
მე გითხრა და დიმიწერე,
სიცოცხლეში გუდას ბერვენ.
- 22) მეგონა და მოვბოდე,
გაყუჩება არ ვარგება,
სულ მთელი თითო ვარდი ვართ,
ჩუკენჩუვენის ერთ ქვაბის ვართ.

(უფრო გვიან შეთხზული ლაშმერობა, 1995 წ):

- 1) სოსიოლლები ისე მოსულან,
ინსნობა (აღამიანობა) შუველში (ტომარაში) გამოჩენიან.
ბროვლიდა არ გეიდლუმბლება,
წულუვა ბათომში დარჩენიათ.
- 2) აჭარლები გავლან სენდერაზე,
ასში ერთი დარდლი მევორეს.
რაცხაფერ მოვდენ, ისე დარჩენ,
წაგადგება, არ გეგონოს.
- 3) ოთიოლლებისთვინ რას იტყვიან,
ჰიმაი ფიჩხზე არ წუხვდებიან,
მათ კაპჭანში მათ მოიხარშვენ,
არ დუძახო, ვერ მუსტრობიან.
- 4) თიხლოლლებიუტიხლო იყვენ,
გამოუზარდენ, მოუტყვენ სული,
ყუელამ საქმეს დუდვა გული,
ახლა ხელში აქვან პური.
- 5) ჰოჯაოლლეფში ჰოჯა არა,
არ იციან ფული სადა,
ყუელამ გოზენგილდოსტა (გამდიღრდა),

ზუღაში (ზღვაში) რომ სიმინდი ამვა.

6)გოგიტიძები სოფელს შუენის,

ჭკვიანია ბიჭი-გოგო,

ხანდახანა აფეცდებიან,

თუ მუზლვე დიდი როგო (სკის ბუკი).

ამრიგად, თურქეთის შავიზლვისპირეთის ქართველებით კომპაქტურად დასახლებული, განსაკუთრებული სილამაზისა და ადგილმდებარეობის დაბის, ფაცას ქართველთა ზეპირსიტყვიერი ნიმუშები ფრიად საინტერესო და კოლორიტულია. ისნი ახლოს დგას დედასქართველოს შესაბამის ფოლკლორულ ძეგლებთან, თუმცა ხშირად ავლენს ამ კუთხისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ-მეტაფორულ და თემატურ თავისებურებებს.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. ნიკოლეიშვილი, ნ. კუტივაძე, 2014 - უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია, ქუთაისი. 2014, ანთოლოგია გამოსაცემად მოამზადეს და სათანადო კომენტარები დაურთეს პროფესორებმა: ავთანდილ ნიკოლეიშვილმა და ნესტან კუტივაძემ.

გ. შაჰინი, 2016 - მურად შაჰინი (ქნელაძე), უნიელ ქართველთა ზეპირსიტყვიერი ტექსტები, ქუთაისი, 2016., წიგნი გამოსაცემად მოამზადა და სათანადო კომენტარები დაურთო პროფესორმა ავთანდილ ნიკოლეიშვილმა.

LUKADVALISHVILI**THEMATIC PECULIARITIES OF GEORGIANS LIVING IN PATSA**

The subject matter of the article is the scientific expedition of Akaki Tsereteli State university professors Prof. A. Nikoleishvili, Prof. S.Kuprashvili, Assoc. Prof. G. Kamushadze, Assoc. Prof. L. Dvalishvili to “Outer Georgia” (Georgian publicistic term in 70s of 19th century L.D.) which is Black Sea coast of Turkey, densely populated regions by Georgians, the aim of the expedition was collecting historical, literary-cultural, linguistic, folk-ethnographic materials. Despite that fact that the scope of our expedition was too large, we had to move on huge distances, sometimes 500 km a day, I think none of us felt tired, as the meeting with our country people, living apart for several centuries was so exciting and emotional. Our expedition recorded interesting materials from Murguli settlement till the city Sinop.

While leaving different settlements you are followed by two kind of feelings at the same time: First, national spirit of our compatriots living in “Outer Georgia” is still alive and literary-cultural relations are still active, which might be the guarantee that it will bloom on the future. And the second: in some places, villages and cities compactly populated by Georgians, indifferent attitudes of some of our countrymen/women in therm of globalization-urbanization waves in fast developmental Turkey doesn’t provide faith for better future people interested in spiritual-material uprisal of Georgians.

In verbal speech of Patsa people as well as in Georgian language generally social-domestic, religion, love topics also themes common to all mankind abound.

Like in every picturesque village, here you’ll meet distinguished people’s artist , e.g. 66 year old Mukerem Meskhidze, village residents are proud of him and introduce this talented poet with love. We recorded several folk examples from Mukerem Meskhidze in August 5, 2015, which largely resemble Adjarian and accordingly analogical Georgian folk materials with slight variations. Verbal poetry patterns after Georgians living in Patsa - a place with breathtaking beauty and special geographic area in Black Sea coast in Turkey, are very interesting and picturesque. They closely resemble to relevant folk patterns of mother Georgia but also they reveal fictional-metaphoric and thematic peculiarities specific for this region.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ინგა ელიავა

**დოკუმენტი მუკახიორ აჭხაგთა რემიბრაციის შესახებ
1879 წლის 10 აგვისტოს შემდეგ სამობლოში
დაბრუნებულ აჭხაგ მუკახიორთა (პრივატებირებული
წოდების) სია**

მოსახლეობის მიგრაცია არის მოვლენა, რომელიც კაცობრიობის ეთნიკურ სურათს გარკვეულწილად ცვლის. ცივილიზაციების ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მიმდინარეობს კონკრეტული პროცესები, რომელთა შედეგად, სხვადასხვა მიზეზით, ხალხთა დიდი მასები ახალ ტერიტორიების ითვისებენ. თანამედროვეობაში დიდია სხვადასხვა მეცნიერებების ინტერესი ეთნიკური მიგრაციის პროცესების მიმართ. მიმდინარეობს მიზეზებისა და შედეგების სისტემატური კვლევების გამოცდილების დაგროვება და ანალიზი. ამ კუთხით ძალიან სანატერესოა ისეთი მასშტაბური და ტრაგიკული მოვლენა, როგორიც იყო ჩრდილოეთ კავკასიის მუსულმანი ხალხის “ნებაყოფილობით-ძალდატანებითი” ემიგრაცია ოსმალეთის იმპერიაში მე-19 საუკუნის მე-2 ნახევარში.

ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების გადასახლებამ ისტორიული სამშობლოდან თურქეთში კავკასიის მრავალწლიანი ომების შემდეგ იძულებითი მასობრივი გამოსვლის ხასიათი მიიღო. ამ მოვლენის დრამატული ისტორია მოითხოვს ლრმა ანალიზს; თანამედროვე პოლიტიკური კონიუნქტურა იძლევა პრობლემის ობიექტური კვლევის საშუალებას. პრობლემის მრავალმხრივი შესწავლა მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ მოხდეს იძელოლოგიური და ნაციონალისტური შტამპების გარეშე კვლევა, რთული და წინააღმდეგობრივი პროცესის ანალიზი ველიკოდერუული, ცალმხრივი, თავდაცვითი და შემზღვდველი კონცეფციების და შეფასებების გარეშე. ჩრდილო კავკასიელი მთიელების ოსმალეთის იმპერიაში გადასახლების პროცესი საინტერესოა არამარტო სამეცნიერო-თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც. ამ თემაზე ჩატარებული კვლევები გარკვეულ სიცხადეს შეიტანს მრავალწლიანი კავკასიის ომის და მისი შედეგების, რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის ბედზე ცარიზმის გავლენის საკითხში, რამაც მათი ტრადიციული ცხოვრების ძირები ცვლილებები გამოიწვია. ეს თემა არ იყო პოპულარული საბჭოთა პერიოდში და შემდეგაც, ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი და უკომპრომისო ხასიათისაა. მთავარი სიძნელე მუშავირობის საკითხის შესწავლაში - ეს არის დაგროვილი ისტორიოგრაფიის სწორი გააზრება. ესაა მრავალასპექტიანი და მრავალფეროვანი, რევოლუციამდელი, საბჭოთა, თანამედროვე, ქართული და საზოგადოებრივია.

მუჟავირობა ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა ჩრდილოეთ კავკასიის და აფხაზი ხალხების ისტორიაში. “ეს არის არა უბრალო ეპიზოდი, არამედ უმძიმესი ეროვნული ტრაგედია, რამაც აფხაზი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დაყენა: — წერდა ისტორიკოსი შ. ინალ-იფა. ქართველი

საზოგადოებრიბა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა ამ ტრაგედიას. ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: გრ. ორბელიანმა, ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ი. გოგებაშვილმა, ს. მესხმა, გ. წერეთელმა, ალ. ყაზბეგმა, ზ. ჭიჭინაძემ, პ. ჭარაიამ, ნ. ჭანაშიამ, თ. სახოვიამ და სხვ. გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა შშობლიური მხარიდან გადასახლების გამო.

მუშავირობის შემდეგ თითქმის მთლიანად გაუკაცურდა ჩრდილო-დასავლეთი და ცენტრალური აფხაზეთი, დაცარიელდა ქვეყნის მთიანი მხარეები: წებელდა, დალი, ფსხუ. მუშავირობის შემდეგ აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო. როგორც ნ. მარი წერდა, "Абхазия была обездолена своей даже центральной этнографической части ... остались одни одичальные дворы с фруктовыми деревьями, ни души абхазской, ни звука абхазского". თითქმის მთლიანად გადასახლდნენ ეთნიკურად აფხაზთა მონათესავე ჯიქების მთის თემები აიბგა და აპჭიფსხუ, საიდანაც გვიანთეოდალურ ხანაში მუდმივად ხდებოდა მოსახლეობის ინფილტრაცია აფხაზეთში.

გასახლებასთან დაკავშირებული საკითხები შესწავლილია აფხაზი ისტორიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ძიძარის მიერ, ნაშრომში "მუშავირობა და XIX საუკუნის აფხაზეთის ისტორიის პრობლემები", რომელიც მდიდარ ფაქტობრივ მასალას ემყარება; ძალიან საინტერესოა ბეჟან ხორავას ნაშრომი "აფხაზთა მუშავირობა"; განხილულია რუსეთის პოლიტიკა საქართველოში კავკასიის ომის შემდგომ, ცარიზმის მფლობელობის განწლივება აფხაზეთში, აფხაზთა 1867 წლის მუშავირობის მიზეზები, მსვლელობა და საინტერესო ისტორიული დოკუმენტი - მუშავირთა სია. სიის ორიგინალი ინახება სც არქივში (ფ. 545, ალტ. 1, ს. 191). გ. ძიძარია მუშავირთა სიას იხსენიებს თავის ნაშრომში.

საარქივო წყაროებზე დამყარებული კვლევა და ისტორიოგრაფიის სილრმისეული ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ძვირფასია. ეს ფოკუმენტები სარწმუნო წყაროა გადასახლების, რემიგრაციის, გადასახლებულთა შემდგომი ბედის შესწავლის კუთხით. აფხაზთა გადასახლების პროცესში ხდებოდა მუშავირთა სიების შედგენა სოფლების მიხედვით, ოჯახის თავკაცთა სახელისა და გვარის მითითებით, ოჯახის წევრთა რაოდენობის ჩვენებით. 1990 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ა. გოუბაშ გაზ. "აფხაზიურ-ში (30 მაისი, 1-2 ივნისი) აფხაზურ ენაზე გამოაქვეყნა 1867 წლის აფხაზ მუშავირთა სიის ერთი ნაწილი: "1867 წლის ივნისში წებელდიდან და დალიდან მუშავირობაში წასული აფხაზები", ხოლო შემდეგ (8 ივნისი) სიის მეორე ნაწილიც, სახელწოდებით: "1867 წელს ბზითი-გუმა-აბულა-აყუა-გულრიფშიდან მუშავირობაში წასული აფხაზები". მოგვიანებით რ. გოუბაშ გაზ. "აფხაზიურ-ში (21, 22, 23 ივნისი) რუსულ ენაზე გამოაქვეყნა "1867 წელს აფხაზეთიდან წასულ მუშავირთა სია". სია 120 გვერდს მოიცავს. სიის ზოგიერთი ადგილის წაკითხვა გაძნელებულია, დამახინჯებულია სოფლების სახელებიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. და რ. გოუბებს, როგორც აფხაზურ, ისე რუსულ პუბლიკაციაში, სახელები და გვარები, სოფლების სახელწოდებები აფხაზური ფორმით აქვთ გადმოცემული. ბ. ხორავას წიგნში წარმოდგენილია 1867 წლის აფხაზ მუშავირთა სიის ქართული თარგმანი.

აღნიშნულ სიასთან დაკავშირებით, და საერთოდ მუჭაჭირების ისტორიის შესწავლისათვის, მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცული, ჩვენ მიერ მიკვლეული დოკუმენტი (ქ.ც.ა. ფონდი 186, საქმე 1724, ფურ. 43-50).

1879 წლის 10 აგვისტოს შემდეგ თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოლქის გუდაუთის, კოდორის და სამურზაყანოს უბნების პრივილეგირებული წოდების ოჯახების სია, რომელთათვისაც გამოიყო მიწის ნაკვეთები.

ეს უდავოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი ადასტურებს არამარტო რემიგრაციის პროცესს, არამედ მნიშვნელოვან გენეალოგიურ ინფორმაციას შეიცავს აფხაზ თავადაზნაურობაზე. აღნიშნული დოკუმენტის შეჯერებით ბეჟან ხორავას მიერ გამოქვეყნებულ სიასთან დასტურდება, რომ მუჭაჭირთა ნაწილს საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებისა.

ამრიგად, სამხედრო და პოლიტიკური მოქმედებების, რუსული მმართველობის, ადგილობრივი ფეოდალების, მუსულმანი სასულიერო პირების, ოსმალური და დასავლეთ ევროპელი აგნტების ქმედებების შედეგად უცხოეთში აღმოჩნდა 750 000 ადამიანი ჩრდილო კავკასიიდან. მასობრივი გადასახლებების დროს ბევრი მათგანი შიმშილისა და ავადმყოფობისაგან დაიღუპა. ეს განსაკუთრებით მუჭაჭირთა დაბალ ფეხში, გლეხობას შეეხო. თურქეთის მთავრობის მიერ გაწეული დახმარება საქამარისი არ აღმოჩნდა. დახმარება მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლების ხელში ხვდებოდა. ოსმალეთის იმპერია ამ მოვლენათა წამახალისებელი იყო. მისი ერთ-ერთი მიზანი იყო გადასახლებულთა ჩასახლებით საზღვრების დაცვა-გამარება ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობებისაგან, მუჭაჭირების უმრავლესობა ჩასახლებულ იქნა ქრისტიანებით დასახლებულ რეგიონებში (ბალკანელებით, სომხებით დასახლებული მიწები). ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარების მიზნით რუსეთის მთავრობაც ხელს უწყობდა მიგრაციას, უმეტესწილად აქტიურად ეწინააღმდეგებოდა მოტყუებული და იმედგაცრუებული მუჭაჭირების სამშობლოში დაბრუნებას. ცენტრალური კავკასიის მუჭაჭირთა მხოლოდ მცირე ნაწილს მიეცა შესაძლებლობა საქართველოში, სამშობლოში დაბრუნებისა. დაბრუნებულები კი თავიანთი მონათხრობებით და მდგომარეობით, რუსეთის მმართველობის აზრით, საშიშროებას აღარ წარმოადგენდნენ ცარიზმის აღმინისტრაციისთვის.

1879 წლის 10 აგვისტოს შემდეგ თურქეთიდან სამშობლოში დაბრუნებული, ქუთაისის გუბერნიის სოხუმის ოკრუგის გუდაუთის, კოდორის და სამურზაყანოს უბნების აფხაზთა პრივილეგირებული წოდების ოჯახების სია, რომელთაც გამოიყოთ მიწის ნაკვეთები.

გუდაუთის უბანი

აჭანდარის თემი

1. თავადი ახმედ ლევან-იფა ანჩაბაძე;
2. თავადი ალხაზ დორუევა-იფა ანჩაბაძე;
3. თავადი ბათა (ბატა) ახმედ-იფა ანჩაბაძე;
4. ტატგუტ (თათგუთ) (ბირველი არაკანონიერი ცოლი ბატა ახმედ-იფა ანჩაბაძისა) ჩაბალურხვა;

5. თავადი ბაკირ სოსრან-იფა ანჩაბაძე;
6. თავადი ჩიჩინ სოსრან-იფა ანჩაბაძე;
7. თავადი უზბეკ ტატუს ძე ანჩაბაძე;
8. თავადი მაჟარა ტატუს ძე ანჩაბაძე;

ზგანდრიფშის თემი

9. ზაურბეგ რესიდეს ძე ანჩაბაძე;
- აჭანდარის თემი**
10. ნართი კაციას ძე ღზიანშ-იფას და მიმინა (იგივე ნინა);

ზგანდრიფშის თემი

11. თავადი კვაჭაჩიბიაკის ძე ძიატლ-იფა;

ოთხარის თემი

12. პშხან ჰასან-იფა ანჩაბაძე;

მუგუძირხვის თემი

13. კალირ ყიზილბეკის ძე ჩაბალურხვა;

კლაბურხვის თემი

14. ხამენდა ტაგუს ძე ჩაბალურხვა - ძიანშ-იფა;

ოთხარის თემი

15. II თანრიგის აამსთა ალცუკ ცივშა;

ლიხნის თემი

16. I თანრიგის აამსთა კამშუგა (კამუგ) რაჭაბის ძე ლაკერბაი;

17. I თანრიგის აამსთა თაღა ლაკერბაი;

კბლაბურხვის თემი

18. I თანრიგის აამსთა რეშიდ შირგანის ძე ლაკერბაი;

19. I თანრიგის აამსთა თაღა ლევანის ძე ლაკერბაი;

20. I თანრიგის აამსთა ბატა ბესლანგურის ძე აკირტავა;

21. I თანრიგის აამსთა კამშიშ თაღას ძე აკირტავა;

22. I თანრიგის აამსთა თამშუკ ლევანის ძე აკირტავა;

23. I თანრიგის აამსთა ბესლან ჰასანის ძე აკირტავა;

24. I თანრიგის აამსთა თაღგუ ლევანის ძე აკირტავა;

25. I თანრიგის აამსთა თაღა შახანის ძე მარლანი;

მუგუძერხვის თემი

26. I თანრიგის აამსთა მიხო თაღას ძე მარლანი;

27. გუდუ (ჩიჩინ) რეშიდის ზე მარლანი;

ლიხნის თემი

28. I თანრიგის აამსთა კამშიშ ხალიბეის ძე მიკამბა;

ჟირხვის თემი

29. I თანრიგის აამსთა კამუგ ნარჩის ძე მარლანი;

ლიხნის თემი

30. I თანრიგის აამსთა შახან ლაკერბაის ქალიშვილები;

მუგუძირხვის თემი

31. I თანრიგის აამსთა ძოკი კვაჭის ძე მარლანი;

32. I თანრიგის აამსთა კაკუნ (კაცია) მარლანი;

ლიხნის თემი

33. I თანრიგის აამსთა ტაგუ დურახის ძე მარლანი;

მუგუძირების თემი

34. I თანრიგის აამსთა ტლიაპს ტაკტაკის ძე (თაქთაქის) მარღანი;

ზვანდრიფშის თემი

35. I თანრიგის აამსთა მისაუსტ კაცის ძე ზვანბაი;
36. I თანრიგის აამსთა ალმასხიდ შახანის ძე ზვანბაი;
37. I თანრიგის აამსთა გორგი შახანის ძე ზვანბაი;
38. თავადი ხალილ კვალოს ძე ანჩაბაძე;
39. I თანრიგის აამსთა აზდამირ ხალილის ძე ზვანბაი;
40. თავადი ტაგუ ჭამლეთის ძე ჩააბალურხვა;

აცის თემი

41. I თანრიგის აამსთა ხიგუ ბესლანგურის ძე მიკამბა;

დურიფშის თემი

42. I თანრიგის აამსთა თადა თა... ლაკერბაი;
43. I თანრიგის აამსთა ომერ იაკუბის ძე ლაკერბაი ;
44. I თანრიგის აამსთა მურზაყან თადოს ძე ლაკერბაი;
45. I თანრიგის აამსთა კიაგუს იაკუბის ძე ლაკერბაი;
46. I თანრიგის აამსთა თათალ მისაუსტის ძე ლაკერბაი;
47. I თანრიგის აამსთა პას იაკუბის ძე ლაკერბაი;
48. I თანრიგის აამსთა ზავქარ ბატას ძე ლაკერბაი;
49. I თანრიგის აამსთა თამგუკ ტაგუს ძე ლაკერბაი;
50. I თანრიგის აამსთა მახმედ გირეი ლაკერბაი;
51. I თანრიგის აამსთა დიმიტრი კიაგუსის ძე ლაკერბაი;
52. I თანრიგის აამსთა საატბეი ჩაგუ-იფა მარღანი;
53. I თანრიგის აამსთა კვაჭა ზაუსხანის ძე მარღანი;
54. თავადი ალმასხან თადას ძე ემუხვარი;
55. II თანრიგის აამსთა უგვა მაშმულ-იფა ცევშ;
56. II თანრიგის აამსთა თაგვაგვა შახანის ძე ბლაბ;

ლიხნის თემი

57. I თანრიგის აამსთა კიაგუს ბესლანის ძე ლაკერბაი;
58. I თანრიგის აამსთა შახან (საატრეი) ბესლანის ძე ლაკერბაი;
59. I თანრიგის აამსთა ახმედ მისაუსტის ძე ლაკერბაი;
60. თავადი ნახარბეი ზურაბის ძე ზიაპშ-იფა;

დურიპშის თემი

61. I თანრიგის აამსთა ხაბუგ კვაჭის ძე ლაკერბაი;

ლიხნის თემი

62. I თანრიგის აამსთა ახმეტ ჰასანის ძე ლაკერბაი;
63. I თანრიგის აამსთა ხიგუ კიზილბეკის ძე ლაკერბაი;
64. I თანრიგის აამსთა ხიგუ ბესლანის ძე ლაკერბაი;

აჭანდარის თემი

65. II თანრიგის აამსთა ბატა ჰასანის ძე ჩერიკბაი;

კალდახვარის თემი

66. II თანრიგის აამსთა მურზაყან ჰუსეინის ძე ჩერიკბაი;
67. II თანრიგის აამსთა ბესლან ჰუსეინის ძე ჩერიკბაი;

აჭანდარის თემი

68. თავადი მურზაყან დარუყვას ძე ანჩაბაძე;
69. II თანრიგის აამსთა კაც საკუტას ძე იაშბა;
70. II თანრიგის აამსთა საკუტა იაშბას ქალიშვილი ჩიჩ;
71. თავადი ჟან (ივანე) ჩიპიაკის ძე ანჩაბაძე;
72. I თანრიგის აამსთა მურზაყულ აკირტავას ქვრივი და ქალიშვილები;
- კალდახვარის თემი**
73. თავადი საულაკ ზაუსხანის ძე ინალ-იფა;
- კოდორის უბანი**
- გუფის თემი**
74. თავადი ახტაულ ლევანის ძე მარლანია;
- ჭილოვის თემი**
75. თავადი თადა მვეტერბეის ძე ანჩაბაძე;
- კვიტაულის თემი**
76. II თანრიგის აამსთა ჩიპიაკ მახარიას ცოლი ელისაბედი;
- აძიუბეის თემი**
77. I რანგის აამსთა თაგუ საკეს ძე მარლინ;
78. II რანგის აამსთა შმათ (ანტონ) ტოგუს ძე დობუა;
- ჯგერდის თემი**
79. II რანგის აამსთა შახან ახმედის ძე ციბა;
- სამურზაყანოს უბანი**
- ბედიის თემი**
80. თავადი მეჭიბეი მურზაყანის ძე ანჩაბაძე;
81. I რანგის ჟიოსკუა კუჭმახან ლაკერბაიას ოჯახი: ქვრივი კესე; შვილები: ნიკოლოზ, ანდრია, დიმიტრი, ნესტორ; ქალიშვილი სიდა (მარიამ);
82. I თანრიგის ჟიოსკუა სოსირყვა ტლაპსას ძე ლაკერბაი, მისი მეუღლე ანასტასია და შვილი ალექსანდრე;
83. მღვდელი ბესარიონ ბებუროშვილი (იგივე ნაბურაშვილი და მებუროშვილი);
84. ელიზავეტა მარლანია და მისი შვილი ჩაგუ მარლანი.

შენიშვნა: აამსთა - ფეოდალური კლასის წარმომადგენელი ძველ აფხაზეთში, შეესაბამება გვიანდელი ფეოდალური ბერიოდის ქართულ აზნაურს.

დამოწმებული ლიტერატურა

- ქცა** - ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 186, საქმე 1724.
- ბ. ხორავა, 2004** — ბ. ხორავა, აფხაზთა მუჭაჭირობა, თბ., 2004.
<https://ka.wikipedia.org>
- ნ. მარი, 1938** - Н. Марр, О языке и истории абхазов. Москва – Ленинград, 1938.
- გ. ძიძარია, 1982** - Г. А. Дзидзария, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1975; 2-е дополненное издание, Сухуми, 1982.

INGA ELIAVA

FOR CERTAIN TOPOONYMS OF SAMURZAKANO

Subject matter of the article is certain toponyms which can't be found in large monograph: "Geographical names of Samurzakano". Jali. The village situates in Ochamchire community, among the villages of Mokvi, akvaska and Gufi. The etymology of the village name isn't studied scientifically, as for the folk etymologies they are the following: 1) This territory used to abound with finest tree species (mainly box trees), which were sold to Turkey. That's why the initial name of this place is Ojalon (compare Ojalefe, Ojale - a forest) [Kipshidze, 1994]. nja//mja//ja Laz. copmare dzeli. Mengrelian ja [Chikobava, 1938]. Georgian dzel-dzel-I "tree"; Mengrelian ja-ja "tree"; jal-ef-I "trees; o-jal-e-shi "dzelisa"; Sadzelisi (grape breed), che-ja "poplar"; (in ex white tree); Laz. ja/-nja-/mja/ja-/nja-/mja "tree" Laz dialect also confirms jailoni/jalona [Tandilava, 2013]. Jaloni - forest zone of a mountain from Lakadi to Sheheleti (mount), ja (Mengrelian) "tree": - jaloni forest [Tskhadaia, 2013]

According to different version, there was a village at that place, inhabitants of which had become the victims of certain misfortune, only one man had survived, Jali by name, who didn't abandon home, got married and lived his life there.

It's interesting part that the village is divided into two parts: Margalepish Jali, e.g. Jalagrua "Mengrelian jali" and Apkhazebish Jali, e.g. Jalapsua "Abkhazian Jali.

Next to Jali there is the village Mokvi, which has different phonetic version Muku/Moku. The river has the same name: Mokvi/Mokvtskhari/Mokushtsyari. Several micro toponyms of this river are given according to personal names of people: Petresh Tomba, Koto, ... Mokvi church situates nearby Mokvish Okhvame/Mokvi church.

Interesting micro toponyms are Patritsakhuri/Patratsaxu and Atidashu/Atashadu, (also Gupi, Mokvi), the structure-etymology of which are the subjects of different research.

რუსულან ზექალაშვილი მარიამ აბესაძე

უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო უნასა და ლიტერატურული

1. ლინგვისტიკაში სულ უფრო აქტუალური ხდება იმ ენობრივ მონაცემთა კვლევა, რომელიც უშეალოდა დაკავშირებული აზროვნებისა და მსჯელობის პროცესთან. კომუნიკაცია რომელიმე ენაზე აუცილებლად გულისხმობს ამა თუ იმ აზრის მტკიცებას ან უარყოფას, ამიტომაც **უარყოფა** ერთ-ერთი ფუნდამენტური, რთული და მრავალასებრინი კატეგორია, რომელიც ყველა ენაში არსებობს (სხვადასხვა ენობრივ დონეზე). ეს ლინგვისტური უნივერსალია გამოხატვის ფორმებით განსხვავებულია არა მარტო არამნათესავე, არამედ მონათესავე ენებსა და დიალექტებში¹. უარყოფას, ენათმეცნიერების გარდა, სწავლობს მეცნიერების ბევრი დარგი: ლოგიკა, ფილოსოფია, კომუნიკაციის თეორია, სოციოლინგვისტიკა, ენათმეცნიერებაში კი — გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სიტყვაწარმოება, სტილისტიკა, საუბრის ანალიზი, სოციოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა.

ყველა ენაში, მათ შორის ქართულშიც, არსებობს **მტკიცებისა და უარყოფის** გამოხატვის სხვადასხვა საშუალება, რომელიც ქმნიან მაკროველს. მის შემადგენლობაში შედის **უარყოფის მიკროველი**, რომელიც ბევრ ასპექტს მოიცავს სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში.

ქართულ ენაში უარყოფის გამომხატველი საშუალებები სხვადასხვა დროს ბევრმა მეცნიერმა შეისწავლა (ვ. თოფურია, 1923-1924; ა. შანიძე, 1973; ბ. ჯორბენაძე, 1984), ყურადღება მიექცა ორმაგი უარყოფის გამოყენების გრამატიკულ-სტილისტურ საკითხებს (ზ. ჭუმბურიძე, 1970; გ. შალამბერიძე, 1980; ქსუ, 2002; ლ. გეგუჩაძე, 2007; ა. არაბული, 2004; რ. ზექალაშვილი, 2004).

ჩვენ ვცადეთ, ყველა არსებული შეხედულება განვეზოგადებინა და წარმოგვედრინა **უარყოფის მიკროველის** სახით.

2. უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი


უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკურ მიკროველს მივიჩნევთ **მტკიცებისა და უარყოფის** მაკროველის შემადგენელ ნაწილად. სხვა ენების მსგავსად ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში უარყოფა შეიძლება გამოიხატოს **ექსპლიციტურად** (ენობრივი ნიშნებით) და **იმპლიციტურად** (ფარულად) — მხოლოდ სიტყვის ან ფრაზის სემანტიკით. ალნიშნულ მიკროველში შეიძლება გამოიყოს **მორფოლოგიური, ლექსიკური, ლერიზაციული** და **სინტაქსური** დონეები (იხ. სქემა).

¹ ამ საკითხის შესწავლას მიერცხნა თსუ-ის ქართული ენის ინსტიტუტის ორი შიდასაუნივერსიტეტი მიზნობრივი გრანტი: “უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში” (2015) და უარყოფის გამომხატველ მოდელთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი დაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისით ქართველურ ენებში” (2016), რომელშიც შესწავლითა უარყოფის კატეგორია სინქრონიულ და დიაქრონიულ ასპექტში. წინამდებარე სტატია ზემოთ დასახელებული პროექტით შესრულებული სამუშაოს ნაწილია.

2.1. მიკროველის **ბირთვში** შედის **პრედიგატიული** ანუ **ზოგადი** უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები: **არ** (აღარ/არც), **ნუ** (ნუღარ/ნურც), **ვერ** (ვეღარ/ვერც), რომელთაგან **ვერ**-ს ახლავს მოდალური ნიუანსი: შეუძლებლობის გამოხატვის უნარი. ამ ნაწილაკთა მონაცვლეობა წინადადებაში თავისუფალი არაა, რადგან თითოეული განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს ზმნით გამოხატულ მოქმედებას. **არ**, **ვერ**, **ნუ** ნაწილაკები წინ უსწრებს გას და მიგვითითებს შესაბამისი მოქმედების (ან მდგომარეობის) შეუსრულებლობაზე. ზმნა შეიძლება იდგეს თხრობით, ბრძანებით ან კავშირებითს კილოში: **არ** წერს/ არ დაწერს, არ დაწერა, არ დაუწერა; არ წერო/ არ დაწერო! არ წეროს/ არ დაწეროს! არ დაწეროს, არ დაუწერა/ არ დაუწერო; **ნუ** წერ/ **ნუ** დაწერ! ვერ წერს/ ვერ დაწერს, ვერ დაუწერა, ვერ დაუწერია.

ამ ნაწილაკთა სემანტიკისა და დისტრიბუციის ანალიზით დადგენილია, რომ **ნუ** ნაწილაკი გამოხატავს თხოვნითს აკრძალვას, **ვერ** – შეუძლებლობას, **არ** კი – კატეგორიულ უარყოფას (იხ. ვ. თოფურია, 2002, გვ. 307; ა. შანიძე, 1973, გვ. 610; ზ. ჭუმბურიძე, 1970; ბ. ჭორბენაძე, 1984, გვ. 140-143).

2.2. უარყოფის მიკროველის ბირთვის გარდა, ველში გამოვყოფი რამდენიმე დონეს: **ბირველი** დონეზე შეიძლება განვათვსოთ უარყოფის **ლექსიკური** საშუალებები: **ნაცვალსახელები** და **ზმნიზედები**, რომელთა მოშველიებით ხდება **კერძო** უარყოფა: ბირვნების/საგნის, ნიშან-თვისების (ფუნქციურად ესაა სუბიექტის, ობიექტის ან განსაზღვრების უარყოფა), მოქმედების აღგილის, დროისა და ვითარებისა (შესაბამისი სემანტიკის გარემოებები).



ნება

უარყოფის ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში

უარყოფის მიკროველის **ბირველი დონის** ძირითადი ერთეულებია **ლექსიკური** საშუალებებია: **უარყოფითი ნაცვალსახელები** და **ზმნიზედები** (იხ. რ. ქურდაძე და სხვ., 2016ა, გვ. 71-115). გამოყენებულია შემდეგი მოდელი: **ნაწილაკი + ნაცვალსახელი/ზმნიზედა: I. Part + II. Pron/Adv. ბირველი** კომპონენტია ნაწილაკი: არა/ვერა/ნუ(რა); აღარ(ი)/

ვეღარ(ა)/ნულარ(ა); არც/ვერც/ნურც; **მეორე** კომპონენტი: ვინ(ც), რა(ც); ფერი(ც)/ნაირი(ც)/ვითარი(ც); ერთი; სად(აც), საით(აც), საიდან(აც), დროს(აც)/ოდეს(აც), გზით(აც), კომპონენტებს შორის შეიძლება ჩაერთოს -ს (ვერა+ს+დროს და სხვ.)

2.3. მეორე დონეზე გამოვყოფთ უარყოფის დერივაციულ საშუალებებს²: **Part + N/A/ Nv/Va:** ესაა არ- ან ვერ-ნაწილაკიანი წარმოება არსებითსა და ზედსართავ სახელებში, სახელზმნებში (არაამდიანი, არანამდვილი, არახალი, არყოფნა, ვერმოსული), ასევე მიმღების უკუთქმითი ფორმები (დაუნახავი, გაუკეთებელი, დაუწერელი...) (იხ. რ. ჭურდაძე და სხვ., 2016ბ).

2.4. ბირთვისგან ყველაზე დაშორებულია მესამე დონე — პერიფერია, სადაც მოექცა უარყოფის **სინტაქსური** საშუალებები: უარყოფითი შინაარსის სპეციალური კონსტრუქციები (იხ. რომ არ; იმის ნაცვლად, რომ და სხვ.).

3. უარყოფის გამოხატვა ქართული ენის დიალექტებში

ქართული დიალექტური კორპუსი (“საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი”) შესაძლებლობას გვაძლევს საკმაო სისრულით გამოვყოთ უარყოფის გამოხატვის საშუალებები ქართული ენის დიალექტებში და დავადგინოთ მსგავსება-განსხვავებები სალიტერატურო ქართულთან შედარებით.

3.1. სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად არის ხაზგასმული, რომ უარყოფის “სისტემა დიალექტებშიც უცვლელად მოქმედებს, რაც საერთო ქართული მნიაცემია და მას სისტემური ცვლილება არც დიალექტებში არ ახასიათებს” (გ. გოგოლაშვილი და სხვ., გვ. 192). სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ კილოებში უარყოფითი სიტყვები უფრო მრავალფეროვანია და გამოირჩევა ნაწილაკების სიმრავლით: უარყოფით სიტყვებს ემატება **-ლ**, **-ლა**, **-ლა+რა**, **-ცა+ლა**, **-მცა**, **-უე**, **-ო**, **-თქო/-თქვა**, **-ძეთქი(ნ)**.

-ლ/ლა(რ/ნ+ა): არლ (არლა, არლარ, არლარა), არალა, არაფერილა, ალარალა, ვერლა, ვერლან, ნულ (ნულა); **-მც(ა):** არამცა და არამც/არამცდაარამც/არამცე დ არამც, ალარამც, ნუმც(ა), ნურამც, ნულამც; **-უე:** არცრასაყე, ნურცრასაყე... **-ც** ემატება უარყოფითი სიტყვების პირველ კომპონენტსაც: ალარცარა, ალარცრა, ალარცრაი, ალარცრაივ, ალარცნ, ვეღარცარა, ალარცალა (ალარცლა). მაგალითად, **თუშურში** გვხვდება უარყოფითი ნაწილაკები: **არლ**, **არლადა**, **ნულ(ა)**.

ნულ გამოყენებულია თუშურ ტექსტებში: მემცვევარევ, **ნულ** დამიმალავ, შენი ცხვრის გამრავლებას! (ქდკ)³; **ნულ** დამიციწვებთ, სწორებო, თქვენთანით გამორჩეულისა (ქდკ); **ნულა — ზემო იმერულში**, რაჭულში, კახურში, სამცხეურ-ჯავახურში, იმერხეულში: შიმშილობად **ნულა** მეტყვი, **ნულა** მეტყვი, შვილო, იგეთი შიმშილობა იყო (კახური, ქდკ).

არლ+რა ინგილოურსა და იმერხეულში: **სხუა არლარა** ვიცით (ინგილოური, ქდკ); იმა დერდი **არლარა** (შავშურ-იმერხეული, ქდკ).

² უარყოფას გამოხატავს ზოგიერთი თანდებულიც (ვარუშე, ვარდა და სხვ.), ზმნის ფორმები: გაუწყლოუება, გაუვნებლება და სხვ.

³ მაგალითები დამოწმებულია ქართული დიალექტური კორპუსის (ქდკ) მიხედვით.

აღარ+ც(ა)+და — ფერეიდნულში: ეხლაც **აღარცდა** გომოგდისლა — ერბო შატამოთ; ხო **აღარცადა** არა ჰქონდაყე რაძმა იყო იყო (ფერეიდნული, ქდე).

თუშურში, ფერეიდნულში, მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურში დადასტურდა **აღარცრა** და მისი ვარიანტები: **აღარცრა/აღარცრაივ, აღარცრაით, აღარცრაისად.** მაგ., კარგად მოიღეს, იმისეუ ღახატული **აღარცრა** აღარ არიო (ფერეიდნული, ქდე); **აღარცრაივ,** არა (თუშური, ქდე); **აღარცრაით** არ გეშველება, არას მასწავლია? (მთიულურ-გუდამაყრული, ქდე); ჩემ ნაუბარი, შვილო, **აღარცრაისად** არ არი გამოსაღევი (ფშაური, ქდე).

-ძცა ნაწილაკიანი გაორმაგებული ფორმა გამოყენებულია ქართლურში, გაგანურსა და რაჭულში: **არამცა** და **არამცაო** ხელი არ ახლოო; **არაცა** და **არამცაო** „გაგიმარჯოს“ არ უთხრაო (ქართლური, ქდე); **არამცდაარამც** უჩემოთ ერთ კაც ხმა არ გასცეთო! (ჭავახური); ქს ერთი კლიტე, **არამცდაარამც** ის ოთახი არ გააღოო! (რაჭული). თუშურში გვხვდება შემდევი ფორმითაც: **არამცე** და **არამც** (ქდე).

ნუმც(ა), ნულამც გამოიყენება ხევსურულში, თუშურში, მთიულურ-გუდამაყრულსა და ფშაურში, ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაში: **ნურამც** გაღამავდებო უშვილმამავლათაო და უსამოძიროთაო (ქდე).

3.2. ჩამოვთვლით **უარყოფითი ნაცალსახელების** განსხვავებულ ფორმებს დიალექტებში: არაი/არა, არავი, არამინ, არაფერივ, არასფელი/არაფერი, აფერი, არ(ა)კაცი; ვერავინა, ვერმინ, ვერავი, ვერა, ვერასფელი/ვერაფერი, ვეფერი, ვერ(ა)კაცი (ვერიკაცი); ნურმინ, ნურანაი, ნურაფელი, ნუფერი; აღარვინ(ა), აღარ(ა)მინ, აღარაფელი; არცინ/არცმინ, არაიც, არცარა, არაფელიც, არასფელიც, აღარაც/საღარაიც, აღარაფელიც, აღარცარაივ, აღარცა, აღარცინ, აღარცრა, აღარცრაი; ვერცარა, ვერცინ, ვერცეთმა, ვერცრაი; არაფერილა, არაფერლა, არამინლა, ნუსაღა...

3.3. **უარყოფითი ზმინზედები:** არსათ/არცად, არასადა, არასი, არასიდა, არასითა, არარდეს/არადეს, არაროდის; ვერცად, ვერასიდ, ვერასის, ვერასიდითა, ვერსიდან, ვეროდის, აღარსა, აღარსაით, აღარსიდან, აღაროდის, აღარარდის, აღარასიდ, აღარცად, არცროდის, არცროდის/არცაროდის და სხვ.

3.4. ფონეტიკური ცვლილებები უარყოფით სიტყვებში

უარყოფის გამომხატველ ლექსიკურ ერთეულთა დიდი ნაწილი დიალექტებში **ფონეტიკურად** არის სახეცვლილი:

3.4.1. **ჩანაცვლებულია** ბგერები: **ვ/მ: აღარმინ:** იმაშინლა ხალლი რო გახალვათდებისრა, სულა გავა **აღარმინ** არ იქნებისლა (ფერეიდნული, ქდე).

ხდება **თ+ს** აფრიკატიზაცია (მიცემითი ბრუნვის ნიშანთან): **არცერც** არ ახურიენ ქუდი თავზებ (ქვემო იმერული, ქდე).

3.4.2. **ჩამატებულია -ს** ბგერა (გურულში, იმერულში, ქართლურში, სამცხეურ-ჭავახურში): **არასფერი, ვერასფერი:** ამოდის გაზაფხულზე, **არასფერი** იმას არ ჭამს (გურული, ქდე); **არასფერი** იმას არ ებადა (ქართლური, ქდე); ზევით შეიხედა, **არასფერი** აკოშკა არ სჩას (სამცხეურ-ჭავახური, ქდე); **თითვან ყველა** დედინაცვალს თავისი შვილი სახში და **არასფერის**

არ აკეთებიებდა (იმერული, ქდკ); **გერასფერი** გააგებინა, მეორე გამოაგზავნა (სამცხურ-ჯავახური, ქდკ).

3.4.3. დაკარგულია ფუძისეული თანხმოვანი: **ვერცეთ, არცეთი;** **არაოდეს, არსა, ნუსა.** იყარება სონორი — რ აჭარულში, ზემომაჭახლურში, ზემოიმერულში, გურულში: **არცეთი** არ ჭამებ (აჭარული, ქდკ); არ აქვე დანა **არცეთს** (ზემო იმერული, ქდკ); **ვერცეთ** თავრობას ვერ შევგუა (ქვემო გურული, ქდკ); **ვერცეთ** მოსახლისას ვერ იშვეს — აღი (აჭარული, ქდკ).

3.4.4. დისიმილირებულია რ- იმერულში, გურულსა და აჭარულში: **გერაფელი, ველარაფელი, ნურაფელი:** კატა იტრიიალა და **გერაფელი** ვერ თქვა (აჭარული, ქდკ); გაჩურდა ბატონი, **ველარაფელი** ველარ თქვა (შუაიმერული, ქდკ); ჩემ ცოლ-შვილს **ნურაფელს** უზამთო (ზემო იმერული, ქდკ).

3.4.5. ამოვარდნილია -რა მარცვალი: **აფერი, ვეფერი** (აჭარულში, გურულსა და ქვემო იმერულში): **აფერი:** დანარჩენი შენ სულ **აფერი** სთქუა (აჭარული, ქდკ); ნუ ვეშინია, მა— **აფერი** არ აღიო (აჭარული, ქდკ); ერთი ლამათვრეთ, მეტი **აფერი** მინდა (ქვემო იმერული) (ქდკ); მისი ხელით **ვეფერს** ვერ გააკეთებდა (აჭარული, ქდკ); **ვეფერი** ვერ წაართუმს ჭუჭულს (აჭარული, ქდკ).

3.4.6. უარყოფით ნაცვალსახელთა განსხვავებული მოდელი — **არ(ა)/ვერ(ა) + კაცი** — დასტურდება გურულში, აჭარულში, ქვემოიმერულში, რაჭულსა და იმერხეულში: **არკაცი, არაკაცი, ვერკაცი, ვერაკაცი,** **ვერიკაცი** (მათი მნიშვნელობაა **არაგინი, ვერაგინი**), არ გვხვდება არსებითი სახელის ფუნქციით (როგორც **არაადამიანი**). მაგალითები: არკაცი (გურულში, აჭარულში, ფერეიდნულში): ამ დღეს უქმობდენ: **არკაცი** არ მუშაობდა (გურული, ქდკ); **არკაციზა** აფერი არ უქნია (გურული, ქდკ); მეო ნამარდი არ მინახო, რო **არკაცი** იყოს (ფერეიდნული, ქდკ).

არაკაცი (იმერულში, რაჭულში, გურულში, აჭარულში — მუპაჭირულში, იმერხეულში)⁴: უნცროსისაში ბალახია, **არაკაცი** არ მარგლის (ქვემო იმერული, ქდკ); **არაკაცი** არ მივდობდა (მუპაჭირული, ქდკ); იმ სემთიღან **არაკაცის** გასაგალი არ იყო, დიდი წყალი მიღიღდა — ჭოროლი (იმერხეული, ქდკ).

ვერკაცი — გურულ ტექსტში: კარს გარდამიღან ვერ გააღებდა **ვერკაცი** (ქდკ); **ვერკაცი** — აჭარულში: აქ ღამეს **ვერიკაცი** ვერ გავათევიეცსო (ქდკ).

ვერაკაცი — იმერულ, გურულ და აჭარულ ტექსტებში: მის უკეთეს ვერ ნახავდა **ვერაკაცი** (ქვემო იმერული, ქდკ); ვერ იფიქრეფს **ვერაკაცო**, რომ იქნებია ფილარიო (გურული, ქდკ); **ვერაკაცმა** ვერ უთხრა კაი ტყული ძეფეს (ქვემო იმერული, ქდკ); **ვერაკაცმა** ვერ ნახა, ჯერი მიღვა იმ ზარბაც ფათერზე (აჭარული, ქდკ).

3.4.7. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია კატეგორიული უარყოფითი შინარსის განსხვავებული ფორმების (**აბა, ბააბა**) შესახებ იმერულსა და რაჭულში ძახილის წინადაღებაში (იხ. გ. გოგოლაშვილი და სხვ. 2016, 192). ქლკ-ის მიხედვით ზემომერულ ტექსტებში გამოყენებულია **ბაბა:**

4. რამდენიმე მაგალითში **არაკაცი** ანთროპონიმია

სამი ტონა, **მაპა!** ვინძახა შრომელი ხართ, ყველას გიცნოფთ; ჯერ იხადილებდენ, **მაპა!** თოფით ქვე ვკლუმდი ხომე ხანდიხან, **მაპა!** (ზემოიმერული, ქდკ).

აბა არა გვხვდება სამცხეურ-ჯავახურსა და შავშურ-იმერხეულში: გახსონს? — **აბა არა!** (სამცხეურ-ჯავახური, ქდკ); იცნოფს, **აბა არა!** რაზე ვერ-ნა იცნას? (შავშურ-იმერხეული, ქდკ); გორჯოლოს გავაკეთებთ, **აბა არა!** (შავშურ-იმერხეული, ქდკ).

3.4.8. იმერხეულში, ზემოაჭარულში, ჯავახურსა და ინგილოურში გამოიყენება ნაცესხები უარყოფითი სიტყვა **ჰერ** (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 360; გ. გოგოლაშვილი და სხვ. 2016, გვ. 210), ნაწილაკის, ზმინიხედის ან ნაცვალსახელის ფუნქციით: **სრულებით, სავსებით, აბსოლუტურად; სულ არ, სრულიად არ, სავსებით არ** (ქდკ, შ. ფუტკარაძე); **არ ისხემდა ჰერ** (ზემოაჭარული, ქდკ); **არაფერი, არავითარი** (იხ. ქდკ, რ. ლამბაშიძე); **ზმავ ჰყავს ახირ, იმასთან ჰერ არ იღავარიკა; ჰერ რამ არ უთხრა; ჰერ არ დამინახი (ინგილოური, ქდკ); შეაბეჭ ხარი, **ჰერ ძრა ვერ უყვეს; ჰერ ვერ გიცანი** (ჯავახური, ქდკ); **ამფრათ ჰერ იქნება, სულ დიგვიბიწყე!** ალიას **ჰერ** აღარ აძრეს ძროხებ (ზემოაჭარული, ქდკ).**

4. პოლინეგატიურობის შესახებ ქართულში

წინადაღებაში უარყოფის საშუალებათა რაოდენობის მიხედვით არსებობს **პონო-** და **პოლინეგატიური** ენები. თანამედროვე ქართულ ენაში ერთდღრულად შეიძლება გამოიყენებოდეს ორი (ან მეტი) უარყოფა, მაგრამ მას შუალედური ადგილი უკავია ამ ორი ტიპის ენათა შორის. ქართული ენაში ისტორიულად შეიცვალა უარყოფის გამოხატვის სისტემა: მონონეგატიურობა თანდათან პოლინეგატიურობამ ჩაანაცვლა. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ძველი ქართული ენისთვის (ასევე მეგრულ-ჭანურისა და სვანურისთვის) ორმაგი უარყოფა უცხოა (იხ. ვ. თოფურია, 2002, გვ. 323). ასეთი ფორმები X-XI საუკუნეებშიც ქველი ქართული ენის ორიგინალურ თუ ბერძნულიდან ნათარგმნ ტექსტებშიც არ გამოიყენებოდა. ორმაგი უარყოფის ერთადერთი მაგალითი მოჰყავს ვ. თოფურიას **ადიშის** ოთხთავიდან (და არა ვინ არღარა იკადრა კითხვად მისამ, მარკ. 12, 34), თუმცა ამასაც შემთხვევითობას მიაწერს (იხ. ვ. თოფურია, 2002, გვ. 314-321). მეცნიერის აზრით, ორმაგი უარყოფა ქართული ენის კილოებში უფრო ადრე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, საიდანაც საშუალი ქართულის ძეგლებში შეაღწია. ვეფხისტყაოსანში უკვე თანაარსებობს როგორც ერთმაგი, ისე ორმაგი უარყოფა (იხ. ვ. თოფურია, 2002, გვ. 321-322): **ჩემსა ნუგინ ნუ დაპმალავთ** საჭურჭლესა დადებულსამ (რუსთ. 54,4), თვესა ერთსა სულიერი კაცი **არსად არ ენახა** (რუსთ. 195,3), **გერასათვის გერ** გიმბრობ, რაცა გინდა, ისა ქმენოდ (რუსთ., 237,4) და სხვ.

ასე რომ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა შესაძლებელია მივაკუთვნოთ **ნეგაციის** გამოხატვის შერეულ ტიპს, რადგან პარალელურად გამოიყენება როგორც **მონონეგატიური**, ისე **პოლინეგატიური** (ძირითადად, ორმაგი) ფორმები⁵. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ორმაგ უარყოფას

⁵. პოლინეგატიური ფორმების შესახებ ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში მსჯელობა გვექნება სხვა სტატიაში.

გრამატიკული დატვირთვა ენიჭება და სავალდებულოა (ზ. ჭუმბურიძე, 1970, გვ. 41-46; გ. შალამბერიძე, 1980; ქსც, 2002; ა. არაბული, 2004, გვ. 177-178; რ. ზექალაშვილი, 2004, გვ. 122-125; ლ. გეგუჩაძე, 2007, გვ. 32-40).

5. როგორც ვხედავთ, უარყოფის **ფუნქციურ-სემანტიკური მიკროველი** არ განსხვავდება ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში. ორივეგან გამოიყოფა **ბირთვი** (პრედიკატიული უარყოფის საშუალებები) და **საში დონე**: ლექსიკური, დერივაციული და სინტაქსური. უარყოფის გამოხატვის სისტემა ერთიანი და მსგავსია სალიტერატურო ენასა და დიალექტებში, ძირითად საშუალებათა ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები არ განსხვავდება. დიალექტებში სხვაობას ქმნის მხოლოდ ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტები (არაფელი, ვერაფელი, აფერი, ვეფერი, არცერცი, არცროის), ნაწილაკთა სიმრავლე და ზოგიერთი ნაცვალსახელის განსხვავებული წარმოების მოდელი (არა/ვერა+კაცი).

დამოწმებული ლიტერატურა

ა. არაბული, 2004 — ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

ლ. გეგუჩაძე, 2007 — ლ. გეგუჩაძე, ერთმაგი უარყოფის მცდარ ფორმათა შესახებ თანამედროვე ქართულში: კრებ. ქართული სალიტერატურო ენის საკითხები: ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, პირველი კრებული, თბ., 2007, გვ. 32-40.

გ. გოგოლაშვილი და სხვ. 2016 — გ. გოგოლაშვილი, ნ. შარაშენიძე, გ. ცოცანიძე, ნ. ჭუმბურიძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, II. დიალექტები (გ. გოგოლაშვილის რედაქციით), თბ., 2016.

რ. ზექალაშვილი, 2004 — რ. ზექალაშვილი, ქართული მართლწერის საკითხები, თბ., უნივერსალი, 2004.

გ. თოფურია, 1923-1924 — გ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწლეული, I-II, 1923-1924, გვ. 74-116.

გ. თოფურია, 2002 — გ. თოფურია, შრომები, ტ. II, თბ., განათლება, 2002, გვ. 304-330.

ქსც, 2002 — ჟურნალისტის სტილისტიკური ცნობარი (სარედ. კოლ.: შუქია აფრიდონიძე და სხვ.), — თბ., ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი, 2002.

რ. ქურდაძე და სხვ., 2016ა — რ. ქურდაძე, ღ. თვალთვაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. ზექალაშვილი, უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში: ჟურნ. “ქართველოლოგი”, 2016, 25 (10), გვ. 71-115.

რ. ქურდაძე და სხვ., 2016ბ — რ. ქურდაძე, ღ. თვალთვაძე, მ. ლომია, ქ. მარგიანი-სუბარი, რ. ზექალაშვილი, ს. ომიაძე, ნაწილაკებითა და აფიქსებით ნაწარმოებ უარყოფით ფორმათა სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენებში: VII საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმი, მასალები, თბ., 2016, გვ. 118-121.

- გ. შალამბერიძე, 1980** — გ. შალამბერიძე, ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბ., თსუ გამომცემლობა, 1980.
- ა. შანიძე, 1973** — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., თსუ გამომცემლობა, 1973.
- ზ. ჭუმბურიძე, 1970** — ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებები: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970, №2, გვ. 41-46.
- ბ. ჯორბენაძე, 1984** — ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისთვის ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. 6, თბ., მეცნიერება, 1984. — გვ. 136-166.
- ბ. ჯორბენაძე, 1989** — ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., მეცნიერება, 1989.

წერილები

- შოთა რუსთაველი, 1957** — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (რედ. ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე), თბ., 1957.

კლკ — ქართული დიალექტური კორპუსი: <http://www.corpora.co/#/>

RUSUDAN ZEKALASHVILI, MARIAM ABESADZE

THE FUNCTIONAL-SEMANTIC MICROFIELD OF NEGATION IN THE GEORGIAN LITERARY LANGUAGE AND DIALECTS

Negation is studied within many scientific fields: logics, philosophy, communication theory, linguistics and others. The functional-semantic category of negation is fundamental, complex and multiaspectual; it is found in every language and occurs on all of their levels.

In the Georgian literary language negation can be expressed **explicitly** (by the lingual signs) and **implicitly** (covertly, solely semantically or situationally). The **functional-semantic microfield of negation** is a part of the **macrofield of affirmation and negation**. This microfield envelopes the following levels: morphological, lexical, derivative and syntactic.

The **core of the microfield** contains the **predicative** or **general** tools of expressing negation: *ar* ‘no’, *aāar* ‘no more’, *arts* ‘neither’; *nu* ‘no’ [in the meaning ‘do not’], *nuāar* ‘not any more’, *nurts* ‘not either’; *ver* ‘no’ [in the meaning ‘cannot more’], *veāar*, *verts* ‘not either’. The particle *ver* adds some modal nuance of impossibility.

The following lexical means can be pointed out on the first level of the field: **negative pronouns** and **adverbs**, expressing **proper** negation (negation of a person, thing, attribute, feature, place, time or situation).

On the **second level** we place negation expressed through **derivation**: derivation by means of particles *ar* ‘not’, *ver* ‘not’ [in the meaning ‘cannot’, ‘it is

impossible'] occurring in the nouns/adjectives and adverbs, and there we place the reversal forms of the participles on this level too.

Syntactic negation is placed in the **peripheral part**, farthest from the core. This type of negation is expressed by the special syntactic constructions.

The negation system in Georgian is the same for the literary language and for the dialects, the differences evidenced only in the phonetic variations of the certain lexical units (*arafeli, verafeli, aferi, veferi, artseri, artsrois...*), in multiplicity of the particles in the dialects and some pronouns with different manner of derivation: *arak'atsi* ‘nobody’, *verak'atsi* ‘nobody, neither’ and loan word *heè* ...

The Georgian language and its dialects belong to the **mixed type of negation** considering the fact that it is possible to use **mononegative** and **polynegative** (mainly in the **doubled** negation) types in parallel.

ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

მარიკა თედორაძე

მეზრულის საპიტაი გაზეთ "დროების" ფურცლებე

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთმა მიზნად დაისახა, საქართველოს ტერიტორიის ნაწილებად დაშლასთან ერთად, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება, ამიტომ იერიში ქართველთა ენობრივ ერთიანობაზე მიიტანა. ყურადღება განსაკუთრებით გადატანილ იქნა მისთვის სტრატეგიულ სამეგრელოსა და სვანეთზე. მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან სამეგრელოს საკითხი აქტუალური გახდა. ცარიზმის მოხელეების მიზანი იყო:

1. მეგრელების გაუცხოება დანარჩენი ქართველებისაგან;

2. მეგრული მეტყველების ენად გამოცხადება;

3. შესაბამისად, სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის გამოდევნა და მისი ჩანაცვლება მეგრული დიალექტით.

აღნიშნულ საკითხებს გამორჩეულ ყურადღებას უთმობდა იმდროინდელი ქართული პრესა: “ცისარი”, “საქართველოს მოამბე”, “ივერია”, “დროება”, “კვალი”, “ძოამბე”, “კავკაზი”, “ცნობის ფურცელი”, “ამირანი”, “ისარი”, “სახალხო ფურცელი”, “სახალხო საქმე”, “საქართველო”, “სინათლე”, “განათლება”, “კლდე”, “ერთობა” და სხვ. ამჯერად გაზეთ “დროებაში” მეგრულის შესახებ გაჩაღებულ დისკუსიას შევეხებით.

ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი “დროება” დაარსდა 1866 წლის 4 მარტს თბილისში. ის იყო პირველი ქართულენოვანი გაზეთი. 1866-1874 წლებში გამოდიოდა კვირაში სამჯერ, 1877 წლიდან - ყოველდღიურად. სულ გამოცემულია 2880 ნომერი. გაზეთმა უდიდესი როლი ითამაშა საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებასა და ქართველი ხალხის ინტელექტუალურ აღმავლობაში. იგი აშუქებდა XIX საუკუნის II ნახევარში ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ სხვადასხვა პრობლემას.

გაზეთში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, პეტრე მელიქიშვილი, პეტრე უშიმაშვილი, ივანე მაჩაბელი, კირილე ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვა. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ: გ. წერეთელი (1866-1869), ს. მესხი (1874-1883), კირილე ლორთქიფანიძე (1873-1874), ილია ჭავჭავაძე და სერგეი მესხი (1880-1882), ივანე მაჩაბელი (1883-1885). გამომცემლები: სტეფანე მელიქიშვილი (1866-1882), გიორგი ქართველიშვილი (1883 წლიდან).

გაზეთ “დროების” რედაქტორ-გამომცემლები ფართოდ აშუქებდნენ შინაური და საგარეო პოლიტიკის მწვავე საკითხებს. მთავრობა უკიდურესი ეჭვითა და უნდობლობით ეკიდებოდა გაზეთს, მკითხველი კი მოითხოვდა არა მიკიბულ-მოკიბულ, ქარაგმულ სიტყვას, არამედ პირდაპირ, მამხილებელ და მომწოდებლურ გამოსვლებს. ცენზურა ავალებდა რედაქციას, მხოლოდ ნებადართული წყაროებით ესარგებლა, ამიტომ ხშირად საყვედურობდა, რომ

რედაქტია არა მარტო ნებადართული წყაროებით, არამედ საკუთარ აზრებსაც ბეჭდავდა. მაგალითად, გ. წერეთელი ატყობინებს კ. ლორთქითანიძეს: “ძალიან გეხვეწები წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბევ ყაიზმათოვის თვალებს არ შეეჩეხს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატის ძალა დაეკარგება” (ქართული ჟურნალისტის ისტორიიდან, ტ. 5, 1987, გვ. 101).

მიუხედავად ცენზურის სიმკაცრისა, ქართული ენისა და კულტურის ქომაგები მაინც აგებინებდნენ ქვეყანას იმ უსამართლობას, რასაც ადგილი ჰქონდა მაშინ ქართული ენის მიმართ და მთავრობას მტკიცედ უყენებდნენ მოთხოვნებს მშობლიური ენისა და კულტურის დასაცავად. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან პროტესტს წარმოადგენს 1880 წლის “ღროებაში” (№254) სერგეი მესხის მიერ გამოქვეყნებული “ლია წერილი იანოვსკისადმი”, სადაც ავტორი ვრცლად აღნიშნავს, თუ რა დიდი იმედი ჰქონდა ქართველ მოწინავე ინტელიგენციას იანოვსკისა, რომ ის მოუდგომელი და სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ სინამდვილეში ქართული ენის მტერი გახდა და იგი საცემით განდევნა სკოლებიდან. გარდა ამისა, ქართველებს რუსული ენისადმი წინააღმდეგობა დასწავა.

რადიკალური მიმართულებისა და საცენზურო წესდების დარღვევის გამო, ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით “ღროება“ დაიხურა 1885 წლის 16 სექტემბერს. მისი რედაქტორი ამ დროს იყო ივანე მაჩაბელი, რომელიც არ ეპუებოდა ცენზორთა გადაწყვეტილებებს.

მეგრულის, როგორც “ენის”, შესახებ საუბარი იწყება “ღროების“ 1878 წლის №3 ნომერში, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ალ. ცაგარელის მიერ მეგრული “ენის“ გრამატიკისა და ლექსიკონის შექმნაზე. ღროების რედაქტორები გვამცნობენ, რომ ალ. ცაგარელს ფართო საზოგადოებაში უთქვამს რამდენიმე სიტყვა მეგრული “ენის“ შესახებ. თვითონვე წასულა სამეგრელოში, ჩაუწერია ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები იმ მიზნით, რომ მეგრული გამოეცხადებინა ცალკე ენად: “კავკასიაში 20-ზე მეტი მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობს, ამ ოც ენაში მეცნიერებს მხოლოდ რვა ენა გამოუკვლევიათ, მათ შორის აფხაზური და ზოგიერთი ენები დაღესტნის ლექციისა. მეგრული ენა კი თითქმის სრულიად არ არის გამოკვლეული“.

მოგზაურობის დროს ბატონ ცაგარელს მოუგროვებია მეგრული სიმღერები, შაირები, ზღაპრები და გამოუტანია დასკვნა “მეგრული ენა უყრთასმენისათვის იხეთი საამო გასაგონი არისო, როგორც იტალიურია; ეს ენა დაახლოებულია ქართულს ენაზედაო; მაგრამ ქართულს ენაზედ უფრო ახლოს ის ლაზების ენას გავსო“ (გაზ. “ღროება“, 1878, № 3: 2).

ამავე გაზეთის 1884 წლის №201-ში დაბეჭდილია კიდევ ერთი ქრონიკა, რომელიც ამტკიცებს ალ. ცაგარელის მიერ მეგრული “ენის“ სახელმძღვანელოს შექმნას: “დაბა სონიდამ გვატყობინებენ შემდეგ ამბავს: აქაურ სამასწავლებლო სემინარიაში სწავლობს ერთი მეგრელი ასალგაზრდა, რომელიც ამტკიცებს რომ მეგრული ენა დამოუკიდებელია და ქართულზე ძველი ენა არისო. ამის გამო

მეგრულ ენას უპირატესობა უნდა ჰქონდეს, ვიდრე ქართულსაო
(გაზ. "დროება", 1884, №201 : 1).

"დროების" რედაქციას დაუჭერებლადაც მიაჩნია ეს ფაქტი, ამიტომ 1885 წლის №49 ნომერში გამოაქვეყნეს საპასუხო წერილი სათაურით "**მეგრელებისთვის ძალად "მზრუნველი"**". რედაქტორი გაკვირვებულია ბ-ნი რაღეს მეცნიერული დასკვნით, რომელსაც ერთ-ერთ "ნემეცურ" უურნალში გამოუქვეყნებია, ხევსურები სხვა ხალხია და ქართველები სხვაა და ამ ორ ხალხს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთო. თუმცა მის ამ შეცდომას იმით ამართლებს, რომ რაღე, უცხო ქვეყნები მხოლოდ ზოგადად იცნობს ჩვენს ხალხს. გასაკვირი ის უფროა, რომ ჩვენივე ქვეყნის შვილი, იგულისხმება ალ. ცაგარელი, "თავის უმეცრობით დოქტორობის დიპლომს სწირავს ჩვენი ხალხის სხვადასხვა ნაწილების ერთობას". მართალია, "დროების" რედაქტორი თავის თავს ლინგვისტიად არ გვისახავს, მაგრამ უბრალო ფაქტებით ასკვნის: "მეგრული ენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს საფეხურს ქართულის ენის შესწავლისათვის, მეგრელები ორსა და სამს თვეზედ სწავლობენ ჩინებულს ქართულს და ეს ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ამ ორ ენას შორის რომ სრული "მამულიშვილური" კავშირი არ არსებობდეს.... ქართული ენა ყოველთვის შეადგენდა და შეადგენს მეგრელებისთვის სანატრელ შესათვისებელ საგანს და ყოველ მეგრელს თავი მოაქვს, როცა ქართული კარგად ესმის, ეს უკანასკნელი მეგრელებისთვის სადარბაზო ენაა; იგი იხმარებოდა და იხმარება სამეგრელოში ერთმანეთს შორის მიწერ-მოწერის დროს და მთელი საქმისწარმოება ამ ქვეყანაში, როდესაც მას ავტონომიური უფლება ქონდა, ქართულ ენაზე იყო" (გაზ. "დროება", 1885, №49 : 1).

რედაქტორი "ცრუ მეცნიერებაღ" მოიხსენიებს ალ. ცაგარელის მსგავს მეცნიერებს და წერს: "თითქმის დღითიდლე უკან და უკან იწევს ის სამზღვარი, რომელიც ამ ორ ენას ერთმანეთთან ჰყოფდა, თუმცა კი გონიერადგიძებული საზოგადოებისთვის ეს სამზღვარი თავის დღეში არ არსებულა. მთელი სენაკის მაზრა ეხლა კარგად ლაპარაკობს ქართულს და ეს შეეხება არა მარტო თავდაზნაურობას, რომლისთვისაც ქართული ყოველთვის დედა-ენას შეადგენდა, არამედ გლეხობასაც" (იქვე).

გაზეთ "დროებაში" ("შემდეგ გაზეთ "ივერიაში") "**მეგრელის**" ფსევდონიმით საპასუხო წერილებს ბეჭდავდა, აგრეთვე, თავადი **ნიკოლოზ დადიანი**. ის ეწინააღმდეგებოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც მეგრულს ცალკე ენად განიხილავდნენ. მან "დროების" 1885 წლის №53 ნომერში გმირაქვეყნა წერილი სახელწოდებით "**კიდევ მეგრული ენის თაობაზე**", საღაც ხაზს უსვამს ქართული ენის ერთიანობას, ხოლო მეგრულს ამ ერთიანობის შემადგენელ ნაწილად თვლის: "მეგრული ენა რომ ქართული ენის ლვიძლი შვილია, ამაში შემოიტანს ეჭვს მხოლოდ ის, ვისაც მეგრული ისე გაეგება, როგორც ბ. რადეს ხევსურული. მეგრელები და ჭანელები ლვიძლი, ნამდვილი შვილი არიან ქართველის ერისა. მაშასადამე, შეიძლება რომ შვილმა მამის ენა არ იცოდეს? რომელ ფილოსოფოსს მოუვიდა თავში მეგრულისა და ქართულის ერთმანეთისგან დაშორება? ჩვენ მეგრელები ნამდვილი შვილი ვართ ქართველის

ერისა და ჩვენი დედა-ენა ქართულია. სამეგრელოს ცხოვრება, გონიერობის განვითარება ქართულს ენაზე და მის მწერლობაზე იყო დამჟარებული და ეხლაც არის. მეგრულს ენას თავისი არც ანბანი აქვს და რასაკვირველია, არც ლიტერატურა. იმას არც სხვა ენის ანბანი მიუდგება გარდა ქართულისა...“ (გაზ. „დროება“, 1885, №53 : 1).

აქვე **ნიკო დადიანი** მსჯელობს გერმანული ენისა და დიალექტების მიმართებაზე, რითაც პარალელს ავლებს ქართულ ენობრივ ვითარებასთან: “ნემეცურ ენას თორმეტი თუ ცამეტი სხვადასხვა განცოფილება აქვს, შვაბელი და პრუსიელი ნემეცები რომ ერთმანეთს შეხვდებიან, თუ თავიანთ კილოზე ღაიწყეს ლაპარაკი, ერთმანეთისას ვერას გაიგებენ. გერმანის ერთ მხარეზე ლაპარაკობენ ერთნაირი ნემეცურის ენით, რომელიც ჰქვიან პლატ-დოიჩ, მეორე მხარეზე ხმარობენ იმავე ნემეცურ ენას, რომელსაც ჰოხ-დოიჩს უწოდებენ. მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ნამდვილ ქართულსა და მეგრულს შორის, მაგრამ ვინ იტყვის, რომ შვაბელები ნემეცები არ არიანო? ვინ იტყვის რომ ლესინგი, შილერი, გოეთე მთელის გერმანიისთვის საამაყო შვილნი არ იყვნენ? რომელი შვაბელი იტყვის ფაუსტის ენა ჩემი ღვიძლი დედა-ენა არ არისო?“ (გაზ. „დროება“, 1885, №53 : 2).

მეგრულის, როგორც ქართული ენის დიალექტის, სამტკიცებლად ფრანგულის ვითარებასაც მოიხმობს: ნაკლები განსხვავება არ არის ფრანციზულ ენაშიაც, პროვანსილური ლაპარაკი შამბანის მცხოვრებს თითქმის არ ესმის, მაგრამ არავის აზრად არ მოუვა პროვანსული ისეთ ენად აღიაროს, რომლისთვისაც ნამდვილი ფრანცუზული უცხო, გარეშე იყოს. ეგეთსავე მოვლენას ვხედავთ სომხურ ენაში: ზოკური ენა არ ესმით ყარაბაღელებს, მაგრამ სალიტერატურო ენა ერთი და იგივეა“ (იქვე).

როგორც შე-19 საუკუნის 90-იანი წლების პრესში გამართული დისკუსიებიდან ჩანს, ქართველი მეცნიერები, მწერლები მეგრულს და მოუკიდებელ ენად არ განიხილავდნენ და როცა კი ამის შესახებ დაიწყებოდა კამათი, ქართულის, როგორც ერთადერთი სალიტერატურო და უძველესი დამწერლობის მქონე საერთო სახელმწიფო ენის, უბირატესობას წარმოაჩენდნენ. ქართული ენა, მათი აზრით, ისეთივე მშობლიურია მეგრელისთვის, როგორც იმერელისთვის, კახელისთვის, გურულისთვის, ნებისმიერი კუთხის ქართველისთვის.

ქართული ენა რომ ერთიანი ქართველი ერის მეობის, ეროვნების განმსაზღვრელია, ამაზე ხაზგასმით მინიშნებს ნ. დაღიანი: “**მეგრელი, იმერელი, გურული, კახელი, ხევსური, ქობულეთელი** თუ აჭარელი - უველანი ერთსა და იმავე ქართველ ერს შეადგენენ, მათი შემაერთებელი კავშირი არათუ მარტო ქართული ენაა, არამედ მთელი ცხრამეტი საუკუნის ისტორია, ჩვეულებანი, ხასიათი და სხვა. მართალია, უკულმართ დროთა ბრუნვას პოლიტიკურად სანდახან ერთმანეთს დავუშორებივართ, მაგრამ ეს ამბავი უვალ ქვეუანაში მომხდარა. საფრანგეთში, გერმანიაში და იტალიაში ენის ერთობა, ზნეობრივი კავშირი და ეროვნული დამოუკიდებლობა არასდროს არ მოსპობილა. ეხლა, დავთის მადლით როცა ჩვენ უველანი ფშავიც, ხევსურიც, მეგრელიც, კახელიც და ქობულეთელიც დიდებულის რუსეთის

მფარველობის ქვეშ შევეღით - ეხლა უფრო უნდა გაძლიერდეს ის გრძნობა, რომ ჩვენ ყველანი ერთ ერს შევაღენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი, ერთი და იგივე დანიშნულება. როგორც ხევსური, ისე მეგრელი ამაყობს საკუთარი წამებით საქართველოს ისტორიისა. დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი, ანტონ ჭყონდიდელი წმინდა სახელებია, როგორც გურულისა, ისე მეგრელისათვის, კახელისათვის და სხვა" (გაზ. „დროება“, 1885, №53 : 2).

წერილის ბოლოს **თავადი დადინი** ბოლიშს უხდის მკითველს, რომ ასეთ, თითქოს უბრალო, ყველასაგან კარგად შეგნებულ საკითხზე მოუხდა საუბარი, რადგან ახირებულმა მეცნიერმა „ზზრუნველებმა“ არ მოისვენეს: „ვაი, საბრალო ის მეცნიერება, რომელსაც სურს დაუმტკიცოს მეგრელებს, რომ თქვენი ქართული ენა თქვენი ენა არ არისო“ (იქვე).

ვნებათალელვამანც არ ცხრებოდა. გაზეთში ხშირად იქეჭდებოდა წერილები, რომლებშიც მეგრელებს დანარჩენი ქართველებისგან განსხვავებულ ეთნოსად ისტორიებდნენ. 1885 წლის №54 ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორია ვინმე „**ფოთი**“. წერილის ავტორი ცრუს უწოდებს იმას, ვინც ახსენა, რომ მეგრული და ქართული ცალ-ცალკე ენაა და მათ ერთმანეთთან საერთო არა აქვთ და ამ მოსაზრებას არამეცნიერულს უწოდებს, რადგან „მეცნიერება სიცრუს მეგრობრულად ხელს ვერ გაუწვდის“: „ზაგალითად უკეთუ სიცრუს მოისურვებს და წამოარწყევს: მეგრელთ და ქართველთ (თუნდ მოსკოველთ და ხარკოველთ, ან კიეველთ და ავსტრიის რუსანელთ - სულ ერთია) ერთმანეთისა არაფერი ესმით, მათ არავითარი კავშირი არა აქვთ-რა: იგინი სხვადასხვა ხალხიაო“ (გაზ. „დროება“, 1885, №54 : 1). წერილის ავტორს მოაქვს უამრავი მაგალითი იმის დასადასტურებლად, რომ მეგრელთ და ქართველთ ერთი და იგივე ენა აქვთ და ნათლად უხსნის, თუ როგორ წარმოდგება ის მცირედი სხვაობა, რომელიც შეიძლება შეგვედეს ამათუ იმ სიტყვებში. თუ ეს სიტყვებიც არ აღმოჩნდება საქმარისი იმ „ცრუ“ მეცნიერებისათვის, ავტორი მზადაა, მთელი განმარტებითი ლექსიკონი დაიხმაროს და შეაღარის ქართული სიტყვები მეგრულთან. ამით კი დაუმტკიცებს მათ: „**ა) უმეტეს ნაწილად მეგრული და ქართული სიტყვები ერთი და იგივენი არიან; ბ) ერთობ მცირეა რიცხვი იმ სიტყვებისა, რომელიც ქართულში და მეგრულში პირველის შეხედვით არ ჰავანან ერთმანეთს;** გ) არარაობის სამზღვრამდე შემცირებულია რიცხვი იმ გვარ სიტყვათა, რომლებიც ლინგვისტური ჩაკვირვების შედეგაც ჯიშტად უარპიოვენ თავიანთ ერთგვარობას“ (იქვე).

მეგრულის კვალიფიკაციის საკითხზე თავიანთ შეხედულებას აფიქსირებდნენ არა მარტო ინტელიგენციის წარმომადგენლები, საზოგადო მოღვაწეები, არამედ უბრალო ადამიანებიც, მოქლედ, ყველა, ვისაც გული შესტკიოდა სამსჯელო საკითხზე. მეგრელთა საერთო სურვილის გამომხატველია დროების №64 ნომერში განთავსებული სტატია სათაურით „**ხმა ერისა ხმა ლვთისა**“, რომლის ავტორია ერთი მეგრელთაგანი - გ. ნ. ჩინჩალაძა, ახალი სენაკელი.

ამ წერილის ავტორი, კიდევ ერთხელ, თავისი არგუმენტებით ამტკიცებს ქართველთა ერთობას: “დაუუწინიათ ბატონო, ქართული ენა მეგრელებისათვის უცხო არისო! რაღა ამისთანა მიზეზების ძიება არის საჭირო; ნათქვაშია, დაუეფილს გატეხილი სჭობიაო... რათია უცხო ქართული მეგრელებისათვის? ყოველს კარგ სწავლულს კარგად მოქსენებათ, რომ მეგრელნი ქართლოსიანთ ჩამომავლობისა არიან, ამას გვიჩტკიცებს გარეგანი ცქვიტი მოძრაობა, გულის სიფიცხე, სახელები, გვარები და თვითონ ენაც. ყოველი მეგრელი, სკოლაშიდაც რო არ ისწავლოს, თითქმის ნახევარზე მეტს გაიგებს ქართულ ენას, აგრეთვე ქართულის მცოდნე გაიგებს მეგრულსა. **აბა, რათია უცხო ქართული მეგრელებისთვის?** თუმცა, განსხვავება კი აქვს, მართალია, ასე, რომ მეგრულს სიტყვას ზოგს თითო, ზოგს - ოროლი ასოები აკლდება და ზოგსაც ემატება, ეს არის ჩვენი სიჩქარე და ჩვენი ქართლოსიანობის დამატებიცებელი საბუთები” (გაზ. “დროება”, 1885, №64 : 1-2). მათ საპასუხოდ კი, ვინც გაუაზრებლად ასკვნის მეგრულის ცალკე ენად არსებობას, სთავაზობს რუსული ანბანით გამოხატულ მეგრულ ფიალექტურ და ქართული სალიტერატურო ენის ფორმებს, რომ უფრო თვალნათლივ დაინახონ, მეგრული უცხო არ არის, ის იგივე ქართული ენაა: “აგრეთვე თითქმის ყოველს მეგრულს სიტყვას თავს-ბოლოს დაჰყვება ქართული სიტყვის დასაწყისი და გასათავებელი ასოები. მაგალითად, როგორც არის ქართული ჩემი, მეგრულად - ჩემი. ასე რომ, ჩამოათვალიერონ ქართული და მეგრული და შეადარონ ერთი მეორეს, მაშინ უფრო დარწმუნდებიან, რომ ქართული სრულებით უცხო არა ყოფილა მეგრელებისათვის, ანდაზად იტყვიან: **მეგრული იციო და არა ბატონო.** ქართული ხომ იციო?

ქართული კი კარგადო, მაშ, ქართული გადასხვავგარე და მეგრული იქნებათ. თავად წერილის ავტორი კი გვარწმუნებს, “მეგრული არის შედგარი გადასხვაფერებულის ქართულისაგან და ამისთანა გადასხვაფერების შესწორების საჭიროება რომ არ ესმოდეს ვისმეს დიდი გაუგებრიობაა” (იქვე).

“დროების” ფურცლებზე გაჩაღებული მსჯელობა მეგრულის კვალიფიკაციის შესახებ არ ცხრებოდა, უფრო და უფრო აქტიურდებოდა. თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ერთმანეთის საპასუხო წერილები.

სტეფანე ძიმისტარაშვილი იყო სამეგრელოს მკვიდრი. გარკვეული დროის განმავლობაში ახალ სენაკში სკოლის მასწავლებლად მუშაობდა და აქტიურად თანამშრომლობდა გაზ. “დროებასთან”. სტატიებს აქვეყნებდა **“კორტონეას”** ფსევდონიმით. ის წინა ნომრის საპასუხოდ წერილს რედაქციისადმი: “დღემდის ჩვენ, ქართველებს სათაკილოდ მიგვაჩნია და ასე ვამბობდით: 2 და 2 რომ 4-ია, ამას რა დამტკიცება უნდაო”. თუმცა, №59 ნომერში დაბეჭდილმა სტატიამ აიძულა არა მარტო სიტყვები მოეტანა, არამედ მთელი წინადადებები, რომ დაემტკიცებინა მათი ერთობა: “მეგრელები კიდეც რომ ქართველები არ იყვნენ, როგორც ჰგონებიათ ზოგიერთ, მაშინაც დიდი უსამართლოება, შეცდომა იქნებოდა, რომ მეგრელებისათვის ქართული ენა არ ესწავლებინათ. აიღოთ თუნდ მარტო ეკონომიური მხარე, შეხედეთ მას გონების თვალით და მიხვალთ იმ დასკვნამდის, რომ ქართული ენა, ვიმეორებ, ჩვენი სამშობლო ენაც რომ არ იყოს, ჩვენთვის, მეგრელებისთვის, შეადგენს სულიერს

და ხორციელს საზრდოს. მართლა თუ არა ქართული ენის, სხვა რომელი ენის საშუალებით ვიქონიოთ მეგრულებმა აღებ-მიცემა იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ქართლ-კახეთში და ლეჩხუმში. ჩვენში ყოველთვის წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე ყოფილა და არის, აგრეთვე სასოფლო სასამართლოებში საქმის წარმოება ქართულს ენაზედვეა. ამიტომ ჩვენ, მეგრულებს გვაწუხებს ეს გარემოება, რუსული ენის სწავლება, როგორც პფიქრობენ, მეგრულის ენის საშუალებით შეუძლებელია.

მეგრული სიტყვები რუსულის ასოებით არ დაიწერება და თუ დავსწერთ, ამ რა გამოვა:

რუსული	რუსულად მეგრული	ნამდვილი მეგრული
Шапка	Куди	უიდ
Чума	Чири	ჭირი
Вода	Цкари	ჭყარი
Воронъ	Корани	ორანი
Брат	Джима	ჟიმა
Ястреб	Кири	ქირი (ქორი)
Катер	Джори	ჟორი
Уксус	Змари	ძმარი
Чабер	Кондари	ონდარი
Книга	Цигни	ჭივნი

Куди, Чири, Цкари... არ არიან მეგრული სიტყვები. ასე რომ, თუ მეგრული სიტყვები რუსულის ასოებით დაიწერა, მეგრული ენა დაიკარგება და გამოცხვება რაღაცა ახალი ენა, რომელსაც სხვა სახელი უნდა დავარქვათ (წერილი რედაქციისადმი) (გაზ. „დროება“, 1885, №67 : 2).

ცალკეულ წერილებში მოყვანილი იყო ათასობით მაგალითი ამ ორი „ენის“ ერთობის დასამტკიცებლად, მაგრამ „ცრუ მეცნიერთა“ ნაწილი მაინც არ ჩერდებოდა. დროების №79 ნომერის „შინაურ ქრონიკაში“ კვლავ იბეჭდვება, რომ უსახელო ავტორს შეუდგენია წერილი გავლენიანი პირისადმი და შიგ მოუყვანია ოცდაოთხი მეგრული სიტყვა, რომელიც საერთოდ არ ჰგავს ქართულს. თუმცა მას დავიწყინია, რომ „არათუ ქართულსა და მეგრულს სიტყვებს შორის შეიძლება იყოს განსხვავება, არამედ თვით ქართულშივე მოიძებნება ბევრი იმისთანა სიტყვები, რომელიც ერთსა და იმავე საგანს ნიშნავენ, თუმცა ერთმანეთს სრულებით არა ჰგვანან. მაგ. გოგრა და კვანი, ბუოლა და თუთა, კომში და ბია, დაცხვინკება და ცხვირის დაცემინება. ესე რომ ჩაგვეთ ერთ საათში მოვაგროვოთ ოცდაოთხზე მეტი სიტყვა და თუ უსახელო ავტორის „უსახელო“ ლოგიკით ვინელმდგანელებთ, ქართული ენა ორ სრულიად სხვადასხვა ენად უნდა გაიყოს“ (გაზ. „დროება“, 1885, №79 : 1).

განხილული მასალებიდან ჩანს, მეგრულის კვალიფიკაციის საკითხი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულენოვან პრესაში საკმაოდ აქტუალური იყო. ზოგი ამბობდა, რომ მეგრული დამოუკიდებელი ენაა და არაფერი აქვს საერთო ქართულთან. სამეგრელოს მკვიდრები კონკრეტული არგუმენტებით

ეწინააღმდეგებოდნენ ამ მოსაზრებას და ამტკიცებდნენ, რომ მეგრული ივივე ქართულია, ოლონდ შეცვლილი სახით. გაზეთ „დროების“ მესვეურნი: გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე, ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი სწორ პოზიციაზე იდგნენ და იცავდნენ ერთიანი საქართველოს იდეას, ისინი დაუფარავად გამოხატავდნენ თავიანთ აზრს და არ ებუებოდნენ ცენზურას.

ანალოგიური დისკუსია დღესაც მიმდინარეობს.

დამოწმებული ლიტერატურა

- თ. გვანცელაძე, 2006** - თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006.
- ესც ვითომ მეცნიერება!**, **1885** - გაზ. „დროება“, 163, 1885.
- კორტოხა, 1885** - კორტოხა წერილი რედაქციისადმი, გაზ. „დროება“, 167, 1885.
- მეგრელებისათვის ძალად „მზრუნველი“, 1885** - გაზ. „დროება“, 146, 1885.
- მეგრელი, 1885** – მეგრელი, კიდევ მეგრული ენის თაობაზე, წერილი რედაქციისადმი, გაზ. „დროება“, 153, 1885.
- ნოქალაქევი, 1885** - ნოქალაქევი, წერილი რედაქციისადმი, გაზ. „დროება“, 163, 1885.
- ნ. ტაბიძე, 1987** - ნ. ტაბიძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, თბ., ტ. 5, 1987
- ფოთი, 1885** – ფოთი, შენიშნვა, გაზ. „დროება“, 154, 1885.
- ტ. ფუტკარაძე, 2005** - ტ. ფუტკარაძე, ქართველები, ქუთაისი, 2005.
- ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტ. 2, თბ., 1952.**
- შინაური ქრონიკა, 1885** - გაზ. „დროება“, 179, 1885.
- შინაური ქრონიკა, დაბა ხონიდამ გვატყობინებენ, 1884, გაზ. „დროება“, 1201, 1884.**
- შინაური ქრონიკა, 1885, გაზ. „დროება“, 196, 1885.**
- შინაური ქრონიკა, 1878, გაზ. „დროება“, 13, 1878.**
- ე. ნ. ჩინჩალაია, 1885** - ე. ნ. ჩინჩალაია, ხმა ერისა - ხმა ღვთისა, გაზ. „დროება“, 164, 1885.

MARIKA TEDORADZE

THE ISSUE OF MENGRELIAN ON THE PAPERS OF “DROEBA”

In the first half of the 19th century Russia aimed to devastate Georgian identity as well as dividing Georgian territory into parts, that's why they attacked to linguistic wholeness of Georgians. Special attention was given to Samegrelo. The issue of Samegrelo became very active from 80s of 19th century. The aim of Tsarism officials were the following: 1. Alienation of people from Samegrelo to other Georgians; 2. Declaring Mengrelian dialect as a language; 3. Accordingly banishing Georgian literary language from the schools of Samegrelo and replacing it by Mengrelian dialect.

Appointed issues attracted a huge attention of 19th Georgian century press, especially the newspaper “Droeba”, issuing in the years of 1866-1885.

The newspaper “droeba” gave the tribune to the active dispute about the qualification of Mengrelian dialect. Almost all the numbers published answer letters by numerous public men with nick names “Megreli”, “Kortokha”, “Foti” and many others. Georgian society, scientists and linguists, writers and ordinary citizens didn't consider Mengrelian as an independent and complete language, and any time the dispute was raised about this issues, they emphasized the priority of Georgian as a one and only language with old literary value. Georgian language in their opinion has the same degree of nativeness to Mengrelians as to people from Imereti, Kakheti, Guria, and any Georgian.

Society of that time was split into two, One side was insisting that Mengrelian is an independent language and has nothing to do with Georgian, second side were resisting this idea with concrete arguments and asserted that Mengrelian is a Georgian language, just it's a different version. Progressive part of the newspaper “Droeba” G. Tsereteli, S. Meskhi, Kirile Lortkipanidze, Ilia Tchavtchavadze and Ivane Machabeli held the right position and defended the idea of united Georgia, they openly expressed their ideas and resisted censorship. This dispute and linguistic split in two parts es still alive and polemics about the matter of Kartvelian linguistic units and their qualification still exists as unresolved problem.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ზურაბ თოდუა

ქცხოვერი ჩარჩოთი შემოსილი ქართული სელი

XX საუკუნის 90-იანი წლების რთულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ქართველ მხატვართა საკმაოდ დიდი მიგრაცია გამოიწვია. ზოგისთვის ეს მიგრაცია ემიგრაციაში გადაიზარდა. საქართველოდან წასული მხატვრების ერთი ნაწილისათვის სამშობლოს დატოვება ქუჩაში ნამუშევრების გამოფენით და ოდესლაც გამართლების მოლოდინით შემოიფარგლა. სხვებს მეტად გაუმართლა. მათ შეძლეს უცხო გარემოში არა მარტო დამკვიდრება, არამედ გარკვეული მდგომარეობის მოპოვება და საკმაოდ დიდი აღიარებაც კი. ამ მოკლე პუბლიკაციაში მინდა მოვიხსენიო მხოლოდ ოთხი იმ თითქმის ორ ათეულ ქუთაისელ მხატვრთაგან, რომლებიც გაითანატნენ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყნაში. ბუნებრივია, რომ სტატიის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ მოვნიშნოთ ზოგიერთი ვექტორი მათი შემოქმედებითი მისწრაფებებისა.

ემიგრანტების პირველ ჯგუფს, რომლებმაც საქართველო დატოვეს 1980-იანი წლების ბოლოს, როლანდ შალამბერიძე მიეკუთვნება. იგი დაიბადა ქუთაისში 1958 წელს, აქ მიიღო მხატვრული და მუსიკალური განათლება. მანამდე, სანამ 2004 წელს სამუდამოდ პეტერბურგში დაფუძნდებოდა, რამდენიმე წელი გერმანიაში, შემდეგ ამერიკაში, ნიუ-იორკში, გაატარა - ქალაქში, რომელიც სამართლიანად ითვლება აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის სამშობლოდ, რამაც ხელი შეუწყო როლანდის ძირითადი მხატვრული მიმართულების განსაზღვრას. იგი ბევრს მუშაობდა, განიცდიდა უამრავი სხვადასხვა მხატვრული იდეის გავლენას. მისი პეტრონალური გამოფენები უმოკლეს დროში მოეწყო პეტერბურგში, ტამპერეში, კოპენჰაგენში, ნიუ-იორკში. 2004 წელს იგი საბოლოოდ დაბრუნდა პეტერბურგში. აწარმოებდა სხვადასხვა ტექნიკისა და მასალის, ფერწერის, ფოტოგრაფიის, კოლაჟის, ასამბლაჟის შექმნებას, არ ჩერდებოდა მიღწეულზე, რადგანაც თვლის, რომ “უცვლელობა — დამღუპველია მხატვრისათვის”. “ხელოვნებაში კვდება არა ის, ვინც დაიღალა, არამედ ის, ვინც გაჩერდა”.

თავისი ნამუშევრებში რ. შალამბერიძე იშვიათად იყენებს ზეთის ფერწერის ტრადიციულ ტექნიკას და ყოველი ნაწარმოებისთვის ეძიებს ახალ მხატვრულ მასალებს. საბოლოო ჯამში, სურათი გარდაიქმნება ინსტალაციად, ობიექტებიდ, ამბად. გამოიყენებელი პოტენციალის საყუთარ თავში ძიების აუცილებლობა ჩადებულია მის მიერ გამომუშავებული მხატვრული მანიფესტის მე-7 პუნქტში, სადაც ვკითხულობთ: “თუ შენი მარჯვენა ხელი უკვე კარგად, ოსტატურად სატავს, — გახსოვდეს, რომ გაქვს მარცხენა ხელიც, რომელმაც არ იცის ხატვა. მიეცი მას საშუალება წაიმუშაოს როგორაც უნდა და შენ დაინახავ, რომ ყოველთვის როდია ლამაზი კარგად გაკეთებული საგანი“. ნულოვან წლებში არაჩეულებრივად იხსნება მისი მრავალფეროვანი ნიჭი როგორც ლიტერატორის, მუსიკოსის, მსახიობის. მისი მუსიკალური გამოსვლები სარგებლობს დიდი წარმატებით: მაგალითად, რ. შალამბერიძისა და ნიკოლოზ

სუდნიკის კონცერტის დროს გერმანიაში ოპერის დარბაზში, ღრეზდენში პუბლიკა ფეხზე მდგარი აპლოდირებდა მათ. თავის მუსიკას რ. შალამბერიძე ხშირად ასრულებს მის მიერ შექმნილ, უწინ არნახული ფორმებისა და ჟღერადობის ინსტრუმენტებზე. სპეციალისტები უკვე დიდი წანია თვალს აღევნებენ ამ ინსტრუმენტებს, რომლებიც თავისთვალ გამოფენილი სცენაზე მუსიკოსების გამოსვლამდე, უკვე აღიქმებიან როგორც მხატვრული ინსტრუმენტების განხილული იქნენ როგორც ექსპონატები.

მაგრამ, პირველყოვლისა, რ. შალამბერიძე თავის თავს მხატვრად თვლის. ახალგაზრდობაში მან წარმატებას მიაღწია ფიგურულ ფერწერაში, მაგრამ მალე მიატოვა თხრობითობა და თავისი ხელოვნება მთლიანად აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმი მიუძღვნა. იგი არ ისახავს მიზნად სინამდვილის გადმოცემას ან მის ინტერპრეტაციას, ამის ნაცვლად ქმნის ახალ რეალობას, აბსოლუტურად ავტონომიურს და უკვე არსებულისადმი პარალელურს, რომელიც მხოლოდ ქვეცნობიერი, ინტუიციური, ემოციური სუბსტრატიდან წარმოიქმნება. მისი შემოქმედების ერთ-ერთი ფუნდამენტალური პრინციპია — მცდელობა გაექცეს სიმბოლისტების ტრადიციულ ენას, რომელსაც იგი გაცვეთილად მიიჩნევს, და ილაპარაკებს პირველად, უნივერსალურ ენაზე. რ. შალამბერიძე იზიარებს აზრს, გამოთქმულს ამერიკელი მხატვრის რობერტ სტარკის მიერ: “მე მსურს, რომ სურათმა აიძულოს მაყურებელი გამოიყენოს თავისი გამოცდილება იმისთვის, რომ შეიცნოს და შეიგრძნოს ის, რასაც ხედავს. მე მინდა, რომ ჩემი ფერწერა არსებობდეს ფარული აზრით აღვსილ რამდენიმე განზომილებაში და არ იყოს თვალის მაცდუნებელი საღებავების თავშესაქცევი უბრალო ერთობლიობა”.

როლანდ შალამბერიძის ხელოვნება — სხვადასხვა სტილისტური მიმართულებისა და თვითგამოხატვის საშუალებების სინთეზია. მისი სტილის ფესვები იძენება გერმანული ექსპრესიონიზმის ემოციურ დაძაბულობასა და აბსტრაქციონიზმის ევროპული სკოლების - ფუტურიზმის, ბაუჰაუსის, სინთეტიკური კუბიზმის ანტიფიგურული იდეოლოგიისა და ესთეტიკის ისტორიულ სინთეზში. შეიძლება აქვე აღვნიშნოთ დადაიზმის, შემოქმედებითი ჯგუფების Fluxsus, art brut, arte povera გავლენა. თვითგამოხატვის უდიდესი პალიტრა, მათ შორის მუსიკა, პოეზია, პერფორმანსი მოწმობს მისი მიღვომის ინტერმედიულობაზე. რომ გავიგოთ რ. შალამბერიძის შემოქმედების საწყისები, უნდა ვიყოთ აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის თეორიული და ისტორიული საფუძვლების და იმ ესთეტიკური, სულიერი და იდეოლოგიური იმპერატივების კურსში, რასაც ემყარება მხატვრის მსოფლმხედველობა. “შინაგანი სამყაროს აღწერა ხელოვნების ამა თუ იმ საშუალებებით და მათი აყვანა აბსურდამდე არის ჩემი სტილი და პრინციპი”, — ამბობს იგი. მისი შემოქმედებითი მეთოდი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც დინამიური მედიტაცია, პერფორმანსი, ხშირად უფრო სპონტანური და ინსტიქტური, ვიდრე გააზრებული, რომლის ამოცანაა არა იმდენად სურათის როგორც საგნის შექმნა, რამდენადაც მისი, როგორც ამბის, განცდა. ასეთი მიდგომა საუკეთესოდ ადასტურებს პოეტისა და კრიტიკოსის პაროლდ როზენბერგის ჭერ კიდევ 1952 წელს ნათქვაშ სიტყვებს სტატიაში აბსტრაქტულ ექსპრესიონიზმზე: “ტიღლო გახდა არა სურათი, არამედ ამბავი”. “იმას შორის, რაც მე მსურს და რაც მე არ მსურს, არის ის, რასაც მე ვეძებ”. რ. შალამბერიძის შემოქმედება არღვევს ჩვეულ წარმოდგენებს

ხელოვნებაზე, მას მოაქეს ანტიესთეტიკის შეგრძნება. იგი უარყოფს ხელოვნებას, რომელიც მოძრაობს საბაზრო მოთხოვნილებებით და, პირიქით, ფერარიტებს ისეთ ხელოვნებას, რომლის ცენტრში დგას თვითონ მხატვარი.

თანამედროვე ხელოვნების, *Conterporaru artis* პრაქტიკას ავითარებს, აგრეთვე, მეორე ქუთაისელი მხატვარი გერმანული ფესვებით — ანდრო ზვერევი (დაიბადა ქუთაისში 1974 წ.), ამჟამად შვედეთის მოქალაქე. მისი ნამდვილი გვარია შილერი. მას შემდეგ, როდესაც მხატვრის ბაბუა, ასევე ანდრო შილერი, გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისის რეპრესიების მსხვერპლი გახდა, გერმანული გვარის ტარება სახითათ შეიქნა და მხატვრის მამამ, ალექსანდრემ, იგი დედის გვარზე — ზვერევზე შეცვალა, რაც ავტომატურად შვილზეც — ანდრო ზვერევზე გადავიდა. 2004 წელს იგი “გავლით” მოხდა შვედეთში, მაგრამ ქართველმა მხატვარმა, მიუხედავად პირველი ხანის სირთულეებისა, გადაწყვიტა საბოლოოდ დაფუძნებულიყო ამ სკანდინავიურ ქვეყანაში. “გადაირჩინო თავი იმით, რასაც მე ვაკეთებ, ძალიან რთულია. იმიტომ, რომ ეს არ არის კომერციული ხელოვნება, სადაც შეიძლება იმუშაო მაყურებელზე, შექმნა აქტუალური და იოლად გასაყიდო ნამუშევრები. ეს არის კონცეპტუალური ხელოვნება, მას კი მცირერიცხოვანი მაყურებელი, მოყვარულთა მცირე წრე ყავს... მაგრამ მე მსურს, ვიყო დაკავებული მხოლოდ ამით... მყიდველს, რომელიც მზად არის ფული გაიღოს ასეთი ტიპის ხელოვნებისათვის, უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული გემოვნება”, — ამბობს ანდრო, რომელიც არ მიაკუთვნებს საკუთარ თავს კომერციულ მხატვრებს ან “პოპ-ხელოვნების” მოღვაწეებს.

მისი სახელოსნო — არასტანდარტული მხატვრული სტუდიაა მოლბერტებითა და ჭრელი ტილოებით. აქ არა მარტო იხატება სურათები, არამედ იბურლება, იხერხება, იჭრება, იწებება, იღებება სხვადასხვა აბიექტები, რომლებიც ძნელია მივიჩნიოთ მხატვრულ ქმნილებებად. მზა ნაწარმოებების გვერდით ჰარმონიულად მეზობლობს “მხატვრული ნედლეული” ანუ მომავალი ქმნილებების ინგრედიენტები — კედლებიდან და ჭერიდან ეშვება თოკები, სხვადასხვა ფორმისა და წარმოშობის საგნები, მუყაოები, ძველი ნივთების ნარჩენები... მაგრამ ა. ზვერევმა იცის, როგორ შთაბეროს სიცოცხლე თუნდაც ყველაზე უიშედო საგნებს.

ანდრო ზვერევის ბევრი ნამუშევარი მოუხმობს ფიქრისკენ, გააზრებისა და ფასეულობათა გადაფასებისკენაც კი. ნაწარმოებები არანატურალური ბეჭვიდან ამის თვალსაჩინო მაგალითია. ყბადალებული საშიშროება უსაფრთხო გარსში - ეს არის ჩევნების მცდელობა, რომ ყველაზე ღრმად დაფესვიანებული შიშები და ცრურწმენები შეიძლება იყოს აღმოფხრილი, თუ მათ შევხედავთ განსხვავებული კუთხით (“სამართებელი ტყავის ბეჭვში”).

ანდრო ზვერევი დარწმუნებულია: ცივილიზაციის მიერ ოდესლაც წარმოშობილი ბევრი ობიექტი, რომელთა ფუნქცია ნაწილობრივ ამოწურულია, ნაწილობრივ დამახინჯებული, შეიძლება თამამად ამოვილოთ ყოფიერებიდან და გადავიტანოთ ხელოვნების სფეროში. “იმის ნაცვლად, რომ ვისროლოთ, შეიძლება შევქმნათ ბეჭვიანი კალაშნიკოვის უზარმაზარი ავტომატი და ხმამალლა განვაცხადოთ: “ომისა და ძალადობის საბოლოო დასრულება”, — ამბობს იგი. ასე იქმნება ახალი არტ-ობიექტები (ე.წ. რესაიკლინგ-არტი), რომლებშიც მხატვარი ცდილობს ძველ, თითქოს და უსარგებლო საგნებში შთაბეროს ახალი მხატვრული ცხოვრება.

თავის სტილს ზვერევი ფსიქორეალისტურ ტრანსავანგარდად მიიჩნევს. ეს არის სფერო, რომელიც, მისი სიტყვებით, ექსპერიმენტირებისა და განვითარების საშუალებას ანიჭებს მას. ექნება თუ არა მის ნამუშევრებს რეალიზაცია, ეს ანდრისონის მეორეხარისხოვანი საკითხია. შვედეთი მხატვრებისათვის სამოთხე როდია. ცხრა მილიონიან შვედეთში “ზელოვნება არ შეიძლება იყოს ისეთ დონეზე, როგორც ნიუ-იორქში, ბარსელონასა თუ ბერლინში. შეიძლება თითებზე ჩამოთვალო მხატვრები, ვინც ირჩეს თავს მხოლოდ ხელოვნებით. თუმცა, საქართველოსთან შედარებით, შვედეთი - კეთილნაყოფიერი ნავსაყუდელია მხატვრისათვს”, — ამბობს მხატვარი.

ამერიკაში, ქალაქ ნიუ-იორქში, უკვე მეორე ათეული წელია ცხოვრობს და მოღვაწეობს 1960 წელს დაბადებული ქუთაისელი მხატვარი ავთანდილ ამაშუკელი. თბილისის სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, 1984-1995 წლებში, იგი ქუთაისის საობერო თეატრში დამდგმელ მხატვრად მუშაობდა. ამ წლებში მან რეალისტური და ავანგარდული ხერხების გამოყენებით საობერო და საბალეტო სპექტაკლები გააფორმა. 1980-იან წლებში წარმატებით წერდა რეალისტურ პორტრეტებს, ნატურმორტებს, სიუჟეტურ კომპოზიციებს. მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისში მისი შემოქმედების ხასიათი შეიცვალა, მასში გაძლიერდა ფორმალური ექსპერიმენტირება, რამაც მოგვიანებით ავთანდილი სუფთა აბსტრაქტული კომპოზიციების შექმნამდე მიიყვანა, თუმცა უსაგნო ხელოვნება მისი შემოქმედებითი კრედო არ გახდა. მასში ფოლკლორული, რომანტიკული, მსუბუქი ირონიითა და ლირიული აქცენტირებით აღვსილი მხატვრული აზროვნება ჩამოყალიბდა და წერის დეკორატიულ-სიბრტყითი მანერა გამომუშვდა. მის ნაწარმოებში უარყოფილია შუქ-ჰაეროვანი სივრცე და საგნების შეფერილობა მხოლოდ დეკორატიულ პრინციპს ემორჩილება. ამის გამო ნაწარმოების ფერწერული ქსოვილი იძენს დამოუკიდებელ ესთეტიკურ გამომეტყველებას, თვითგმარ მნიშვნელობას სურათის ემოციური წყობის შექმნაში, რაც აძლიერებს მხატვრული სახის ესთეტიკურ და სემანტიკურ ფასეულობას.

მისი პერსონაჟების ნახევარფიგურები სახეების მკაცრი, ნაკლებად დიფერენცირებული გამომეტყველებით, თვალებისა და ტუჩების ხაზგასმული გრაფიკულობით, მოკლებულია მატერიალურობას, ღებულობენ თოჭინურობას, რაც სურათებს თითქოს კარნავალური სტიქით ავსებს. ეს არაინდივიდუალიზებული, ცნებითი “ადამიანები”, მთელი თავისი უპიროვნობის მიუხედავად, სურათის კონტექსტთან კავშირში მაინც გამოხატავენ ხან სევდას, ხან სიხარულს, ხან ჩაფიქრებულობას. ჰოფმანის ზოარების პერსონაჟების მსგავსად, აფთ. ამაშუკელის გმირები ითვისებენ რეალობასა და ფონტისტიურობას — აღამიანებისა და მარიონეტების ნიშნებს. მისი სიტყვაძუნწი კომპოზიციები, რბილი, ნეიტრალური, გამჭვირვალე ტონებით, თავისუფალ იმპროვიზაციებს მოგვაგონებენ ამა თუ იმ თემაზე. ამ სურათების უანრული განსაზღვრა საქმიანდ ძნელია. მირითადად, ეს არის ყოფითი ჟანრი, სადაც მთავარ ყურადღებას იპყრობს არა იმდენად თვითონ მოქმედება, რამდენადაც მასში აქცენტირებული შინაგანი აზრი. მისი ნატურმორტები პოეტიზირებული ნახევრადსუბრემატისტული ეტიუდებია, რომლებიც გარკვეული განწყობილების მატარებელია.

ავთ. ამაშუკელის სურათებში ყველაფერი საგნობრივია და ერთდროულად თითქოს ეფემერული. პერსონაჟებსა და საგნებს აქვთ რეალური ცხოვრება და ამავე დროს ისინი სუფთა წარმოსახვის ნაყოფია. ბოლო წლების ნაწარმოებების ღრამატული სიურეალისტური სამყაროს გმირები თითქოს გვახსენებენ: ჩვენ, ადამიანები, ვართ სათამაშოები, უძლურები ბედის წინაშე. ამასთან ეს სამყარო ინარჩუნებს თავის სათამაშო კარნავალურ ხასიათს, რომელშიც დრო არ იცვლება, განათებაც, როგორც ასეთი, არ იტაცებს მხატვარს. საგნები და ფიგურები თითქოს თვითონ ინთებიან, არ ქმნიან ჩრდილებს. ძირითადი ფერადტონალური მასების ურთიერთობაში იგრძნობა ფრესკულობა და გამჭვირვალე ტონების ნაზი ჰარმონია.

საგნობრივი ფორმის მიამიტური კონსტრუქტივიზმი, მისი უნივერსალური გამარტივება და განზოგადება, კომპოზიციების თეატრალური გროტესკულობა, მოქმედების დროში თითქოს ფიროსმანისეული გაშეშებულობა — ყველაფერი წარმოქმნის ზეიმურობისა და არტისტიზმის შეგრძნებას. ფერწერა იძენს ბრწყინვალე თამაშის ხასიათს, რომელიც მოყლებულია ყოველგვარ დაძაბულობას.

მაშასადამე, ავთანდილ ამაშუკელის შემოქმედების ესთეტიკა გარკვეული სულიერი ანტინომიების თანაარსებობას ითავსებს: “ცხოვრების პროზა” გადადის კარნავალში, “მაღალი” გამოდის მდაბიოდან, ინდივიდუალობა — ხაზგასმული უპიროვნებიდან, ლირიკა შეფერილია ირონით და ა.შ. მაგრამ, მის ნაწარმოებში ეს ყველაფერი ლაკონურად, განსაზღვრულად და მაღალმხატვრულად არის გადმოცემული.

დაბოლოს, კიდევ ერთ მხატვარზე მინდა შევაჩერო ყურადღება. ქუთაისელი მხატვარი დავით კეზევაძე. დაიბადა აქ, 1964 წელს. თეატრის მხატვრის სპეციალობით განათლება მიიღო მოსკოვის ნებირვეიჩ-დანჩენკოს სახელობის უმაღლეს სკოლა-სტუდიაში. ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, მუშაობდა ჩვენი ქალაქის სხვადასხვა თეატრში დამდგმელ მხატვრად (ლ. მესხიშვილის სახელმწიფო თეატრი, ლიტერატურული თეატრი, თეატრი მეორე სართულზე და სხვ.). 2002 წლიდან დ. კეზევაძე ისევ მოსკოვში ცხოვრობდა. იყო მოსკოვის კამერული საბალეტო თეატრ “მოსკვას” მთავარი მხატვარი.

დავით კეზევაძე, ისეთი, როგორსაც ჩვენ მას დღეს ვიცნობთ, ფიგურულად რომ ვთქვათ, უცხოეთში, ესპანეთში დაიბადა, სადაც იგი ქალაქ ალიკანტეში ცხოვრობს, უკვე მეორე ათეული წელია. სწორედ აქ მოხდა მასში ფასეულობების გადაფასება, შეიცვალა ხელოვნებაში მიზიდულობების წერტილები, გამდიდრდა მისი ტექნიკური ხერხები. ეს იყო ინდივიდუალობის, თავისუფლების ძიების, საბოლოო ჯამში, საკუთარი თავის მოპოვების ნაყოფიერი წლები. დასავლეთმა მისცა დ. კეზევაძეს, როგორც მხატვარს, შესაძლებლობა მაქსიმალური გახსნისათვის, გაამდიდრა ახალი შეგრძნებებითა და შთაბეჭდილებებით... მაგრამ მისი ცნობიერება დარჩა ქართული, სამყაროსაღმი მიმართებაში ფილოსოფიური, ანალიტიკური, ხელოვნებაში — გულწრფელი, ოდნავ მიამიტური და ცხოველმყოფელი. ეს კი, ალბათ, ყველაზე მთავარია.

ყველა, ვინც კი დ. კეზევაძეს ახლოს იცნობს, ალბათ, უთუოდ აღნიშნავს, თუ როგორ გასაოცარ სინთეზშია მისი შემოქმედების ხასიათი თვით მხატვრის ცოცხალ, იმპულსურ, ხასიათსა და ტემპერამენტთან. დავით კეზევაძის არაჩვეულებრივად ნათელი ფერწერა — ეს, ფაქტობრივად, მისი განსაკუთრებული

შინაგანი სამყაროა, რომელიც მაყურებელს ანიჭებს სიმშვიდის, სიმსუბუქის, რომანტიკული იღილის შეგრძნებას. დ. კეზევაძის აკვარელურად სუფთა ზეთის ფერწერა ახარებს თვალს და ათბობს სულს ჟღერადი ფერების სიქორფით, უბრალო სიუჟეტებით, სამყაროს ოპტიმისტური აღქმით, სიცოცხლისმოყვარულობით. მოგონილი თემა თუ რეალურ დაკვირვებაზე აგებული სურათი, პეიზაჟი, პორტრეტი თუ ნატურმორტი გაერთიანებულია მის შემოქმედებაში აღქმის საოცარი სინატიფითა და მთრთოლვარებით და, პირველ ყოვლისა, სუფთა ფერწერული ამოცაების გადაწყვეტით, რომელშიც ნახატის სისადაცე, ფორმის ზომიერი დეფორმაცია, სადა კომპოზიცია, გახსნილი ჟღერადი ფერების ინტუიციური ქვეცნობიერი თამაში მოწოდებულია შექმნას ცხოვრების პატარ-პატარა სიხარულებით სავსე ფერწერული იმპროვიზაციები. ამას ხელს უწყობს წერის სწრაფი, სპონტანური მანერა, ფუნქის ხან ნაზი, დისციპლინირებული, ხან კი სტატიკის სრულიად უარმყოფელი მოძრაობა, მისი მღელვარე, თითქოს უნიკალური შამანური ცეკვა ტილოს ზედაპირზე...

დ. კეზევაძის ყოველი ტილო სპონტანური ემოციების სინთეზია, რომელიც ქორფა ეტუიდის ფორმაში გვამბობს სათქმელს. და, ამასთან ერთად, ისინი პოეტური ხედვით და ჰუმანური აზრით შექმნილი ნაწარმოებებია.

მიუხედავად შემოქმედებითი სტილების, მანერების, მეთოდების, მისწრაფებების განსხვავებულობისა, ამ მხატვართა ნაწარმოებებში არასიროს არ ქრება ქართული სულის სითბო, ეროვნული მიუკონებულობის ნიშნები, რაც მომგებიანად გამოჰყოფს მათ შემოქმედებას თანამედროვე ტენდენციების ორომტრიალში.

დამოწმებული ლიტერატურა

სახვითი ხელოვნების ქრონიკები, 2005, ქუთაისი, 2006.

სახვითი ხელოვნების ქრონიკები, 2006, ქუთაისი, 2008.

სახვითი ხელოვნების ქრონიკები, 2011, ქუთაისი, 2015.

ZURAB TODUA**GEORGIAN SOUL IN A FOREIGN FRAMEWORK**

The subject matter of the article is the works of four painters from Kutaisi who were forced to leave the home-country due to the severe economic crisis in 1990s and migrate to foreign lands. Style of their creations was refined abroad. Particularly the art character of Roland Shalamdebire - one of the first emigrants and leading figures of art process in Saint Petersburg, was defined here. He seldom uses the traditional technique of oil painting and is in constant search of new painting materials for every piece of art which is the reason of their conversion to installations, objects, stories. Roland doesn't aim to represent or interpret reality, instead he creates new reality, absolutely authentic and parallel to existing reality, which is formed from subconscious, intuitive, emotional substrata.

Traditions of pop- art and contemporary art are developed by Andro Zverev, a painter from Kutaisi with German roots, at present Sweden citizen. In his studio he not only paints the pictures but also drills, saws, cuts, colors the different objects, which are sometimes difficult to perceive as art objects. That's how new art-objects are created (so called recycling art), where the artist tries to insert new artistic life in old, ostensibly useless things. Zverev considers his style as psychoreal trans avanò-gardå. This field, according to his words, enables him experimenting and development.

Characters of Avtandil Amashukeli, living in New York, curved with folk, romantic, light irony, lyrical-fictional way of thinking like Hoffman fantastic characters, combine both reality and fantasy - signs of humans and puppets. They lack material nature, adopt puppet like style which fulfills the pictures with carnival elements. These deformed, not individualized, "conceptual" people, despite their impersonality, still represent sadness, joy, thoughtfulness in picture context.

Prodigiously light paintings Davit Kez vadze, working in Spain- actually represents his inner world, which provides the spectators with the feelings of calmness, softness, romantic idyll. His pure, shiny clean oil paintings give joy to eyes and warms the soul with the purity of sounding colors, simple plots, optimistic perception of the world, love of life.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ეთერ ინწყირველი

**ბიბლიური წარღვენის დეგენდის ასახვა აჭარისა და
ჩვენებურების ხალხურ ტრადიციაში**

თუკი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნოეს კილობანთან დაკავშირებული მოტივები ძირითადად ნარატივების სახით არსებობს, აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში ის ხშირად გვხვდება არა მხოლოდ ნარატივების სახით, არამედ რიტუალებსა და ხალხურ ტრადიციებში.

გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქართულ ფოლკლორში წარღვნის მოტივი ყველაზე მრავლად აჭარის ზეპირსიტყვიერებაშია წარმოდგენილი, რაც ცხადია, ზღვის თემის აქტუალობით არის განაპირობებული.¹ უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცმია ზღვის თემასთან დაკავშირებული ლექსიკა: კიდობნის ნაცვლად აჭარულ ფოლკლორში შეიძლება შეგვხდეს „გემი“, „პარახოდი“, და „კონალი“ (თურქ. „სახლი“, „ბინა“), რაც გურულ დიალექტში გვხვდება „კონაბის“ სახით და ნიშნავს კუბოს. კიდობნის გემით ჩანაცვლება კი ფოლკლორისთვის ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ამით დაკინებულია კიდობნის ფუნქცია. შუა საუკუნეების ხელოვნებაში ხშირად ნოეს კიდობანს გემის და საზღვაო ხომალდის სახით გამოსახავდნენ. თორას ორიგინალურ ტექსტში კიდობნის ნაცვლად გვხვდება სიტყვა „თება“, რაც ნიშნავს კიდობანს და არა ნავს ან გემს. მიქელანჯელო კი, თალმუდის განმარტებათა თანახმად, სიქსტის კაპელაზე ხატავს არა საზღვაო ხომალდს, არამედ სწორედ კიდობნის/კოლოფის ფორმის ნაგებობას და, ერთი შეხედვით, ტაძრის შთაბეჭდილებას ტოვებს, რითიც, რასაკვირველია, იმას მიანიშნებს, რომ კიდობანი მხოლოდ უფლის ნებით უნდა გადარჩენილიყო და არა გემის გამძლეობის ხარჯზე (შ. ბლეჩი, 2009, გვ. 191).

აშურა. მარტის მთვარის მეათე დღეს მაჰმადიანი აჭარლები დღეობა აშურას დღესასწაულობენ:² ყველა ოჯახში მზადდება რიტუალური კერძი „აშურა“. „ეს საგანგებოდ შეზავებული წვნიანი საჭმელია, რომელშიაც უნდა იყოს თითო ან ორი მარცვალი ყველა იმ თესლისა, რასაც ადამიანი თესავს და საჭმელად ხმარობს. მაგ., აშურაში ურევია: ხორბალი, ბრინჯი, სიმინდი, მხალი, ქინძი, ქერი, ფეტვი და სხვა მრავალი, რაც აჭარაში ითესება“ (ჭ. ნოღაიდელი, 1971, გვ. 61). ხალხური ტრადიციით, აშურას დღეობა ნოეს კიდობანთან არის დაკავშირებული და კერძის დამზადებაც უკავშირდება კიდობნის ბინადართა მიერ შიმშილის მოსაკლავად უკანასკნელი მარცვლებისგან მომზადებულ წვნიანს, როცა კიდობნიდან გაღმოსულებს ყველანაირი მარაგი ამოწურული ჰქონდათ და ნარჩენების შეგროვება დაიწყეს.

¹ ეს საკითხი საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ბათუმელ მკვლევარს, გიორგი მახარაშვილს, თავის ნაშრომში - წარღვნის მოტივი აჭარულ ფოლკლორში // ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათუმი, 2010, გვ. 232-345. ვეკრძნობით რა ბათუმელი მკვლევრის მიერ მოძიებულ ფოლკლორულ მასალას, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიახლით შემოვიჟარგლებით.

² მთვარეს, რომელზედაც აშურას დღესასწაულობენ, „აშურას მთვარეს“ ეძახიან (ფოლკლორი 1970, გვ. 32); ტერმინი „აშურა“ უნდა ნიშნავდეს შერეულს (შ. მახარაშვილი, 2010, გვ. 330).

თურქეთში მცხოვრები ქართველების ლეგენდების მიხედვითაც, ნოე აშურას აშზაღებს ხმელეთზე გამოსვლის მეათე დღეს. ჩვენებურების აშურა აუცილებლად რძისგან მზადდება. ჩვენებურების ფოლკლორშივე გვხვდება ისეთი ვარიანტიც, როცა მარცვლებს აშურას მოსამზაღებლად კრეფენ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ფრინველები, ცხოველები და ყოველი სულიერი მონაწილეობს მის მომზაღებაში (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 386).

აშურას კერძის კომპონენტებს თუ დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს ტრადიციულად ნოეს კიდობანთან დაკავშირებული კერძი შეიცავს როგორც ესქატოლოგიის, ისე კოსმოგონიის ნიშნებს: სხვადასხვა თესლი წვნიანში წარღვნისეული წყლებიდან სამყაროს ახლად დაბადების სიმბოლური ასახვაა, უფრო კონკრეტულად კი მიაიშნებს ესქატოლოგიისა და კოსმოგონიის, როგორც დასასრულისა და დასაწყისის ურთიერთმიმართებას, სამყაროს კვდომისა და ხელახლა დაბადების გარდაუგალობას. აშურა კერძს თითქოს ერთიანობაში მოჰყავს წყლისა და მიწის სტიქია. აშურა კერძი ძველი აჭარელის მსოფლმხედველობას ასახავს, რომელმაც მითოლოგიური წარმოდგენები სამყაროს კვდომა-ალფომის შესახებ კერძის საშუალებით გამოხატა.³

გ. მახარაშვილი იკვლევს რა აშურას გენეზისს, მოჰყავს უხვი მასალა, რაც აშურას ღლესასწაულის შესაძლო წარმომავლობას შეიძლება აღასტურებდეს. მისი აზრით, აშურა, შესაძლოა, ამინდის ღვთაებისადმი მიძღვნილი მისტერიის ნაწილი იყოს, როგორც რიტუალური კერძი. არგუმენტად აჭარის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ ყოფაში, კერძოდ ამინდის მართვის მაგიურ რიტუალში აშურას დამზაღების ტრადიცია მოჰყავს. მაგ., გვალვიან ამინდებში წვიმის მოსაყვანად აწყობენ “ლაზარიას”: ცეკვა-თამაშით დაივლიან გოგო-ბიჭები სოფელს, შეაგროვებენ სურსათს, მერე ყველაფერს ერთად ხარშავენ და ქვრივ-ობლებს ურიგებენ, ხოლო კერძს “აშურას” უწოდებენ (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 331). ლაზარობის ღლესასწაულს მკვლევარი ფუნქციურად აკავშირებს მის ყველაზე უფრო არქაულ - აშურულ წეს-ჩვეულებას, რომლის მიხედვითაც, ეს უძველესი ხალხი ღვთაება “აშურას” (ტაროსის ღმერთი) ეთავვანებოდა. და გამორიცხული არც არის, რომ აშურას მომზაღებით ნოე მაღლობას სწირავს ტაროსის ღვთაებას, რომელმაც წარღვნისაგან იხსნა კაცობრიობის მომავალი (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 335). მაგრამ “აშურას” კავშირი ამინდის მფარველ ღვთაებასთან დროთა განმავლობაში გაფერმკრთალდა, რადგან ერთეულ შემთხვევებში გვხვდება; ჩვენებურების ფოლკლორულ ყოფაში არსებული დიდი წარღვნის ლეგენდის ვარიანტთა მიხედვით, “აშურა” მზადდება საგაზაფხულო ბაირამის დროს, როგორც მისი აუცილებელი ატრიბუტი, ხოლო მისი ძირები უკავშირდება ნოეს კიდობანს. ე. ი. აშურას განვითარების ასეთ გზას ვხედავთ: მისი ძირები ნოეს კიდობანს უკავშირდება, სახელწოდება - ამინდის ღვთაებას, ხოლო რიტუალურად დადასტურებულია ბაირამის შემადგენელ ნაწილად.

³ ხოგა შამილისეული წარღვნის ლეგენდის ვარიანტი აშურას დღესასწაულის შესახებ გვამცნობს, რომ სწორედ ამ დღეს განდა ცა და დედამიწა, ამ დღეს მოხდა აღამისღროინდელი ცოდვების შენდობა. სოლომონ ბრძენს ამ დღეს მიეცა ხელმწიფობა და მომავალშიც სწორედ ამ დღეს უნდა მოხდეს წარღვნა, ანუ მეორედ მოსვლა (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 337).

სადილის მიტანის ტრადიცია. აჭარაში ამბობენ, რომ აუცილებელი საქორწინო ტრადიცია „სადილის მიტანის“ რიტუალი, რაც პატარძლის მშობლების სტუმრობას გულისხმობს სიძის ოჯაში სადილით და/ან ტკბილეულით, ნოესა და მის ქალიშვილთან არის დაკავშირებული: წარლვნის დროს ნოეს ერთი ქალი და სამი ვაჟი ჰყოლია. ხალხის გასამრავლებლად ნოეს გადაუწყვეტია, თავისი ქალის თავისსავე ვაჟზე მითხოვება. მაგრამ ნოეს ერთი ქალი ჰყავდა და სამი ვაჟი.⁴ საგონებელში ჩავარდნილს ღმერთმა მოუვლინა ჯებრაელი, რომელმაც უთხრა, რომ ერთ ოთახში დაემწყვდია თავისი ქალი ვირთან და ძალლთან ერთად. მეორე დღეს თვით ნოეც კი ველარ არჩევდა, რომელი იყო თავისი ნამდვილი ქალი. თითო ვაჟს თითო ქალი დაურიგა და ქორწილის შემდეგ სათითაოდ ესტუმრა ვაჟებს სადილით. მამის შეკითხვაზე - როგორი ასულია, ვაჟს უბასუხია, კარგია, მაგრამ ცოტა მეტი ლაპარაკი უყვარსო. მიხვდა ნოე, რომ ეს იყო ძალლი. ვირისგან წარმოშობილი ქალი მეტისმეტად ჯიუტი ყოფილა, ხოლო თავისი ნამდვილი ქალი - ყოველგვარი სიკეთით შემკული ქალი. ასე მიხვდა ნოე თავისი ნამდვილი ასულის ვინაობას, ხოლო აჭარაში გაგრცელებულ ტრადიციას - ქალიშვილთან სადილით სტუმრობას - სწორედ ამ გაღმოცემასთან აკავშირებენ აჭარაში (ჭ. ნოლაიდელი, 1971, გვ. 61).

უნდა ითქვას, რომ მოცემული სიუჟეტი მხოლოდ ნარატივის სახით გხვდება ჩრდილო-კავკასიურ ფოლკლორში, ოლონდ ნარატივად რჩება და აღარ გრძელდება საქორწინო ტრადიციად: ნოე მშენებლებს დაიქირავებს, ფული არ აქვს და ღმერთს სთხოვს, რომ მისი ძალლი და ვირი ქალებად გადააქციოს. ალაპი მომენტურად ასურულებს თხოვნას და ქალებს გაათხოვებს. დალესტნურ ფოლკლორში სიძეებთან მისული ნოე და მისი ცოლი საყვედურებს იღებენ ძალლისა და ვირის ქმრებისგან და მაღლობას საყუთარი ქალიშვილის ქრისაგან (მ. ყურბანოვი, 2007, გვ. 250). აჭარულისგან განსხვავებით, დალესტნურ ტრადიციაში ვერ ვხვდებით ქალიშვილთან სადილის მიტანის ტრადიციას.

შეკვეთის დედაბრის მოტივი. აჭარულში ნუხ ფეილამბერი - ნოე წინასწარმეტყველი - უფლის მოვლენილი კაცია, რომელსაც ღმერთი გემის აშენებასა და დედალ-მამალი სულიერის გადარჩენას მოსთხოვს გემზე აყვანით. ნოე, რომელმაც არ იცის გემის შენება (შდრ.: “შმინდა ნოე რა იცოდა, დაჯდა, თალა კიდობანი”), მოუხმობს ოსტატებს, მაღალ მთაზე აიყვანს და იქ დააწყებინებს გემის მშენებლობას. იქვე ახლოს არის ერთი დედაბერი, რომელსაც მეტველი ძროხა ჰყავს. როცა გაიგებს, რომ ზღვა უნდა გადმოვიდეს და ეს გემი ხსნის გემია, სთხოვს ოსტატებს, რომ არ დატოვონ ის გემის გარეთ. დედაკაცს ყოველდღე ძროხის რეა დაპირდღა მათთან, მაგრამ კიდობანზე ასულთ დაავიწყდებათ დედაბერი. წარლვნის დასრულებისას კი დედაბერიც ცოცხალია და მისი ძროხაც (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 270-277).

⁴ მრავალ ვარიანტში სამი ვაჟის ნაცვლად გვხვდება სამი უსტა - ხელოსანი, რომლებიც ნოეს კიდობანს აშენებდნენ. სამუშაოში წასხალისებლად ნოე სამივე ისტატს თავისი ქალიშვილის მითხოვებას ჰპირდება; კიდობნის შენების დასრულებისთვე ხელოსნები დანაპირების ასრულებას ითხოვენ. აჭარულ ლეგენდათა უმრავლესობაში გადმიცემული ნოეს წუხილი მოსალორებელი სიტყვის გატეხის გამო, მაგრამ სასწაულის ძალით, ოთახში თავის ქალთან ერთად დამწყვდებული ვირი და ძალლიც ქალებად იქცევიან, მაგრამ ნოე ვერ არჩევს მათ შორის, რომელია მისი ნამდვილი ქალი. სწორედ ამის დასადგენად სტუმრობს თავის სიძეებს სადილითა და ტკბილეულით. ამსევ უკავშირდება მთემელთა ეტიოლოგიური კომენტარი სამი ტიპის ქალის არსებობის შესახებ - “ვირის სოი, ძალლის სოი და ინსახოლლი” (თურქ. აღამიანის შვილი - გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 321).

მსგავსი სიუჟეტი გვხვდება ტაბასარანულ ლეგენდაში, რომელიც პარადოქსულ ფაქტს შეიცავს: ძუნწი დედაბერი, რომელიც ყველასთვის ავია, გაუმასპინძლდება სტუმრად მოსულ ნოეს. როდესაც ღმერთი წარლგნას მოახდენს, 40 დღის შემდეგ ნოე ნახავს, რომ დედაბერი ცოცხალია და უვნებელი (ი. მურტუზალიევი, 2010, გვ. 184-185).

ნოეს გაუის მოტივი. ასევე თავისი სიკეთის გამო გადარჩება აჭარულ გაღმოცემებში ნოეს ვაჟი ეჭალილე,⁵ რომელიც მამას გემის მშენებლობაში ეხმარებოდა სამშენებლო მასალის მოტანით, მაგრამ თავისი დიდი აღნაგობის გამო ვერ დაეტია გემზე. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ყველა აჭარულ ვარიანტში გადარჩება ნოეს ურჩი ვაჟი. უფრო ხშირად ის უარზეა, გაცყვეს ნოეს ხომალდზე და ილუბება თავისი ურწმუნოების გამო ისევე, როგორც მამის ურჩობით ილუბება ნოეს ერთ-ერთი ვაჟი ყურანში, რომელიც არ მიჰყვება მამას ხომალდზე და აპირებს, მთას შეაფაროს და ასე გადაირჩინოს თავი (ყურანი VI, 40-45). ტაბასარანულ ფოლკლორში კი გადაარჩენს ალაპის ანგელოზი ჯებრაილი: ყველაფერი წყლით დაიფარა, ჯებრაილმა აიტაცა ნოეს ვაჟი თავისი ფრთებით და ხომალდზე დასვა (ი. მურტუზალიევი, 2010, გვ. 186).

ზოგიერთ ვარიანტში არა შვილი, არამედ შვილიშვილი “ბადიში” ეწინააღმდეგება ბაბუას და ილუბება (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 297). ეს შეიძლება იყოს ებრაული ფოლკლორის გამოძახილი, სადაც შიშველ ნოეს პაულობს არა მისი ვაჟი - ქამი, არამედ ქამის ვაჟი. სწორედ ის იწყევლება ნოეს მიერ და წყევლა არ ვრცელდება ქამზე, რაკი ის უკვე კურთხეულია მამისგან (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 138). აჭარული ჩანაწერი მნიშვნელოვანია კიდევ ერთი მოტივით. ნუხის ბადიშს ცოლ-შვილიც ჰყავდა და ისინიც მას მიჰყვებოდნენ, როცა მაღალ სერზე დაიწყო ასვლა: “წყალმა რომ წელამდინ მიაღწია, ბავშვი მხარზე შეისვა, მარა ქალი წეიქცა. შედგა ქალზე, რომ წყალმა არ დამფაროსო. ევდა წყალმა ყიაზე (კისერი). მაშინ ჩამეიღო მხრიდან ბალნა, ფეხებქვეშ ამეიდო, ავმაღლდე კიდევო, მაგრამ წყალი თანდათან იმატებდა და ბოლოს დეიხრჩო” (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 298).⁶

⁵ ნოეს შვილის სახელის - ეჭალილეს ეტიმოლოგიას გ. მახარაშვილი თურქულ და არაბულ ენებში ექებს და აღნიშნავს, რომ “ეგელ” ნიშნავს სიკეთის, მიცვალებას, აღსასრულს (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 293); “ეგილ” - გასამრჯელოს, მიზღვევას, საჩუქარს, “ეგრლი” - მადლიერს (იქვე); “აჯარ” - ლონიერს, ენერგიულს (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 296). მკვლევრის აზრით, მნელია, დასაბუთებულად ითქვას, კონკრეტულად რომელი ფუძისგან არის ნაწარმოები ნოეს შვილის სახელი ეჭალილე, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს სიტყვა აჭარულ დიალექტში თურქულის გზით შემოსული და გავრცელებული იქნებოდა და რაღაც ნიშნით ამ პერსონაჟის ხასიათსაც გადმოსცემდა (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 297), ამიტომ ის შეიძლება წარმოადგენდეს ნოეს დალუბული შვილის ფოლკლორულ ტრანსფორმაციასაც და მისი ღონიერების აღმნიშვნელ ეპითეტსაც.

⁶ ებრაული მიღრაშის თანახმად, ბევრს არ სჯეროდა, რომ წარლგნა მართლაც ყველაფერს წალეკავდა ირგვლივ. მათ ეგონათ, რომ შეძლებდნენ მიწიდან ამოსული წყლის შეწერებას, თუკი საცობს დაუცობდნენ. ისინი იღებდნენ საკუთარ თოთო შვილებს და მათი სხეულით ავსებდნენ მიწის ნაპრალებს; როცა წყალი კვლავ მოდიოდა, ისინი მეორე ბავშვს დებდნენ იქ, მესამე... ოლონდ საკუთარი თავი გადაერჩინათ (მ. ვეისმანი, 1990, გვ. 127).

გემის წაბილწვის მოტივი. როდესაც გემის მშენებლობა დასრულდა, ნოემ ხალხს მოუწოდა, ასულიყვნენ ზედ. ზოგმა არ დაუჩერა ნოეს, წავიღნენ და „გემი საპირპარეშოთ გამოიყენეს და დასვარეს“ (ზ. თანდილავა, 1990, გვ. 96). ნოეს საჩივარზე ლმერთმა მის მოწინააღმდეგებს ბლერი (მუნი) დამართა; მათ ქავილისგან სისხლი სდიოდათ. ლმერთმა ქავილის ერთადერთ წამლად ნოეს გემზე არსებულ ფეკალიებში განბანა დააწესა. მაშინ ყველა ავიდა გემზე და გაუსუფთავეს ნოეს თავისივე დასვრილი გემი.⁷ აღსანიშნავია, რომ გემის წაბილწვის მოტივი საკმაოდ გავრცელებულია არა მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზე, არამედ ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე (თურქეთის რესპუბლიკაში) მცხოვრებ ჩვენებურებს შორის, მათ შორის ერთ-ერთი უკანასკნელი ჩანაწერი 2007 წელს გაკეთდა თინა შიომვილის მიერ მურღულის ხეობის სოფ. ბაშქოიში. ტექსტი აბსოლუტურად იდენტურია აჭარული გარიანტებისა (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 263).

მოტივი გვხვდება ჩრდილო-კავკასიის ტერიტორიაზე ტაბასარანელთა ფოლკლორშიც, სოფ. პილიგში: ადამიანთა ურწმუნოება და უზნეობა იმდენად მომრავლდა, რომ მამა-შვილიც კი არ ინდობდა და ხოცავდა ერთმანეთს. როდესაც ნოემ გემი ააგო, მათ თავიათი ექსკრემენტებით დაუსვარეს ის. მაშინ ლმერთმა მათ მუნი შეჰყარა, რომელსაც ვერანაირი საშუალებით ვერ მცურნალობდნენ. ერთხელ, ნოეს კიდობანზე მოსასაქმებლად ასულ ერთ-ერთ მცხოვრებს ფეხი დაუცურდა და ყურებამდე ჩაეფლო განავალში. როდესაც ჩამოიბანა, მუნისგანაც განიცურნა. მან ამ წამლის შესახებ ყველას გააგებინა და ხალხი საკუთარ დანაშაულს მიხვდა. მათ შვიდგერ გაწმინდეს ნოეს კიდობანი. ამის შემდეგ ლმერთი მოუწოდებს ნოეს, რომ მხოლოდ ისინი აიყვანოს ხოძალდზე, ვისაც მიისი სჯეროდა (ი. მურტუზალიევი, 2010, გვ. 186).

მოტივის წარმოშობას კი გ. მახარაშვილი ყურანს უკავშირებს, სადაც ნოეს კიდობანზე საუბრისას აღნიშნულია ერის თავეაცების ურწმუნოება, რომლებიც დასცინოდნენ ნოეს და მატყუარად და „ეშმაკისგან შებყრობილად“ მოიხსენიებდნენ. მათ ნოეს წინააღმდეგ მოუგონებიათ „ხერხი მოწონებული“, ყურანში კი არ არის დაზუსტებული, თუ რა ხერხზეა საუბარი. მკვლევრის აზრით, ხალხის ფანტაზიამ, ქრისტიანული აბკურითების მსგავსად, ე. წ. ჰადისებით შეასო ყურანისეული სიუჟეტი და გემის წაბილწვის ეპიზოდი სწორედ მათი გახალხურების გზით უნდა იყოს მიღებული (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 264).

გაუშაძლარი გოლიათის მოტივი. აჭარის ზებირსიტყვიერებაში არაერთ ვარიანტად გვხვდება მოტივი გაუშაძლარ ყუნულზე//ლუნულზე, რომელიც აღნაგობით ძალზე დიდი და ძლიერი იყო და გემის სამშენებლო მასალის მოტანაში ეხმარება ნოეს და ფიზიკურობასთან ერთად დაუოკებელი მაღითაც

⁷ მესხურ ვარიანტში კიდობანზი ბზარი სწორედ გემის ფეკალიებისგან გათავისუფლებისას გაჩნდა: „ურიებმა ნოეს გათლილი კიდობანი საფეხედ, „უბორნიად“ გამოიყენეს. ამ ურიებს მუნი შეეყარათ. მაშინ მაგათ თქვეს: - ეს რა არი, ალბათ წმინდა ადგოლია, აქელან უნდა წავიდეთ, თორემ მუნი არ მოგვცილდება. მოვიდა ბრძანება, რომ წარყვნა იქნება და ლმერთმა უთხრა ნოეს: - ნოე, აარჩი დედალ-მამალი ყველა სულიერისგან და შეიყვანე კიდობანში. ურიები ადგენ და ხო ფხიკეს ეს კიდობანი, ცოტა გამოუტყდათ, მაშინ გველი ფაეცო ამ ნახვრეტს და დაფარა. მერე 40 დღე და ღამე წვიმდა და ქვეყანა ზღვამ დაფარა (თსუფა: 3821).

გამოირჩევა. გემის მასალის მოტანის საფასურად მან მოითხოვა კარგად დაენაყრებინათ. წავიდა ტყეში, მოგლიჭა ხეები, გზად კი ეშმაკი შეხვდა და შეაცდინა, რომ ნოე მას ატყუებდა, რადგან მხოლოდ ერთი ჯამი საღილი ჰქონდა. ყუნული უჯრებს ეშმაკს და გადაყრის ხეებს, ნოე კი მას მაინც დააპურებს, თუკი “ბისმილას” (სახელითა ალაპისა, მოწყალისა, მწყალობლისა) იტყვის. ყუნული ჯიუტობს, მაგრამ დათანხმდება. როდესაც ჯამს გაათავებს, ჯამი ისევ ივსება, სანამ ყუნული არ გამოძლება (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 299-300). ის თავისი ფიზიკური სიდიდის გამო ვერ მოხვდება ნოეს კიდობაზე, მაგრამ იმ სიკეთისოვის, რომელიც კიდობნის მშენებლობაში მიიღო მასალის მიწოდებით, ყუნული გადარჩება (გ. მახარაშვილი, 2010, გვ. 303).

გაუმაძლარი გოლიათის მოტივი გვხვდება ტაბასარანულ წარლვნის მითშიც: ნოეს სამშენებლოდ ხე მოაკლდება და გაუმაძლარ უქს სთხოეს, მოუტანის და დაპირდება მას, რომ დაანაყრებს. გზად უქს იბილისი (სატანა) შეხვდება და გადაყრევინებს ხეებს, რადგან დაარწმუნებს, რომ ნოე იტყუება. როდესაც უჟი ნოესთან დაბრუნდება, ნოე მას ორ-ნახევარ ჩურეკს (თურქ. პური) ჰპირდება, თუკი “ბისმილლაპს” იტყვის. უჟის გაოცებას საზღვარი არა აქვს, რადგან დასანაყრებლად ნახევარი ჩურეკიც კი იმყოფინა (მ. ყურბანვი, 2007, გვ. 252).

კვლევამ აჩვენა, რომ აჭარის ზეპირსიტყვიერებასა და ჩვენებურების ტრადიციაში გავრცელებული მოტივები ჩრდილოკავკასიურ ფოლკლორთან მეტ საერთოს პოულობს, ვიდრე ზოგადქართულ მოტივებთან. ამას, ცხადია, აჭარის ყოფა და ის გავლენა განაპირობებდა, რაც ყურანს ჰქონდა ფოლკლორზე. ყურანის ფოლკლორიზაცია ბიბლიის ფოლკლორიზაციის ანალოგიური მოვლენაა და, როგორც მოსალოდნელი იყო, აჭარული ფოლკლორი, ჩვენებურების ფოლკლორის მსგავსად, მუსლიმთა რელიგიური წიგნის ხალხურ ვერსიას წარმოადგენს.

დამოწმებული ლიტერატურა

ბ. ბლექი, 2009 - Блеч Бенджамин, Долинер Рой, Загадка Микеланджело, Что скрывает Ватикан о Сикстинской капелле? М., 2009.

გ. ვეისმანი, 1990 - Рабби Моше Вейсман, Мидраш рассказывает, Берешит I. Иерусалим: «Швут Ами», 1990.

ზ. თანდილავა, 1990 - ფოლკლორული მასალები, შეკრიბა, გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო ზ. თანდილავამ, - სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, X, თბ., 1990, გვ., 93-115.

გ. მახარაშვილი, 2010 - გ. მახარაშვილი, წარლვნის მოტივი აჭარულ ფოლკლორში, ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში, ბათ., 2010, გვ., 232-345.

ი. მურთუზალიევი, 2010 - Муртузалиев Ю.М., Сюжеты о Всемирном потопе в фольклоре табасаранцев // Известия СОИГСИ, Школа молодых ученых, 2010, Вып. 4. С. 183 - 192.

ჯ. ნოღაიძელი, 1971 - ჯ. ნოღაიძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათ., 1971.

ფოლკლორი, 1970 - ქართული ფოლკლორის ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1970.

შ. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათ., 1993.

მ. ყურბანოვი, 2007 - Курбанов М. М. Табасаран в мифах, преданиях, легендах и притчах. Махачкала, 2007.

თხუფა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორის არქივი.

ETER INTSKIRVELI

THE LEGEND OF THE BIBLICAL FLOOD IN THE FOLK TRADITIONS OF ADZHARIA AND IN GEORGIAN POPULATION OF TURKEY

Surprisingly enough, the motive of the Biblical Flood in Georgian folklore is the most widespread in Adzharia. This is, naturally, due to the fact that this region of Georgia is located close to the sea.

While in various regions of Georgia the motives related to Noah's Arc exist chiefly in the form of narrative, in the folklore and ethnographic material of Adzharia it is found not only as narrative, but also in rituals and folk traditions.

One of such traditions is related to a spring meal – Ashura, which is derived from the Biblical story of Noah cooking soup with the remaining seeds and feeding the creatures in the Arc. In Achara the dish is made of about 40 species of plant seeds. Another ritual related to Noah's Arc is Adzharian wedding tradition when the bride's parents visit the groom's family, bringing some sweets as a gift.

ძალაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VIII

2016

რუსულან ქაშია

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან
(XVIII ს. II ნახევარი)

რუსეთის იმპერია საუკუნეების მანძილზე ცდილობდა სამხრეთისაკენ საზღვრების გაფართოებას. შავ ზღვასა და კავკასიის ბაზრებზე გაბატონების ცდებმა განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 1750 წლიდან, როდესაც ამოქმედდა ე.წ. „დარიალის გზა“. საქართველოს სამეფო-სამთავროები რუსეთის საგაჭრო ცენტრებს უმოკლესი გზით დაუკავშირდნენ. XVIII საუკუნის II ნახევარში ამიერკავკასიაში რუსული და რუსეთის გზით შემოსული საქონელი გამოჩნდა.

გეორგიევსის ტრაქტატის მეთერთმეტე არტიკული ქართველ ვაჭრებს რუსეთის ქალაქებში ვაჭრობის თავისუფლებას აღუთებენდა: „ვაჭრობასა ქართლისა, და კახეთისა აქვს თავისუფლება, რათა განავაჭროს სავაჭრო თვისი რუსეთსა შინა და ისარგებლონ მითვე სიმართლითა და პატივისცემითა, რომლითაც მკვიდრნი რუსეთისანი სარგებლობენ ...“ (ი. ცინცაძე, 1960, გვ. 226).

საქართველოსა და რუსეთს შორის ორი ძირითადი საგაჭრო გზა არსებობდა: ერთი დარიალის ხეობით მოზღვეული, მეორე — თბილისი-ბაქო-ასტრახანისა. დარიალის ხეობით გზა მთაგორიანი და მძიმე იყო, სამაგიეროდ შედარებით მოკლე (შ. სამსონაძე, 1980, გვ. 122).

ამ პერიოდის მზითვის წიგნებსა და ქართულ ისტორიულ საბუთებში ჩნდება რუსეთიდან შემოსული ნივთები: „რუსული ზანდუკი“, „შოჭედილი რუსულებრ ოთხთავი“, „სტოლის სერვიზი დუჟინი“, „ფრანგული საკაბეები“, „განდიდური ავეჯი“, „სპანსკის სარეები“ და სხვ. (მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, მზითვის წიგნები, 1974).

რუსეთისათვის ამიერკავკასია უნდა გამხდარიყო ნედლეულის ბაზა, რომელიც იმპერიის მზარდ მრეწველობას პროდუქტით მოამარავდა. აბრეშუმი, სალებავები (განსაკუთრებით ენდრო), ბამბა, ბამბის ქსოვილები, აღმოსავლური ხელოსნობის ნაწარმი რუსეთის ბაზარზე დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა (შ. სამსონაძე, 1980, გვ. 123).

ინტენსიური ხასიათი მიიღო ქართველი ვაჭრების მიმოსვლამ რუსეთის ქალაქებში, განსაკუთრებით მოზღვეულისა და ასტრახანში, მაკარიევოსა და ნიკეგორონის ბაზრებზე.

„დარიალის გზის“ გახსნას წინ უძლოდა ქართული ახალშენების გაჩენა ჩრდილო კავკასიის ქალაქებში: ყიზლარსა და მოზღვეული (დ. კაციტაძე, 1982, გვ. 51). 1799 წლით დათარილებული საბუთით დასტურდება მოზღვეული ეკლესიის არსებობა (ვ. გამრეკელი, 1968, გვ. 121). მოზღვეული ერთგვარ საშუალებლი პუნქტის როლს ასრულებდა რუსეთის ქალაქებსა და საქართველოს შორის. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ისტორიულ საბუთებში ნათლად ჩანს, რომ თბილისელ ვაჭრებს რუსეთის ბაზრებზე გაჭირნდათ როგორც

ადგილობრივი, ასევე ირანული, ამიერკავკასიის ქალაქებიდან შემოტანილი საქონელი.

1796 წელს დაწერილი წერილი სტეფან ასლანოვისა მანუჩარ მდივნისადმი გვაწვდის საინტერესო მასალას საბაზრო, ფულად-სასაქონლო ურთიერთობების შესახებ. საბუთიდან ვიგებთ, რომ ასლანოვი (ქართული გვარები მეტწილად რუსული დაბოლოებით არის მოხსენიებული) ცნობილი საქმისნის – მანუჩარ თუმანიშვილის სავაჭრო წარმომადგენელია, რომელიც აკონტროლებს თუმანიშვილის სავაჭრო კავშირებს ამიერკავკასიასა და რუსეთში. საბუთიდან ვიგებთ, რომ ასლანოვს მოზღოვში ჩაუტანია “730 თუმნის ზარბაბი (აბრეშუმი)”, იქ ნაყიდი “ფრანგის ჩითი” კი ბაქოში წაულია იქაურ ვაჭრებთან, რომელთაც “ამხანაგებს” უწოდებს. იმავე დოკუმენტში ჩანს, რომ ასლანოვის სავაჭრო პარტნიორია იმ დროისათვის ცნობილი თბილისელი ვაჭარი [ხადაკონა] კარაპიტა. საბუთში ვკითხულობთ: “კარაპიტა ხოიდან [ქალაქი აზერბაიჯანში] ჩამოვიდა, მოზღოვს განდიდური გამიყიდნია, თანხას გამოვატნევ“ და ა. შ. (ნ. ბერძენიშვილი, 1953, №388).

1782 წლის საბუთით უცნობი პირი წერს, რომ მას კარაპიტასთან ერთად მოზღოვში გაუყიდია შირაზის ტყავი, შემდეგ ბაქოში ჩაუტანიათ რუსეთში შეძენილი საქონელი, მათ შორის რუსული “სტოლის სერვიზები“ და “ფრანგული სარკეები“. დოკუმენტით ჩანს, რომ კარაპიტამ სავაჭრო თანხა - თავნი მანუჩარ თუმანიშვილისაგან მიიღო (ნ. ბერძენიშვილი, 1953, №389).

ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს 1795 წელს ერევანში მოვაჭრე უცნობი პირის წერილი ისაია-ალასადმი [იგულისხმება ისაია დათუაშვილი, გვარგილის საწარმოს მფლობელი]. ვაჭარი აცნობს ისაია-ალას ერევანში სავაჭრო საქმიანობის შესახებ და წერს, რომ ელოდება ნავაჭრით რუსეთში წასულ პარტნიორებს - “ამხანაგებს“ არუთინასა და ასლანას (ნ. ბერძენიშვილი, 1953, №382).

ამდენად, აღნიშნულ პერიოდში თბილისელი ვაჭრები რუსეთსა და ამიერკავკასიას შორის საშუალვლო როლს ასრულებდნენ. რუსეთის გზით შემოსული საქონელი თბილისის გავლით ამიერკავკასიის ქალაქებსა და ირანში გადიოდა. დასტურად განვიხილოთ რამდენიმე ისტორიული საბუთი: 1797 წ. სტეფან ტერ-შამოვანოვის წერილიდან ჩანს, რომ იგი ასტრახანში ვაჭრობს და თავის “ბატონსა“ და ამავე დროს საქმიან პარტნიორს მანუჩარ თუმანიშვილს უგზავნის იმ საქონლის ნუსხას, რაზეც რუსეთის ბაზრებზე მოთხოვნა იყო და კარგად იყიდებოდა. ამ საქონელს შორის მითითებულია “ხოის ჩითი“, ირანიდან შემოტანილი ყვითელი აბრეშუმი, ჩაი და ა. შ. (ნ. ბერძენიშვილი, 1953, №396).

საქონლის ნუსხაში, რომელიც თბილისელ “ამხანაგებს“ მიაქვთ მაკარიევოს ბაზრობაზე (ნიჟეგორიდი), გარდა ადგილობრივი ბეწვეულისა და მაუდისა, მითითებულია ირანისა და შემახის აბრეშუმი, ხოლო იქ შეძენილი წითელი მაუდი (აღლი 11 მანეთად) და ფრანგული ატლასი თბილისში ჩამოაქვთ სავაჭროდ (ნ. ბერძენიშვილი, 1953, №400).

ისტორიული მასალა იძლევა ნათელ დადასტურებას, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში არსებობდა ჩამოყალიბებული სავაჭრო ქსელი ამიერკავკასიასა და რუსეთის ბაზრობებს (იარმარკებს) შორის. შედარებით მსხვილი სავაჭრო

ობერაციები უკავშირდება ცნობილი საქმოსნის მანუჩარ თუმანიშვილის, ისაია თაყუაშვილისა და სტეფან ტერ-შამოვანოვის სახელებს.

რუსეთთან საგაჭრო-ეკონომიკური კავშირის პირველი ეტაპის გასაცნობად უბირველეს წყაროს წარმოადგენს მოზღვის გამშვები პუნქტის კანცელარიის მასალები, სადაც ასახულია “დარიალის გზის” გახსნის შემდეგ ცალკეული ვაჭრების ინტენსიური მიმოსვლა ასტრახანსა და მაკარიევოს ბაზრობაზე, შედარებით მცირე რაოდენობის საქმნლით. პუნქტის გავლას სჭირდებოდა სპეციალური საბუთი. ნათელი სურათის შესაჭმელად გავეცნოთ რამდენიმე საბუთს: 1784წ. თბილისელი ვაჭარი, მოზღვიდან ნაგჭრით თბილისში დასაბრუნებლად ითხოვს ნებართვას (ვ. გამრეკელი, 1991, №99). 1780 წლის გამშვები პუნქტის ჩამონათვალში მითითებულია, რომ თბილისიდან პეტრე ისიპოვს მიაქვს 80 ფუთი აბრეშუმი, თეთრი ბიაზი 500 ცალი; თბილისელ სომეხ ვაჭარ ფარსადანს გააქვს ასტრახანში 66 ფუთი აბრეშუმი; თბილისელ შაკაროვს საგაჭროდ მიაქვს 10 ფუთი აბრეშუმი, 20 შეკვრა ტილო, სხვადასხვა ფერის თავსაფრები, მელიის ბეწვი, დამარილებული თვეზი და ფული 104 რუბლი; ქართველი ვაჭარი მიხეილ ივანოვი ამხანაგებთან ერთად ორი ურმით გადადის ასტრახანში, გასაყიდად მიაქვთ: ღვინო 14 კასრი, კარაჯი — 15 ფუთი, საპონი — 5 ფუთი, ბერძნული კაკალი — 1 ტომარა, ფოლადის ჭამები, დანები და ხისგან გამოთლილი სუფრის ჭურჭელი 1792 წ. თბილისელ “ამხანაგებს” მიაქვთ გასაყიდად: ტილო, ხორბალი — 15 ფუთი, ბეწვეული, ირანული აბრეშუმი (ვ. გამრეკელი, 1968, 1, №67, 103) და ა. შ. მასალის სიმრავლის გამო ყველა საბუთის ჩამოთვლას არ შევუდგებით.

ქართულ ხელისუფლებას შესანიშნავად ესმოდა საგაჭრო ურთიერთობების — არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობა. ქართველი მეფეები ზრუნავდნენ, რომ სავაჭრო ურთიერთობები უფრო აქტიური და ვაჭრებისათვის უსაფრთხო გამხდარიყო. საგულისხმოა ერეკლე II-ის წერილი 1780 წ. მოზღვის კომენდანტისადმი, ქარავნების თავისუფალი გადაადგილების შესახებ: “რომელიც ოსეთის გზის თადარიგზე გებძანათ, დიაღ კარგად გერჩიათ, ჩვენთ მოგვეწონა. ეს გზა ვაჭრებისათვის უფიქრებელი რომ შეიქმნას, მრავალი ვაჭარი დაიწყებს სიარულს და დიდი სარგებელი იქნება ორსავე მხარეს. მაგრამ ჩვენ ამას მოგახსენებთ. დარიელას ციხე, რომელიც ჩვენის ქვეყნისა და ოსეთის საზღვარი არის, რომ ამ ადგილიდან ჩიმი რვა ვერსი თუ იქნება, ჩვენ ამ ხსენებულს ციხეში რამდენსამე ჯარს დავაყენებთ. როცა მანდედამ ქარავანი წამოვიდეს, რომ თქვენ იმას ჯარი გამოატანოთ. ისინი ჩიმს აქეთ ოთხს ვერსზე მოჰყვნენ, ამ დარიელას ციხეში მდგომნი ჩვენი ჯარისკაცები, ოთხს ვერსზე ესენი მოეგებებიან და იქ იმ ჩვენს კაცთ მოაბარონ ხოლმე... ამ წესით ამ გზაზე მოსიარულენი ვაჭარი დიდი შვიდობას მიიღებენ” (ვ. გამრეკელი, 1980, №14).

მოზღვის კანცელარიის მასალები შეისწავლა და გამოსცა მკვლევარმა ვ. გამრეკელმა. მან ამ ეტაპზე რუსეთთან ფულად-სასაქონლო ურთიერთობა დაახასიათა როგორც წვრილი, საცალო ვაჭრობა. სავაჭრო საქონელი იყო ძირითადად კვებითი პროდუქტი, სამეურნეო, გალანტერია და სხვ. ამავე დროს ავტორი მიუთითებს, რომ მიუხედავად წვრილი მასშტაბებისა, ვაჭრობა იმ დროსათვის და იმ პირობებში პროგრესული, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობისა იყო (ვ. გამრეკელი, 1968, გვ. 69-70).

მოზღვის კანცელარიის მასალების აღწერისა და XVIII ს. II ნახევრის ქართული ისტორიული საბუთების გაცნობით ჩანს, რომ რუსეთთან ვაჭრობაში შესამჩნევ როლს ასრულებდნენ ქუთაისელი ვაჭრები. 1791 წ. მოზღვი გაიარეს ვაჭრებმა ქუთაისიდან — გრიგორიევმა და პეტროსოვმა (კვლავ ხაზი უნდა გავსუსვათ იმ გარემოებას, რომ რუსულ მასალებში ქართული გვარები რუსული დაბოლოებით არიან მოხსენიებული), რომელთაც ჰქონდათ სოლომონ მეფის დახასიათება როგორც “წესიერი” ვაჭრებისა, მათ გასაყიდად მიაქვთ აბრეშუმი, ბეწვეული და 3 ათასი არშინი ტილო (ვ. გამრეკელი, 1968, №100).

საყურადღებოა, რომ ქუთაისელ ვაჭრებს რუსეთის ბაზრებზე ძირითადად ადგილობრივი საქონელი გაჰქინდათ. როგორც ჩანს, განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობდა იმერული თავთა. ეს იყო აბრეშუმის ქსოვილი, რომელიც მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მზადდებოდა და თავის სილამაზითა და სინაზით გამოიჩინდა. XVIII საუკუნის II ნახევარში ქუთაისელ ანდრიაშვილს მაკარიევოს ბაზარზე 77 შეკვრა თავთა წაულია, ასევე 80 ცალი მელიისა და 40 კვერნის ბეწვი. ანალოგიური შინაარსისაა საბუთი, რომლის თანახმად ქუთაისელ ვაჭარ ბეჟანშვილს რუსეთში გასაყიდად მიაქვს 21 შეკვრა იმერული თავთის ქსოვილი, 60 მელიისა და 45 ცალი კვერნის ბეწვი (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, აღწერა I, საქმე 131, გვ. 224, 443).

XVIII საუკუნის ბოლოს მოზღვში ვაჭრობს იმერელი დავით ალავერდოვი, ხოლო ქუთაისელი სტეფანე ქაიხოსროვი და ბერი გრიგორიევი რუსეთში სავაჭროდ მიღიან და თან მიაქვთ აბრეშუმი, თავთა, მელიის ბეწვი და სხვ. (ზ. სამსონაძე, 1980, გვ. 149). 1780 წელს შედგენილ გასაყიდი საქონლის ნუსხაში, რომელიც იმერელ ვაჭარ იოსებს მიაქვს რუსეთში სავაჭროდ, ძირითადად დასახელებულია ტყავები, გარეული კატისა და მელიის ბეწვი და საკვები პროდუქტი (ვ. გამრეკელი, 1968, №90). ქუთაისელ ანტონ ელიზბარაშვილს რუსეთში გასაყიდად მიაქვს ტილო, სალებავები, ფუთი შაქრი, ათასი გარეული კატის ბეწვი და რბილი საჩემე ტყავი (ვ. გამრეკელი, 1968, №93).

ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება რუსი ბოლკოვნიკის მერლინის აღწერა, სადაც იგი ჩამოთვლის იმ საქონელს, რომელიც XIX საუკუნის დასაწყისში ძირითადად შედიოდა რუსეთიდან ქუთაისის ბაზარზე გასაყიდად. ესენია: ქსოვილები, სხვადასხვა პროდუქტი, ავეჯი, ჭურჭლეული და ა. შ. (ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 16, აღწერა I, საქმე 1604, გვ. 4—5).

აღნიშნულ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის გავლით საქონლის გადატანა, ცხადია, რისკა და საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ამის ნათელი დადასტურებაა მოზღვის კანცელარიის მასალები, სადაც მრავლადაა ჩამოთვლილი გაძარცვული ვაჭრების საჩივრები: 1780 წელს დაწერილ თბილისელ ვაჭარ შერგილოვის რაპორტში ჩამოთვლილია გაძარცვული ქარავნის საქონლის ნუსხა: ბეწვეული, ტილო, ვერცხლისფერი და წითელი ფარჩა, გერმანული ჭურჭელი, ესპანური მაუდი, სხვადასხვა წვრილმანი, სულ 1600 მანეთის საქონელი (ვ. გამრეკელი, 1968, №61).

1780წ. ერეკლე II-ის წერილში კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პოტიომკინისაღმი, მითითებულია ახალციხის ფაშას მიერ ქართველი ვაჭრების გაძარცვის შესახებ - “საქონელი სულ წაერთვა, საქონელი და თეთრი ათასი თუმნისა ყოფილა” - ვკითხულობთ საბუთში (ვ. გამრეკელი, 1980, №59).

1784 წ. მეფე ერეკლე კვლავ თხოვნით მიმართავს პოტიომებინს, ქართველი ვაჭრების დასახმარებლად: “დარუბანდსა და ბაქუს მოსიარულეთ ჩვენს ვაჭართ დიალ დიდი გაჭირება აქვთ იქაურის ხანებისაგან და ამისათვის ვითხოვთ თქვენის მაღალ მსვლელობისაგან, რომ მიეწეროსთ იმათ თქვენგან, რომ ამგვარის ჩვენის ვაჭრების წყენისა და შეჭირვებისაგან დაცხრენ და ველარ იყადრონ ამისთანა საქმე” (ვ. გამრეკელი, 1980, №74).

იმავე წელს მეფე ერეკლე პოლოვნიკ ბურნაშევს ატყობინებს, რომ გორელი ვაჭარი შიხინოვი (რომელსაც დიდი რაოდენობით ენდრო გადაჰქონდა ყიზლარში) ლეგებმა მოქლეს და თხოვს დახმარებას, რომ დანაკარგი დაუბრუნდეს მემკვიდრეებს (ვ. გამრეკელი, 1980, №85). მომდევნო წერილით მეფე მიმართავს ბურნაშევს განჯასთან ქართველი ვაჭრების გაძარცვის გამო და კვლავ დახმარებას თხოვს (ვ. გამრეკელი, 1991, №111).

ყაბარდოში თბილისელი სომეხი ვაჭრების გაძარცვისა და დახოცვის გამო ერეკლე სთხოვს პოტიომებინს დახმარებას, რათა წართმეული თანხა (12350 მანეთი) დაუბრუნდეს მემკვიდრეებს (ვ. გამრეკელი, 19891, №114).

ხშირად ადგილი ჰქონდა რუსი მოხელეების მხრიდან უსულგულო დამოკიდებულებასა და თვითნებობას. 1797 წელს ქართველი ვაჭრების მიერ შედგენილ საჩივარში ჩანს, რომ საბაქოს დირექტორმა ლვოვმა ჩამოართვა მათ 700 ოქრო, 70 თუმანი და ნავაჭრი საქონელი (ვ. გამრეკელი, 1968, №120).

ამდენად, რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობას XVIII საუკუნის II ნახევარში წვრილი, საცალო ვაჭრობის ხასიათი ჰქონდა. ვაჭრობა მიმღინარეობდა ძირითადად სამხრეთ ქალაქებთან: ასტრახანსა და ნიჟეგორიოდთან, მაგრამ ქართველი ვაჭრების ინტენსიური მიმოსვლა, აქტიური ფულად-სასაქონლო და საბაზრო კავშირები განვითარების პერსპექტივით ხასიათდებოდა.

დამოწმებული ლიტერატურა

6. ბერძნიშვილი, 1953 - ნ. ბერძნიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II, თბ., 1953.

ვ. გაბაშვილი, 1982 - ვ. გაბაშვილი, ჩრდილოეთის გზა, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ისტორიიდან, მნათობი, №4, 1982.

დ. კაციტაძე, 1982 - დ. კაციტაძე, რუსეთ-საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი XVIII. II ნახევარში, ისტორია, გეოგრაფია სკოლაში, №4, 1982.

მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, (მზითვის წიგნები), თბ., 1974.

შ. მესხია, 1983 - შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1983.

გ. სამსონაძე, 1980 - გ. სამსონაძე, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX ს. I მესამედის საქართველოში, თბ., 1980.

ი. ცინცაძე, 1960 - ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960.

- 3. გამრეკელი, 1968** - В. Гамрекели, Документы по взаимоотношениям Грузии с северным кавказом, I, Тб., 1968.
- 3. გამრეკელი, 1980, 1991** – Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии, Тб., I, 1980; II, 1991.

RUSUDAN KASHIA

FROM THE HISTORY OF GEORGIAN-RUSSIAN RELATION (II HALF OF XVIII CENTURY)

Russian goods emerged from Russian road in Transcaucasia from the second half of the XVIII century. Russian Empire was trying to annex the borders towards South during centuries. Endeavors of predominating the markets of Black Sea and Caucasus became stronger since 1750, when so called “Dariali Road” was launched. Kingdom- provinces of Georgia connected to Russian trade centers with shortest ways.

For Russia Transcaucasus should have become the store of raw materials, which would have provided the increasing industry of the Empire with the production. Silk, hues (especially bot madder), cotton, cotton tissues, oriental crafts enjoyed great demand.

For the introduction of the first stage of trade-economic connections, the initial resource is the chancellery materials of Mozdok post control .

Visits of Georgian traders to Russian cities, especially in the marketplaces Mozdok and Astrakhan, Makarievo and Nizhegorod became intense.

Trading relations with Russia in the II half of the XVIII century had a character of retail trade. Trade relations took place basically with cities from the South: Astrakhan and Nizhegorod, but intensive visits of Georgian traders, active trading connections showed development perspectives.

ძალის სამეცნიერო ბიბლიოთის წლიული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VIII

2016

მარიამ კობერიძე

შერეილები მეტყველება ქართველ მოზგაურთა
ჩანაწერები (გურაბ შარაშენიძე
"შერეილები გურჯები")

ზურაბ შარაშენიძე 1965 და 1967 წლებში სამსახურებრივი მივლინებით იმყოფებოდა ირანში. მან პირადად გაიცნო და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ფერის ქართველებთან. 1979 წელს დაიბეჭდა მისი მონოგრაფია "ფერის ელი გურჯები", რომელშიც მან თავი მოუყარა ფერების შესახებ არსებული ისტორიული წყაროების მონაცემებს, ჩაწერილ ტექსტებს, პირად დაკვირვებებსა და ქართველ და უცხოელ მოგზაურთა შთაბეჭდილებებს, რომელთა ნაწილი ან გაბნეულია სხვადასხვა სტატიებსა და პერიოდული პრესის მასალებში, ან კიდევ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. ნაშრომს თან ახლავს ფერის ელი ტექსტები და მცირე ლექსიკონი.

განსაკუთრებით საინტერესოა ფერების ქართველების — ყოლაშ - რეზა ხუციშვილის, ყოლაშ - ჰილენ ანიკაშვილის, მოპამედ მაყაშვილისა და სეიფოლა იოსელიანის საქართველოში ჩამოსვლის ამსახველი მასალები ("დროება", 1872; ზ. ჭიჭინაძე, 1995; "დროება", 1876; ზ. შარაშენიძე, 1969; 1979). აღსანიშნავია ლადო აღნიაშვილის, ამბაკო ჭელიძის, პ. ლორთქიფანიძის, იური მარისა და სხვა ქართველი მოგზაურების დაკვირვებანი ფერების ელი მეტყველებაზე და მათ მიერ ჩაწერილი ტექსტების მნიშვნელობა ენათმეცნიერებისათვის (ლ. აღნიაშვილი, 1896; ა. ჭელიძე, 1935; "სახალხო ფურცელი", 1916; ი. მარი, 1936).

ფერების ქართველების შესახებ საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს გვაწვდის ირანელი გენერალ-მაიორი ალი რაზმარა 1949-1954 წლებში თეირანში გამოქვეყნებულ თავის ათტომიან ნაშრომში - "ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი" ("ფარპანგე. გოლრაფია-ე ირან"). მისი ცნობით, ფერების შაპრესთან ში თორმეტი ქართული სოფელია: **ზემო მარტყოფი/ახორე ბალა, ქვემო მარტყოფი/ახორე ფაინი, სიბაქი, ჭაყ-ჭაყი, ჩუგიურეთი/ჩუღურეთი, აფუსი/რუსისბირი, ბოინი, დაშქესანა, აღჩა, ბადეჭანე/ახორე, დაუგანი (დაქანი), შეშქავანი.**

ქართველ მოგზაურთა ჩანაწერებში ფერების ქართული სოფლების რაოდენობისა და სახელწოდების შესახებ განსხვავებული ცნობებია მოცემული.

ლადო აღნიაშვილი იყო პირველი ქართველი მოგზაური, რომელმაც 1894 წელს მოინახულა ფერებიდან და გაიცნო იქაური ქართველების ყოფა-ცხოვრება. "სწორედ ლადო აღნიაშვილის დამსახურებაა, რომ მის ნაკვალევზე არაერთი ქართველი დაინტერესებულა და გადასულა ფერებიდანში" (ც. ბერიძე, 2004, გვ. 240). ლადო აღნიაშვილმა შეადგინა ფერების ქართული სოფლების პირველი რუკა. ის ასახელებს თოთხმეტ ქართულ სოფელს: **ზემო მარტყოფი ანუ ზემო ახორა, ქვემო მარტყოფი, სიბაქი, ჭალჭალი, ჩუღურეთი,**

აფუსი/რუისპირი/რუსთავი, თოლერი ანუ დომბექამარი, ბოინი, ტაშქესანა, ახჩა, შაიურდი, ნინოშმინდა ანუ ქედუბანაქი, დეესური, შაანათი (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 210-212).

ფერეიდნული ქართველი სეიფოლა იოსელიანი ასახელებს თხუთმეტ სოფელს: **მარტუოფი, ქ. მარტუოფი, სიბაქი, ჭალჯაყი, ჩულურეთი, აფუსი, თოლელი (იგივეა თელავი), ბოინი, დაშქესანა, ახჩა, შაიურდი, ნინოშმინდა, დეესური, აღაგოლი, ბადიგანი.** ზურაბ შარაშენიძის აზრით, უფრო სანდოა სეიფოლა იოსელიანის მონაცემები, რამდენადაც იგი ფერეიდნული ქართველი იყო და კარგად იცნობდა ამ მხარეს (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 110).

1923-1929 წლებში ირანში იმყოფებოდა ამბაკო ჭელიძე, რომელიც მუშაობდა თეირანის საბჭოთა ბანკში. ამ პერიოდში მან ინახულა ფერეიდანი და გაიცნო იქაური ქართველები. ამბაკო ჭელიძე ქართველებით დასახლებულ თხუთმეტ სოფელს იხსენებს: **ზ. მარტუოფი, ქ. მარტუოფი /ახორე ფაინი, სიბაქი, ჭალჯაყი, ჩულურეთი (ჩულრუთი), აფუსი/რუისპირი, თოლეი/თელავი/დომბექამარი, ბოინი, დაშქესანა, ახჩა, შაიურდი /შავსოფელი, ნინოშმინდა ანუ ქუდგუნაქი, ბადიგანი, დარბენდი, სარდაბი.**

იური მარის მონაცემებით, ფერეიდანში თორმეტი ქართული სოფელია: **ზ. მარტუოფი, სიბაქი, ჭალჯაყი, ჩულურეთი, აფუსი, დომბექამარი, ბოინი, ტაშქესანა, ახჩა (ახრაი), შაიურდი, ხამის ლიანი, უზუნ ბულაყი.**

მოტანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ მოგზაურს თუ მკვლევარს ისეთი სოფლებიც აქვს დასახელებული, რომელიც სხვაგან არ არის მოხსენიებული. ლადონ აღნიაშვილი ასახელებს სოფელ **შაანათს**, სეიფოლა იოსელიანი ასახელებს — **აღაგოლს**, ამბაკო ჭელიძე ასახელებს — **დარბენდს და სარდაბს**. იური მარიც გვაძლევს ორ განსხვავებულ სახელწოდებას — **ხამის ლიანი და უზუნ ბულაყი;** რაზმარასთან ორი ახალი სოფლის სახელს ვხვდებით — **დაუგანი და შეშავანი.** ზურაბ შარაშენიძე გაანალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს ასეთ დასკვნას: იმის გამო, რომ ხშირად ერთსა და იმავე დროს სოფელს სხვადასხვა ორი, თუ ზოგჯერ სამი სახელიც ერქვა, შესაძლებელია ერთი და იგივე სოფელი სხვადასხვა სახელით აქვთ მოცემული ავტორებს. მაგალითად, ლადონ აღნიაშვილის დროს ერთ სოფელს სამი სახელწოდება ჰქონია: **აფუსი, რუისპირი და რუსთავი;** ამბაკო ჭელიძესთან **სოფელი თოლეი, თელავად და დომბექამარადაც** იწოდება და სხვა (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 112).

ზურაბ შარაშენიძის მონაცემებით ქართულად ლაპარაკობენ ათ-თორმეტ სოფელში. ეს სოფლებია: **ზემო მარტუოფი, ქვემო მარტუოფი, სიბაქი (გაშლოვანი), ჭალ-ჭაყი, ჩულრუთი (ჩუგიურეთი, ჩულურეთი), აფუსი (რუისპირი), დომბე ქამარი, (თელავი, თოლული), ბოინი, დაშქესანა, შაიურდი, ქუდგუნაქი (ნინოშმინდა), ბადიგანი (ბადეჯანა).**

ზურაბ შარაშენიძე შენიშვნას: ზოგიერთ სოფელში, ქართველების გარდა, სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ცხოვრობენ. ხშირია ისეთი შემთხვევა,

როცა ფერეიდანის სოფელი არ ითვლება ქართულ სოფლად, მაგრამ იქ რამდენიმე ოჯახი არის ქართული. ქართველები გაბნეულია ამ რაიონის ბახთიარების თუ ქურთების სოფლებშიც (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 113).

მოგვიანებით, 1998 წლის აგვისტოში ქართველ ენათმეცნიერებს — თედო უთურგაიძესა და დარეჯან ჩხეიძიანიშვილს საშუალება მიეცათ ემოგზაურათ ფერეიდანში და ადგილზე დაკვირვებოდნენ თორმეტი ქართული სოფლის მეტყველებას. ეს სოფლებია: **მარტყოფი, სიბაქი ანუ ვაშლოვანი, ჯაყრაყი, ჩუღურუთი (ჩუღურეთი), შაჰრაქი, ხუნვი, ხოვანი, დაშქესანი, ბოინი, ახჩა, თორელი ანუ თელავი, აფუნი ანუ რუსბირი** (დ. ჩხეიძიანიშვილი, 2012, გვ. 172).

ლადო აღნიაშვილის შეფასებით, ფერეიდნელები “ჩინებულად ლაპარაკობენ ნამეტნავ რამდენიმე სოფელში. როგორც წუნი არ დეელვის ჩვენ მიერ ქართულ ლაპარაკს ხევსურისას, ქიზიყელი გლეხისას ანუ რომელიმე ტეტია სოფლელისას ქართლ-კახეთის კუთხე-კუნჭულებიდან, აგრეთვე წუნს ვერ დაუდებთ იქაური ქართველების ლაპარაკს. აქცენტი მათ ლაპარაკში სწორედ ისეთივეა, როგორც ჩვენებური სოფლელი გლეხისა ნამეტნავ ქიზიყელისა და ხევსურისა (ფშავისა). და საკვირველი ის არის, რომ ეს აქცენტი მარტო ქართულ ლაპარაკში აქვთ ასეთი” (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 218).

ამ მხრივ საინტერესოა ლადო აღნიაშვილის ფერეიდნელ ქართველთან საუბრის ჩანაწერი: “- ბიჭო, ეი! შენ ვინ ხარ, გურჯი ხარ? - ჲო, გურჯი ვარ! მაგრამ შენ ვინა ხარ? ჩვენებური სად იცი? - მეც გურჯი ვარ, გურჯისტანიდან მოვალ თქვენს სანახავად. - იი, გურჯი კი არა! - ჲო, მართლა გეუბნები - მიუგო ლადომ. მაშ გურჯი ხარ?”. მას შეუნიშნავს ფერეიდნელული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ჭ-ბგერა (ჭლილი, ჭორცი), ჩი თანდებული (სახლჩი), ყე ნაწილაკი (უთხრაყე) და წვიდის, მოვიდის ფორმები (ლ. აღნიაშვილი, 1896, გვ. 210-212).

ფერეიდნული მეტყველების თავისებურებას წარმოაჩენს 1968 წელს ზურაბ შარაშენიძის მიერ ფირზე ჩაწერილი ფერეიდნელების საუბარი: “შე ვარ მუხთარა... სოფელჩი დაბადებული, სამი წელია ოთხი წელია თეირანჩი ვცოცხლოფ, მივდივარ მუშოობ. მუშოობა ჩინთვის ძალიან ვიღონებით, ვიღონებით რო არ ითქმის ადვილათ, არც წერა არც კითხუა, პარსული წერა-კითხუა ცოტათი ვიცით, ქართული არცრა ვიცით... შარშა და შარშანწინ, რო ჩინ ბიჭები გამოიდე საქართველოსაყე, გამოიტანეს და ჩინ ერთრამე ეხლა ვსწავლობთ და ვკითხობთ....” (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 102).

ზურაბ შარაშენიძე დაკვირვებით ყე ფერეიდნულში რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. იგი წარმოადგენს თანდებულს, რომელიც მოითხოვს ნათესაობით ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით ხშირად უდრის **-კან (-დან)** თანდებულს. მაგ.: “ამოილე კიბისაყე ფული” (გვ. 158); “ისენი იყვნეს ასი კაცი, ჩინც ვიყნევით **მარტყოფაყე** და სიბაქისაყე და **ჯაყრაყისაყე**, ასი მეტი [მყვანდა თან]” (იქვე, გვ. 155).

ზოგჯერ **-ყე** დასტურდება **-კენ** თანდებულის მნიშვნელობით. **-კენ** თანდებულის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევაში **-ყე** დაკვშირებულია გარე-კახურისა და ინგილოურის **-ყე/-კენ** თანდებულთან (არნ. ჩიქობავა, 2010, გვ. 25). მაგ.: “ჭმა მოიოდა, რო მივიხედეთ **სოფელსაყე**” (იქვე, გვ. 163).

-ყე ნაწილაკი ზნებთან იხმარება სიტყვებისა თუ წინადადებების ურთიერთკავშირის გამოსახატავად. მაგ.: “**წელოყე** წყაროზე სუფრათ და

მეტილაყე, მეტანაყე, ენთოუე, ჩარსაგანაგები დეცელაყე” (გვ. 156). -ყე ნაწილაკი გამოხატავს ობიექტის მრავლობითობას. მაგ.: “ემათ ჸეონდაყე ერთი ბაიტა შავი სახლი” (იქვე, გვ. 184). -ყე ნაწილაკი გამოყენება ხოლმეობითის გამოსახატავად. მაგ.: “როდესაც დრო გქონდა, შემთიყრებითუე ქართველები და სულ საქართველოზე ვლაპარაკობთ (იქვე, გვ. 143); “ეს ყეინის ყორი ასწავლიდისუე” (იქვე, გვ. 184); “ზარ დღეთ შოიტანისუე” (იქვე, გვ. 184).

ენათმეცნიერული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ზურაბ შარაშენიძის მიერ გაანალიზებული ლექსიური ერთეულები. აღსანიშნავია, ზოგი სიტყვის ფონეტიკური ცვლილება. მაგ.: “ბუზუკი” (ბუზი), “სტაფილი” (სტაფილ), “ბაყაყი”, “ბაბაყუა” (ბაყაყი), “გეგრა”, “გუგურა” (გოგრა), “ალვი” (ალი ცეცხლისა), “ცქვიტინება” (ცხვირის დაცემინება), “გაიმტვრა” (გაიქცა)...

ფერეიდნულში დასტურდება ბევრი ისეთი ქართული სიტყვაც, რომლის მნიშვნელობაც დასუსტებული ან სრულიად გამჭრალია დღეს. მაგალითად, “ფეხი” ფერეიდნულში მეორე ცოლს აღნიშნავს. ერთ ფერეიდნელ ქალს ამბაკო ჰელიძისათვის უთქვამს: “— მე ფეხი მყავ”. ამბაკოს ვერ გაუგია “ფეხის” მნიშვნელობა, მაგრამ შემდეგ გამორკვეულა, რომ ეს ქალი უშვილო ყოფილა და მის ქმარს მეორე შეურთავს.

ყურადღებას იქცევს ასის მომდევნო ციფრების გამოთქმა. 1925 წელს იური მარი ისფაპანში შექვედრია ერთ ფერეიდნელ ქართველს სახელად “მეთალიას”. მას დაუხასიათებია ზემო მარტყოფი და ბოლოს უთქვამს: ამ სოფელში დაახლოებით “თექვსმეტ ხელად ასი” კომლი (ათას ექვსასი კომლი) ცხოვრობსო. იური მარს გაპევირვებია და უკითხავს, სხვანაირად ხომ არ გამოთქვამთ ამ ციფრსო, მას უბასუნებია: თქვენებურადაც შეიძლება: “ათასი და ექსასი”-ო (ი. მარი, 1936, გვ. 58).

ლადო აღნიშვილს საგანგებოდ შეუკრების ფერეიდნელი ქართველების გვარები: **აღიანი, ბათუანი, ბასილაანი, ბურციაანი, გორგინაანი, გუგუნაანი, გულიანი, დარისბანაანი, ელარზააანი, ვარდიააანი, ზეკოკიაანი, თამაზიაანი, თარვერდააანი, სეფიაანი, სულიკაანი, ფოცხვერაანი, ქევსიაანი, ქურდაანი, შიშიაანი, ხადიკოიაანი, ხატიკაანი, ხუციკიაანი ...** (ლ. აღნიშვილი, 1896, გვ. 218-219).

ფერეიდნელებს დღემდე შემორჩათ ქართული ანდაზები, იგავ-არაკები, გამოთქმები, თუმცა ზოგიერთ მათგანს შეუცვლია თავისი სახე, ან კიდევ მათი მსგავსი ქართულში ძნელად მოიძებნება. მაგ.: “ზელი ხელს დაიბანს, ხელი დაბრუნდების პირს დაიბანსო (ხელი ხელს ჰებანს ორივე პირსაო)”; “ზარი რო ვერა ხნავს, გინდა ერთი ქილა დაოთესე, გინდა ასი ქილა (როცა ხარს ხვნა არ შეუძლია, გინდა ცოტა მოახვნევინე, გინდა ბევრი, სულ ერთია კარგ შეღებს არ მოგცემსო)“ (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 107-108).

ფერეიდნულმა ქართულმა გარკვეული ცვლილება განიცადა; თვალში საცემია სპარსული ლექსიკა და სინტაქსური კალკები. ხშირია ჩვეულებრივ საუბარში სამეტყველო კოდთა გადართვის შემთხვევები. მაგალითად, შეხვედრის დროს ფერეიდნელი მოგესალმებათ და გეტყვით - “აპვალი როგორ გაქ?“ (აპვალი ნიშნავს “მდგომარეობას”, “ჯანმრთელობას” ე. ი. “როგორ ბრძანდებითო“). ან კიდევ, - “ხომ ნამაი ხარ?“ (ნამაი-ლამაზი) - ხომ ლამაზად, კარგად ხარო.). “ვაყოთი არ გაქს? (ვაყოთი-დრო)- დრო არ გაქვსო?“. “ფერეიდანი

დიდი შაჰრია (შაჰრი-ქალაქი, მხარე)“ ფერეიდანი დიდი ქალაქი, მხარეაო (ზ. შარაშენიძე, 1979, გვ. 99). ფერეიდნელისათვის აუცილებელია სახელმწიფო ენის ცოდნა, სპარსული ენა მის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებს.

ზურაბ შარაშენიძის დაკვირვებით, ფერეიდნული მეტყველება არ არის ერთგვაროვანი, განსხვავება შეინიშნება სოფელსა და სოფელს შორის. მაგალითად, თუ ერთ სოფელში ამბობენ “ჩირდილი” (ჩრდილი), სხვაგან იტყვიან “ჭოლდა-ო”. დარეგან ჩხუბიანიშვილი აღნიშნავს, რომ რიგი თავისებურებების საფუძველზე გამოიყოფა ზემო და ქვემო ფერეიდნული, რომელიც შეესაბამება ამ რეგიონის გეოგრაფიულ მდებარეობასა და ამმინისტრაციულ დაყოფას. ის ზემო ფერეიდნულს უწოდებს ზემო მარტყოფის, სიბაქის, ჯაყაყის, ჩულრუთის მეტყველებას, ხოლო ისბაპანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე სოფლების დაშქესანის, ბოინის, ახას, თორელის, სოფანის მეტყველებას - ქვემო ფერეიდნულს (დ. ჩხუბიანიშვილი, 2012, გვ. 172-173).

ამრიგად, ქართველ მოგზაურთა სხვადასხვა დროს ჩაწერილი ტექსტები და ზურაბ შარაშენიძის მიერ გაანალიზებული მასალები საშუალებას გვაძლევს, ქრონოლოგიურად დავაკირდეთ ფერეიდნულ მეტყველებას და თვალი მივადევნოთ გარკვეული ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ვითარებით განპირობებულ მასში მიმდინარე ცვლილებებს.

დამოწმებული ლიტერატურა

ლ. აღნიაშვილი, 1896 - ლ. აღნიაშვილი, სპარსეთი და იქაური ქართველები, ტფ., 1896.

ც. ბერიძე, 2004 - ც. ბერიძე, ლადო აღნიაშვილი და ფერეიდნელი ქართველები: კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №7, თბ., 2004.

“დროება”, 1872 - გაზეთი “დროება”, №13, 1872.

“დროება”, 1876 - გაზეთი “დროება”, №120, 1876.

ი. მარი, 1936 - იუ. ნ. Mapp, Статьи сообщения и резюме докладов, I, М-ლ, 1936.

“სახალხო ფურცელი”, 1916 - გაზეთი “სახალხო ფურცელი”, №601, 1916.

ზ. შარაშენიძე, 1969 - ზ. შარაშენიძე, ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ, თბ., 1969.

ზ. შარაშენიძე, 1979 - ზ. შარაშენიძე, ფერეიდნელი “გურჯები”, თბ., 1979.

არნ. ჩიქობავა, 2010 - არნ. ჩიქობავა, ყე- ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოლიკის ურთიერთობის თვალსაზრისით: შრომები, I, თბ., 2010.

დ. ჩხუბიანიშვილი, 2012 - დ. ჩხუბიანიშვილი, ფერეიდნული კილოს შესწავლის ამჟამინდელი მდგრმარეობა: საენათმეცნიერო წერილები, თბ., 2012.

ა. ჭელიძე, 1935 - ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1935.

ზ. ჭიჭინაძე, 1995 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველები სპარსეთში და საქართველოში მოსული სპარსელი ქართველი ათამ ონიკაშვილი, ტფ., 1995.

MARIAM KOBERIDZE

FEREYDANI VERBAL SPEECH IN GEORGIAN TRAVELERS' RECORDS (ZURAB SHARASHENIDZE "FEREYDANI GEORGIANS")

Zurab Sharashenidze's book "Fereydani Georgians" was published in 1979. It gives us the important information about the Georgians who moved to Fereydan when the first information about them appeared, and it also describes the life and language of Georgians, living in the villages near Fereydan. The book contains the materials gathered by the Georgians, travelling to Fereydan at different times. Most of the information has become a bibliographical rarity. The samples of the language of Fereydani Georgians are scattered in different articles and books. Their majority has become the bibliographical rarity. The texts are placed in the appendix of the paper (except the ones that have been published recently). A small vocabulary is also given there, where the explanation of some modified Georgian words and Persian expressions is provided.

The Fereydani texts, recorded by Lado Aghniashvili, Ambako Tchelidze and Zurab Sharashenidze deserve big interest. It is important to get acquainted with the work and language samples of the following Fereydani Georgians: Iotam Onikashvili, Kolam – Reza Khutishvili, Kolam – Hosein Onikashvili and SeipolaI oseliani.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

**მარიამ კობერიძე
თამარ კობერიძე**

**ემოციების გამოხატვის სინთაქსერი საშუალებები
აპარატის წერეთლის ორატორულ მეზიველებაში**

ორატორული გამოსვლის დროს გასათვალისწინებელია აუდიტორია, გამოსვლის მიზანი, სიტყვათა შერჩევა, ინტონაცია, აზრების ნათლად, ემოციურად, ექსპრესიულად და დამაჯერებლად გადმოცემა. გარკვეული ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის ორატორის ემოცია, სიხარული, აღტაცება, მწუხარება, სინანული, თანაგრძნობა თუ ზიზღი დაფუძნებულია სხვადასხვა პრინციპზე, რომლებიც განუყრელ კავშირშია მსმენელიდან წამოსულ დადებით ან უარყოფით შეფასებებთან, რაც ჭრის მოტივირებულ საფუძველს მათი განწყობის შესაქმნელად.

აკაკი წერეთლის მიერ საზეიმო თუ სამგლოვიარო შეკრებებზე წარმოთქმული სიტყვები და მწვავე პოლემიკური გამოსვლები ორატორული მეტყველების საუკეთესო ნიმუშებადა მიჩნეული. ეს გამოსვლები არაერთხელ ყოფილა მსჯელობისა და შეფასების საგანი:

ილია ჭავჭავაძე: “ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა, თქმული თელავში კახელების წინაშე. მაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ. არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურთე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყველი წესი ორატორის ხელოვნებისა და ცალკეულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია” (ი. ჭავჭავაძე, 1987, გვ. 305-306).

ილია ზურაბიშვილი: “აკაკი მომზიბლავი მოსაუბრე იყო. მისი საუბრის ერთი უდიდესი ღირსება ის იყო, რომ თავის მსმენელს, ვანც უნდა ყოფილიყო იგი — ნასწავლი, უსწავლელი, ქალი, კაცი, დიდი თუ პატარა — ყველას თანასწორობის თვალით უყურებდა. ამიტომ მის საუბარს დიდაქტიზმს, ჭეუის სწავლებას ვერ შეამჩნევდით. მისი თხრობა ეპიური ხასიათის იყო. დინგი, წყნარი კილო, ხმის სულ მცირედი აწევ-დაწევა და თვით სათხრობიც მეტწილად ეპიური იყო — ჩვენი ქვეყნის წარსული, რომელიც აკაკიმ ჩინებულად იცოდა” (ი. ზურაბიშვილი, 1991, გვ. 394). ის აკაკის ემოციების შესახებ წერს: “ბათოსი და მგზნებარება აკაკისათვის უწვეულო იყო. მისი სიტყვა თავისუფლად მომდინარეობდა. არ იცოდა ზოგივით აზრისა თუ სიტყვის ძებნის დროს შორისდებულ ბგერათა აზმუილება, გამოთქმა ჰქონდა მკაფიო” (იქვე, გვ. 398).

ნიკოლოზ კანდელაკი: “აკაკი წერეთელი ტკბილი ქართული მუსაიფისა და გრძნობით საესე ბრძნული სიტყვის ხელოვანია. დიდი ბოეტის მახვილგონიერი და ნათელი აზროვნება თანაბარი ძალით ბრწყინავდა წერილობითი და

ზეპირი შემოქმედების სფეროებში — ლიტერატურასა და მჭევრმეტყველებაში. მისი მოსწრებული სიტყვები, ელვარე ნაკვესები და ფრთიანი გამონათქვამები ლირსეულად ამშვერებენ გასული საუკუნის მხატვრულ მემკვიდრეობას” (ნ. კანდელაკი, 1961, გვ. 381).

გაზეთი “დროება”: “ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები “ვეფხის-ტყაოსნის” გმირებზე გაუგონია თ. აკაკი წერეთლისა, თუ რა ტკბილ-მოუბარი ლექტორია ის, რა ჩინებულის ქართულით, რა გარკვევით და ყველასათვის გასაგონად ლაპარაკობს და რა მშვენიერი მოხდენილის, მახვილის მაგალითებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს” (“დროება”, 1882, №61).

რა სინტაქსურ საშუალებებს იყენებდა აკაკი წერეთელი ემოციების გამოსახატავად ორატორულ მეტყველებაში ასე რომ აღაფრთოვანებდა საზოგადოებას?

მეტყველების ემოციურობა ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ამავე დროს ორატორული სტილის მთავარი კომპონენტია: “საჭირო შემთხვევაში წინადადებების ასაგებად სიტყვებს ვარჩევთ არა მარტო იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავთ ისნი, არამედ იმის მიხედვითაც, თუ რა გრძნობას გამოხატავენ. სიტყვის ან წინადადების ექსპრესიულად გადმოცემის დანიშნულება ისაა, რომ უფრო ძლიერი გავლენა მოახდინოს მსმენელზე, ვიდრე ჩვეულებრივად ნახმარმა სიტყვამ ან წინადადებამ, უფრო გააღრმაოს შთაბეჭდილება, მეტი დამაჯერებლობით გამოხატოს აზრი” (ნ. ბასილაია, 1991, გვ. 71).

აკაკი წერეთელს სათქმელის გამოსახატავად ექსპრესიული სინტაქსის საშუალებები აღტაცების, შებრალების, ირონიის, თავაზიანობის გამომხატველ სიტყვებთან ერთად გამოყენებული აქვს ისე ბუნებრივად, რომ მსმენელსა და ორატორს შორის კავშირი მუდმივია. ყურადღებას იქცევს არა მარტო გამოსვლის შინაარსი, არამედ ემოცია და ემოციის გამოხატვის ხერხები და გზები, რომლებიც კავშირშია შინაარსთან.

ყურადღებას იპყრობს აკაკი წერეთლის საზეიმო გამოსვლების დასაწყისი და დასასრული, რომელიც იწყება აუდიტორიისადმი მიმართვით “ბატონებო”, “ქმებო”. ასეთი მიმართვები ხშირად ცალკე მდგომია და გაუგრცობელი. მოვიტანოთ ამონარიდი პროფესორ დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე 1881 წელს აკაკის გამოსვლის ტექსტიდან:

“ბატონებო! სამშობლოსადმი ერთგულება და მისთვის თავ-განწირულად ბრძოლის ველზედ სისხლით დაწურვა, დიდ-სულობის ნიშანია და თანაც საჩინო ბეჭედი ერთ-გვარ მამული-შეილობის...” (ა. წერეთელი, 1990, გვ. 207).

იმავე მიმართვით მთავრდება აკაკის გამოსვლა 1881 წლის 21 სექტემბერს არქეოლოგებისათვის გამართულ საღამოზე, რომელსაც მეთაურობდა აკაკი და აქ წარმოთქვა სიტყვა. მიმართვა წინადადების შუაშია: “დიახ, ბატონებო, ეს ასეა და შესწავლაც საჭიროა!.. იმედია, აწი მაინც აღარ დარჩება თქვენი პირველი მაგალითი მიუბაძავათ და ამისთვის თქვენ ორ-გვარად სიკეთეს მომიტანთ, გიძლვნით ორკეც მაღლობას! გისურვებთ თქვენის სამეცნიეროს წარმატებას საზოგადოთ და კერძოთ თვითეულს თქვენგანს საბედნიეროდ გზას ვულოცავთ” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 131, 414).

გულთბილი ურთიერთობის გამომხატველია მიმართვა “ჩემო ძმები” ხელთუბნის სკოლის კურთხევის დროს 1884 წლის 1-ლ იქტომიბერს დამსწრე საზოგადოებისადმი: “ამ წმინდა მამის და მოძღვრებისა და ბ. მასწავლებლის საგულისხმო სიტყვის შემდეგ, თუმცა ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ არის, მაგრამ მაინც, **ჩემთ ძმებო**, თუ ყურს დამიგდებთ, მინდა ცოტა ხანს მეც გესაუბროთ” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 257).

აკაკი თავაზიანობის გამომხატველ სიტყვებთან ერთად იშვიათად მიმართავს კონკრეტულ პირებს. მაგ.: “ბატონო კონსტანტინე! ორის მაზრის თავადაზნაურობის წინამდლოლელმა-და არა წინამდლოლმა, თავდამა შალიკაშვილმა გიწოდათ თქვენ “მთესველად” კეთილისა!” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 377); “დღეს სასიამოვნო და შემდეგშიც სანატრელო სტუმარო — ბატონო როსი! (ა. წერეთელი, 1990, გვ. 463).

გამეორება ხელს უწყობს ექსპრესიულობას, აძლიერებს ემოციას. გამეორება გვხვდება ერთი წინადადების ფარგლებში, ერთ აბზაცში, ტექსტის უფრო ვრცელ მონაკვეთში. მეორება წინადადების წევრი ან მთელი წინადადება. საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ნიმუში დავით ჩუბინაშვილის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე აკაკის წარმოთქმული სადლეგრძელოდან: **“გაუმარჯოს** იმ ჩემ ტოლებს და ჩემ წინანდლებს, რომელთაც ქვეყნისათვის უშრომიათ! გაუმარჯოს იმ მომავალ-თაობას, რომელიც საზოგადო საქმეს, თავის საკუთარ-საპირადო საქმეზედ წინ აყენებენ და **გაუმარჯოს** მანამდი, სანამ სწორი გზიდამ არ გადაუხვევიათ!” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 129).

საყურადღებოა ისეთი რიტორიკული შეკითხვა, რომლის პასუხი გაღმოცემულია რთული წინადადებით, სადაც მეორება მთავარი წინადადება. დავიმოწმოთ მაგალითი აკაკის გამოსვლიდან “სამი ლექცია “ვეფხვის-ტყაოსანზე”: **“შეიძლება ვინმებ იკითხოს: მაშ, თუ ისტორიაში არ არის მოხსენებული ეს ამბები, საიდან ვიცით, წარმოდგენით ვიგულისხმებთ თუ კვალი რამე დაგრჩენიათ?** არის ნიშანი: ეს ის კვალია, რომელიც ყოველთვის ხალხში იბეჭდება აუხოცელათ, ეს ის კვალია, რომელიც არა თუ ადამიანის მოქმედებას, არამედ მის გულის მოძრაობასაც გამოგვიხატავს ხოლმე” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 68).

მოვიტანოთ მაგალითი თავად ალექსი მიქელაძის შესახებ აკაკის მისამართი სიტყვიდან, სადაც მეორება ქვემდებარებები და დამატებები: **“კარგიცა და ავიც** მოსავალები არიან; კაცი უნდა ცდილობდეს, რომ პირველი მოიხვეჭოს და მეორე გარეკოს. ამის გამო საჭიროა მისთვის, როგორც ვაჟ-კაცისათვის ფარ-ხმალი, **ავიცა და კარგიცა: ორივეს უნდა არჩევდეს, ორივეს** ხმარება შეეძლოს, რომ **ორივე** ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილ-დღეოთ იხმაროს” (ა. წერეთელი, 1990, გვ. 321).

აკაკი თითქმის აქტიურად იყენებს რიტორიკულ შეკითხვას, რომელიც მსმენელისაგან პასუხს არ მოითხოვს. ზოგჯერ ამ კითხვას თვითონ აანალიზებს, რომ მსმენლისათვის გასაგები იყოს და ემოცია გამოიწვიოს. დავიმოწმოთ რიტორიკული შეკითხვების რამდენიმე ნიმუში. აკაკიმ 1884 წლის 10 ივნისს ქუთაისში ბანკის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში აღშფოთებით განაცხადა: “ჩვენს გუნდსაც ყოველთვის ეს ნაკლულევანება აქვს... საჭირო არის წესი და რიგი, **თორემ ხომ ხედავთ, თუ რა გვემართება?** დღეს ყველა

დარწმუნებულია იმაზე, რასაც ზოგიერთები - და მათ რიცხვშიც მეც, **ერთი უმცროსთაგანი**, - გიშინასწარმეტყველებდნენ” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 255). იქვე: “რამოდენიმე ხმების შეერთება და ვექილობა ხომ ხედავთ – **თუ რა საძაგლობა გამოდგა?** უმჯობესი არ არის, რომ ყველას ჰქონდეს ხმა, ვისაც ოცი თუმანი შემოუტანია, იმას კი აქვს ხმა და ვისაც ოცი მანეთი, **იმას კი არა და ეს სამართალია?** ეგება, ის ოც-მანეთიანი უფრო გამოსალეგი და სასარგებლო იყოს ბანკისათვის! მომეტებული ხმა რომ იქნება, მაშინ უფრო მეტი არეულობაც იქნებაო, - მეტყვით” (იქვე, გვ. 255).

საყურადღებოა აკავის რიტორიკული შეკითხები სამეგრელოს სათავადაზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს წარმოთქმულ სიტყვაში: “ის, ვინც თავისი ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვას როგორ-და შეისწავლის? კაცს, რომელსაც თავის თავი სძულს, ბუნების წინააღმდეგ, სისხლს-ხორცსა სტესს, იგიწყებს მშობლებს და ეზიზლება თან-შობილები, განა სხვისი შეუვარება შეუძლია? ამისთანა ადამიანს ჩვენში საზოგადოდ თავხელ აღებულს ეძნიან და ერიდებინ!” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 275). კითხვასთან ერთად ელიფსისის შემთხვევაც გვაქვს, სადაც პასუხში გამოტოვებულია ზმნა – შემასმენელი, რომლის აღდგენაც აღვილად ხერხდება: “**სად უნდა შევიძინოთ ესეები ცველა?** იმ ახალ ტაძარში, რომლებსაც ჩვენ სასწავლებლებს ვეძახით და ერთი რომელთაგანიც დღეს აქ ვაკურთხეთ” (იქვე).

რიტორიკულ შეკითხვას პასუხი არ ახლავს: “**გაშ რისი მიზეზია მაინც, რომ ჩვენში, ტატო წულუკიძეები იბადებიან დღეს?.. მისი, რომ რიგიანათ ვერა ზრდიან! ბრალი ვის ედებათ? შობელს? თუ სხვებს?** (ა. წერეთელი, XI, 1960, გვ. 444).

რიტორიკულ შეკითხვებში ხშირად გამოყენებულია “განა” ნაწილაკი, “რითი?” კითხვითი ნაცვალსახელი, კითხვითი ზმნიზედა “საღ?”. აკავი წერეთელი რიტორიკულ შეკითხვებად იყენებს როგორც მარტივ, ისე შერწყმულ და რთულ წინადაღებებს. ზოგჯერ რიტორიკული შეკითხვის პირველი ნაწილი (დამოკიდებული წინადაღება) შეიცავს გარკვეულ მტკიცებას, რომელიც თავისთავად გვიკარნახებს პასუხს მეორე ნაწილზე (საკუთრივ შეკითხვაზე, რომელიც მთავარ წინადაღებაშია დასმული). მაგ.: “**განა დამტკიცება ეჭირვება იმას, რომ ჩვენი ხალხი ნიჭიერია?** აქმდისაც ცხადი არ იყო ყველასათვის?” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 310). რიტორიკულ კითხვას აკავი ზოგჯერ უსრული წინადაღებით პასუხობს, რომელსაც განსაკუთრებული დადებითი შეფასება მოსდევს მსმენელიდან. დავიმოწმოთ საილუსტრაციო ნიმუში გრიგოლ ოჩბელიანის დასაფლავებაზე წარმოთქმული სიტყვიდან: “**რითი დაიმსახურა ესრეთი სიყვარული იმ მოწალმართე ჩვენი ქვეყნის შვილებისა, რომელთაც დღეს ახალთაობად უწოდებენ?** მითი, რომ განსვენებული თ. გრ. ოჩბელიანი იყო კავშირი ძველისა და ახალის თაობის შორის, სხვა-დასხვა დგმის შემართებელი ხიდი” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 226).

ემოციის გამოსახატვად აკავი წერეთელი იყენებს პერიოდი - ფორმის ჰარმონიულ სინტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც ხასიათდება რიტმულობით და ნაწილების მწყობრი განლაგებით: “**და რა იყო, ბატონებო, ის ანდერძი? ...აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო: დედანა და ერობა!** ამაების

სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარსახსენებელ მამა-პაპებს” (ა. წერეთელი, 1960, XI, გვ. 443). პერიოდი სამ ნაწილად იყოფა: პირველში და მეორე წინადაღებაში ინტონაცია დამავალია, მესამე წინადაღებაში – აღმავალი, მეოთხეში ინტონაცია - დამავალი. ეს პერიოდები ინტონაციურ მთლიანობას და მეტყველების ჰარმონიულობას ქმნის, რაც ემოციასაც თავის მხრივ ამღლებს.

აკაკი წერეთლის ორატორულ მეტყველებაში ფართოდ გამოიყენება მიერთებული კონსტრუქციები, რომელიც შეიცავენ ძირითადი გამონათქვამის ისეთ განმარტებას, რომელიც ჩნდება გონებაში არა ძირითად აზრთან, არამედ მისი ფორმირების შემდეგ. მაგ.: “მართალია, ფიზიკური მშვენება არის ბუნების წესით კაცობრიობის ერთი მოთხოვნილებათაგანი, მაგრამ კაცის სრულს ღირსებას დიახაც ვერ შეადგენს, რადგანაც კაცში მარტო ფიზიკური მხარე არ არის, მაგრამ იმისა აქვს მეორე უმაღლესი მხარეც – სულიერი (ზნეობითი), ურომლიოთაც ის ძალიან შორს ვერ აცდება პირუტყვულს თაობას” (ა. წერეთელი, ტ. XI, 1960, გვ. 39).

აკაკი წერეთელს ორატორულ გამოსვლებში ხშირად აქვს გამოყენებული ჩართული კონსტრუქციები, რომელიც შეიცავენ შენიშვნებს, დაზუსტებას, დამატებით ცნობებს გამონათქვამის შესახებ და ემოციას.. მაგ.: “შემიძლია მხოლოდ ეს ვსოდება თამამად, რომ **როგორც ქართველს**, გული არ გამტებია და სურვილი არ გამგრილებია და თუ იდესმე მომავალში ბედის ვარსკვლავი ჩემთვისაც გამოიჭვრიტებს, იმედი მაქვს სურვილი განვახორციელო და სიტყვაც საქმეთ გადავაჭიო” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 129); “**სხვათა შორის**, შესანიშნავი კიდევ ეს არის, რომ, როდესაც ერთისა და იმავე საგნის გამოსახატავათ სხვა-და-სხვა სიტყვები შემოსულა განსაკუთრებითი, ცოტა რამ განკერძოებითი ხასიათიც მისცემია” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 69); “**საკვირველია!..** რაც ამბოქებისა და მოსვენრობის ღროს შეირჩინა საქართველომ, ის მშვიდობიანობისა და მოსვენების ღროს ხელიდან ეცლება!..” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 337). ზოგჯერ ჩართულ ელემენტთან ერთად გამოყენებულია მაიგვივებელი კავშირი ესე იგი. მაგ.: “თუ არ სრულიად, ორ-წილად მაინც მარტო სარჩულ-საპირეთი, ესე იგი, გარეგნობით, არამედ შუაგულიც, რომელიც შეადგენს შინაარსს” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 337).

აკაკი წერეთელი პარალელიზმების მოხერხებულად გამოყენებით ქმნის რთულ სინტაქსურ კონსტრუქციებს: “ძელად ჩვენში სამღვდელოებაში იცოდა საფუძვლიანად დედა-ენა, შესწავლილი ჰქონდა ძველი და ახალი აღთქმა, საღმრთო ისტორია საზოგადო და კერძო; შეტყობილი ჰქონდა მამათ-ცხოვრება და წმინდა მოწაფეთა თავ-გადასავალი; ვარგიშობდენ სასულიერო ლიტერატურაში, რომლითაც დიალ მდიდარია ჩვენი ენა, და ამაებით აღჭურვილი მიჰმართავდნენ სამწყსოდ ერს, როგორც მათ ერთ სისხლ და ერთ ხორც ნამდვილ შვილებს. სასოებით ყურს უგდებდნენ მათ გულის ძეერას, ესმოდათ და მამაშვილურ პასუხსაც აძლევდნენ” (ა. წერეთელი, 1990, გვ. 338).

აკაკის ორატორულ გამოსვლებში დიდ გრძნობასთან ერთად ზომიერი ირონია ჩანს. მაგალითად, ირონიულია დამოკიდებული წინადაღება: “**შაშ ჩვენც ჩვენის მხრით გულითადი მაღლობა მაინც გამოუცხადოთ, რომ სასწავლებლის მტრებს კბილის კრიპა ავუკრათ**” (ა. წერეთელი, 1960,

გვ. 256). დაღებით ემოციას იწვევს ისეთი წინადადება, სადაც დამოკიდებული ფრაზეოლოგიზმია. მაგ.: “ახალ-გაზრდა, რომელსაც ჭერ ცხოვრების ტალღა არ შეშეფებია, ყოველთვის კეთილი გრძელებისაა” (ა. წერეთელი, 1960, გვ. 268).

ემოციის გასაძლიერებლად გამოყენებულია მიგებითი ნაწილაკი, რომელსაც მოსდევს მნიშვნელობის დამაზუსტებელი წინადადება: “დიალ, დღემდი თუ ცალკ-ცალკე შეგვინახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილათ და ძლიერად ავასრულებთ, თუკი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს, დავაღვებით ერთს გზას და მივმართავთ ერთ მიზანს” (ა. წერეთელი, 1960, XI, გვ. 444).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აკაკი წერეთელს ორატორულ მეტყველებაში სათქმელის ექსპრესიულად და ემოციურად გამოსახატავად ზომიერად აქვს გამოყენებული და ბუნებრივად ჩართული სინტაქსური ფიგურები: მიმართვა, რიტორიკული შეკითხვა, ჩართული, მიერთებული და პერიოდი - ფორმის კონსტრუქციები, ელიტსისი, გამეორება, პარალელიზმები და მიგებითი ნაწილაკები. მათი გამოყენება ემოციების გამოსახატავად დამოკიდებულია ორატორული გამოსვლის შინაარსზე (საზეიმო, სამგლოვიარო თუ საპოლემიკო), აუდიტორიასა და მიზანზე.

დამოწმებული ლიტერატურა

- ნ. ბასილაია, 1991** – ნ. ბასილაია, ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა, თბ., 1991.
- „დროება“, 1982** – გაზეთი „დროება“, 1982, №61.
- ი. ზურაბიშვილი, 1991** – ი. ზურაბიშვილი, მოგონებანი აკაკიზე: აკაკის სამრეკლო, თბ., 1991.
- ნ. კანდელაკი, 1961** – ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება, თბ., 1961.
- ა. წერეთელი, XI, 1960** – ა. წერეთელი, ტ. XI, პუბლიცისტური წერილები 1861-1880, თბ., 1960.
- ა. წერეთელი, 1960** – ა. წერეთელი, ტ. XII, პუბლიცისტური წერილები 1881-1889, თბ., 1960.
- ი. ჭავჭავაძე, 1987** – ი. ჭავჭავაძე, ტ. V, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1987.

MARIAM KOBERIDZE, TAMAR KOBERIDZE**SINTACTICAL MEANS OF EXPRESSING EMOTIONS IN ORATORICAL
NARRATIVES OF AKAKI TSERETELI**

The words pronounced at the solemn or mourning meetings by Akaki Tsereteli and his acute polemic speeches are considered as the best patterns in oratorical speech. These speeches often were things of discussion and estimation. They are significant from the lingual point of view.

In his oratorical words Akaki Tsereteli has normally used and involved syntactic figures: rhetorical question, parenthetic, acceding and period – construction of forms, ellipses, parallelisms and particles in order to express his expressive and emotional proclaims. Their use in order to express emotions depends on the content of oratorical speech (grand, mourning and purpose) auditory and purpose.

ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

ნესტან კუტივაძე

**გივი კობახიძის ერთი პრიზიშული
ოკუსის შესახებ
(“დანიელ ჭონქაძე და მისი “სურამის ციხე”)**

ქართული ემიგრაცია, რომლის ისტორიასაც შესაძლებელია თვალი გვადევნოთ XVII-XVIII საუკუნეების მიწნიდან, წარმოიშვა სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ნიადაგზე და უშუალოდ დაუკავშირდა ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ამ მხრივ, გამონაკლის არც XX საუკუნის პირველი ნახევრის ემიგრაცია წარმოადგენს. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციას 1924 წლის აჭანყება და რეპრესიების მოჰყვა, 1930-იან წლებში კი საბჭოთა ტოტალიტარული სახელმწიფო განსაკუთრებული სისასტიკით დაუპირისპირდა განსხვავებულად მოაზროვნებას. ამ ვთარებას არაერთმა ცნობილმა პიროვნებამ საზღვარგარეთ გამგზავრებით დააღწია თავი. შედარებით ნაკლები ინტენსივობით ეს პროცესი მეორე მსოფლიო ომის შემდგომაც გაგრძელდა. თუნდაც ის ფაქტი რად ლირს, რომ 1920-1940-იან წლებში, სხვადასხვა დროს, სამი კონსპირაციული ორგანიზაცია არსებობდა. XX საუკუნის ქართული ემიგრაციის გეოგრაფია მოიცავს როგორც ევროპის, ისე ამერიკის კონტინენტს. ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა 1920-იან წლებში საფრანგეთში ჩამოყალიბდა, რაც დამოუკიდებელი საქართველოს (1918-1921) მთავრობის აქ ყოფნითაც იყო განპირობებული, არანაკლებ საყურადღებოა ამერიკის კონტინენტზე არსებული ქართული ემიგრაციის ისტორია.

გივი კობახიძე XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი 1941 წელს გაიწვიეს მეორე მსოფლიო ომში, ტყვედ ჩავარდნილი, ომის დასრულების შემდეგ მიუნჩენში დასახლდა, ხოლო საბჭოთა მთავრობის მიერ ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოსათვის ტყვებისა და ემიგრანტების დაბრუნების მოთხოვნის გამო ამერიკაში დამკვიდრდა. ევროპაშიც და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც პროფესიით ექიმი გივი კობახიძე სამეცნიერო, ფართო საზოგადოებრივ, უზრნალისტურ საქმიანობასთან ერთად შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა (რ. დაუშვილი, 2014, გვ. 178-180), წერდა როგორც მხატვრულ, ისე ლიტერატურულ-კრიტიკულ ტექსტებს, საქართველოში ყოფნის პერიოდში ერთ ხანს ფოლკლორულ მასალასაც კრებდა. კობახიძე თანამშრომლობდა (ზოგიერთის დაარსებაში თვალიც მონაწილეობდა) ევროპასა თუ ამერიკაში გამომავალ, დღეს უკვე საკმაოდ ცნობილ უურნალ-გაზეთებთან: “ქართველი ერი”, “საქართველო”, “ბედი ქართლისა”, “კავკასიონი”, “გუშაგი” და სხვა გამოცემებთან, რომლებშიც მისი პუბლიკაციები ქვეყნდებოდა ავტორის ნამდვილი გვარითაც და სხვადასხვა ფსევდონიმითაც. “როგორც გივი კობახიძის ბიოგრაფიის თუნდაც ზოგადი გაცნობითაც დასტურდება, იგი მრავალმხრივი ინტერესებისა და

მისწრაფებების მქონე პიროვნება იყო, რომელმაც თავისი დიდი ინტელექტუალური ჟესაძლებლობები წარმატებულად გამოავლინა მწერლობაშიც, მეცნიერებაშიც, მედიცინაშიც და პრაქტიკული საქმიანობის სხვადასხვა სფეროებშიც“ - წერს ქართული ემიგრანტული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ა. ნიკოლეიშვილი (ა. ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 548). მეცნიერი გივი კობახიძის შემოქმედებითი მემკიდრეობიდან განსაკუთრებით მაიც მის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებს გამოყოფს, რადგან თვლის, რომ “მათში ყოველგვარი ცენზურული შებოჭილობისა და იდეოლოგიური დიქტატის გარეშეა გაანალიზებული როგორც საბჭოთა პერიოდის ჩვენი ყოფის საჭირბოროტო მოვლენები, ისე ისტორიული წარსულის პრობლემური საკითხები“ (ა. ნიკოლეიშვილი, 2006, გვ. 569). უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტორი საერთოდაც ძალზე ღირებულს ხდის ემიგრანტთა მხატვრულსა თუ არამხატვრულ ნააზრებს, წარმოაჩენს განსხვავებული რაკურსით განსჭილ არაერთ მწვავე თემას და ხელს უწყობს საბჭოთა თუ პოსტსაბჭოთა სტერეოტიკების სწრაფად მსხვრევას, ასევე, გავრცელებული შეხედულებების უფრო მასშტაბურად გააზრებას.

ამჯერად გვინდა შევტერდეთ გივი კობახიძის ლიტერატურულ-კრიტიკულ ობუსზე - „დანიელ ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“, რომელიც 1985 წელს „გუშაგის“ მე-7 ნომერში თეოდ რაჭველიშვილის ფსევდონიმით გამოქვეყნდა. წერილში განსხვავებულადაა ინტერაპრეტირებული XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროზაული თხზულება. მართალია, კრიტიკის თვლის, რომ „სურამის ციხე“ საყურადღებო ნაწარმოებია, მაგრამ არ იზიარებს მწერლის კონცეფციას. გივი კობახიძის აზრით, ტექსტში დამახინჯებულია ლეგენდა და ხელოვნურადაა გამძაფრებული სიუჟეტი, რასაც ავტორის დაბალი სოციალური წარმოშობით ხსნის. ზოგადადაც, მიიჩნევს, რომ პროზაიკოსის მსოფლმხედველობა ამ საფუძველზეა ჩამოყალიბებული. ჭონქაძე „თუმცა სასულიერო წოდებას განეკუთვნებოდა, მაგრამ ის იყო ნაყმევთა შთამომავალი, და ყმა გლეხთა სოციალური ყოფა, მათი მძიმე ცხოვრება და განსაკლელი ასევე მძიმედ აწვა სულსა და გონებაზე. დანიელ ჭონქაძის მთელი მსოფლმხედველობა სწორედ ამ საფუძველსა და წინაზრაცვებზე შემუშავდა. ის გლეხთა ცხოვრებაში მხოლოდ სიდუხჭირეს ხედავდა და ვერ ამჩნევდა ნათლის თუნდაც ოდნავ სხიგს“ - წერს გივი კობახიძე (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 41). ყოველივე ეს კრიტიკოსს მიაჩინა იმის მიზეზად, რომ ნაწარმოებში „შემაძრწუნებელი ეპიზოდებია მოთხრობილი ისეთი სიმძაფრითა და მხატვრული დახელოვნებით, რომ მისი წაკითხვა და აღქმა აუღელვებლად შეუძლებელია“ (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 41). გივი კობახიძისათვის მიუღებელია თემის აგტორისული გაზრება, რაც შექება მხატვრულ ისტატობას, ამ მხრივ, „სურამის ციხეს“ საქმაოდ მაღალ შეფასებას აძლევს და საგანგებოდ უსვამს ხაზს მის „ზალხურ“, „მარტივ“, „მაღალფარდოვანი სიტყვებისა და ფრაზებისაგან“ დაცლილ ენას, რომლის საშუალებითაც მძაფრდება შინაარსი და მოთხრობა, ემოციური თვალსაზრით, დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. გივი კობახიძემ ამით ახსნა ის „საპატიო ადგილი“, წილად რომ ხვდა „სურამის ციხეს“ ქართულ ლიტერატურაში და იქვე ისიც მიანიშნა, რომ ქართული პროზა „რიცხობრივად და ხარისხობრივად დიდად ჩამოუვარდება ქართულ პოეზიას“ (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 41). წერილში საქმაოდ დამაჯერებლადაა ჩამოყალიბებული დანიელ

ჭონქაძის წარმატების მიზეზები, თუმცა ქართული მწერლობის ამგვარი დაყოფა და შეფასება, მიუღებელია და, ვთქმულობ, ის XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში კულტივირებული მოსაზრების გავლენით უნდა იყოს წარმოშობილი. ნიკოლოზ ბერძნიშვილის მიერ წამოჭრილ დისკუსიაში მაშინ მთელი სერიოზულობით ჩაერთნენ ამ პერიოდის მოღვაწეები, მაგრამ 1985 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში ამგვარი მოსაზრების გამოთქმა, რბილად რომ ვთქვათ, არასერიოზულია.

ოპუსში ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებს თხზულებისადმი მწერლის თანამედროვე კრიტიკის დამოკიდებულებას. ის ანტონ ფურცელაძესთან ერთად აქცენტს აკეთებს იმ ავტორებზე (ალ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი), რომელთაც არ გაიზიარეს ბატონიშვილის მიმართ მწერლის კრიტიკული პათოსი. მართალია, კობაძის არ თვლის, რომ ფეოდალიზმის ეპოქაში არ შეიძლებოდა ადგილი ჰერონდა სისასტიკეს, მაგრამ მოთხრობის სიუჟეტი მან მაინც ხელოვნურად და უსამართლოდ მიიჩნია. “როდესაც ისტორია განვებ მახნიდება, ცალმხრივად და სიძულვილით შუქდება ესა თუ ის ისტორიული მოვლენა — ეს უკვე სხვა ვითარებაა და სათანადო აწონდაწონას, გაანალიზებას მოითხოვს”, - წერს ის (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 43).

გივი კობაძის, ვფიქრობ, შეგნებულად უგულებელყოფს კედელში ჩატანებული კაცის მოარულ ფოლკლორულ სიუჟეტს, რადგან ძნელი სავარაუდოა, მას ამის შესახებ არ სცოდნოდა. მით უფრო, ასეთ რამეს წერს: “მაღალი რსეული და კეთილშობილური ლეგენდა ციხის მშენებლობის შესახებ საქართველოს მრავალ კუთხეში იყო შემორჩენილი, მაგრამ ბევრგან იგი ძველთაგანვეა დამახინჯებული და განზრას გადაკეთებულ-სახეცვლილი. ასე იყო ჭობაძის დროსაც. მან ლეგენდა ხალხში იპოვა, გადააკეთა, უკიდურესად გაამძაფრა, აიყვანა კულმინაციამდე და შექმნა შემაძრწუნებელი მოთხრობა - დედისერთა ზურაბის ციხის კედელში ამოქოლვის ტრაგიზმით” (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 43). სწორედ ამგვარი ნარატივის გამო, ეს ტექსტი, ქართველი ემიგრანტის აზრით, კარგად გამოიყენა შემდგომ საუკუნეში ბოლშევიზმით ნასაზრდოებმა პროლეტარულმა კრიტიკამ იდეოლოგიური პროპაგანდისათვის.

გივი კობაძის ამავე წერილში გვაწვდის, მისი თქმით, “ჰეშმარიტად პატრიოტულსა” და “მაღალი დეური”, “შეურყვნელ და შეუცვლელ ლეგენდას” (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 43), რომელიც, ფაქტობრივად, ციხეში კაცის ჩატანებასთან დაკავშირებული გაღმოცემის განსხვავებული ვარიანტია. ავტორის მიერ მოთხრობილ ვერსიაში ამბავი შემდეგნაირად ვითარდება: დედისერთა ჭაბუკის კედელში ჩატანების გარეშე ვერ შენდება სამეფო ციხე. მეთე ამის შესახებ ხალხში გამოაცხადებს. დედებთან ერთად შეიკრიბება სამასი დედისერთა ჭაბუკი. თითოეული მათგანი ბედნიერად მიიჩნევს თავს, რომ შესაძლებლობა აქვთ ქვეყანას ასეთი სამსახური გაუწიონ. წილისყრის შედეგად შერჩეულ ჭაბუკს კი ღიმილი არ შორდება სახეზე, მიუხედავად იმისა, რომ კედელი უკვე მის კისრამდეა ასული. მაშინ მეფე გადაწყვეტილებას შეცვლის და გამოაცხადებს, რომ, როცა ერს ასეთი სამასი რაინდი და სამასი დედა ჰყავს, ვერავინ მოერგვა. ყველანი ერთად ეკვეთნენ მტერს და იოლად დაამარცხეს ის (თ. რაჭველიშვილი, 1985, გვ. 44-45).

სამწუხაროა, რომ ამ თავისთავად საინტერესო ლეგენდის ჩაწერის ადგილისა თუ თარიღის შესახებ ავტორი არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდის, გარდა იმისა, რომ “ხალხური შემოქმედების ნამდვილ თვალ-მარგალიტს” უწოდებს მას. დასანანია ეს მით უფრო, რომ ამგვარ ტექსტს ვერ მივაკვლიეთ ვერც ფოლკლორულ კრებულებში. ავტორი მხოლოდ დასძენს, რომ ზემოთ აღნიშნული ლეგენდის სულისკვეთება ტრიალებდა და ტრიალებს სურამის ციხესთან.

სტატიაში გივი კობახიძე წამოჭრის ამგვარი ტრაგიზმის უმართებულობის საკითხს და მიუღებლად მიიჩნევს მურმან ლებანიძის მოსაზრებას, რომ “ყოველი ქართველი ციხის კედელში დედისერთა ბიჭი იყო დატანებული” (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 45). თვლის, რომ მაღალფარდოვანი ფრაზებით არ უნდა დავამახიჯოთ “ქართველი ერის სახელოვანი და რაინდული ისტორია”, რომ არასწორი ინტერპრეტირებითა და ყალბი გმირული პათოსით “არ დავიყვანოთ ჩვენი წინაპრების სულიერი განწყობა პრიმიტიულობამდე და ველურობამდე; ჩვენი წინაპრების საარაკო აღმშენებლობითი ნიჭი, გონიერება და სინატიფე უნიჭობისა, უგუნერებისა და უშვერობის დონემდე” (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 45). თავის შეხედულების კიდევ უფრო გასამყარებლად კობახიძე კონსტანტინე გამსახურდიას (“დიდოსტატის მარჯვენა”) და გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებებს (“ქებათა ქება ნიკოლწმინდას”) უპირისპირებს ერთმანეთს, ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს და შეძლებისდაგვარად ასაბუთებს კიდეც, რომ ქართულ ტაძრებზე გამოსახული მარჯვენა გააზრებულ უნდა იქნას მხოლოდ ადამიანის ნიჭიერების გამოვლინების, ხოლო თავად ამ ტაძრების აგება გმირობის სიმბოლოდ. ასეთი მიღვომა, რა თქმა უნდა, ძალზე რადიკალური და სუბიექტურია, თუმცა, მიუხედავად იმისა, ვეთანხმები თუ არა კრიტიკოსს, არსებობის უფლება ნამდვილად აქვს. აშკარაა, დანიელ ჭონქაძის მიერ XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს გამოქვეყნებულ ამ ერთადერთ მოთხრობას გააჩნია ისეთი პლასტები, რომელთა გამოც ის დავიწყებას არ ეძღვვა.

გივი კობახიძე თავის წერილში მართებულად შენიშნავს, რომ თხზულება “ნაღმივით გასკდა თავის დროს და ძირფესვიანად შესძრა ქართ. საზოგადოებრივი აზრი. მაშინდელი ფეთქების ექო დღესაც გრგვინვა-ქუხილით გაისმის. სერგო ფარახანოვი კინოფილმების კი ამზადებს სურამის ციხის სიუჟეტზე” (თ. რაჭველიშვილი 1985, გვ. 41). ეს უკანასკნელი ფაქტი შესაძლებელია ერთ-ერთი განმაპირობებელი იმპულსი გახდა ამ სტატიის დასაწერად, იმასთან ერთად, რომ ავტორმა, ზემოთ გაანალიზებული საკითხების გარდა, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საბჭოთა კავშირში არსებულ იდეოლოგიურ კლიშეებს.

ჭონქაძის “სურამის ციხე” აღმოჩნდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნარატივი, რომელიც მუდმივად ექცევა ლიტერატურის მკვლევართა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა თვალსაწიერში. თხზულების მიხედვით შეიქმნა ორი კონფილმი. სერგო ფარახანოვის ცნობილ ფილმამდე დიდი ხნით აღრე, 1922 წელს ივანე პერესტიანმა გადაიღო ამავე სახელწოდების პირველი ქართული საბჭოთა ფილმი, რომელსაც საფუძვლად მხატვრული ნაწარმოები დაედო (<http://www.geocinema.ge/ge/index.php?filmi=004>).

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ მიაჰვია ყურადღება დ. ჭონქაძის მოთხრობას. მისი

სტრუქტურული თვალსაზრისით საქმაოდ რთული მხატვრული ნარატივის - “ქედუხრელნი” ერთ-ერთ ეპიზოდში ზურაბის ციხეში ჩაკირვა ინტერპრეტირებულია, როგორც ზნეობრივი გმირობის, თავგანწირვისა და მასში მთელი ერის თანამონაწილეობის ისტორია. ასევე, საგულისხმოა, რომ გურამ რჩეულიშვილს აქვს დაუსრულებელი პიესა - “სურამის ციხე”, რომელშიც, როგორც არსებული მასალიდან ირკვევა, კარგად ნაცნობ სიუჟეტზე აბსოლუტურად განსხვავებული მხატვრული კონცეფციის ტექსტის შექმნა ჰქონდა განზრახული XX საუკუნის ერთ-ერთი უნიკიტერეს პროზაიკოსს (<http://poetry.ge/poets/guram-rcheulishvili/prose/9374.suramis-cixe.htm>).

ლიტერატურათმცოდნეთათვის კარგადაა ცნობილი, როგორი გამოხმაურება მოჰყვა გამოქვენებისთანავე თხზულებას ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (ან. ფურცელაძე, ალ. ორბელიანი...), შემდგომ პროლეტარული კრიტიკის წარმომადგენლებმა გამოიყენეს ეს ტექსტი კრასობრივი დაბირისპირების წარმოსაჩენად, დიდი ხნის განმავლობაში იგი საბჭოთა ქრესტომათიული თხზულება გახლდათ, 1980-იან წლებში ცნობილმა ქართველმა მოაზროვნემ აკ. ბაქრაძემ მოთხრობა გაიაზრა, როგორც ცოდვის, შურისძიებისა და პიროვნების პასუხისმგებლობის თემებზე აგებული თხზულება (ა. ბაქრაძე, 1986, გვ. 109-128). არანაკლებ ნაყოფიერია მისი კვლევა თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი კონცეფციების პოზიციებიდანაც უკვე XXI საუკუნეში. ამ თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი ინტერპრეტაცია შემგვთავაზა გიგა ზედანიამ, რომელმაც ერის კონსოლიდაციის სიმბოლო და სიმბოლიზმის პრობლემატურობა დაინახა და მისი უაღრესად საგულისხმო ანალიზი შემოგვთავაზა (გ. ზედანია, 2003, გვ. 56-59).

ამ თხზულების შესახებ არსებული კრიტიკული დისკურსის გათვალისწინებით გივი კობახიძის “დანიელ ჭონქაძე და მისი “სურამის ციხე“ უდავოდ ღირებული ტექსტია, რომელშიც ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი ემიგრანტი სრულიად განსხვავებულ მიდგომას გვთავაზობს ქვეყნისათვის გალებული მსხვერპლის გააზრებასთან დაკავშირებით, რაც შესაძლებელია მისი ცხოვრებისეული გამოცდილებითაც იყოს ნაკარნხები. გარდა ამისა, ეს კრიტიკული ოპუსი ნათლად აღასტურებს ქართული ემიგრაციის მიერ შექმნილ კულტურულმემკვიდრეობაში არსებულ უაღრესად მრავალფეროვან და საყურადღებო ტენდენციებს.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. ბაქრაძე, 1986** - ა. ბაქრაძე, სულის ზრდა, თბ., 1986.
- ჩ. დაუშვილი, 2014** - ჩ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, თბ., 2014.
- გ. ზედანია, 2003** - გ. ზედანია, “სურამის ციხე”: ინტერპრეტაციისათვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ჟურნალი “აკადემია”, ტომი 4, თბ., 2003.
- ა. ნიკოლეიშვილი, 2006** - ა. ნიკოლეიშვილი, ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქუთაისი, 2006.
- თ. რაჭველიშვილი. 1985** - თ. რაჭველიშვილი, ჟურნალი “გუშაგი”, № 7, პარიზი, 1985.

NESTAN KUTIVADZE

ABOUT A CRITICAL OPUS BY GIVIKOBAKHIDZE (DANIEL CHONKADZE AND HIS NOVELLA ‘SURAMI FORTRESS’)

GiviKobakhidze is one of the prominent representatives of the Georgian emigration of the second half of XX century. Along with a wide variety of social activities he was engaged in other creative pursuits as well. He wrote both fiction and literary-critical texts, and during his stay in Georgia he gathered the folk material.

In 1985, in the 7th edition of ‘Gushagi’ (‘The Guardian’) GiviKobakhidze under the pseudonym TedoRachvelishvili published a critical letter – ‘Daniel Chonkadze and his novella ‘Surami Fortress’. As the article makes it clear, the author does not share the author’s concept according to which the legend is distorted and the theme is artificially exaggerated, which he explains by Chonkadze’s low social origin and believes that the outlook of the prose writer is based on these grounds.

G. Kobakhidze ignores the folk story of a young man to be bricked up alive. In addition, he offers a new version of the legend of the Surami Fortress. However, the publication does not make it clear whether he recorded it himself or used other sources. The letter also raises the issue of ‘the unfair tragedy’; the opinions about the works by KonstantineGamsakhurdia (‘The Great Master’s Hand’) and GalaktionTabidze (‘Praise to Nikortsminda’) are expressed. The author clearly supports and substantiates the idea that the right hand depicted on the churches should be only interpreted as a symbol of the manifestation of the human ability.

It should be noted that in the Georgian literature ‘Surami Fortress’ turns out to be one of the most important texts which always becomes the focal point for the literary criticism (An. Purtseladze, Al. Orbeliani, proletarian critique, Ak. Bakradze ...); two films, were shot, its studies are fruitful in terms of the concepts of the modern literary studies (G. Zedania). In this respect, the critical opus by Givi Kobakhidze is undoubtedly important.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

შორენა ლომაია

სამუშავანოს გოგი ტოპიკისათვის

სამუშავანოს ტოპონიმია კარგად არის შესწავლილი ვრცელ მონოგრაფიაში “სამუშავანოს გეოგრაფიული სახელები” (პ. ცხალაია, 2003). წიგნში თავმოყრილია დიდი მოცულობის მასალა, თუმცა რიგი ტოპონიმებისა ამ ლექსიკონში ვერ მოხვდა. ამჯერად შევეხებით არადენიმე ტოპონიმს.

ჭალი. ეს არის სოფლის სახელი. მდებარეობს ოჩამჩირის თემში, სოფლების: მოქვის, აკვასკასა და გუფის საზღვრებს შორის. ჭართულენოვან ვიკიპედიაშიც ვკითხულობთ: ჭალი, სოფელი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში (მოქვის თემი), მოქვისა და ლალიძეს შუამდინარეთში, ზღვის დონიდან 160 მ, ოჩამჩირიდან 32 კმ, აკვასკიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 10 კმ. 2008 წლიდან ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგია მეცნიერულად შესწავლილი არ არის, ხალხური ეტიმოლოგიები კი ასეთია: 1) ამ ტერიტორიაზე თურმე ხარობდა საუკეთესო ჭიშის ხეები (უფრო ბევრი), რომელიც გაჰქინდათ გასაყიდად თურქეთში. ამიტომაც ამ ადგილს აღრე ერქვა **თვალონი** (შდრ.; ოჯალეფე; ოჯალე “ტყე”) (ი. ყიფშიძე, 1994). ნჯა/მჯა//ჯა ლაზ. შდრ. ძელი. მეგრ. ჯა (არნ. ჩიქობავა, 1938). ჭართ. ძელ-ძელი - “ზე”; მეგრ. ჯა-ჯა “ზე”; ჯალ-ეფ-ი “ხეები; ო-ჯალ-ე-შ-ი “ძელისა; საძელისი (ვაზის ჭიში)“ ჩე-ჯა “ალვის ხე; (სიტყვა-სიტყვით, თეთრი ხე“); ლაზ. ჭა/ნჯა-/მჯა-/ჯა/ნჯა/მჯა “ზე” ლაზურში დასტურდება აგრეთვე **ჭაილონი//ჭალონი** (თანდილავა, 2013). **ჭალონი** – მთის ტყიანი ზონა ლაკადიდან შეშელეთამდე (მთა), ჭა (მეგრ.) “ზე: - ჭალონი ტყე, ტყიანი“ (პ. ცხალაია, 2003).

სხვა ვერსიით, ამ ადგილს არსებულა სოფელი, რომლის მკვიდრნი რაღაც უტედურებას უმსხვერპლია, გადარჩენილა მხოლოდ ერთი კაცი, რომელსაც არ მიუტოვებია მშობლიური მხარე, დაოჭახებულა და ისევ განახლებულა ცხოვრება. ე. ი. ის კაცი ყოფილა “ჭალი”. ამ მნიშვნელობით მეგრულში დღესაც გამოიყენება ეს სიტყვა: “კაჩიშ ჭალი (მძევალი) რექო? “კაცის მძევალი ხარ?“ იმ შემთხვევაში ეუბნებიან ადამიანს, როცა ძალიან სახითათო საქმეზე მიდის. არც ეს მნიშვნელობაა უცხო სხვა ჭართველური ენებისთვის: ჭართ. მძევალ-მძევალი; მეგრ. ჯალ-ჯალი “მძევალი“ გვივის ძველ ჭართულში; ჭართულ მძევალ-ფორმას შეესატყვისება მეგრული ჯალ “ჯალი<ჯალი “კვერცხი, საგანგებოდ დატოვებული საბუდარში, (მძევალი) (ი. ყიფშიძე, 1994). საბუდარში შინაური ფრინველების მისაჩვევად კვერცხს დაუდებენ, რომელსაც მეგრულში ჯაილ კვერცხი ჰქვია. მარტვილურში ასევე დადასტურებულია ლძიალი//რზიალი ლექსიკური ერთეული (ნ. გულუა, 2006). შდრ.: დიალექტური მძევალი “ბუდეში დატოვებული კვერცხი“ (ს. ჟღენტი, 1953). შდრ. ასევე ჯალაბი “დედაწული ჯალაბიანი “ოჯახის პატრონი“ (ზ. სარჯველაძე, 2004). ჭალაბი “სახლეულობა“, ჯალაბობა “ოჯახი, კერძობა“ (ალ. ნეიმანი, 1978).

მსგავსი გამოთქმა მძევალ/ჭალ- სიტყვის მონაწილეობით მეგრულშიც დასტურდება — სი უჯალეთ ეშალაფირი “შე უმძევლოდ ამოგდებულო”. სემანტიკურად გასაგებია, თუ რატომ მიიღო სვანურში სიტყვამ ძირ-ფესვის გაგება; **ჭალ//ჭალ//ჭალ “მძევალი”** ზანიზმად უნდა ჩაითვალოს. თუ დავუშვებთ, რომ მ-ძევ-ალ ფორმა ძე- “მემკვიდრე, ვაჟიშვილი, ფუძეს” (გ. ჩუხუა) შეიცავს, მაშინ დასაშვებია სოფელ ჭალის ეტიმოლოგის მეორე ვერსია უფრო სწორი იყოს. შდრ.: ქართ. მძევ>მძევალი; გარეკახური მძევარი; სვან. “ძირი, ფესვი”. ჭალი “მძევალი” ჭალი-ი “ბუდეში ჩადებული კვერცხი” (გ. ჩუხუა, 2000-2003).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სოფელი ორად იყოფა: **მარგალეფიშ ჭალი** ანუ **ჭალაგრუა** “მეგრელების ჭალი” და **აფხაზებიშ ჭალი** ანუ **ჭალაფსუა** “აფხაზების ჭალი”. დაყოფა ომის შემდგომდროინდელია, რადგან ომამდე მეგრელების ჭალი ეკუთვნოდა მოქვის თემს, ხოლო აფხაზების ჭალი აკვასკის სოფლის საბჭოს.

რაც შეეხება აღნიშნული ტოპონიმების ჭალაფსუა და ჭალაგრუა სტრუქტურას, ნათელია, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა პოსტოზიციურია, მეგრულ **მა-** თავსართს ბუნებრივად შეესაბამება აფხაზური **-ა** სუფიქსი...
რგალ ფუძე შეკუმშულია და რგ გადასმულია (გრ).

ჭალის მიმდებარედ არის სოფელი **მოქვი**, რომელიც რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტით გვხვდება **მუქუ//მოქუ**. მდინარეც ამავე სახელწოდების ჩამოუდის: მოქვი//მოქვწყარი//მოქუშწყარი. ამ მდინარის რამდენიმე მიკროტოპონიმი ადამიანთა სახელების მიხედვითაა შერქმეული: პეტრეშ ტომბა, კოტო, ...

აქვე არის ცნობილი მოქვის ეკლესია **მოქვიშ ოხვამე//მოქვის ეკლესია**.

გუფი მოსაზღვრე სოფელია იქვე, რომელიც განთქმულია ამავე სახელწოდების ჩანჩქერით, თუმცა, სამწუხაროდ, მას რუსული შესატყვისით ახსენებენ “**გუფსკი ვადაპად**”. მას გუფწყარსაც ეძაინონ.

საინტერესო მიკროტოპონიმებია **პატრიხაცუ//პატრახაცუ** და **ატიშადუ//ატაშადუ** (ასევე **გუფი, მოქვი**), რომელთა სტრუქტურა-ეტიმოლოგია შემდგომი კვლევის საგანია.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. გულუა, 2006 - ნ. გულუა, ფრინველთა ლექსიკა ზანურში, თბ., 2006.
ალ. წეიმანი, 1978 - ალ. წეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978.

ს. ქლენტი 1953 - ს. ქლენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953, [http://ka.wikipedia.org/wiki..](http://ka.wikipedia.org/wiki/)

ზ. სარჯველაძე, 2004 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 2004.
ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, 2000 - ზ. სარჯველაძე, ჰ. ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

- ი. კიფშიძე, 1994** - ი. კიფშიძე, რჩეული ობზულებანი, თბ., 1994.
- არნ. ჩიქობავა, 1938** - არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, 1938.
- მ. ჩუხუა, 2000-2003** — მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბ., 2000-2003.
- პ. ცხადაია, ვ. ჯონჯუა, 2003** - პ. ცხადაია, ვ. ჯონჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.

SHORENA LOMAIA

ON THE ISSUE OF SOME TOPOONYMS FROM SAMURZAKANO

Subject matter of the article is certain toponyms which can't be found in large monograph: "Geographical names of Samurzakano". Jali. The village situates in Ochamchire community, among the villages of Mokvi, akvaska and Gufi. The etymology of the village name isn't studied scientifically, as for the folk etymologies they are the following: 1) This territory used to abound with finest tree species (mainly box trees), which were sold to Turkey. That's why the initial name of this place is Ojalon (compare Ojalefe, Ojale - a forest) [Kipshidze, 1994]. nja//mja//ja Laz. copmare dzeli. Mengrelian ja [Chikobava, 1938]. Georgian dzel-dzel-I "tree"; Mengrelian ja-ja "tree"; jal-ef-I "trees; o-jal-e-shi "dzelisa"; Sadzelisi (grape breed), che-ja "poplar"; (in ex white tree); Laz. ja/-nja-/mja/ja/-nja-/mja "tree" Laz dialect also confirms jailoni/jalona [Tandilava, 2013]. Jaloni - forest zone of a mountain from Lakadi to Sheheleti (mount), ja (Mengrelian) "tree": - jaloni forest [Tskhadaia, 2013].

According to different version, there was a village at that place, inhabitants of which had become the victims of certain misfortune, only one man had survived, Jali by name, who didn't abandon home, got married and lived his life there.

It's interesting part that the village is divided into two parts: Margalepish Jali, e.g. Jalagrua "Mengrelian jali" and Apkhazebish Jali, e.g. Jalapsua "Abkhazian Jali.

Next to Jali there is the village Mokvi, which has different phonetic version Muku/Moku. The river has the same name: Mokvi/Mokvtskhari/Mokushtsyari. Several micro toponyms of this river are given according to personal names of people: Petresh Tomba, Koto, ... Mokvi church situates nearby Mokvish Okhvame/Mokvi church.

Interesting micro toponyms are Patritsakhu/Patratsaxu and Atidashu/Atashadu, (also Gupi, Mokvi), the structure-etymology of which are the subjects of different research.

**ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლები
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

მარიამ მარჯანიშვილი

უნივერსიტეტის ფუძემდებლის პორტრეტი ემიგრანტთა მოგონებებში

დიდი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს ივანე ჭავახიშვილის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ეპიზოდებს ვრცელი ადგილი უკავია 1921 წლის ქართულ პოლიტიკურ ემიგრანტთა მოგონებებში.

უპირველესად, მოვიყვანთ ამონარიდებს ცნობილი ემიგრანტის მიხაკო წერეთლის მოხსენებიდან, რომელიც 1940 წელს ბერლინში ივანე ჭავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე გააკეთა: “ივანე ჭავახიშვილი ერთი იყო, როგორც ილია ჭავჭავაძე. მისი სახელის გაგონებაზე ქართველს წარმოუდგება ხატი დიდი ინტელექტის, საქართველოს დიდი მყვარისა, რომელიც საქართველოს მიწაზედ დაიბადა და მარადის მის დიდებად ჩაითვლება“.

მიხაკო წერეთლის ეს მოხსენება, უურნალ “Revue de Kartvelologie”-ში (vol. XXIV, პ.323-360) გამოქვეყნდა. მასში ავტორმა ლრმა მეცნიერულ დონეზე გაანალიზა ივანე ჭავახიშვილის ღვაწლი “ქართველი ერის ისტორიის” ორტომეულის გამოცემის საქმეში. მათში მოთხოვნილია ქართველთა საწარმართო სარწმუნოებიდან დაწყებული საქართველოს პოლიტიკური ბედი, რთულ და ძნელ საერთაშორისო პირობებში ბრძოლა არსებობისათვის. ბოლოს კი პოლიტიკური გაერთიანება და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, რომელმაც მაშინდელ აღმოსავლეთში დიდი როლი შეასრულა.

“ქართველი ერის ისტორია” არის ივანე ჭავახიშვილის ნაშრომების ნამდვილი მარგალიტი, რომელშიც დიდ ქართველთა, მეფეთა და სხვა მოღვაწეთა წარმოჩენით გაღმოცემულია ქართველი ერის ისტორია და პოლიტიკა.

ავტორი “ქართველი ერის ისტორიის” შემქმნელს ივანე ჭავახიშვილს ერის აღმზრდელად წარმოგვიდგენს, რომელმაც დამონებულ, სიკვდილის პირზე მისულ ქართველ ერს ამ წიგნებით გაუასკეცა სიყვარული თავისი ისტორიისა და მომავლის იმედი ჩაუსახა.

ბუნებით რაინდი, გულით სრული ქართველი ურყევი რწმენით იდგა სამშობლოს საღარაჭოზე.

მიხაკო წერეთლი მეცნიერის ფასდაუდებელ ღვაწლთან ერთად ეხება მის პიროვნულ ხატსაც. “ჩვენი უფროისი და ბატონი” იყო ივანე, რომელსაც ბატონობა შეეძლო და იცოდა ბატონობა არა მარტო როგორც დიდგვარიანმა და ჩვეულმა ბატონობას, არამედ როგორც დიდ-სულოვანმა კაცმა. უაღრესად ტკბილი და პატივისმცემელი ყველასი და ყველასაგან პატივ-ცემული“.

მიხაკო წერეთლის სიტყვებს რემარკად გასდევს ის აზრი, რომ შეიძლება იყო დიდი მეცნიერი, მაგრამ არ იყო დიდი ადამიანი, მაშინ როდესაც ივანე ჭავახიშვილი შემჟული იყო ორივე ნიჭით.

მისი მოხსენება ივანე ჭავახიშვილის “ქართველი ერის ისტორიის” I ტომის 1908 წლის პირველი გამოცემის მესამე თავი, რომელიც ორიგინალში

დასათაურებულია: “ქართველების ეროვნული წარმართობა” - ავტორმა თარგმნა და 1912 წელს სოლიდურ ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალ “The Quest”-ში (№2, №3) გამოაქვეყნა (“ლიტერატურული საქართველო”, 1987, გვ. 6-7).

ივანე ჯავახიშვილზე საყურადღებო მოგონება დაგვიტოვა ემიგრანტმა ვახტანგ ლამბაშიძემ ჟურნალ “კავკასიონის” ფურცლებზე: “საერთო მშვენიერ სურათს აგვირგვინებდა პროფესორების ჯგუფი, რექტორის გარშემო მყოფი და მეტადრე ჩვენი სასიქადულო ისტორიკოსი ბ. ივანე ჯავახიშვილი, რომლის სახეც კმაყოფილების და აღტაცების შარავანდელით იყო მოცული. სხვა დიდსა და დაუფასებელ ამაგთან ერთად, მან ის ამაგიც დასდო ქართულ უნივერსიტეტს, რომ პირველი რექტორობა პროფესორ პ. მელიქიშვილს არგუნა და ამ რაინდული საქციელით მაგარი საფუძველი გაუსკვნა ჩვენს პირველ ტაძარს მეცნიერებისა: დამსახურებული, დიდი ხნის მუშავი, მეცნიერი დააყენა სათავეში, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული და ნორჩი უნივერსიტეტისათვის” (“კავკასიონი”, 1968, გვ.29).

ივანე ჯავახიშვილის დიდ პიროვნებაზე, მოქალაქეობრივ სიმამაცესა და მოწამის სულის მატარებელ მოძღვარზე საუბარი ცნობილი ემიგრანტის გივი კობახიძის მოგონებაში, რომელიც 1956 წელს გაზრდა “ქართველ ერში” დაიბეჭდა საგანგებო ნარკვევის სახით “ივანე ჯავახიშვილი”.

ავტორი აქ ერთ მრავლისმეტყველ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას: “1937 წელს, სწორედ დიდი დაჭერების დროს, როდესაც სტალინისა და ბერიას ტერორმა დიდი ფიზიკური ვნება მიაყენა ქართველ ხალხს, ბერიამ გამოიძახა ივანე ჯავახიშვილი თავის დაწესებულებაში “სერიოზულ საკითხებზე სასუბროთ”...

ბერიამ ივანეს “სოხოვა” დაეწერა ქართული ბოლშევიკური პარტიის ისტორია. ალბათ, ვარაუდობდა, რომ ამ საშინელი ტერორის ხანაში ივანე შიშით უარის თქმას ვერ გაბედავდა, იყისრებდა “სახელოვანი” კომპარტიის ისტორიის დაწერას და ამით ბოლოს მოუღებდა თავის დიდ სახელს, ქართველ ხალხში რომ ჰქონდა დამსახურებული. მაგრამ პატარა კაცუნა მწარედ მოსტყუდა თავის ანგარიშში. დიდ ჯალათს დიდბუნებოვანმა, ქვეკაცს ზეკაცმა აჯობა! ივანემ ცივი უარი განუცხადა მას!

ეთქვა: “ჩემი მიზანი ახალგაზრდობიდან იყო საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლა. ამ მიზანს მინდა ვემსახურო სიკვდილამდე. თქვენ მრავლად გყავთ ახალგაზრდა ისტორიკოსები, რომელიც პოლიტიკური პარტიის ისტორიას უკეთ დასწერებ” (გ. შარაძე, 1992, გვ. 172).

გივი კობახიძე მოგონებათა დასასრულს ივანე ჯავახიშვილის ღვაწლზე გადაუჭარბებლად აღნიშნავს: “ივანე გვასწავლის, როგორ მოვუაროთ ერს, ყოველ დროს, აწყვოში და მომავალში... გასულ საუკუნეში უსათუოდ ილია ჭავჭავაძემ იბყრა პირველობის გვირგვინი. XX საუკუნე კი ივანე ჯავახიშვილის საუკუნეა!” (გ. შარაძე, 1992, გვ. 172).

ყურადსაღებია, მეცნიერის ხსოვნისადმი მიძღვნილი გივი კობახიძის ლექსი:

“თავდადებისკენ მძლევ მომყივნევ,

ძირს დასცი ივერთ მობირლაბირე,

თაყვანი შენდა, წმინდა ივანევ,

ჩვენო ხანძთელო და ეფრემ მცირე” (გ. შარაძე, 1992, გვ. 173).

დიდი მეცნიერისა და პიროვნების სრულყოფილი სახეა გამოკვეთილი მწერალ გრიგორ რობაჟიძის მოგონებაში - “ივანე ჯავახიშვილი”, რომელიც

ავტორს 1944 წელს დაუწერია ბერლინში და გამოქვეყნდა 1967 წელს პარიზში. მწერალს თბილისში წაკითხული მოხსენება აწყობილი და გამზადებული ჰქონია კრებულ “ქართველ ერში” დასაბეჭდად, მაგრამ ამერიკელებისა და ინგლისელების მიერ ბერლინის დაბომბვისას სტამბა განადგურებულა. მოგვიანებით ვიქტორ ნოზაძეს მასთან დარჩენილი წერილის დედანი მაინც გამოუქვეყნებია: “1907 წელს საქართველოს დედა ქალაქში ქართველი სწავლული მოხსენებას კითხულობს. თეატრში ტევა აღარაა. მსმენელთა შორის იმყოფება დიდი ქართველი ჭავჭავაძე ილია, რომლის თანადასწრება მთელ კრებას საზეიმო იერსა ჰქონის. მომხსენებელი ჭერ კიდევ ახალგაზრდაა, ხოლო გონიერით უკვე მოწიფული. სწორი, კეთილმოყვანილი სახე, მყუდრო ძლიერების მეტყველი. უბადლო შუბლი, გონიერების ნათელ სათავსად ნაკვეთი. გამოხედვა ღრმა თითქო ჰინდური, რომელიც პირველივე ღიმილით ქართულ ხალას ხიბლად იფრქვევა. ღინწი, აუჩქარებელი - რადგან პასუხსაგებ საქმით დატვირთული... ლაპარაკობს ნელა, პაუზებით: ეტყობა - სწონის და ზომავს ნათქვამს...”

ბუნებრივია, დამსწრენი გულდასმით უსმენენ მომხსენებლის ყოველ სიტყვას და გრძნობენ რომ მათში თანდათან რაღაც იზრდება, რაღაც იმართება, ასე ტებილი და ძალის მომგვრელი. მოხსენების დამთავრების შემდეგ მსმენელნი ალფროთოვანებით აცილებენ ახლად მოვლენილ სწავლულს, მაგრამ ყველას თვალი მაინც ილიასკენაა მიპყრობილი. უნდა გაიგონ, “თუ რას იტყვის დაუღალავი მოურავი საქართველოს კულტურისა.“

საბოლოოდ, ილიას სიტყვა ედება მთელ კრებას, - რიგიდან რიგებს - ვითარ მაღლით განფენილი დასტური. სიხარული მატულობს. ბოლოს ეს “განაჩენი” მომხსენებელსაც სწვდება: “მის მშვიდ სახეს ნათელი ეფინება - თითქოს ჰსურს გამხნევებელს გასძახოს ხევსურულად: “ჭანი მამიმატის!“ ახალგაზრდა სწავლული ივანე ჭავახიშვილია.“

მწერალი გრიგოლ რობაქიძე თავის მოგონებაში ილიას ტრაგიკულად დალუბვის შემდეგ წარმოგვიდგენს საქართველოს ყოფას და მის რჩეულ შვილს ივანე ჭავახიშვილს, სადაც აღნიშნავს: “ილია იღწოდა საქართველოს მზეოსან ხელმწიფების აღდგნისათვის: სიტყვით, საქმით, მძიმე ცხოვრებით.“

ყოველივე ამას კურთხევამიღებული სწავლული ივანე ჭავახიშვილი ხედავს ეხლა ნათლივ: “შან უნდა განაგრძოს ეს გზა“.

მაგრამ როგორ? ჭავახიშვილი მემატიანეა, მეისტორიე გამოიკვლევს საქართველოს თავგადასაგალს - იგი ამით დაქმარება მის ხელმწიფების აღდგენას. ეს არის ახლა მისი ულრემესი რწმენა, რწმენა უტყუარი და მართებული. გსურს გაიგო “ვინ ხარ“, უნდა შეიგნო “ვინ იყავ“; გინდა იქცე “რამედ“, უნდა შეიტყო “რა განვლე“; “საითქენ?“ მიზანმხვედრია მაშინ, თუ ესეც იცი: “საიდან?“ ისტორია არამარტო ხსოვნაა წარსულისა - იგი თანვე ქმედითი მონაწილეა მომავლისა. ამ რწმენით იწყებს ჭავახიშვილი თავის მოწოდების ასრულებას...“

აქ მოგონების ავტორი ჩამოთვლის იმ სიძნელეებსაც, რომელიც დიდ სამეცნიერო გზასავალზე ივანე ჭავახიშვილს წინ ელობებოდა: “თავდადებულთა ერთი მცირე გვუფი ცდილობს დაარსდეს ქართული უნივერსიტეტი... ამ გუფის თაოსანი და სულის ჩამდგმელი ივანი ჭავახიშვილია.

ქართული უნივერსიტეტი იქცევა ლაბორატორიად ქართული შეგნებისა. შუა გულში აქაც ივანე ჭავახიშვილია: თავგანწირული - რომელიც უმაგალითო თუ არა სამაგალითოა - აგრძელებს იგი ერთხელ დაწყებულ საქმეს...

...დიდია ნაშრომი ივანე ჭავახიშვილისა და ფასდაუდებელი მისი დანატოვარი...

ივანე ჭავახიშვილმა პირნათლად გაამართლა კურთხევა, დიდი ილიასაგან იდუმალი გზით მიღებული და ამით უკვდავჲყო თავისი პიროვნება ქართველი ერის დაუმრეტელ წიაღში“ (გ. შარაძე, 1991, გვ. 191-192).

გრიგოლ რობაქიძე მთელი თავისი მწერლური ნიჭით, კალმის ერთი მოსმით ხატავს ივანე ჭავახიშვილის პიროვნულ და მეცნიერულ პორტრეტს, მის ფართო დიაპაზონს.

საერთოდ, ემიგრანტები თავიანთ მოგონებებში ივანე ჭავახიშვილისადმი ლრმა პატივისცემასთან ერთად მისი მეცნიერული მემკვიდრეობის შესანიშნავ ცოლნასაც ამჟღაცნებდნენ.

ამ მხრივ საინტერესოა ასევე გიორგი თარხან-მოურავის მოგონებაც: “...პეტერბურგში განსკუთრებით მჭიდროდ დაუმეგობრდა ნინო (გიორგის ასული თარხან-მოურავი) ივანე ჭავახიშვილს, ლუარსაბ ანდრონიკაშვილს, ზურაბ ავალიშვილს და გიორგი ყაზახაშვილს.

1903 წელს მისი თაოსნობით, მისი დედის ბინის დიდ დარბაზში ივანე ჭავახიშვილს, რომელიც იმ წელს დაბრუნდა გერმანიიდან, საღაც უნივერსიტეტის მიერ მივლინებული იყო 2 წლით სადისერტაციო შრომის მოსამზადებლად, - მისცეს შესაძლებლობა ქართველი სტუდენტებისა და ოჯახის ნაცნობებისათვის წაეკითხა “ქართველი ერის ისტორიის“ კურსი ქართულ ენაზე, რაზედაც მას უნივერსიტეტში პირობა არ ჰქონდა.

1903 წელშივე, ნინომბის დღეს 14 იანვარს დღეობის მისალოცად, ივანე ჭავახიშვილთან ერთად, მას ესტუმრა, აგრეთვე, საზღვარგარეთიდან დაბრუნებული ახალგაზრდა მეცნიერი იურისტი ზურაბ ავალიშვილი...

ამ დარბაზობის დროს ი. ჭავახიშვილი მოუყვა ზურაბსა და ნინოს “ქართული ეკლესიის ისტორიას“, ჩასაც საკმაოდ დიდი დრო მოუნდა.

ორივე მსმენელი დიდი ყურადღებით უსმენდნენ “ლექტორს“, მაგრამ ზურაბ ავალიშვილი, იმავე დროს, სუფთა ქალალდზე რაღაცას ხატავდა.

საუბრის დამთავრებისას ნინომ და ივანემ სთხოვეს ზურაბს ეჩვენებია ნახატი და მან გადასცა ნახატი “რუსეთის სინოდის მიერ შებოჭილი ქართული ეკლესია და მისი მოციქული ვანო ჭავახიშვილი“ (გ. შარაძე, 1992, გვ. 352).

ქართულ ეკლესიაზე შემოხვეული სამი მახრიხობელა ნიშნავს პეტერბურგის, მოსკოვისა და კიევის მიტრობოლიტებს, ხოლო ნახატის კუთხეში გამოსახულია ახალგაზრდა ივანე ჭავახიშვილი, როგორც “ქართული ეკლესიის მოციქული“.

აქვე საყურადღებოა, ქართული პოლიტიკისა და კულტურის ორგანოს გაზეთ “საქართველოს“ ფურცლებზე (მიუნქენი №3 ნომერში (1951 წ.) ი. კ-ს ინიციალებით დაბეჭდილი მოგონება უნივერსიტეტის ცხოვრებიდან: “1925 წელს ტფილისის უნივერსიტეტს ესტუმრნენ საკავშირო მთავრობის წარმომადგენლები, მათ შორის მიხეილ კალინინი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი გიორგი ჩიჩერინი.

უნივერსიტეტის ეზოში აუარებელმა სტუდენტმა მოიყარა თავი. ჩიჩერინმა სიტყვა რომ გაათავა, სტუდენტობამ ატეხა ყვირილი: “გაიყვანეთ რუსის წითელი გარი საქართველოდან!“; “მოგვეცით სახალხო რეფერენდუმი!“

უფროსი კურსის სტუდენტებმა ქართული დროშები აღმართეს და უნივერსიტეტის შესაგალ კარებთან ქართული ეროვნული ჰიმნი “დიდება“ იმღერეს...

1925 წლის დასასრულს ტფილისში ჩამოვიდა და უნივერსიტეტს ეწვია ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი. მის გამოჩენას სტუდენტობა დუმილით შეხვდა, მაგრამ როცა დარბაზში გამოჩნდა უნივერსიტეტის რექტორი ივანე ჭავახიშვილი, სტუდენტობა ფეხზე ადგომით და “ვაშას“ ძალით მიეგება საყვარელ მასწავლებელს. ნიკო მარის ლექცია არ შემდგარა“ (გ. შარაძე, 1992, გვ. 186-187).

ერთი შეხედვით ამ ფაქტს დეტალი ეთქმის, მაგრამ იგი მრავლის მთქმელია და გამოხატავს ახალგაზრდობის გულწრფელ, ულრმეს პატივისცემას და მოკრძალებას ერის სასიქადულო შვილისადმი.

ემიგრანტთა მოგონებები ივანე ჭავახიშვილზე მრავალია, მაგრამ ის მაინც ერთ ფოკუსში იყრის თავს და საბოლოოდ მიხაკო წერეთლის მოგონებებში გაყდერებულ ჭეშმარიტებამდე მივყავართ: “ჭავახიშვილი იმ დროს რომ დაბადებულიყო, იგი იქნებ სხვა ექვთიმე ან გიორგი მთაწმინდელი, ან ეფრემ მცირე ყოფილიყო, ან თუ გინდ გრიგოლ ხანძთელი, რადგან იგი ახალ საქართველოში იგივე მოვლენა იყო, როგორიც იყვნენ ეს დიდი მამანი ძველ საქართველოში“.

დღეს საქართველოს პირველი დედა უნივერსიტეტი სიამაყით ატარებს მისი დამაარსებლის სახელს, რაც მისი ფასდაუდებელი მოღვაწეობის ნიშანსვეტია.

დამოწმებული ლიტერატურა

- 3. ლამბაშიძე, 1968** - ვ. ლამბაშიძე, პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას, უურნაალი “კავკასიონი” XIII, პარიზი, 1968.
- 3. შარაძე, 1987** - გ. შარაძე, ქართველების ეროვნული წარმართობა, გაზეთი “ლიტერატურული საქართველო” (№39, 25. 09), თბ., 1987.
- 3. შარაძე, 1991** - გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. I, თბ., 1992.
- 3. შარაძე, 1992** - გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით, თბ., 1992.
- 3. წერეთელი, 1940** - მ. წერეთელი, ივანე ჭავახიშვილი, უურნაალი "Revue de Kartvelologie", ტ. XXIV, ბერლინი, 1940.

MARIAM MARJANISHVILI

THE PORTRAIT OF THE FOUNDER OF UNIVERSITY – IN EMIGRANT'S MEMORIES

It is said that “a great man is great even in details”. This is how we should discuss the episodes of life and work of a great scientist, academician Ivane Javakhishvili, which are depicted in the memories of Georgian political emigrants.

First of all, we will cite the report of a famous emigrant Mikhako Tsereteli, which he made in 1940 in Berlin at the event dedicated to Ivane Javakhishvili: “Ivane Javakhishvili died!” I heard this terrible news several weeks ago and it broke my heart, I suppose the news broke the hearts of all Georgians alike, all for whom Ivane Javakhishvili was familiar name.

I don't say “Professor Ivane Javakhishvili” or “Scientist Ivane Javakhishvili”, I just mention him by name and surname since he was unique like Ilia Chavchavadze. The latter's name and surname has always been connected with “greatness” and similarly, Ivane Javakhishvili's name is associated with great intellect, research of Georgia's past, with great personality, who was born on Georgian land and will always remain its pride.

Ivane's titles were numerous – he was a professor, academician, scientist, he was the rector of the university for a long time, etc. There were other academicians, professors, university rectors, but they didn't have the same value as Ivane Javakhishvili, that's why we are gravely sorry to lose him as we knew him, knew his invaluable contribution to the Georgian science. We value him and feel all the greatness, power and purity of his personality.

In his report, which was published in the magazine “Revue de Kartvelologie” (vol. XXIV, p. 323-360), the author gives a deep scientific analysis of Ivane Javakhishvili's contribution to the publication of “The History of the Georgian Nation” in two volumes.

“The History of Georgian Nation” is a real pearl among Ivane Javakhishvili's works, in which he depicted the lives of great kings and other public figures and described the history of Georgian nation and its politics.

Alongside with Ivane Javakhishvili's scientific contribution, Mikhako Tsereteli mentions his personal qualities. Ivane Javakhishvili's great personality, his bravery and strong will are discussed in Givi Kobakhidze's essay “Ivane Javakhishvili”, which was published in 1956 in the newspaper “The Georgian Nation”. Here, the author pays special attention to one fact: “In 1937, during the great repression, when Stalin and Beria's terror physically affected Georgian people, Beria called Ivane Javakhishvili to his office “to talk about serious issues”... He “asked” Ivane to write a history of Georgian Bolshevik Party. Beria must have thought that at the time of terror Ivane Javakhishvili would not dare to refuse, would agree to write the history of “outstanding” Communist Party and would lose his name which he had deserved and gained among Georgian people. But he was bitterly mistaken. Ivane Javakhishvili refused! He said: “Since my youth, my goal has been to learn the Old History of Georgia. I want to

serve this goal till death. You have a lot of young historians who will write the history of political party much better”.

At the end of his memories Givi Kobakhidze remarks on Ivane Javakhishvili’s contribution: “Ivane teaches us how to take care of our nation, every time, in the present and future... Last century, it was Ilia Chavchavadze who led the way. The XX century belongs to Ivane Javakhishvili!”

Ivane Javakhishvili’s great personality is also mentioned in the emigrant Vakhtang Ghambashidze’s memoir: “The wonderful group photo was crowned by a group of professors around the rector, and among them was our precious Ivane Javakhishvili whose face was full of satisfaction and awe. One of his noble actions was to appoint Professor P. Melikishvili the first rector, who created strong roots for Georgian education: he put an experienced scientist as a head which had a great importance for a young university”. The complete image of the scientist and a great personality is given in Grigol Robakidze’s memoir “Ivane Javakhishvili”, which he wrote in Berlin 1944 and which was published Paris in 1964.

There are a lot of memories about Ivane Javakhishvili in emigrants’ works : “If Javakhishvili had been born in those times, he might have been another Ekvtime or Giorgi Mtatsmindeli, Efrem Mtsire or Grigol Khantsteli, for he had the same importance in present day Georgia as those great fathers did in Georgia of old times”.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

მაია მიქაბერიძე

**ემიგრანტული კერიოდული გამოცემები –
საბჭოთა ცენტრის მპაცრი თვალყურის რაიონში**

1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყნიდან გაქცეული პოლიტიკური ემიგრაცია ევროპის ქვეყნების მთავრობებთან და სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან მჭიდრო ურთიერთობის საშუალებით ცდილობდა მათი მხარდაჭერის მოპოვებასა და ამ გზით გავლენის მოხდენას საბჭოთა ხელისუფლებაზე. ემიგრირებულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლებმა დაიწყეს უცხოეთში წიგნებისა და უურნალ-გაზეთების გამოცემა, რომელთა ძირითადი შინაარსი საქართველოს ანექსიის თემას შეეხებოდა.

ასეთივე მდგომარეობა იყო კავკასიისა და სხვა ბოლშევიკების მიერ დაბყრობილი ხალხების ემიგრაციაში, მათ შორის თვით რუსეთიდან წითლებისაგან განდევნილ პოლიტიკურ, ე.წ. „თეთრი ემიგრაციაში“. რუსული ემიგრაცია ბევრად ძლიერი იყო დანარჩენებზე, რაღაც, ერთი მხრივ, რაოდენობით აღემატებოდა სხვებს, ამავე დროს, ფლობდა მეტ ფინანსურ რესურსს და ჰქონდა გავლენა ევროპის წამყვანი ქვეყნების პოლიტიკურ წრეებზე, რომლებიც ბოლშევიკურ რუსეთს ახალ პრობლემად აღიქვამდნენ. გამოიცემოდა ანტისაბჭოთა წიგნები და უურნალ-გაზეთები, რომლებსაც სერიოზული იდეოლოგიური ზიანის მიტანა შეექლოთ საბჭოთა კავშირისათვას. ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც გადატანილი სამოქალაქო ომის შემდეგ სჭირდებოდა სტაბილურობა შიდა ეკონომიკური და სოციალური საკითხების მოსაგვარებლად, ემიგრანტულ პრესას განიხილავდა როგორც მძლავრ პროპაგანდისტულ იარაღს კონტრრევოლუციონერთა ხელში; ამიტომ ქვეყნის უმაღლეს ეშელონებში ყურადღებით აკვირდებოდნენ, თუ რა იბეჭდებოდა ემიგრანტულ გამოცემებში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კონტრპროპაგანდის წარმოება და სხვა სახის, ფარული თუ აშკარა, ქმედებების განხორციელება.

ემიგრანტული გამოცემები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ვრცელდებოდა ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლებსაც კითხულობდნენ და აანალიზებდნენ სკ(ბ) ცკ-ში, მაგრამ ეს ძირითადად ეხებოდა რუსულ უურნალ-გაზეთებს. ქართული ემიგრანტული პრესის პუბლიკაციების შესწავლას თავიდან, როგორც ჩანს, არაორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში 20-იანი წლების ქართულ საბჭოთა გაზეთებში სულ რამდენიმე გამოხმაურება დაიბეჭდა ემიგრანტული პუბლიკაციების შესახებ. მაგალითად, 1922 წლის გაზეთ „კომუნისტში“ (18) გამოქვეყნდა მიმოხილვა რუსულ ემიგრანტულ უურნალში „Социалистический Вестник“ (118) დაბეჭდილი მარტოვის წერილისა, რომელიც რუსეთის ახალ ეკონომიკურ პოლიტიკას ეხებოდა. სავარაუდოდ ეს მიმოხილვა გადმობეჭდილი უნდა იყოს რუსული წყაროდან [„კომუნისტი“, 1922]. 1923 წელს ასევე გაზეთ „კომუნისტში“ მან-ის ფსევდონიმით დაიბეჭდა ორი წერილი, რომლებშიც ავტორი დასკრინის ქართულ ემიგრანტულ გაზეთ „ერთობას“ მასში გამოქვეყნებული ანტისაბჭოთა პუბლიკაციების გამო (1-2).

უცხოური პრესის გამოწერა შეეძლოთ პარტიულ და სამეცნიერო დაწესებულებებს, ასევე ცენტრალური გაზეთების რედაქციებს. გამოწერის, მათი შეძენისა და გავრცელების პროცესს ხელმძღვანელობდა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ლიტერატურული განყოფილება, ხოლო გამოსაწერი გამოცემების სიას ამტკიცებდა მთავლიტი. მათ გარკვეული ღროის შემდეგ არასასურველად მიიჩნიეს ემიგრანტული ლიტერატურის ასეთი, შედარებით თავისუფალი გავრცელება ქვეყნის ტერიტორიაზე. საქმე იმაში იყო, რომ პალიტიკოსების გარდა დევნილობაში მყოფი რუსული ინტელიგენცია — მწერლები, მეცნიერები, ფილოსოფოსები და ა.შ. სერიოზულ ძალას წარმოადგენდა იდეოლოგიური პატიკობის ასპარეზზე, რომელსაც შეეძლო ზემოქმედება მოეხდინა არა მარტო კომპარტიის რიგითი წევრების, არამედ მაღალ საფეხურზე მდგომი პარტიული ხელმძღვანელების აზროვნებაზე.

შე-20 საუკუნის 20-იანი წლების შუა პერიოდიდან საბჭოთა კავშირში გაძლიერდა ცენტურა, დაწესდა მკაცრი კონტროლი ქვეყნის შიდა ბეჭდურ პროდუქციაზე, აიკრძალა ბევრი გამოცემა, დაიწყო ხელისუფლებისათვის არასასურველი ავტორების წიგნების ფიზიკური განადგურება, ბიბლიოთეკებს დაევალათ რეპრესირებული წიგნების ამოღება ფონდებიდან და მათი დახურულ ფონდებში, ე.წ. სპეციალური შენახვის ფონდებში, გადატანა. რეპრესიული პალიტიკა გავრცელდა ემიგრანტულ გამოცემებზეც. დაიწყო მათი გამოწერის შეზღუდვები. მკაცრად შეიკვეცა როგორც გამოსაწერი გამოცემების რაოდნობა, ასევე გამოწერის უფლების მქონე ორგანიზაციათა და პირთა რიცხვიც. 1926 წლის ბოლოს სკპ(ბ) ცკ-მა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის ყველა პარტორგანიზაციას და დაწესებულებას (ზოკვშირე რესპუბლიკების ჩათვლით) ეკრძალებოდა საზღვარგარეთული უურნალ-გაზეთების დამოუკიდებლად გამოწერა. ცოტა ხანში ეს შეზღუდვა ფაქტობრივი აკრძალვით შეიცვალა. დარჩა პრესის მიმღებთა მკაცრად განსაზღვრული წრე, როგორც შუალედური რგოლი ემიგრანტულ პრესისა და მკითხველს შორის, რომლის მოვალეობა მტრული პუბლიკაციების შესწავლა და ხელისუფლების ინფორმირება იყო. გამოიცა სკპ(ბ) ცკ-ს დადგენილება, რომელშიც ნათევამი იყო, რომ “პარტორგანიზაციებისათვის ემიგრანტული პრესის შესახებ ინფორმაციების მიწოდების მიზნით სკპ(ბ) ცკ-ს საინფორმაციო განყოფილებას დაევალა ზემოთ დასახელებული გამოცემებიდან უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციების ამონარიდების კრებულების შედეგნა“. ასეთი კრებულების რეგულარული (ყოველკვირეული) გამოცემა დაიწყო 1927 წლის 23 იანვრიდან (“Сводки белоэмигрантской прессы”). დადგინდა იმ ორგანიზაციებისა და პირების სია, ვისაც ეს კრებულები გაეგზავნებოდა. ადრესატები კრებულებს მიიღებდნენ გრიფით “სრულიად საიდუმლო“ ცკ-საიდუმლო მასალების მსგავსად. ემიგრანტული პრესის მიმოხილვათა კრებულები ფაქტობრივად მთლიანად ჩაენაცვლა აკრძალულ უცხოურ უურნალ-გაზეთებს (ნ. მიხაილოვი).

ასეთი ქმედებით ხელისუფლებამ სცადა ორი პრობლემის გადაჭრა - სერიოზულად შეზღუდა ემიგრანტული გამოცემების იდეოლოგიური ზემოქმედების არეალი საბჭოთა კავშირში. ამავე დროს, ფინანსური სტაბილურობა შეურყია ემიგრანტულ გამომცემლობებს საზღვარგარეთ, რომლებიც დიდწილად საბჭოთა გამოწერების ხარჯზე არსებობდნენ.

1927 წლის ოქტომბერიდან საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტებმა ზოგიერთი ნაციონალური ემიგრანტული პრესის (მაგ.,

უკრაინული) გამოწერის თხოვნით მიმართეს პარტიულ ხელმძღვანელობას მოსკოვში.

სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმაც ასევე მიმართა შესაბამის სტრუქტურას. მიმართვაში გამოთქმული იყო სურვილი, რომ გამოცემულიყო ამიერკავკასიის ხალხთა ენებზე გამომავალი ემიგრანტული პრესის მიმოხილვათა ორკვირეული ბიულეტენი რუსულ ენაზე, რისთვისაც გამონაკლისის სახით სთხოვდნენ შესაბამისი ემიგრანტული გამოცემების გამოწერის უფლებას (ნ. მიხაილოვი). საბოლოოდ, 1927 წლის 25 აპრილს სკ კპ(ბ) ცკ-მა დააკმაყოფილა მათი თხოვნადა დაუშვა ემიგრანტული გამოცემის გამოწერა განსაზღვრული სიით და ამ გამოცემათა პუბლიკაციების მიმოხილვათა კრებულის შედგენა ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებისთვის მიწოდების ვალდებულებით. კრებულს ეწოდა "Бюллетень зарубежной белой прессы (Закавказской)" - ("(ამიერკავკასიის) საზღვარგარეთული თეთრი პრესის ბიულეტენი") (შემდეგში ყველგან "ბიულეტენი"-მ.მ.).

სსრკპ(ბ) ცკ-ს გადაწყვეტილებით ბიულეტენის მომზადებისათვის სხვებთან ერთად მუშავდებოდა 11 ქართული ემიგრანტული გამოცემა: "ბრძოლა", "ა ხალგაზრდა სოციალ-დემოკრატი", "თეთრი გიორგი", "დამოუკიდებელი საქართველო", "სახალხო საქმე", "მამულიშვილი", "სამშობლო", "ბრძოლის ხმა", "საქართველო", "ახალი ივერია", "საქართველოს გუშაგი", "ბრძოლეთე" (ცს უკანასკნელი იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზე და წარმოადგენდა კავკასიის ხალხებისა და უკრაინის ემიგრანტთა გაერთიანებულ ორგანოს. რედაქტორი - გიორგი გვაზავა).

ქართულის გარდა ბიულეტენში იბეჭდებოდა შემდეგ გამოცემათა მიმოხილვები:

სომხეთი: დროშაკ (დროშა), აირენიკი (სამშობლო), უსაბერ (იმედი), არაჩ (წინ), აზდარარ (მაცნე); აპაგა (მომავალი), არევ (მზე), პაიკარ (ბრძოლა), ასპარეზ (არენა), ერიტასარდ-აიასტი (ახალგაზრდა სომხეთი), ნორ-ერკირ (ახალი ქვეყანა), ნორ-ორ (ახალი დღე), მარტკოც (ბატარეა) (14 გამოც.).

აზერბაიჯანული: ენი კავკასია (თურქეთი), აზერბაიჯანი, ენი თურქესტან (ახალი თურქესტანი), აზერი-თურქ (აზერბაიჯანელი თურქი), ოდლუ-იურტ (ცეცხლოვანი მხარე), ბილდირიშ (მაცნე), იაშილ-თურქესტანი (მწვანე თურქესტანი), ისტიკლიალ (თავისუფლება) (8 გამოც.).

ამ გამოცემებს 1931 წლიდან დაემატა არაემიგრანტული უცხოური პერიოდიკის პუბლიკაციები ფრანგულ, გერმანულ, თურქულ და სპარსულ ენებზე.

ბიულეტენის პირველი ნომერი გამოვიდა 1927 წლის ოქტომბერში. 1930 წლამდე მასში მხოლოდ ამიერკავკასიის ემიგრანტული გამოცემების მასალა იბეჭდებოდა. 1931 წლიდან ნაწილობრივ შეიცვალა ბიულეტენის თემატიკა. გაფართოვდა შესასწავლი პრესის გეოგრაფიული და პოლიტიკური არეალი და ემიგრანტული პრესის პარალელურად ყურადღება გამახვილდა უცხოური პრესის იმ პუბლიკაციებზე, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეხებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. უცხოქვეყნების ოფიციალური სამთავრობო გამოცემებთან ერთად დაკვირვება ხდებოდა ოპოზიციურ გამოცემებზეც (მაგალითად, სტამბოლში გამომავალი ოპოზიციური გაზეთები "ვაკიტ"- დრო, "იარინი" - ხვალინდელი დღე და ა.შ). შესაბამისად ბიულეტენს შეეცვალა სახელწოდებაც და ახლა მას ეწოდა "Бюллетень заграничной печати (О Закавказье)" - [საზღვარგარეთული ბეჭდვითი

სიტყვის ბიულეტენი (ამიერკავკასიის შესახებ)“]. გაიზარდა ქურნალის მოცულობა. მცირედით შეიცვალა სტრუქტურაც. მასალა აღარ იყო ენების მიხედვით დაყოფილი. ამის ნაცვლად შემოილეს თემატური რუბრიკები.

ბიულეტენის 1931-1933 წლების ნომრებში გამოყენებული იყო შემდეგი ძირითადი რუბრიკები: ა/კ სსრ -ს ზოგადი მდგომარეობა; ა/კ კომუნისტური ორგანიზაციების შიდა პარტიული მდგომარეობა; ამიერკავკასიის ემიგრანტები სსრკ-ს შესახებ; ამიერკავკასიის ემიგრანტთა პროგრამა და ტაქტიკა; ამიერკავკასიის ფედერაციის შესახებ; განხეთქილება ქართველ მენშევიკთა პარტიაში; დაშნაკ ცუტუნის პარტიის ორმოცი წლის იუბილე; დასკუსია ქართველ ნაციონალ- და „სოციალ“- ფაშისტებს შორის; ქართველ სოციალ-ფაშისტების არალეგალური კონფერენცია; ქართველი მენშევიკები და ნაციონალ-ფაშისტები; ჩვენი მეზობლები და სხვა.

ბიულეტენში პერიოდული გამოცემების პარალელურად ყურადღებით სწავლობდნენ და ამჟავებდნენ წიგნებსაც. მაგალითად დაიბეჭდა ფრაგმენტები ნაშრომებიდან - გ. გვაზავა. საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ბიულეტენი, 1928, 14, 12), ნ. ჟორდანია. ჩვენი უთანხმებიდან (ბიულეტენი, 1928, 15/6), კ. კანდელაკი. რას ამბობენ ფაქტები (ბიულეტენი, 1928, 17).

ბიულეტენებში მასალა წარმოდგენილია ორგვარად. ერთი მხრივ, იბეჭდებოდა ემიგრანტული პუბლიკაციების ფრაგმენტები ყოველგვარი კომენტარის გარეშე, მეორე მხრივ კი, ვრცელი ამონარიდები ჩართული იყო მიმოხილვის ტექსტში, როგორც დასტური მიმოხილველის პოზიციისა. კველა შემთხვევაში ბიულეტენი არ იცავდა ობიექტურობას და ეს, ალბათ, არც იყო ამ გამოცემის მიზანი. ბიულეტენი იძლეოდა ზუსტ ინფორმაციას რაიმე ფაქტის შესახებ უცხოეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციების ფრაგმენტების დაბეჭდვის ფორმით, მაგრამ შეფასება ხდებოდა გაბატონებული იდეოლოგიის შესატყვისად. ტენდენციური მიდგომა ჩანს თვით რუბრიკების სათაურებში (მაგ., დასკუსია ქართველ ნაციონალ- და „სოციალ“- ფაშისტებს შორის; ქართველ სოციალ-ფაშისტების არალეგალური კონფერენცია; ქართველი მენშევიკები და ნაციონალ-ფაშისტები). საყურადღებოა, რომ ტერმინი „ფაშისტური“ გამოყენებულია მხოლოდ ქართული პარტიების მიმართ, რაც, სავარაუდოდ, ბიულეტენის სარეაქციო ჯგუფის არაქართული შემადგენლობისა და მათი პარტიული ხელმძღვანელების განწყობის გამოვლინებაა.

ბიულეტენები ქართული პრესის მასალების პარალელურად შეიცავს საქართველოსა და ქართველი პოლიტიკოსების შესახებ ინფორმაციას უცხოურ ემიგრანტულ გამოცემებში. მაგალითად, 1927 წლის პირველივე ნომერში თურქულენოგანი პრესის განყოფილებაში დაბეჭდილია მიმოხილვა აზერბაიჯანული გაზეთ „ენი კავკასიაში“ დაბეჭდილი სტატიისა „განგაში რუსიფიზმის გამო“ (Тревога за русифизм). მასში ნათქვამია, რომ რუსულ ემიგრანტულ გაზეთში „უკანასკნელი ამბები“ (Последние новости) დაიბეჭდა თავისი ლიბერალიზმით ცნობილი მილიუროვის სტატია „ნოე ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის სადირექტოვო წერილები“. მოლიუკოვი იწონებდა ქართველთა მოსაზრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტურ ძალებთან გაერთიანებისა და ერთიანი ფრონტით შეტევის საკითხში, თუმცა უკმაყოფილებას გამოხატავდა მათი, მისი აზრით, „ვიწრო ქართული შეზღუდულობის“ გამო“.

1927 წლის მე-2 ნომერში მიმოხილულია სომხურ გაზეთ „დროშაში“ (დაშნაკ ცუტუნის პარტიული ორგანო) ს. მანსურიანის ფსევდონიმით (ს. ვრაციანი)

დაბეჭდილი სტატია „ქართული მენშევიზმის კრიზისი“, რომელშიც სომეხი ავტორი საკუთარი პარტიული (და სომხური) პოზიციებიდან აფასებს ქართული პარტიის მდგომარეობას.

ზოგადად, უცხოური პუბლიკაციებში კარგად ჩანს ის წინააღმდეგობები, რაც არსებობდა ემიგრაციამდე და მის შემდეგაც საქართველოსთან მიმართებაში რუსეთისა და კავკასიის ქვეყნებს მხრიდან.

„საზღვარგარეთული თეთრი პრესის ბიულეტენი (ამიერკავკასიის)“ მკაცრად გასაიდუმლობებულ გამოცემას წარმოადგენდა. იგი იბეჭდებოდა გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“. თავდაპირველად ბიულეტენები რიგდებოდა უფასოდ. 1928 წლის 15/6 ნომერში ჩაკრულია ფურცელი, სადაც საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი იუწყება, რომ ამ ნომრიდან შეწყდებოდა ბიულეტენების უფასო დარიგება. სურვილის შემთხვევაში, მიმღებებს უნდა გადაეგზავნათ გამოწერის თანხა დასახელებულ მისამართზე. ერთი თვის ლირებულება იყო 1 მანეთი.

1927 წლის ბირველ ნომერს ახლავს რედაქციის მიმართვა მომხმარებლისადმი, რომ მათ ეგზავნებოდათ სკპ (ბ) ა/კავკასიის სამხარეო კომიტეტის ბეჭდებითი სიტყვის განყოფილების მიერ გამოცემული ორკვირეული ბიულეტენის საცდელი ნომრები და სოხოვდნენ, გამოვთქვათ თავიანთი შენიშვნები და სურვილები. 1928 წლის 17-დან ყოველ ნომერს წინ ერთვოდა სკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დადგენილების ტექსტი ბიულეტენის გამოყენებისა და შენახვის წესის შესახებ. დადგენილება შედგებოდა ოთხი პუნქტისაგან:

1. ბიულეტენი უნდა შეინახოს ან პირადად იმ ამხანაგმა, რომელსაც ეგზავნება, ან მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა; ბიულეტენი უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადაში;

2. დაგზავნილი ეგზემპლარები უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, ხოლო სამი თვის მერე უნდა დაიწვას განსაკუთრებული აქტის შესაბამისად.

3. ცალკეულ ამხანაგებს (ამიერკავკასიის კომიტეტების, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტების, ნაციონალური ცკ, ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და ა.შ.) შეუძლიათ, საკუთარი პასუხისმგებლობით, გააცნონ ბიულეტენის შინაარსი ამხანაგების მხოლოდ ვიწრო წრეს - სკპ (ბ) წევრებს, თუკი ეს მათ სამსახურეობრივი აუცილებლობისთვის ნამდვილად სჭირდებათ;

4. ნაციონალური ცკ-ს, საოლქო კომიტეტების, სამაზრო კომიტეტების მდივნებს შეუძლიათ ბიულეტენი გააცნონ მხოლოდ პარტკომების წევრებს, შესაბამისი სამხარეო კომიტეტების წევრებს, გაზეთების პრეზიდენტებს და ცკ-ს პროპრეზების ხელმძღვანელებს.

1930 წლიდან გარკვეული ცვლილება განიცადა დადგენილების ტექსტის. მთავარი პრინციპული სხვაობა შექებოდა დამუშავებული ბიულეტენების შემდგომ ბედს. თუ მანამდე ამ ბიულეტენებს წვავდნენ, 1930 წლიდან მათი უკან დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღეს. დადგენილების მეორე პუნქტში ჩაიწერა:

- ბიულეტენის ყველა დაგზავნილი ეგზემპლარი უნდა დაბრუნდეს სკპ(ბ) ა/კავკასიის სამხარეო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის პარტიულ განყოფილებაში აღწერისთვის 2 ეგზემპლარად;

- ეგზემპლართა დაბრუნება ხდება შემდეგ ვადებში:

ა) თბილისში მცხოვრებთათვის - 2 თვე;

ბ) ამიერკავკასიის სხვა ადგილებში მცხოვრებთათვის - 3 თვე;

134 ემიგრანტული პერიოდული გამოცემები – საბჭოთა ცენტურის მქაცრი თვალყურის ობიექტი

- თბილისში დაბრუნება ხდება პირადად ნდობით აღჭურვილი პირების საშუალებით, სხვა ქალაქებში მცხოვრები ამხანაგები ბიულეტენებს აბრუნებენ ა/კავკასიის მთავარი პოლიტსამმართველოს ფელდეგერული კავშირგაბმულობა-საიდუმლო დოკუმენტების გაგზავნის ფორმა რუსეთში - მ.მ).

1931 წლიდან, როდესაც ნაწილობრივ შეიცვალა ბიულეტენის სახელწოდება და შინაარსი, საკავშირო კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მიიღო ახალი დადგენილება „საზღვარგარეთის ბეჭდვითი სიტყვის ბიულეტენის (ამიერკავკასიის შესახებ)“ გამოყენებისა და შენახვის წესის შესახებ.

დადგენილებაში შედარებით გამკაცრებულია ბიულეტენის გამოყენებისა და შენახვის წესები: თუკი ადრე ბიულეტენის წაკითხვა მიმღები პირის გარდა შეეძლო მისივე ნდობით აღჭურვილ პირსაც, ახალ ვითარებაში მხოლოდ მიმღებს ჰქონდა ბოლოების გამოყენების უფლება. ნაწილობრივ აღდგა გამოყენებული ბიულეტენების დაწვის პრაქტიკაც. შემცირდა სკპ (ბ) ა/კ სამხარეო კომიტეტის საიდუმლო განყოფილებაში ეგზემბლარების დაბრუნების ვადა და განისაზღვრა იგი მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვით. ნაციონალური კომპარტიის ცკ-ს და საოლქო კომიტეტებს შეეძლოთ ბიულეტენების ადგილზე დაწვა მიღებიდან არაუგვიანეს 3 თვისა. ამავე დროს სკპ (ბ) ა/კ სამხარეო კომიტეტის საიდუმლო განყოფილებისთვის უნდა გამოეგზავნათ დაწვის შესახებ შესაბამისი აქტი. იმ პირებს, რომლებიც დროულად არ დააბრუნებდნენ გამოყენებულ ეგზემბლარებს ან იმ ორგანიზაციებს, რომლებიც დააგვიანებდნენ ბიულეტენის დაწვის შესახებ აქტის გამოვზავნას შესაბამის უწყებაში, ჩამოერთმეოდათ ამ გამოცემის გამოწერის უფლება. ცალკეულ პირებს შეეძლოთ პირადი პასუხისმგებლობით გაეცნოთ ბიულეტენის შინაარსი ძალიან ვიწრო წრისათვის, ისიც მხოლოდ კპ-ს წევრებისათვის, რომლებსაც სამსახურეობრივი აუცილებლობისათვის ჭირდებოდათ ეს ინფორმაცია.

ბიულეტენის ყოველი ნომრის თითოეული ეგზემბლარი დანომრილი ეგზავნებოდა კონკრეტულ პირს, რომელიც ხელის მოწერით ადასტურებდა ერთეულის მიღებას. ამ გამოცემისაღმი ასეთი გასაიდუმლოებული და გამკაცრებული დამოკიდებულება თავისთავად ამძაფრებდა ადამიანებში პასუხისმგებლობის გრძნობას. მაგალითად, ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ბიულეტენის ერთ-ერთი ნომრის ბოლოს მელნით მიწერილია, რომ მან (გვარი გაურგვევლადა) დაამთავრა წაკითხვა 1928 წლის 21 იანვარს, დამის 12 საათზე.

გამოცემას არ აწერია სარედაქციო ჯგუფის წევრთა ვინაობა, რედაქტორი ან სხვა პირი. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში არის დანართი, სადაც რედაქცია აფრთხილებს ბიულეტენების მიმღებთ, რომ მათი მისამართების შეცვლის შემთხვევაში ახალი მისამართი დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ ბიულეტენის რედაქციას. ბიულეტენთან დაკავშირებით მთელი მიმოწერასაიდუმლოების დაცვის წესით უნდა გადაეგზავნოს ა/კ კპ(ბ)-ში პასუხისმგებელ რედაქტორს, ამხანაგ კილეროგს. მეორე შემთხვევაში მიმღებად დასახელებულია ა. თუმანიანი, თუმცა მითითებული არ არის მისი სტატუსი.

ამრიგად, ამ ჩანართიდან ჩანს, რომ გამოცემის რედაქტორი 1931-1933 წლებში იყო პარტიული მუშაკი, გვარად კილეროგი. საინფორმაციო წყაროებიდან ცნობილია, რომ ძველი რევოლუციონერი, უკრაინის სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის ყოფილი წევრი, მიხეილ მარკის ძე კილეროგი, რომელიც

დაწვრეტამდე, 1937 წლამდე, მუშაობდა უკრაინისა და რუსეთის სსფრ-ს კომპარტიების სხვადასხვა მაღალ თანამდებობებზე, 1931-1933 წლებში მოვლინებული იყო ამიერკავკასიაში და ხელმძღვანელობდა სკპ (ბ) ა/კავკასიის სამხარეო კომიტეტის კულტურულ-პროპაგანდისტულ განყოფილებას (ზ. კილეროვი).

“(ამიერკავკასიის) საზღვარგარეთული თეთრი პრესის ბიულეტენი“ / “საზღვარგარეთის ბეჭდვითი სიტყვის ბიულეტენის (ამიერკავკასიის შესახებ)“, გასაგები მიზეზების გამო, არ ეგზავნებოდა ბიბლიოთეკებს. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში იგი მოხვდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გაუქმების შემდეგ, სადაც ეს გამოცემა დაცული იყო ე.წ. “განსაკუთრებულ ფონდში“. საინტერესოა თვით ამ კონკრეტული ეგზემპლარების ბეჭდი. წლიური კომპლექტები აკინძულია ძვირფას ყდაში და მათზე სათაური და სხვა ცნობები დაბეჭდილია ოქროსფრად. 1927 წლის თითოეული ნომრის სატიტულო ფურცლებზე, სადაც ცარიელი ადგილია დატოვებული ბიულეტენის მიმღების ხელმოსაწერად, ამოჭრილია გვარის ადგილი. იგივე მდგომარეობაა 1928-1929 წლების კომპლექტებზეც, რაც ნიშნავს, რომ ეს ადამიანები მოგვიანებით დააპატიმრეს და, სავარაუდოდ, დაწვრიტეს.

“საზღვარგარეთული თეთრი პრესის ბიულეტენი (ამიერკავკასიის)“ მკაცრად გასაიდუმლოებული გამოცემა იყო და წარმოადგენდა ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი რეპრესიული ინფორმაციული პოლიტიკის ტიპურ ნიმუშს.

დამოწმებული ლიტერატურა

მან. 1 - მათი ერთობა : [მენშევიების გაზეთ “ჩვენი ერთობა”-ს გამოცემის განახლების შემდეგ] // კომუნისტი, 1923, 14 ივნ., N134, გვ.1

მან. 2 - ჭორიყანობის ახალი ფორმა : [მენშევიკურ “ერთობის” ნომერში მოთავსებული წერილების შესახებ] // კომუნისტი, 1923, 25 ივლ., N169, გვ.1.

მენშევიკური პრესა : [Социалистический Вестник-ის N18-ში ა. მარტინვის წერილის მიმოხილვა მიმართული კომუნისტური პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ] // კომუნისტი, 1922, 11 იანვ., N8, გვ.1-2.

ბიულეტენი, 1 - **Бюллетень зарубежной белой прессы (Закавказской), 1927-1930, Тбилиси.**

ბიულეტენი, 2 - **Бюллетень заграничной печати (О Закавказье)", 1931-1933, Тбилиси.**

3. კილეროვი - კილერი მიხაილ მარკოვიჩ: [биографические сведения] // Справочник по истории Коммунистической партии и Советского Союза 1898-1991. <http://www.knowbysight.info/KKK/03139.asp>

5. მახალევი - ნ. მ. მიხალევ, Русская эмигрантская периодика как инструмент формирования мирового общественного мнения // <http://www.mediascope.ru/?q=node/442>

MAIA MIKABERIDZE

**EMIGRANT LITERATURE – THE OBJECT OF STRICT
SOVIET SURVEILLANCE**

The Soviet Government considered the emigrant literature as a strong ideological weapon having an adverse impact on Soviet people worldview. That was why to bring the emigrant literature to the Soviet Union first restricted and lately banned. Among the forbidden newspapers and magazines were the Georgian emigrant publications. Instead, it was decided to publish a reference book of the most important publications.

In the years of 1927-1933 Tbilisi was issued in Russian “Foreign White Press Bulletin (Transcaucasia) ”Bulletin of Foreign Printed Materials ”(about Transcaucasia)”, which included the reviews and paragraphs of not only the Georgian emigrant literature but the Transcaucasian publications as well. Due to materials printed in these bulletins the Soviet Government knew about the emigrant circles, their point of views and goals. Thorough analysis of emigrant literature gave a possibility to the Soviet Government to react efficiently and undertake relevant actions. The Bulletin was strictly confidential and it was a sample of totalitarian regime repressive politics.

ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

მაია მიქაელაძე

სიტყვაშარმოების გოგიორთი საპითხისათვის ტარურში
(2010-2014 წწ. ექსპედიციის მასალების მიხედვით)

სიტყვაშარმოების წესები და საშუალებები ტაოურში ძირითადად ქართულია, თუმცა ტაოელთა მეტყველებაში განსხვავებული ელემენტებიც დასტურდება, რაც მოცემულ დიალექტზე თურქული ენის ოთხსაუკუნოვანი გვლენით იხსნება. შედეგად, სიტყვაშარმოების თვალსაზრისით ტაოურში მრავალფეროვანი და საინტერესო სურათია.

კუთვნილების აღმნიშვნელი სახელების წარმოებისას -ოსან და -იან სუფიქსები ენაცვლება ერთმანეთს, თუმცა უფრო გავრცელებულია -იან სუფიქსიანი წარმოება: "იმხნამდი ქი მიცემ, მარქუალი წყლიანი გომოა";¹ "კაი მიწანა იყოს, ყუმიანი მიწანა იყოს, ფუმფლი"; "მზიანი ჰავანა იყოს ქი ძალუზი მარქუალი გომოა"; "ჰე, ჭენჭე ბევრ გურევთ, ასე ქი წუმუაგდებ, გაცივდება ჭენჭიანი, ქონი"; "ბაყალში შედი, იქ არი, ბევრ წვერიანი დედევა"...

წარმომავლობის მაწარმოებელი -ურ/-ულ და -ელ სუფიქსებიც თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს. არ არის განსაზღვრული მათი ადგილი: "ზაბა კადა, ნათურელია, ნათურელი"; "ადნი ჩუენი აქეგრი მიწა ლაზუდი ძალუზი მოა, ფუმფლია"; "ე ლარჭ თქუენ ქი გახლავს, სადევურია ისა, სადეველია"...

-ოვან სუფიქსით ზედასართავებში თანაბრობითი ხარისხი გამოიხატება; ასეთ სიტყვებს სიმრავლის გაგებაც აქვთ: დიდრუანი, მაღალვანი, ლამაზვანი... "ზაბა დიდრუანი თუ არი, ნა დაჭრა"...

-ნარ/-ნალ სუფიქსი ტაოურში, სხვა ქართველური დიალექტების მსგავსად, მცენარეთა აღმნიშვნელ ფუძეებს დაერთვის და იმ ადგილს გამოხატავს, სადაც ეს მცენარე ბლომად ხარობს: თხილნარი, ნაძუნარი... ტაოურში **-ნარ/-ნალ** სუფიქსი მრავლობითობის **-ებ** ბოლოსართს სხვა დროსც ენაცვლება: "ტყე, ჩუენი ტყეგნარი (ტყეები) აქა, გაყოფილია ტყეგნარი, გაყოფილი"; "კარნალი (კარები) გეეღო" (შ. ფუტკ., 1993); "ასე ჩომოვყრით ლელევნარში (ლელეები), გამოანეცთ გზაზე"; "რუგნალი (რუები) უუმისია" (შ. ფუტკ., 1993) ...

წინავითარებას **ნა- და ნა- — არ** აფიქსები ასახავს: "ემიას გოგო ყავდა ნათხოვარი" (შ. ფუტკ., 1993); "გომოანებ ნაწველსა, მაქინაში ნაწველ გომოანევ"; "ჩემი ლენჭები ნაკითხნი არიან, დიდრუან მექთებები"; "ამ ალაგს ასე ნახეიდ ვეტყვით, ნახეიდი, ნახეიდი" ...

¹ მაგალითებს ვიმოწმებთ 2010-2014 წლებში ტაოში მოწყობილი ექსპედიციის პერიოდში მოპოვებული მასალიდან; კალკეულ შემთხვევებში ნიმუშები შოტანილია 6. მარისა (1911) და შ. ფუტკარაძის (1993) ტექსტებიდან; ასევე, ვიყენებთ აწსუ ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცულ მასალას.

აქტიურად გამოიყენება **უქონლობის** მაწარმოებელი **უ-** — **-ო** და **უ-** — **-ურ** აფიქსები: "არი ლებუო **უსარო**. ერთი სარიანი არი, ამა ორ-სამი სოდ არი ლებუები"; "**უქეიფური** დემინახე, ზალიანაც გეგიხარდა" (შ. ფუტკ., 1993) ...

ასევე პროდუქტიულია **დანიშნულების** მაწარმოებელი **სა-** — **-ე,** **სა-** — **-ელ,** **სა-** — **-არ** და **სა-** — **-ო** აფიქსები:

"ჰო, ი წარები ქი დუაბმიღით, ი სა... **სახვნელზე** წუმუდებდით იმასა, ი **სახვნელი** იმა გაასწორებდა ასე"; "შასუკან ემევაქმოდით, ასე გემევტანდით, დავჭონდით, **სათივრე** ვეტყოდით"; "ასე ორ ხევნარ არ არი და, ტყე არ არი იქა, მარტო **საძოარი**, ძოენ მალებ"; "ე კიბილი, **საფორჩხელი** კიბილი, ჰო. ე ტარი, ე ტარ ბოლაზი მანი. ე **საფორჩხელისი** ყუი, მანი, ყუი"; "ონდანსორა, **სანაცრიე**, **სანაცრიე**, ოქუზბოლანი, ჭიშკარი, შორალი..."; "მაღლა ერთი ჭალა გუაქტა, **სახარე** ვეტყვით" ...

ხელობის აღმნიშვნელია **-ობა** და **მე-** — **-ე** აფიქსები:

"ჩემ ბერ **შოფერობა** იჯოლა, არაბა ბევრ ხან ემე იჯოლა, **შოფერობა**, ართურ დუერვიენით და. მოვდოდეს იუსუტელი, ბოძნა **თერჯუმანობა** მააჭონებდეს, მაღაზიეფში შევდოდეს, **თერჯუმანობა** მააჭოლებდეს"; "**მეცხვერე**, ჰო, პირტყვებ მოაძოეთს, ზროხებ მუაძოეთს, ი **მეცხვერე**. ბითუმ წაასხას ასე იმათ, **მეცხვერეა**" ...

თავისებურებით გამოირჩევა **ზოგიერთი** მიმღეობური ფორმა: **უმურწყველა** (მოურწყველი), **დაბადული** (დაბადებული), **დამრჩალი** (დარჩენილი), **ახუჭებული** (აყვანილი ხელში), **მომდრელი** (მიზანში მსროლელი), **შეწერებული** (ერთმანეთზე შეძოწყობილი) (შ. ფუტკ., 1993)...

ტობონიმების წარმოებისას ტაოურში იგივე მაწარმოებელი აფიქსები გამოიყოფა, რომელიც თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა თუ სხვა დიალექტებში.

სტრუქტურული თვალსაზრისით ტაოს მიკროტოპონიმები მრავალფეროვანია:

ა) **მარტივფულიანი**, **უაფიქსო ტობონიმები** იშვიათია და მცირე გეოგრაფიული ობიექტების აღმნიშვნელია, მაგალითად: ბაწარი, ვაკე, ჩირდილი, გაღმა...;

ბ) **ტობონიმთა** **უმრავლესობა** აფიქსებითაა გაფორმებული; **საკმაოდ** ხშირია **სუფიქსებით** **ნაწარმოები** **ფუძეები**. აქ გამოიყოფა **-ეთ**, **-თი**, **-ნარ** (>**ნალ**), **-ა**, **-ებ** სუფიქსები:

-ეთ **სუფიქსით** **ნაწარმოები** ტობონიმები: კანკლ-ეთ-ი, კუპრ-ეთ-ი, ქაცახ-ეთ-ი, ქორი-ეთ-ი, ყორი-ეთ-ი...

-თი: წყარო-თი, ფოსვა-თი, ჰამფიქ-თი ...

-ნარ/-ნალ: გურდ-ნალი, ლოდ-ნარ-ი ...

-ა: გობზევლ-ა, დოლურ-ა, კანაფურ-ა, მურუდ-ა(ი) ...

-ებ: ჩუხურ-ებ-ი, ფაცახ-ებ-ი ...

გ) მრავალფეროვანია **პრეფიქს-სუფიქსური** **წარმოების** **ტობონიმები**. პრეფიქსებად გვხვდება **სა-** და **ნა-**, ხოლო სუფიქსებად **-ებ**, **-ე**, **-ო**. მაგ.:

სა-ე: სა-თიხ-ე, სა-ნაცრი-ე, სა-ფერხულ-ე, სა-ფურ-ე, სა-ჯიმჭვლ-ე ...

სა-ო: სა-მრავლ-ო, სა-პწერნალ-ო, სა-ფალანთ-ო, სა-მანჯახ-ო ...

ნა-ეგ: ნა-ტბ-ევ-ი, ნა-ჭალ-ევ-ი ...

ნა-ე: ნა-კავლო-ე/ნაკევლო-ე ...

დ) **პრეფიქსით ნაწარმოები** გეოგრაფიული სახელები მცირე რაოდენობით დასტურდება. ძირითადად **სა-** და **ნა-** პრეფიქსიანია:

სა-: სა-სვენი, სა-თარი, სა-ცორი.

ნა-: ნა-ყორი, ნა-სყიდი.

ე) ტაოს გეოგრაფიულ სახელწოდებებში განსაკუთრებით მრავლად გვხვდება კომპოზიტური აგებულების ტოპონიმები. ისინი მიიღება სხვადასხვა ტიპის სახელთა (სიტყვათა) შეერთებით. საზღვრულად წარმოდგენილია საზოგადო სახელები: კარი, ვაკე, ტყე, ხევი, ლელე, ჭალა... მსაზღვრელად გვხვდება ზედსართავი და ნათესაობით ბრუნვაში მდგარი სახელი (ცრცლად იხ. ქვემოთ).

ტაოურ დიალექტში სიტყვაწარმოების შედეგად მიღებული ფორმებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ კომპოზიტები იქცევს. სამწიგნობრო ქართულსა და დიალექტებთან მიმართებით, წარმომავლობის მიხედვით, კომპოზიტები პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დაყყოთ:

I. საერთოქართველოური;

II. დიალექტური (ტაოური);

III. უცხოური (თურქ., არაბ., სპარს.) ფუძეების შემცველი.

I. ტაოურ დიალექტში კომპოზიტთა ძირითადი ნაწილი ქართული წარმომავლობისაა; გვხვდება როგორც ფუძეგაორეკეცებული, ასევე ნაირფუძიანი ოხზული სახელები.

მარტივი გაორკეცების შედეგად მიღებული კომპოზიტებია: ახლა-ახლა, წრილ-წრილი, გზელ-გზელი, წინა-წინ, მალ-მალ, ნელა-ნელა, უკან-უკან, შორ-შორ, შუა-შუა...

"ახლა ნელა-ნელა გუაგლით ისა, აღა ვიჭებით"; "ელეთრიქი ჩვენ ენ წინაწინ არ იყო და ახლა მოსულა"; "ენ წინაწინ ვწველიდი ფურს"; "სამ-სამი თანე უნა ჩააყარო, ერთი-ორი ყარიში-ნა ქნა და"; "ოთხი მტკაელი ფორ-ფორ-ნა ქნა და"; "ო, დაჭრა... ო, მოკლე-მოკლე-ნა დაჭრა, მეიტანო ღელეში, გუდმოყარო, წევლებ, დახიზრავ"; "პირუტყვა აღარ არინ, მალებისაც აბლი-აბლი, თორ-თორი, თითო შეიქნეს, თივა ყოფხის, ნეკერ აღარ ვიჭებით"; "ჰო, კად თაფლია, ჰო, ახლა-ახლა იჯებიან ბონანი. ახლა-ახლა ჰყიდვენ. იმხან არ იყიდებოდა. ახლა" ...

ნაირფუძიან კომპოზიტებში რამდენიმე ქვეყანით შეიძლება გამოიყოს:

მსგავსი სემანტიკის სიტყვებისგან შედგენილი კომპოზიტები: ჭალა-ყანა, სახლ-კარი, ბაღი-ბაღჩა, პურ-წყალი, გზა-კვალი ...

"წევლეფთ, ამა ჭალა-ყანაში თუ ვქენეთ ჩრენ ჭალეფჩი, იმაზე არ გიგურევა"; "ენ კად შეშა ნაძვი და სხალი. ტყეში ნაძვი, ჭალა-ყანაში სხალი"; "გევიდა ქალმა, გელ-ბირი დეიბანა"; "ეერია გზა-კვალი ი კაცა"; "ღმერთმა კად ბურ-წყალზე დასვას" (შ. ფუტკარ., 1993) ...

ანტონიმური კომპოზიტები: მთა-ბარი, ტოლ-მოკლე, დილა-სალამის, ზეით-ქუეით, მისულა-მოსულა, ასაწევ-დასაწევი ...

"თქვენს უკან მიგდიგართ-მოგდიგართ"; "ედა, ართურ დედამთილ-მუამთილ მყავს, აღა მყავსა, ადაფაზარს არი აღა" ...

მსაზღვრელ-საზღვრულისგან შედგენილი კომპოზიტები:

ა) **ატრიბუტულმსაზღვრელიანი:** ორფეხი (აღამიანი), ოთხფეხი (საქონელი), მამამთილი, დედამთილი, ღმერთგამჩენელი, ფეჭველი, ხმამალია, თავლია, დედაბერი, წეხდაცემული, ოთხყური, სამყური (შცენარე) ...

ტოპონიმები: დიდი-ტყე, დიდ-ვაკე, დიდ-ჭალა, უკანაი-ტყე, დამპალ-წყარო, კაკლიან-ღელე, ნაღვა(რ)ა-ღელე, წინ-ყანა ...

ბ) **მართულმსაზღვრელიანი:** სადილობიხან, ტანისამოსი, ცეცხლიპირი, ჭელიგული, მუკლითავი, ღელითავი, გულიპირი, ყურბალიში ...

ტოპონიმები: ტყის-პირი, ელიასკევი, წყაროთვალი, წვერსიქითი, ველისთაი, ხილი-თავი ...

II. ტაოურში გვაჭეს დიალექტური წარმოების კომპოზიტები, რომელთაც პირობითად ვუწოდეთ ტაოური, ვინაიდან ისინი თავისუფლად შეიძლება შეგვხდეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კილოებშიც; მაგალითად:

არადეგვანარა-ა “არ იქნა შესაფერისი ჩვენთვის” - “ეს საჭმე არადეგვანარა, მეზარებიან დათესვა ჩუენა, მიწის საჭმე”;

აითითი “თითებით თამაშის სახელი” - “პატარაობიხან აითითის თამაშობა გუიყუარდა”;

გულერთი “ერთგული, გულითადი” - “სულ გულერთი მოზობელები გუყავდა სოფელში”;

ერთამი “ერთი ღრამი, ცოტა, პატარა” - “ერთამ ამბავ-ნა გითხრა”;

თვალნაჭირავი “თვალი რომ უჭირავს, შეყვარებული” -

“თვალნაჭირავი ყოფილა ი ქალზე”;

ზითვალი “ზითვალი, მზე” - “ზითვალივით ბგანები ყავსა ჩემ მისა”;

ლელე-ღურდანი “ხევი-ხრამი, ხევ-ხუვი, ღელის მიღამოები” - “ლელე-ღურდანში ღვეხეტებოდით და ჩომა ვეძებდით”;

ლორბეჩაი “ფიზიურად მაგარი, მაგრამ ცოტათი გონებასუსტი” - “ერთი ლორბეჩაი კაცი ცხოვრობდა ი თი ძირას”;

უველინარშო “უველით, კვერცხითა და ერბოთი მომზადებული კერძი”

- “უველინარშო იცი შენ? ყველი-ნა კვერცხი უნდა, გერმელია”;

ნიჭი-ბუჭაი “წვრილმანი საგნები” - “სუ კარგავდა ნიჭი-ბუჭა რაცხელი ი დეკაცი, მასუკა - ეძებდა”;

რახანცხა “როდესაც”: “რახანცხა გინდა, იმხან გააკეთე. გელი მოკლა სერბეთია. **რახანცხა** დეინახავ, მოკლავ”;

მასუკა “მას შემდეგ”: “მასუკასაც გევზარდენით, ასკერში წაველით”; **“მასუკა** ჩომოალთ წევა, ჩუენი ალაგი წევადა”;

ყოლლამე “ყოველ ღამე”: “ედა, დათვი ყოლლამე იარება აქობაში” ...

ამ ქვეჯგუფში მარტივი გაორკეცებით მიღებული თხზული სახელების (“ამა ასე ქი დემებეროს, ისე ასაფანია ქი, ფარჩი არ ჩავა ჩემი დაბლა, მოვკდები. ფარჩა-ფარჩა შევქნები, დანი”) გვერდით საკმაოდ ხშირია და ყურადღებას იქცებს ისეთი ფუძეგაორგებული კომპოზიტები, რომელთა მეორე წევრის ფუძე შეცვლილია.

გვხვდება როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა მონაცელებით მიღებული კომპოზიტები:

რედუქტიკაციისას ფუძისეული ხმოვნები, როგორც წესი, უ ხმოვნით იცვლება: ყველაზე ხშირია **ა>უ:** პაშკა-პუშკა (თივის სახელი); პაკა-პუკითა; ფათათა-ფუთათა „მოუწყობელი, დაულაგებელი“; ფანგა-ფუნგი „ზტვრევა-ლეწვა, ჯახა-ჯუხი“... **ე>უ:** მეზობელი-მუზობელი, ... **ი>უ:** ჭლინკი-ჭლუნკაი „პატარ-პატარა“...

თანხმოვანთა მონაცელებით მიღებულ კომპოზიტებში სიტყვა მეორდება თავკიდური თანხმოვნის ან თანხმოვანთკომპლექსის შეცვლით. ტაოურში, მსგავსად ქართული სალიტერატურო ენისა და დიალექტებისა, მონაცელე თანხმოვანია „**ზ**“, მაგ.: „**ვაშლი-მაშლი**, **სხალი-მალი** არ აი აქა“; „**დოხთორ-მოხთორ, დერმან-მერმან** არ გნდა“; „შომოქვეთება დათვი-მათვი“...

ფუძეგაორკეცების შემთხვევები სალიტერატურო ენისა და დიალექტებისთვის უცხო არ არის. სალიტერატურო ენაში უმთავრესად ფუძეულები კომპოზიტები გვხვდება; ასონანსური ვარიანტები უმთავრესად დიალექტებში გამოიყენება, თუმცა ზოგჯერ სამწიგნობრო ენაშიც დასტურდება. ამ ტიპის თხზულ სიტყვათა გამოყენების სიხშირე ტაოურში თვალშისაცემია. ამგვარი წარმოების გააქტიურება, შესაძლოა, თურქულის გავლენით აიხსნას, თუმცა წარმოების პრინციპი და წესები აქაც ქართულია.

ნაირფუძიანი კომპოზიტები:

სინონიმური კომპოზიტები: ფუტიან-მურიანი „შინაური ტანსაცმლით“; ფარა-ფასი „საფასური“...

შსგავსი სემანტიკის სიტყვებისაგან შედგენილი კომპოზიტები: კედელ-კუთხე, ჭადი-პური, თიქნებ-კრავებ, კლიტე-საგდოლი, ცხვირ-ბუკი, წვიმა-წყალი...

ანტონიმური კომპოზიტები:

არგარგი „უვარვისი, არასასურველი, აკრძალული“; **ძილ-ჭკუაში** „ძილ-ბურანში“; **ბერ-დედაბერი//ბერ-ბებერნი-ი** „ზონუცი ცოლ-ქმარი“...

მსაზღვრელ-საზღვრულისგან შედგენილი კომპოზიტები:

ა) **ატრიბუტულმსაზღვრელიანი:** მალმოსული „ნაადრევი“; უექშავიანი „შავფეხა, უბედურების მომტანი“; **დეკაცი** „დედაკაცი“; **თივაწველაი; ამდენის** „ამდენი წნის, ხანშიშესული“ ...

ტოპონიმები: **ქონბანი, კაკათქედი, ლონჯიქეთქედი, დითქედი, ქეთქედი, ჭოროხლაქეთი** ...

ბ) **მართულმსაზღვრელიანი:** „აქო ამას, აქობასა ხეიყანა ვეტყვით“; „მალლა კიდო ერთი ყანა გუაქტა, იქაც შინდიძირი“; „შე ბეტერაობისან ანას უკან წევდოდი, ნეკერ ვიჯებოდი“; „სალამობირა მოსწველიდეს, დილად მოსწველიდეს“; „იქ ჭალა გუაქტა, ემე ვეტყვით, კალოსწინი“; „ბლიხმელი - გამხმარი ბალი. ბალს ახმობენ და საზამთროდ ინახავენ“ (შ. ფუტკარ., 1993) ...

ტოპონიმები: **ბალხითა, ბაგიწყალი, ქელაზორიწვერი, სამრავლოწვერი, სახაიზეწვერით, კაას-წინი (კაარის-წინი), ქესადგურიწვერი** ...

III. უცხოური (თურქ., არაბ., სპარს.) სიტყვების შემცველი კომპოზიტები შედგენილობის მიხედვით ორ ქვეჯგუფად შეიძლება დავყოთ:

1. კომპოზიტები, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ქართულია;

2. ორივე კომპონენტი უცხოურია.

1) შერეული ტიპის კომპონტიტებში ქართულ და უცხოურ სიტყვათა მიმღევრობა განსაზღვრული არაა:

კომპონტის პირველი წევრი ქართულია, მეორე - უცხოური:

თიბაგახთი “თიბვის დრო” (არაბ. “vakit ”დრო, ხანი”) - “მასუკა თიბაგახთი მოა, მაქტულივახთი მოა, მარქტულ დავთხრით”;

გულჩორიანი “გულით ავაღმყოფი” (თურქ. cor “დაავაღება”) - “**გულჩორიანი** იყო ჩემი ანაი”;

დოშორგა “წვნიანი კერძი, რომელიც მზადდება დოს, ფევილის, ხახვის, ქინძის გამოყენებით” (თურქ. corba “წვნიანი, შეჭიმანდი”) - “შუადლიხან დოშორგას აკეთებდა დედაბერი”;

ერთანე “ერთი ცალი” (სპ. tane “ცალი, წვეთი”) - “**ერთანე** პური უყიდა და მუჟტანა სახში”;

ყურიყაფა “ყურუ” (ყური + თურქ. kapali “დახშული, დახურული”) - “**ყურიყაფანი** ხდებიან ე ბგანები”;

ძაფიგორა “ძაფის მიხედვით” (თურქ. gora “მიხედვით, შესაბამისად”) - “**ძაფიგორა** მოტქსოვდით იმასა” ...

ტოპონიმები: **ზემო მეელე, ქომო მეელე** (არაბ. mahalle "უბანი, რაიონი") ...

რთული სახელის პირველი წევრი უცხოურია, მეორე - ქართული:

ანამისი “დედამისი” (თურქ. anne “დედა”) - “ლამაზი ქალია ანამისი”;

ანაგზა “დედა გზა”, “მთავარი გზა” (თურქ. anne “დედა”) - “ი სოფლამდე ანაგზით მიღიხარ”;

ენდიდი “უფრო დიდი, უდიდესი” (თურქ. en “გაძლიერებითი ნაწილაკი, უფროობითი ხარისხის მაწარმოებელი”) - “**ენდიდი** სახლი რო დგანა, მისია”; **დაღ-ყველი** (თურქ. yag “ცხიმი, კარაქი, ერბო”) - “ნენეი დაღ-ყველ აკეთეფს ყოელ სალამო”;

ჩომა-ცხუარი (თურქ. coma “პირუტყვი”) - “**ჩომა-ცხუარს** მოასხამდა ი მეცხრებე” ...

ტოპონიმები: **ყიშლი-წევრი** (თურქ. kışlak “საზამთრო საძოვარი”), **ტუზი-ჭალაი** (თურქ. tuz “მარილი”) ...

ბ) უცხოური (თურქ., არაბ., სპარს.) სიტყვებისაგან მიღებული თხზული სახელები:

ხისიმ-ახრაბა “ახლო და შორეული ნათესავები, მთელი მოღმა” (არაბ. hisim “ნათესავი” + არაბ. akraba “ნათესავი, ახლობელი”)- “რ, ჩემი ხისიმ-ახრაბა აქედამ ისტამბოლ ჩასვლამდე ხისიმ-ახრაბანი მყავან”...

გერიყალანი “დარჩენილი, დანარჩენი, სხვა” (თურქ. geri - უკან, kalan - დარჩენილი, ნარჩენი) - “**გერიყალანი** რა-ნა გიოხრა, მევლალე დედაბერი”;

ანა-ბაბა “დედ-მამა” (თურქ. anne “დედა” + თურქ. baba “მამა”) - “მე ისტანბულ ვარ, **ანა-ბაბაი** სოფელი რჩებიან”;

ანალული “დედინაცვალი” (თურქ. analık) - “გაჰერსიანდა ი **ანალული** და გააგდო სახლიდამ ბგანი”;

ენსივთა “სულ პირველად” (თურქ. en “უფრო, ყველაზე” + არაბ. siftah “თავდაპირველი, ადრინდელი”) - “**ენსივთა** ჩემი ბოსტანი ჩანა”;

საბახნაშაზი “დილის ლოცვის ქაში” (არაბ. sabah “დილა” + სპარს. namaz “ლოცვა”) - “ადგებოდა ყოველ **საბახნაშაზე** მაამთილი და ლოცუილობდა” ...
t o p o n i n e b i : ოქუზ-ბოლანი (თურქ. oküz “ხარი” + თურქ. boğazi “ყელი”); **ყარა-გოლი** (თურქ. kara “შავი” + თურქ. göl “ტბა”); **ყარა-ტაში** (თურქ. kara “შავი” + თურქ. taş “ქვა”); **ყარა-თალი** (თურქ. kara “შავი” + თურქ. dağ “მთა”)...

გვაქვს უცხოური ძირ-ფუნქციების გაორკეცებით მიღებული კომპოზიტებიც: **დილიმ-დილიმ** (თურქ. dilim “ნაჭერი, ნატეხი”); **ვაშლი-ვაშლი** (თურქ. yaşlı “ასაკოვანი”); **ვავაშ-ვავაშ** (თურქ. yavas “ნელი, წყნარი”); **სირა-სირა** იქნება (თურქ. sira “რიგი”); **ჩეშიტ-ჩეშიტი** (თურქ. çesit “ნაირ-ნაირი”); **ჩიზგილ-ჩიზგილი** (თურქ. çizgili “ზოლებიანი”); **ხას-ხასები** (თურქ. has “სუფთა, წმინდა, ნამდვილი”)

მაგალითები: “აქ ზათი ბევრი არ ვთესავთ, **აბლი-აბლი**”; “დიდი ყანები არ გუაქტა, **აბლი-აბლი** გირმა ყანები, ჩოხი ჭალებია”; “გავალთ თურქზე, მოვჭრავთ, **გირმა-გირმა** დავჭრავთ, ჩომოვყრით ასე, მოტორით მოვჭრავთ”; “იმ ხე გააპობენ, თახთა იქმენ, **გირმა-გირმა** ემესა, იმით მოქსოვენ ასე”...

ბუნებრივია, ხშირად დასტურდება ასონანსური კომპოზიტებიც:
“ემეში, ჩარში ბევრნი შეიყარნეს ართუს, ბევრი საქმე არი, **ბარაჯები-ბარაჯები**, ბევრი საქმე არი, ართუს ისინი იყიდვენ”; “ემეთ, თივა დავგვით ჭალაში, ერთ ადგილა მოვჭრიფავთ, აქონბაში **ჩოფები-მოფები** იქნება, დავგვით, ერთ ადგილა მოვჭრიფავთ”; “ხევნარი, ემენი, აღაჯები ფარა იჯება, **სანდულები-მანდულები**, მობილები ფარა იჯებაო”...

ამგვარად, ტაოურ დიალექტში ზოგადად სიტყვაწარმოებისა და კონკრეტულად კომპოზიტთა თხზვის წესები და პრინციპები ძირითადად ქართულია. ქართულ ფორმებთან შედარებით, მცირეა ხვედრითი წილი უცხო ენებიდან შემოსული კომპოზიტებისა, რომელთა წარმოებაც არსებითად ქართულ წესებს ემყარება. ასეთი თხზული სახელების დიდი ნაწილი ქართულ სიტყვაწარმოებით ყალიბშია მოქცეული.

დამოწმებული ლიტერატურა

ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, 2013 - ე. დადიანი, მ. მიქაუტაძე, სოფელ ხევასი (ტაო) მიკროტოპონიმია; “ონომასტიკური კრებული”, ახალციხე-თბილისი, 2013, გვ. 45-58.

6. მარი, 1911 - Mapp H.J., Дневник поездки в Шавшетию и Кларджецию: «Георгий Мерчуле. Житие св. Григория Хандзтийского», С.-Петербургъ, 1911.

მ. ფალავა, 2005 - მ. ფალავა, მ. ცინცაძე, ე. მაკარაძე, რ. დიასამიძე, ლ. თანდილავა, ტაოური მეტყველების ნიმუშები, ბათუმის უნივერსიტეტის კრებული, IV, ბათუმი, 2005.

შ. ფუტკარაძე, 1993 - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

შ. ფუტყარაძე, 1995 - შ. ფუტყარაძე, ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჭავირი ქართველების მეტყველების მიხედვით, საღოქტორო დისერტაცია, თბ., 1995.

ნ. ცეცლაძე, 2000 - ნ. ცეცლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.

აშშუ ქართველოლოგის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში დაცული ტაოური ტექსტები.

MAIA MIKAUTADZE

ABOUT THE WORD-BUILDING ISSUE IN TAO DIALECT (ACCORDING TO THE MATERIALS OF 2010-2014 EXPEDITION)

Tao dialect is rich with diverse and interesting aspects in terms of word-building. Means and rules of word-building are primarily Georgian (generally Kartvelian), however due to the fact of long established co-habitation in the Turkish environment, emerging different elements in Tao dialects tends to be natural. We meet all the types of derivative nouns in Tao dialect: with double roots and diverse roots as well.

Principle forming foreign roots is primarily based on Georgian language rules; Major part of composites are contained in Georgian word-formation framework. The relative part of foreign elements comparing to Georgian forms is small.

In terms of Literary Georgian language and dialects, composites in Tao dialects by origin can be conventionally divided into three groups: a. general Kartvelian, b. dialectic (Taoish) c. foreign (containing Turkish, Arab, Persian) roots.

My work analyses main types of composite formation due to each group.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

საიდ მულიანი

თანამდებობი შერემილნულ ქართულში

საქართველო თავისი მნიშვნელოვანი აღგილმდებარეობიდან გამომდინარე ყოველთვის წარმოადგენდა ცივილიზაციათა გზაჯვარედინს, დიდი იმპერიების შეხვედრისა და ქიშის აღგილს.

1614 წელს შაჲ აბას I-ის შემოსევამ კახეთს არნახული ზიანი მიაყენა: განადგურდა მრავალი ქალაქი და სოფელი, ცეცხლს მიეცა ეკლესია-მონასტრები და საცხოვრებლები, მოიშალა სამეურნეო ცხოვრება, გაწყდა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. დამპყრობლებმა თითქმის მთელი კახეთი დაიკავეს. ყიზილბაშები ანგრევდნენ სახლებს, ეკლესია-მონასტრებს, ჩეხლნენ ბალებსა და ვენძხებს. შაჲ აბას I-ის გამანადგურებელი შემოსევების შედეგად აღმოსავლეთი საქართველო საშინალად აოხრდა და განადგურდა. განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ეს ლაშქრობები კახეთისთვის. 100 ათასი ქართველი დაიღუპა ყიზილბაშებთან ბრძოლაში, 200 ათასი დატყვევებული ქართველი კი შაჲმა ირანში გადაასახლა.

ქართველები ირანის სხვადასხვა მხარეში ჩაასახლეს. ისინი მაზანდარანში, ხორასანში, ფარსსა და ისპაპანში დასახლდნენ. დროთა განმავლობაში ისპაპანიდან ფერეიდანში ჩავიდნენ და დანარჩენ აღგილებში ყველა ქართული დავიწყებას მიეცა, თუმცა მათი მთამომავლები ახლაც ქართული მეობის რომელიმე ელემენტს ატარებდნ.

ფერეიდანი ირანის პროვინციაა, რომელიც ისპაპანის ოლქში შედის. ფერეიდნელი ქართველები იმათი შთამომავლებია, ვინც მე-17 საუკუნეში ირანის შაჲმა კახეთიდან აჰყარა და ირანში ჩაასახლა. ფერეიდნელი ქართველები დიდი სიამაყით თავიანთ კუთხეს „პატარა საქართველოს“ უწოდებენ. ფერეიდნულის მონაცემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართულ დიალექტთა ისტორიისა და, საერთოდ, ენის განვითარების შინაგანი კანონების შესასწავლად.

ფერეიდნული ქართული მრავალმხრივ საინტერესოა. მან შემოინახა კახურინგილოური კილოსათვის მე-17 საუკუნის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი და თანაც ევოლუციის შედეგად შეიძინა ის ახალი მოვლენები, რომლებმაც დამოუკიდებლად იჩინეს თავი რიგ ქართულ დიალექტებში. ასევე, ის იმითაცაა საინტერესო, რომ ოთხსაუკუნოვანი უშუალო კონტაქტი ჰქონდა ირანულ ენებთან, რასაც, ბუნებრივია, უკავლოდ არ ჩაულია.

თანდებულის საკითხი ფერეიდნულში ძალიან საინტერესოა, იმიტომ რომ ზოგიერთი თანდებული, რომელიც თანამედროვე ქართულში გააქვს, ფერეიდნულში არ გვხდება, ზოგი შეცვლილია, ზოგის ფუნქცია კი ძალიან გაზრდილია და სხვა თანდებულთა ნაცვლად გამოიყენება. ქვემოთ მოტანილი იმ ტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ თანდებულთა შესახებ ფერეიდნულში, რომელიც ფერეიდანში არის ჩაწერილი; შევეცდებით ნიმუშების დამოწმებით ვიმსჯელოთ.

„შე რო მებნები, შენყენ მიამბეო, რა გინდა ჩემყე გიამბო? ბევრ რამე არ ვიცი. მაშ გეთყი ყმაწილობისყე. ქენყენ წინ მე ბავტა ყმაწილი რო ვიყავ,

მადრესაჩი სწავლა რო გათავდისყე, გაზაფხულჩი პირიტყი მინდორჩი გავრეკითყე. დილობას მალე ჩემ დედამ ადგისყე და ცხორები და ფურები მოწელისყე. იმიშინ ცხორები ემესყენ ქანდასაყენ გარეკისყე ჩობანჩიგ და ანსები მეჩობნემ მინდორჩი გარეკისყე ავალანუღსაყე. დავარდისყე ბატკები და ციქნები და ჟარები, ფურები და ვირი. იმის უკავ ჩემ დედამ, მე და ჩემ დიდ ძმა გოგოლიძისყე და ბურა შაფუჭამითყე და ჩემ დედამ სუფრაჩი ბურ-მური რამე-რუმე ჩუგულვისყე და მზე რო ამოდისყე და განათდისყე, ჩონ ჩონ ლლტაშებთან ის პირიტყი მინდორჩი გორების ჟარაზე გავრეკითყე. მისაც რომელ ჟარაზე მამული ქონდა იმ ჟარაზე გარეკისყე. პირები რო გორაზე ნამად ბალახი იყვისყე იქ გავრეკითყე. ჩონ გავრეკითყე ჩონ მიწებთან ახლო, იქ რო ჩონ მინდორიც იყვისყე.

ვირებზენ შავაჭიდითყე და გუხაროდისყე რო გზაჩი ვირებს ვარბენავდითყე. სახლსაყენ გორას მინდორამდი სუს ჭთამაშობდითყე. ზოგის ვირი ძრიალ წყრან დადიოდისყე და ზოგისა ჩიქარ, მის ვირიც ჩიქარ დადიოდისყე მითან ძრიალ უხაროდიყე რო ნამი ვირი ყავდა. მინდორჩი რო გავრეკითყე, უნდოდა გოფოხილდეთ, რო არ დაფუკარგოთყე და გელმა ანსენი არ შუგუჭამოს. ზოგჯერ ბიჭებმა შექციანყე თამაშობას და პირიტყები დაიკარგისყე და ზოგჯერ გელი დერივისყე და გახივისყე. გელსაყე დიახ გოშნიდისყე.

მინდორჩი ბევრ რამე ვითამაშითყე. ზოგჯერ ბიჭებმა ერთმანერთთან იშულლიანყე რასათი არცრასათინ. სადილზე შავაჭუჩითყე და წყალი დავალევინითყე და დავაწვინითყე ერთ ადგილზე რო ყაშს დავძახოდითყე. ჩაი გავაკეთითყე, სუფრა გაწმალითყე და პური შაფუჭამითყე და გერიმ ვითამაშითყე. ზოგ ბევრ რამე ქონდისყე, ზოგს ცოტა ქონდისყე და ერთგან სუფრა გაფშალითყე და შაფუჭამითყე, ზოგმა გაგუვდისყე და თავის პირიტყი გაცალქევისყე და მარტო აძოვისყე. დღები ოვრ-სამ ჭერ პირიტყი დავაწვინითყე და ჩონთინაც ბურ-მური შაფუჭამითყე. ზოგჯერ წყალსაყე რო უნდოდა გადავრეკოთ იქთენ წყალი იყვისყე რო ის პირიტყი წაღლისყე. სალომოს რო მზე ჩაიდისყე, წყრან-წყრან შამოვყარითყე ჩონ პირიტყები და გორასყე ქოვით ჩამოვრეკითყე და გზასაყე მოიდითყე ავალანული. ზაფხული რო თაგორაზე ბალახი აღარ იყვისყე ანქ აღარ გავრეკითყე და თითომ თავინთ მინდორებჩი გარეკისყე და მონჯა, ჟავონჯა, თეთრი მონჯა და ცხო რამები ვაძოვითყე. სალომოს რო მზე ჩადისყე, შამოვრეკითყე ანსენი გავაცალქევითყე. ზოგჯერ გუჭავრდიანყე ეგემთ მალე რათი მახრეკავთო.

სალომოს რო შამოვრეკითყე დათოლიანთყე და თუ ეკლისყე მემელეს უთხრიანყე რო დაიკივლოს. ანსიც აიდისყე მაღალ სახლის გომზე და დაიკივლისყე დიდ ღმაით: აშანდებულად ერთ ბატკანი დაკარგულა მისაც მონახავ მაყვანოს ემინთას. მეჩობნემ რო ცხორი მორეკისყე, დედამ ია დიდიდამ მოწელიანყე და ემის უკან ბადტა ციკან-ბატკანები შოშითყე რო ამანთაც ცოტა მოწოვონ და გაძლენ და ღამით ერთგან იყნენ.

ემის უკან ჩონ ყალას კარჩი წაიდითყე და ჩონ ლლტაშებთან ვითამაშითყე და ერთმანერთს უამბითყე რო დღეს სად ყოფილვარ და რები შაქნილა. იმიშინ რო ნამა შალამლისყე გერიმ თითონი თავინთ სახლჩი წაღდითყე და ვახშამი შაფუჭამითყე და დაიძინითყე, რო დილობას მალე გომოგოლიძოს და ძილმა არ წუგულოს და დილობას რაჟათად ავდგეთ. ეგეითი იყვისყე ჩონ ბატობა.

ძრიალ გუხაროდისყე. ეს დღეს და აბა ხულამდი ვნახოთ, რა გაილის და რა მამაგონდების აღა საიდემი. აბა ჩონყენ რაღა გინდა“.

სიტყვა	გან (ყვ-ყენ)	ფან (ყვ-ყენ)	ზე (ზენ-ზე-ყე)	ში (ჩი-ჩინ-ჩიგ)	შესახებ (ყენ-ყე)	თან (თან)	თვის (თი-თინ)	მდე (დინ)
შენყე	გზასაყე	გორაზენ	გაზაფხულჩი	ჩემყენ	ჩიწებთან	რათი	ჩაძლამდინ	
გელსაყე	ლოლასყე	ვირებზე	ჩობანჩინ	შენყე	ჩონთან	რასათინ	ზუალაძინ	
ჩონყენ	სუკრამაცხადგილებზე	მინდორჩი	ქენყე			ნონთი		
	წყალსაყე	გომზენ	სუფრაჩი					
	გზასაყე	ემისყე	დღებჩი					
	ჭონდასყე	ქენყე	გზაჩიგა					
		ჩემყე	კარჩინ					
			სახლჩი					

-ყე ნაწილაკი ფერებიდნულში ორი სრულებით განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია. ერთ შემთხვევაში წარმოადგენს თანდებულს, რომელიც მოითხოვს ნათესაობით ან მიცემით ბრუნვას და მნიშვნელობით უდრის თანამედროვე სამწერლო ქართულის -გან თანდებულს, ხანდახან კი -კენ თანდებულს. ეს თანდებული ფერებიდნულში გამოიყენება გამოსვლითობის ფუნქციის გამოსახატავადაც; დაერთვის უპირატესად მიცემითი ბრუნვის ფორმას, გვხვდება ნათესაობითთანაც.

1 -გან, -დან: გელსაყე (მგელისგან), შენყენ (შენგან), ჩონყე (ჩვენგან).

2 -დან: გზასყე (გზიდან), სუფრასყენ (სუფრიდან), წყალსაყე (წყლიდან) ქანდასყე (ბოსელიდან). აქ ცოტა განსხვავდება სიტყვა დილობასყე, რომლის თანდებული -ყე დაინშნულების დასაწყისზეც მიუთითებს.

3 -ზე: ემისყე წინ (ამზე ადრე), ქენყე (თქვენზე-ჩემ შესახებ), ჩემყე (ჩემზე-ჩემ შესახებ), გორაზენ (გორაზე), ვირზე (ვირზე).

4 -კენ თანდებული ქართული ენის დიალექტებში სხვადასხვა ვარიანტების სახით გვხდება (კენ||-ე||-უ; -ყენ||-ე||-უ). ის გამოხატავს მიმართულებას გარევეული პუნქტისაკენ. ფერებიდნული ამ მხრივ თავისებურია. -კენ თანდებულის მოქმედების არე აქ საკმაოდ გაფართოებულია. იგი გამოხატავს მიმართულების საწყის პუნქტსაც (-იდან) და მიმართულებასაც გარკვეული პუნქტისაკენ (-კენ). მაგ.: სახლსაყენ მინდორამდი სუს ფთამაშობდითყე. თუმცა მიმართულების გარკვეული პუნქტისაკენ ამ თანდებულის გამოყენება ძალიან იშვიათად გვხდება. ამ ფუნქციას ასრულებს სიტყვა - ქარაზე. მაგ.: ჩემსკენ მოიხედე, ჩემ ქარაზე გამაიხედე. აღსანიშნავია, რომ -თი ზოგ შემთხვევაში -კენ თანდებულის ფუნქციას ასრულებს.

მაგ.: ჩულრუთსათი წავიდეს (ჩულრუთისაკენ წავიდნენ), თუმცა ასეთი შემთხვევები იშვიათად გვხდება.

5 -ში თანდებული წარმოდგენილია, როგორც ჩი || ჩიგ(ა) || ჩინ: კარჩინ, სახლჩი, გზაჩიგა.

6 -თვის თანდებულის ნაცვლად -თი||-თინ, რომელიც დაერთვის მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს: რასათი (რისთვის-რის გამო-რატომ), რასათინ, არცრასათი(ნ) (არაფრის გამო-არაფრისათვის), წყალსათი (წყლისთვის).

დამოწმებული ლიტერატურა

არნ. ჩიქობავა, 2010 — არნ. ჩიქობავა, შრომები, თბ., 2010.

ტ. ფუტკარაძე, 2014 — ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგის შესავალი, თბ., 2014.

ბ. ჭორბენაძე, 1989 — ბ. ჭორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1989.

SAID MULIANI**PREPOSITIONS IN FEREYDAN GEORGIAN**

Fereydan (part of Isfahan region) is an Iranian province. Fereydan Georgians are ancestors of people who were exiled from Kakheti region by Iranian Shah in 17th century. Fereydan Georgians proudly refer their land as “Small Georgia”. Fereydan dialect preserves important information about the history of Georgian dialects and enables us to study the development of the language structure.

Fereydan dialect is interesting from different aspects. It preserves the peculiarities of 17th century Kakhetian-Ingilo local accent and with the process of evolution it acquired the new phenomena, which independently showed oneself in number of Georgian dialects. Also it inspires interest in terms of four century contact with Iranian languages, which suffered from certain influence.

Issues of prepositions in Fereydan dialect is very interesting, as some of them existing in contemporary Georgian doesn't occur in Fereydan dialect, some them are changed, some has increased their functions and replace other prepositions. According to the text, recorded in Fereydan, mentioned below we'll try to discuss about prepositions in Fereydan dialect with the help of samples.

According to text recorded in Fereydan we'll try to discuss - khe preposition in Fereydan speech.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ნიკოლეიშვილი მინისახი

მეოცე საუკუნეში მოღვაწე იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთაც თავიანთი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებით საგულისხმო წვლილი შეიტანეს ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ნიკოლო მიწიშვილის ფსევდონიმით ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ სირბილაძე (1896-1937 წწ.). აშკარად გამოვლენილ იმ შინაგან წინააღმდეგობათა მიუხედავად, რითაც მისი მსოფლმხედველობრივ-მოქალაქეობრივი მრწამისი ხასიათდება, თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვით 6. მიწიშვილის ნააზრევი არა მარტო შესაბამისი პერიოდის ქართული სინამდვილის საფუძვლიანად შესაცნობადა უაღრესად საინტერესო, არამედ ჩვენი ქვეყნის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე დასაფიქრობლადაც წარმოაღეს იმპულსის მომცემ სულიერ ფასეულობას.

მიუხედავად მისა, რომ 6. მიწიშვილმა ცხოვრების გარკვეულა პერიოდი ემიგრაციაში გაატარა, იგი თავისი შემოქმედებითა და ყოველდღიური საქმიანობით იმუამადაც განუყოფელად იყო დაკავშირებული მშობელ ქვეყანასთან. სწორედ ამ განუყოფელობის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ემიგრაციაში მიმავალმა მწერალმა თავისი სოფლის შემოგარენიდან ფარულად წალებული ერთი მუჭა მიწით არა მხოლოდ ამ მიწისადმი თავისი ფანატიკური სიყვარული გამოხატა სიმბოლური სახით, არამედ თითქოსდა მისი წილი საქართველოც წაიღო თან, როგორც მარადიული სულიერი განძი და სამომავლო ცხოვრებისათვის იმედისა და დაუშრეტელი სულიერი ენერგიის მიმცემი შინაგანი ძალა.

აი, როგორ გვაუწყებს თავად მწერალი მისი პატრიოტული ემოციის უძაფრესი ფორმით წარმომჩენ ამ ფაქტს: “როცა მამლის ყივილზე უკანასკნელად გადმოვდგი ფეხი ჭიშარზე — თითქოს საბოლოოდ მოსწყდა გულს ბავშვობის უმანკო ოცნება და მართალი ძახილი სოფლის მიწისა. და ალბათ, ამიტომ წამძლია გრძნობამ, რომ ეზოს ბოლოში ჩუმად ავუსვი ხელი ვენახის ძირში ერთ მუჭა მიწას, ჩუმად შევახვი ცხვირსახოცში და ჩავიდე ჭიბეში.

ხშირად ვფიქრობდი შემდეგ: ეს მიწა მშვიდობით მიმაბრუნებს მე თავის დედასთან-თქმა” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 15).

სამშობლოსთან განმორებით განპირობებული თავისი იმუამინდელი ემოცია, სისხლორცეულად დაკავშირებული მშობლიური სოფლიდან წალებულ სწორედ ამ ერთ მუჭა მიწასთან, მწერალმა ამგვარი ემოციური შთამბეჭდაობითაც გამოხატა: “— მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო ქვეყანავ, მე არაფერი მიმაქვს შენი, გარდა ერთი მუჭა მიწისა და ერთი გულის, რომელიც სავსეა შენი სიყვარულით. არ გეხოვები და არ მინდა შეგხედო უკანასკნელად. მინდა ვიყო შენი ღირსი, თუ არადა, მოაკლდეს შენს ნიადაგს ერთი მუჭა ქვიშა, ავგაროზად რომ რჩება ჩემს გულში” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 17).

შშობლიურ მიწასთან სიმბოლურად და სისხლხორცეულად დაკავშირებული პატრიოტული გრძნობის ამგვარი ემოციური სიმძაფრით წარმოჩენა გამჭოლ ნაკადად გასდევს ნიკოლო მიწიშვილის მთელ შემოქმედებას და ამ გრძნობით არა მარტო თავად მწერალია „განუკურნებლად დაავადებული“, არამედ მისი პერსონაჟების დიდი ნაწილიც.

როგორც ცნობილია, ნ. მიწიშვილი ემიგრაციაში 1922-1925 წლებში იმყოფებოდა. თავდაპირველად, 1922 წლის ივნისიდან 6 დეკემბრამდე, იგი სტამბოლში ცხოვრობდა, შემდეგ კი პარიზში გადავიდა, სადაც 1925 წლამდე დარჩა. 1924-1925 წლებში ნ. მიწიშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა პარიზში გამომავალი ქართული გაზეთის — „ახალი საქართველოს“ გამოცემაში.

მასში გამოქვეყნებულ წერილებსა და ქართველ ემიგრანტებთან გამართულ შეხვედრებზე გამოვლენილ პროსაბჭოურ შეხვედრულებათა გამო ემიგრანტთა ერთმა ნაწილმა მწერალს საბჭოთა ხელისუფლების მიერ ევროპაში წარგზავნილ აგენტობაში დასდო ბრალი, რასაც საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ საფრანგეთის სასამართლომ მას ქვეყნიდან გაძევება მიუსაჭა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ნ. მიწიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა და სხვადასხვა საბასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. სამწუხაროდ, მისი ამგვარი აქტიურობა დიდხანს არ გაგრძელებულა — 1937 წლის 1 ივნისს იგი კონტრარევოლუციური საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს, 12 ივლისს გაასამართლეს, მეორე დღეს კი დახვრიტეს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდები რამდენადმე მაინც განვმარტო და ორგუმენტირებულად წარმოვაჩინო ის გარემოებანი, რის საფუძველზეც მწერალმა ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ თავის ნაწერებშიცა და საჭარო გამოსვლებშიც ნ. მიწიშვილი საბჭოთა ხელისუფლებისაღმი დროდადრო მეტად მწევე და კრიტიკულ დამკიდებულებასაც გამოხატავდა ხოლმე, თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური თვალთახედვით იგი ამ ხელისუფლებისადმი ბოლომდე ნეგატიურად განწყობილი მაინც არ ყოფილა და მისი მსოფლებელებისა ამ თვალსაზრისით აშკარად წინააღმდეგობრივია და გაორებული.

კერძოდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად შექმნილმა რეალობამ და ამ ხელისუფლების მესვეურთა მიერ სიტყვიერად დეკლარირებულმა დაპირებებმა ნ. მიწიშვილს ამ მოვლენის მოხდენიდან რამდენიმე თვეში იმის იმედი გაუჩინა, რომ ისინი აღნიშნულ დაპირებებს აუცილებლად შეასრულებდნენ. სწორედ აქედან გამომდინარე ჩათვალა მან თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად, აქტიურად ჩამდგარიყო ახალი ხელისუფლების მსახურთა რიგებში და გარევეული პერიოდის განმავლობაში ევროპაშიც წასულიყო იქაურ ქართველ ემიგრანტებში პროსაბჭოური პრობაგანდის გასაწევად.

ყოველივე ზემოთქმულის დამადასტურებელ არგუმენტებს საკმაოდ მრავლად გვაწვდის თავად მწერალიც. კერძოდ:

1. ნ. მიწიშვილისავე ინფორმაციით, ემიგრაციაში წასვლის ნებართვა მისთვის საქართველოს მთავრობის მაშინდელ თავმჯდომარეს სერგო ქავთარაძეს მიუცია (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 53). ეს ამბავი ევროპაში მცხოვრებ ქართველებში მაშინ იმდენად ფართოდ გახმაურდა, რომ ბევრმა მათგანმა იგი

საბჭოთა ხელისუფლების მიერ უცხოეთში მიზანმიმართულად გაგზავნილ აგენტადაც კი მიჩნია.

2. სწორედ იმის გამო, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრთა უდიდესი ნაწილიცა და ქართველი ემიგრანტებიც ნ. მიწიშვილს ბოლშევიკად მიიჩნევდნენ და არა საბჭოთა ხელისუფლებისგან დევნილ პიროვნებად, საფრანგეთის საკონსულომ მას ამ ქვეყნაში შესასვლელი ვიზის მიღება საქმაოდ გაურთულა. ამ გარემოებას თავად მწერალიც არაერთგზის უსამს ხაზს “ქართულ ქრონიკაში.”

3. საფრანგეთში ჩასული ნ. მიწიშვილი 1924-25 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის იქაური საელჩოს დაფინანსებითა და გრიგოლ ვეშაპელის (ვეშაპიძეს) რედაქტორობით 1924 წელს დაარსებულ პრობოლშევიკურ გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოცემაში. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, აქვე არც ის ფაქტი უნდა დავტოვოთ უყურადღებოდ, რომ ხსენებული გაზეთი მაშინ საქართველოშიც იყიდებოდა შეუზღუდველად.

4. საბჭოთა ხელისუფლებისაღმი ნ. მიწიშვილს იმჟამად მართლაც ლოიალური დამოკიდებულება რომ ჰქონდა, ამას ხსენებული გაზეთის პირველ ნომერში გამოქვეყნებული მისი საპროგრამო წერილის თუნდაც ეს ფრაგმენტიც ადასტურებს ყოველგვარი დაეჭვების გარეშე: “ოქტომბერმა საბოლოოდ და რადიკალურად გადაჭრა ეროვნული საკითხი და არა მარტო საქართველოს მასშტაბით....”

ამიტომ ჩვენ მთელის პოლიტიკური შეგნებით ვღებულობთ საბჭოთა ფედერაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც უდავო ფორმას ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის...

საბჭოთა ფედერაციაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკა იმ უფლებებით და მოვალეობით, როგორიც მას აქვს დღეს, — ჩვენ მიგვაჩნია თანამედროვე ეპოქის უდიდეს ბოლოტიკურ მიღწევათ და ამ მხრივ — საბჭოთა საქართველოს მთავრობა, რომელიც ზრუნავს ამ უფლებების განმტკიცებისათვის — ქართველი მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობად.“

5. ქართველ ემიგრანტებში (და არა მარტო მათში) იმ შეხედულების დამკვიდრებას, ნ. მიწიშვილი ქართულ ემიგრაციაში საბჭოთა სპეცსამსახურის მიერ შეგზავნილ აგნტს რომ წარმოადგენდა, არსებითად მნიშვნელოვანმა შემდეგმა გარემოებამაც შეუწყო ხელი: მწერალს 1925 წელს არა მარტო სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცეს ყოველგვარი სირთულის გარეშე, არამედ იგი ჩამოსვლისთანავე ჯერ სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგედ დანიშნეს, 1926 წელს კი უურნალ “ქართული მწერლობის” მთავარი რედაქტორობა დააკისრეს.

ემიგრაციაში ნიკოლო მიწიშვილის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობასთან დაკავშირებულ საკითხთა არსში გასარკვევად უაღრესად საინტერესო მასალებს ვწვდებით მის მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტებსა და პუბლიცისტურ წერილებში. ამ თვალსაზრისით რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა “ეპობეიას” ციკლში შემავალ ნარკვევებზე: “ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“ და “ახალგაზრდობა“, რომლებიც მწერალმა ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებიდან ორი წლის შემდეგ, 1928 წელს, დაწერა. “ქართულ ქრონიკაში“ მწერლის ცხოვრების

სტამბოლური პერიოდის შესახებაა მოთხრობილი, ხოლო “ახალგაზრდობაში” — პარიზისა.

როგორც უკვე ითქვა, სტამბოლში ნ. მიწიშვილი 1922 წლის ივნისიდან 6 დეკემბრამდე იმყოფებოდა. ამ ნის მანძილზე სტამბოლში მისი ყოფნა არსებითად აღმოჩნდა განპირობებული საფრანგეთში წასასვლელი ვიზის აღებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სირთულით.

აქედან გამომდინარე, ნაწარმოებში საქმაოდ დაწვრილებითაა მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლების მოქცევის შედეგად შექმნილი რთული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობის გამო სტამბოლს იმხანად თავშეფარებული ჩვენი თანამემამულების ცხოვრების ამბავი. ნ. მიწიშვილის ხაზგასმით, “რევოლუციით აფორაქებულ ფენათა ყოფა და ფსიქოლოგია” და “უცხოეთიდან თანამედროვე საქართველოს ხედვა” “ქართულ ქრონიკაში” ფაქტოლოგიური სიზუსტით იყო მოცემული.

ამდენად, “ქართული ქრონიკა” უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია არა მარტო თავად ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური მრჩამსის შესაცნობად, არამედ გასული საუკუნის ოციან წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენებისადმი ქართველ ემიგრანტთა დამოკიდებულების არსში გასარკვევადაც. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მხატვრულ-დოკუმენტური ნარკვევი მწერალმა 1928 წელს, ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნების შედეგ დაწერა, იგი იმჟამინდელი იდეოლოგიური დოგმატიზმით ნაკლებად შებოჭილ ნაწარმოებს წარმოადგენს და ნათლად წარმოაჩენს იმ მსოფლმხედველობრივ გაორებას, რითაც აშკარად ხასიათდებოდა მწერლის იმდროინდელი ცხოვრება და შემოქმედება.

თუ გავითვალისწინებთ წარმოუდგენლად რთულ იმ სიძნელეებსა და წინააღმდეგობებს, რაც ნიკოლო მიწიშვილს უცხოეთში მისი ხანმოკლე ყოფნის დროს შეხვდა, ბუნებრივია, გაგვიჩნდება კითხვა: რა მიზანი ამოძრავებლა მწერალს, როცა მან ემიგრაციში წასვლა გადაწყვიტა?

სამწუხაროდ, თავისი ამ მიზანდასახულობის შესახებ თავად ნ. მიწიშვილი არც ერთ ნაწარმოებში დაზუსტებით არაფერს გვეუბნება. ერთადერთი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რასაც იგი “ქართულ ქრონიკაში” ამასთან დაკავშირებით გვაუწყებს, ისაა, რომ უცხოეთში წასასვლელი ნებართვა მისთვის მთავრობის თავმჯდომარეს — სერგო ქავთარაძეს მიუცია (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 53).

ემიგრანტ ქართველებში გახმაურებულმა ამ ფაქტმა და მათთან საუბრების დროს ბოლშევიკებისადმი აშკარად გამოხატულმა მხარდამჭერმა დამოკიდებულებამ პოლიტიკურ ნიადაგზე უცხოეთში გადახვეწილ ჩვენს თანამემამულებს საგვებით ლოგიკურად გაუჩინა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ნ. მიწიშვილი უცხოეთში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გაგზავნილ აგენტს ხომ არ წარმოადგენდა. ისინი მასთან შეხვედრების დროს თავიანთ ამ ეჭვს არც მალავდნენ და მწერალს პირდაპირაც კი ეუბნებოდნენ ამის შესახებ.

ბოლშევიკად მიჩნევის საფუძველს მწერალი, პირველ ყოვლისა, ქართველ ემიგრანტებთან შეხვედრების დროს საბჭოთა ხელისუფლების შესახებ მისი საქებარი საუბრებით ქმნიდა. ამის თაობაზე “ქართულ ქრონიკაში” თავად იგი გვაუწყებს არაერთგზის. მაგალითად, საქართველოს სტამბოლურ საკონსულოში

გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე, სადაც სტამბოლში ახლად ჩასული ნ. მიწიშვილი საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გამოვიდა მოხსენებით, მწერალმა ბოლშევიკური ხელისუფლების მიღწევებზე იმდენი ისაუბრა, რომ ამით დამსწრეთა აღსფოთება გამოიწვია.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ამგვარად განწყობილი მწერლის მიერ სამშობლოს წებაყოფლობით (თუკი ეს მართლა ასე მოხდა) დატოვება და ემიგრაციაში წასვლა საგვებით ლოგიკურად აჩენს ისეთ კითხვებს, რომელთათვისაც ზუსტი და სათანადოდ არგუმენტირებული პასუხის გაცემა ჭირს.

კერძოდ, 1. თუ მწერალმა მართლაც საკუთარი ნებით დატოვა სამშობლო, რამაც, როგორც მისეული მონათხრობიდანაც თვალნათლივ ჩანს, მას უდიდესი სულიერი ტკივილი მიაყენა, რატომ გადადგა ეს ნაბიჯი? მით უფრო, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლებისადმი იმხანად უკვე იყო საკმაოდ პოზიტიურად განწყობილი? უცხოეთში ყოფნის დროს კი ეკონომიკურადაც და მორალურადაც იმდენი გასაჭირი და განსაცდელი გადაიტანა, რომ ლამის ფიზიკურადაც შეეწირა თავის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას.

2. ზოგიერთი ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, თუ მწერალი უცხოეთში მართლა საკუთარი ნება-სურვილით კი არ იყო წასული, არამედ საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ გაგზავნილ პირს წარმოადგენდა, მაშინ ფინანსურად რატომ ამყოფებდნენ მას ესლოდნ უმიმეს მდგომარეობაში. ხომ შეიძლებოდა, ასეთ პირობებში მოქცეულს, მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე პროტესტის ნიშნად უარი ეთქვა?

3. და ბოლოს, თუ ნ. მიწიშვილი ემიგრაციაში მართლა საკუთარი ნება-სურვილით იყო წასული, რაც იმჟამინდელი ხელისუფლების შეფასებით, საკუთარი ქვეყნის ღალატს წარმოადგენდა, მაშინ როგორ შეძლო მან სამშობლოში არა მარტო უპრობლემოდ დაბრუნება, არამედ დაბრუნებისთანავე მეტად საბასუხისმგებლო თანამდებობების დაკავება?

სამწუხაროდ, მეტად მნიშვნელოვან ამ კითხვებზე, დღესდღეობით ჩვენთვის ხელმისაწვდომ მასალებზე დაყრდნობით, სათანადოდ არგუმენტირებული და ბოლომდე დამაჯერებელი პასუხების გაცემა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

“ქართულ ქრონიკაში” უცხოეთში წასვლის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად ნ. მიწიშვილმა მოგზაურობისადმი მისი განსაკუთრებული ინტერესი დაასახელა: “ვიზექი ევროპულ გემზე. გემი მიდიოდა ჰამბურგში და მე მივყვებოდი მას. ეს იყო ჩემი ოცნება ბავშვობიდან — როგორმე მენახა უცხოეთი. ეს ოცნება ასრულდა... მე მივდიოდი, მაგრამ სად, ვისთან, რისთვის, რა იმდიოთ?” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 12).

თუმცა თავის მეორე დოკუმენტურ ნარკვებში — “ახალგაზრდობა” ხანგრძლივი დროით სამშობლოს დატოვება და საცხოვრებლად უცხოეთში წასვლა მწერალმა, მართალია, ნახევრად შენიღბული ფორმით, მაგრამ მაინც მისახვედრი სახით, მის მოფლმხედველობრივ თვალთახედვას დაუკავშირა და ერთგან ამგვარი განცხადება გააკეთა: “სამშობლო. გავექეცი თუ გამაქცია მან”.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, უცხოეთში ყოფნის დროს მწერალს იმდენი სირთულე და გასაჭირი გადახდა თავს, რომ ლოგიკური იქნებოდა, ასეთ

მდგომარეობაში ყოფნაზე იმთავითვე ეთქვა უარი და სასწრაფოდ დაბრუნებულიყო სამშობლოში. მით უფრო, რომ ახალი ხელისუფლებისადმი მას მაშინ უკვე ჰქონდა იმდენად პოზიტიური დამოკიდებულება, რომ უცხოეთში მყოფ ქართველ ემიგრანტებსაც კი ურჩევდა სამშობლოში დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

რაც შეეხება ბოლშევიკური ხელისუფლების აგენტობას, ამაში დასაეჭვებლად, ჩემის აზრით, საკმაოდ ანგარიშგასაწევ არგუმენტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ უცხოეთში მყოფი მწერალი უაღრესად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო რეალურად იდგა შიმშილით სიკვდილის წინაშე. ეს ფაქტი კი ბუნებრივად გვიჩენს კითხვას: თუ ნ. მიწიშვილი მართლა წარმოადგენდა უცხოეთში ხელისუფლების მიერ გაგზავნილ აგენტს, მაშინ რატომ არ ეხმარებოდნენ მას ფინანსურად და რატომ ამყოფებდნენ ასეთ გაუსაძლის ყოფაში?

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ რამდენიმე ამონარიდს მწერლის დოკუმენტური პროზიდან. როგორც თავად ავტორისეული მონათხრობიდანვე ვიცით, სტამბოლში ყოფნის პერიოდში მან მხოლოდ მოსესხბის გზით შეძლო საფრანგეთში წასაცლელი ვიზის მისაღებად საჭირო ხუთი ლირის შოვნა, გზავრობისოვის მოსამარაგებელი საგზლის შესაძენად კი ერთა ლიგის მიერ დასახმარებლად მიცემული მცირედი თანხა გამოიყენა, რისი მეშვეობითაც შეძენილი პროდუქტი გზაში სანახევროდაც არ ეყო. ამას დაემატა ისიც, რომ ზამთარში გემით გამგზავრებულს არც თბილი ტანსაცმელი გააჩნდა.

კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა პარიზში ჩასული მწერალი. მაგალითად, აი, როგორ აღწერს იგი თავისი ემიგრანტული ცხოვრების პარიზულ პერიოდს ქრონიკაში — “ახალგაზრდობა”: “განა მე მარტო ვშიმშილობდი იმ დროს, როცა პარიზში დავეხეტებოდი უმუშევარი და უსახლკარო?.. შიმშილზე უფრო მწარე იყო ის ყოფნა და როცა ვიგონებ ამ წუთებს, მღელვარებისგან ველარ ვიმორჩილებ ვერც გულს, ვერც კალამს” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 161).

ანდა: “გარეთ თოვს. ოთახში ცივა. მე ვწევარ ბერანჯესთან და ვთბები უზარმაზარ კიდობანში, რომელსაც ფრანგული საწოლი ჰქვია.

ხვალ თენდება ახალი წელი.

ესაა პარიზი, მაგრამ მე ჯერ არა ვარ აქ. მე მხოლოდ ამ დიდ საწოლში ვწევარ და ამის უფლება ვიყიდე სამი დღით თხუთმეტ ფრანკად. ამ საწოლით იწყება და აქვე თავდება მსოფლიო ჩემთვის. სამი დღის შემდეგ ამ საფლავიდან ამომათრევს ვერდენელი სალდათი და მე გავალ მდინარის პირას” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 176).

ასეთ პირობებში მყოფი მწერალი თავის თავს მსოფლიოში ყველაზე უბედურ ადამიანად მიიჩნევდა და თავის იმჟამინდელ სულიერ აპათიას ამგვარად გამოხატავდა: “ნათელი დღე ფეოქაცის პარიზის ცაზე და მე მგონია — არ მოიპოვება ამ ცის ქვეშ კაცი, ჩემზე უბედური. მე ვერ გავეჭეცი საკუთარ თავს, ის მომყვა თან, მშიერი, მწყურვალი, მუდამ უქმაყოფილო ნაშიერი ჩემი ქვეყნისა... ეს ბაბილონი უცხოა ჩემთვის და შორეულია ჩემთვის პარიზი” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 165).

უცხოეთში მწერლის ცხოვრებასთან დაკავშირებული ასეთი ეპიზოდების წაკითხვის შემდეგ მკითხველს სავსებით ლოგიკურად უჩინდება კითხვა იმასთან

დაკავშირებით, თუ ეს ყველაფერი მართლა ასე იყო, რატომ უფრო აღრე არ მიიღო მან გადაწყვეტილება სამშობლოში სასწრაფოდ დაბრუნების თაობაზე; მით უფრო, რომ აქ, მისივე მტკიცებით, ბევრად უკეთესი პირობები არსებობდა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეთა საკეთებლად.

მაგალითად, აი, რას წერს პარიზში ახლად ჩასული ნ. მიწიშვილი ამასთან დაკავშირებით ერთგნ: “ზვალ-ზეგ შემხვდებიან პარიზში ქართველები. პირადი მტერი არა მყავს მათში, მაგრამ თუნდაც მარტო ისა ვთქვა, რომ მე ერთი პატარა მემუსიკე ვარ ლენინის დროშით მებრძოლ ჭარისა, ესეც საკმარისია, რომ მე მათი მტერი გავხდე და ისინი ჩემი.

რა ბედნიერი ვიქენებოდი, რომ აღფრთვანებით ვიდგე ამ დროშის ქვეშ და არ მაწუხებდეს ახალგაზრდა რეკრუტების გრძნობები.

და მძულს მე ასეთს საკუთარი თავი” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 178).

არა მარტო საკუთარი თავისადმი, არამედ მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ყოველი ემიგრანტისადმი სიძულვილისა თუ პროტესტის ეს გრძნობა ნ. მიწიშვილის მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში სტამბოლში ერთ-ერთი სახლის სარდაფში მდებარე ქართველთა თავშესაფარში ცოლ-შვილთან ერთად მცხოვრები ქართველი ემიგრანტის ოჯახში სტუმრობის დროსაც გამოვლინდა განსაკუთრებული ძალით.

ნათქვამის არსში უფრო მეტად გარკვევის მიზნით დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ეპიზოდიდან: “რა ეწოდება ისეთ სცენას, როცა ხუთი წყვილი დაკოურებული, გაზიფთული ხელი გადმოხვეწილი მუშებისა გამოწვდილია შენკენ და გეკიოთხება: “რისთვის, რადა, რა მიზეზის გულისათვის, ვინ გვიქნა ეს?” და როცა იქვე, ამ თათრის ჭურომულში, ქართველი დედა ჩასტირის პატარა ბავშვებს და ამ ბავშვების გაყითლებული სახეები ათრთოლებს სისხლისაგან დამშრალ მამის მარჯვენას.

მოდით და გაეცით პასუხი — “რისთვის?”

ეს ათი ხელი, რომელსაც მე ვხედავდი იმ წუთს, სწორედ ის ხელებია, საბჭოთა სახელმწიფოს რომ აშენებენ ზღვას გაღმა. რა უნდა ამ ხელებს აქ, თურქეთში, რისთვის, მართლა და რისთვის?

ეს ბაშვები, ამ თურქის ცივ სარდაფში რომ ახველებენ, რისთვის სექართველოს მზის ქვეშ არ უნდა ითბობლენ ახლა ძვლებს და რატომ იქ არ უნდა სწოვდნენ ჩვენი ნაძვნარების ტკბილ ჰაერს” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 179).

ნ. მიწიშვილის შემოქმედება უაღრესად საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ იგი არა მარტო რიტორიკულად სვამის ამ და მსგავს კითხვებს, არამედ მათთვის სათანადო პასუხის გაცემასაც ცდილობს აქტიურად და ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობის შექმნის საქმეში მთავარ დამნაშავედ ერის ინტელექტუალურ ნაწილს, მათ შორის საკუთარ თავსაც, მიიჩნევს: “ყველაფერი ეს ჩემისთანების მიერ ჩადებილი საქმეა... ესაა ბრალი მოლაყბო, მოჭოჭმანო, ყოველ დროს პრივილეგიებში მყოფ ინტელიგენციისა და ეს ინტელიგენცია, ქვეყნის ბელადად რომ თავი მიაჩნია, ლირსია შეჩენების” (ნ. მიწიშვილი, 2006 (2), გვ. 180).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, შვიდთვიანი მცდელობის შემდეგ, 1922 წლის დეკემბერში, ნ. მიწიშვილმა საფრანგეთის ვიზა მიიღო და შემდგომში იქ გააგრძელა საქმიანობა. თავად მწერლის ინფორმაციით, ქართველ ემიგრანტებში აქტიურად გაწეული პროსაბჭოური პროპაგანდის გამო, საფრანგეთის სასამართლომ მას სამჯერ მიუსახა ქვეყნიდან გაძევება.

ყოველივე ამის შესახებ ნ. მიწიშვილს საინტერესოდ აქვს მოთხრობილი მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევში “ალექსანდრია” (1928 წ.). კერძოდ, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის თავად ის საფრანგეთიდან მის დეპორტაციასთან დაკავშირებით: “გემი “ალექსანდრია” დასტოვებს მარსელის პორტს ნახევარი საათის შემდეგ და წამიყვანს მე საქართველოსაკენ.

ალბათ, აწი ვერასოდეს ველარ შემოვალ საფრანგეთში: უკვე სამჭერ მაქევებენ საფრანგეთის საზღვრებიდან, როგორც არასაიმედო ელემენტს — კომუნისტური პროპაგანდის გულისათვის. ყოველ შემთხვევაში მე ასე გამომიცხადა პრეფექტურამ და პარიზული გაზეთებიც ამას იტყობინებიან. აშკარაა, რომ ეს უკანასკნელი გამოძევებაა და საფრანგეთში ჩემი დარჩენა ამის შემდეგ შეუძლებელი ხდება” (ნ. მიწიშვილი, 1958, გვ. 162).

ამ დეპორტის შედეგად ნ. მიწიშვილი ფაქტობრივად არა მარტო საფრანგეთსა და მის დედაქალაქს ემშვიდობებოდა სამუდამოდ, არამედ მთელს ევროპასაც. თუმცა, როგორც თავად მწერლის ჩანაწერებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ამ დამშვიდობების გამო იგი სევდითა და იმედგაცრუებით კი არ იყო შეპყრობილი, არამედ ახალი ძალითა და ენერგიით გულანთებული ბრუნდებოდა უკან ქვეყნის სამსახურში კიდევ უფრო მეტი შემართებითა და აქტიურობით ჩასადგომად.

კერძოდ, აი, როგორ გამოხატავს თავად ნიკოლო მიწიშვილი თავის იმჟამინდელ სულიერ ოპტიმიზმსა და მოქალაქეობრივ შემართებას პარიზული შთაბეჭდილებების ამსახველ მხატვრულ-დოკუმენტურ ნარკვევში — “პარიზი”: “შვიდობით, ევროპავ. და შვიდობით ახალგაზრდობავ. შვიდობით, ძმაო ნიკოლოზ, რომ გექებდი და ვერ გნახე. დაინგრა ყველაფერი, რაც გაწვალებდა შენ. მოკვდი, თუ ცოცხალი ხარ. ეწამები კვლავ, თუ განათდება შავი ვარსკვლავი შენი.

ახალი გზით. სხვა ფიქრით — ისევ უკან. შინისკენ... შინ. შინ. სახლისკან. მიწისაკენ. ჩემო მიწა და ჩემო თავსაფრიანო დედა. ზარებმა შესწყვიტეს თურმე რეკვა ჩვენს სოფელში. მაგრამ ხარები ისევ ბლავიან ჩვენსას, ჰკოცნიან მწვანე მიწას და ელიან დაკარგულ პატრონს” (ნ. მიწიშვილი, 2007, გვ. 152).

როგორც ითქვა, საქართველოს გასაბჭოებიდან ორიოდე წლის შემდეგ ნიკოლო მიწიშვილმა ახალი რევოლუციისა და ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება შეიცვალა და ირწმუნა, რომ ქვეყნის სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებით მისი პარტიული ლიდერები მათ მიერ დეკლარირებულ სიტყვიერ მოწოდებებს რეალურად მართლაც შესარულებდნენ. სწორედ ამ იმედით გულანთებული დგება იგი საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში და მიემზავრება საფრანგეთში ევროპაში ემიგრირებულ ჩვენს თანამემამულებში პროსაბჭოური აგიტაციის გაწევის მიზნით.

ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ნ. მიწიშვილის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი არ ყოფილა ხელისუფლების მიერ მოსყიდული კაცის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ეს ყველაფერი მან იმის გულწრფელი რწმენით გააკეთა, საბჭოთა ხელისუფლების პარტიული ლიდერების მიერ ხალხისთვის სიტყვიერად მიცემული დაპირებანი რეალურად ნამდვილად რომ განხორციელდებოდა, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სასურველ გზაზე დადგებოდა.

საბჭოთა ხელისუფლებასთან დაკავშირებული ეს იმედიანი მოლოდინი ნ. მიწიშვილის შემოქმედებაში პირველად სწორედ საფრანგეთში დამკვიდრების დროს გამოვლინდა როგორც იქ გამოცემულ პროსაბჭოური სულისკვეთების ქართულ გაზეთ „ახალ საქართველოსა“ და საქართველოში გამომავალ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილებში, ისე აქტიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

პირველი სერიოზული ბზარი ნ. მიწიშვილის პროსაბჭოურ იდეოლოგიურ თვალთახედვას 1928 წლის მარტში გაუჩნდა. მწერლის შვილის — ილამაზ მიწიშვილის მართებული აღნიშვნით, სრულიად საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობის მიერ იმხანად შექმნილ „საბჭოთა მწერლების ფედერაციაში“ გაერთიანებულმა პროლეტარულმა მწერლებმა რიცხობრივ უბირატესობასთან ერთად მაშინ „ზოგადად სამწერლო საქმიანობაზე ზეწოლის შესაძლებლობაც მოიპოვეს, მ. შ. — ხელმძღვანელი თანამდებობების დაკავებითაც. არ გვეჩენება შემთხვევითად, რომ სწორედ ამ პერიოდში მოუხდა თავად ნ. მიწიშვილს მის მიერ დაარსებული ყურნალ „ქართული მწერლობის“ მთავარ რედაქტორობაზე უარის თქმა“ (ნ. მიწიშვილი, 2011, გვ. 414).

1931 წლის მაისში მწერალთა კავშირში ჩატარებული „წმენდის“ დასაგმობად და მსგავს ლონისძიებათა აღსაკვეთად ნ. მიწიშვილმა მაშინ წერილობითი თხოვნით მიმართა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანს ლ. ქართველი შვილს, სასწრაფოდ ჩატარებული ამ საქმეში. იმის ნათელსაყოფად, მისი ეს მიმართვა, რომლის ფრაგმენტებიც ნ. მიწიშვილმა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე 1937 წლის 7 მაისს მოხსენებით გამოსვლის დროსაც დაიმოწმა, ფაქტობრივად მეტად გაბედული და სრულიად უკომპრომისო მხილება იყო იმ დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკისა, რომელსაც იმჟამინდელი პარტიული ხელისუფლება და მის მიერ განუზომელი ძალაუფლებით აღჭურვილი მწერალთა კავშირის მესვეურები ატარებლნენ ხალხის მტრებად და მოლალატებად შერაცხულ მწერალთა მიმართ.

წარსულში დაშვებულ დანაშაულებრივ ქმედებათა ამგვარ მხილებასთან ერთად, პრეზიდიუმის ხსნებულ სხდომაზე გამოსვლისას ნ. მიწიშვილმა იმხანად არსებული მდგრმარეობაც შეაფასა და გულისტკივილით აღნიშნა ის გარემოება, რომ ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ვითარება არც ხუთი წინათ წარდგნილი მისი მამხილებელი მოხსენების შემდეგ იყო შეცვლილი სასიკეთოდ.

დამოწმებული გამოსვლა გამონაკლისი არ ყოფილა და საბჭოთა ხელისუფლების მმართველობითი პოლიტიკა სხვა დროსაც არაერთგზის ქცეულა ნ. მიწიშვილის კრიტიკულ-ოპოზიციური განსჯის საგნაც.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მაინც ვფიქრობ, რომ არსებული სახელისუფლებო რეჟიმისადმი ნ. მიწიშვილის ამგვარი კრიტიკული დამკაიდებულება საბჭოთა რეჟიმისაგან მის სრულ განდგომისა კი არ გულისხმობდა, არამედ ამ რეჟიმის გამოსწორებისა და მისთვის დამახასიათებელ მანკიერებათა დაძლევის კეთილშობილური სურვილით იყო განპირობებული. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას 1937 წლის 27 მაისს გამართულ საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მის მიერ წარმოთქმული სიტყვის თუნდაც ეს ფრაგმენტიც აღსატურებს:

„ვიხსენებ რა ჩემს შეცდომებს, მთელი გულახდილობით უნდა განვაცხადო, რომ იმ თხუთმეტი წლის განმავლობაში, რაც მე თქვენს წრეში ვიმყოფები,

ცხადია, მქონდა სხვადასხვა სახის შეცდომები,... მაგრამ თუ მე ჩამიღენია შეცდომები, მე არ ჩამიღენია არც ერთი შეგნებული დანაშაული პარტიისა და ხელისუფლების წინაშე. მე ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების ერთგული, რიგითი მუშაკი და როგორც შემეძლო, ვიბრძოდი ჩემი ქვეყნის კულტურული აღორძინებისათვის, რომელიც მე საბჭოთა სინამდვილის გარეშე არ მაქვს წარმოდგენილი” (ნ. მიწიშვილი, 2011, გვ. 389).

ნ. მიწიშვილმა თავისი მოღვაწეობის შესაფასებლად ნათქვამი ეს სიტყვები მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის იმ სხდომაზე წარმოთქვა, რომელიც საქართველოს კომუნისტური პარტიის X ყრილობაზე ლ. ბერიას მიერ გაკეთებულ მოხსენებაში ქართველ მწერალთა “იდეური გადახრების“ მხილებასა და კრიტიკას მიეძღვნა.

მკაფიოდ გამოხატული თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი შეხედულებებით მწერალი არაორაზროვნად ემიგრებოდა და უპირისპირდებოდა საბჭოთა იდეოლოგიის ფუძემდებლურ პრინციპებს, რაც იმუამინდელი ხელისუფლების მესვეურთა შეფასებით, საკუთარი ქვეყნის ღალატსა და უპატიველ დანაშაულს წარმოადგენდა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტიც იძენს, რომ ეს ყველაფერი გასული საუკუნის 30-იან წლებში — სისხლიანი რეპრესიების აღზევების ჟამს — ხდებოდა.

სამწუხაროდ, ნიკოლო მიწიშვილის ამქვეყნიურ ცხოვრება შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში შეწყდა და მას ბევრი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ოცნება დარჩა განუხორციელებელი. მაგრამ ის, რისი შექმნაც მან თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის განმავლობაში შეძლო, მყარად დამკვიდრდა საბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურის ისტორიაში, როგორც დღესაც ანგარიშგასაწევი სულიერი ფასეულობა.

დამოწმებული ლიტერატურა

- ნ. მიწიშვილი, 1958** - ნ. მიწიშვილი, რჩეული, თბ., 1958.
- ნ. მიწიშვილი, 2006** - ნ. მიწიშვილი, ქართული ქრონიკა რევოლუციის ღროიდან, თბ., 2006.
- ნ. მიწიშვილი, 2007** - ნ. მიწიშვილი, სამარადისო ზღაპარი, თბ., 2007.
- ნ. მიწიშვილი, 2011** - ნ. მიწიშვილი, პუბლიცისტიკა, თბ., 2011.

AVTANDIL NIKOLEISHVILI**NIKO MITSISHVILI IN EMIGRATION**

Among the Georgians doing the public work in 20th century and playing the significant roles in the history of our literature with their diverse creative works in terms of genres, we should mention the writer and public man Nikoloz Sirbiladze(1896-1937) known with the nickname Nikolo Mitsishvili. Despite the prevalent inner resistance characterising his world and civil views, His ideas are very interesting not just in terms of perceiving Georgian reality of certain period fundamentally, but also it holds the spiritual value making us recall the development perspectives of our country.

N.Mitsishvili lived in emigration between 1922-1925. Initially he lived in Istanbul, then he went to Paris where he stayed until 1925. Between the years of 1924-1925 he actively participated in the publication of the Georgian newspaper “New Georgia” in Paris. He was slandered to be the spy of Soviet State resided in Europe by the part of Georgian emigrants for his pro soviet views revealed in his articles and meetings with them, based on this French court sentenced him exile from the country.

After returning to Georgia N. Mithishvili took active participation in public work and held different responsible posts. Unfortunately his active movements didn’t last long - in July 1,1937 he was imprisoned and executed for accusation of contr revolutionary work.

**ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ოთარ ნიკოლეიშვილი

**მორდეანი მიხაელ გიგი მიხეილი მორდეანი
ქართველი მარავა**

საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში ქართველ ებრაელთა მიგრაციის პროცესი ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე დიდი წნით აღრე დაიწყო. მაშინ ეს პროცესი ერთეული შემთხვევებით განისაზღვრებოდა, ძალზე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა და ისტორიულ სამშობლოში მუდმივ საცხოვრებლად წასვლას ძირითადად შხოლოდ ეკონომიკურად შეძლებული ებრაელები და ცალკეული სასულიერო პირები ახერხებდნენ. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გურამ ბათიაშვილის ისტორიული რომანი “უამი დუმილისა და უამი უბნობისა” (2007 წ.), რომელშიც მწერალი ემოციურად ღრმად შთამბეჭდავი ფორმით მოგვითხრობს წმინდა მიწაზე იმ მოხუცებულ ებრაელთა წასვლის ამბავს, რომლებიც უკვე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს იყვნენ მიახლოებულნი და იერუსალიმში იმისთვის მიემგზავრებოდნენ, იქ რომ ეპოვათ სამუდამო განსასვენებელი.

გ. ბათიაშვილის ცნობით, საქართველოდან იერუსალიმში წმინდა მიწაში დასამარხად ყოველწლიურად დაახლოებით 10-15 კაცი მანც მიემგზავრებოდა, დავით აღმაშენებლის დროს კი 60-70 კაციც წასულა. გურამ ბათიაშვილის მიერ მოწოდებულ ამ ცნობას ალექსანდრე ფრონელიც აღასტურებს 1914 წელს გამოცემულ მოგონებათა წიგნში “დიდებული მესხეთი”. აი, რას წერს იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: “ქართველ ებრაელებს ერთი ჩვეულება აქვთ — იერუსალიმში წასვლა და იქ დაბინავება, სიბერის უამი რომ მოაწევს. ამ ჩვეულებას უფრო შეძლებულები მისდევენ” (ალ. ფრონელი, 1991, გვ. 135).

საქართველოდან ებრაელთა მიგრაციის პროცესის შედარებითი გააქტიურება გასული საუკუნის 10-იან და 20-იან წლებში იწყება, რაც პირდაპირ აღმოჩნდა დაკავშირებული მსოფლიო მასშტაბით ებრაელთა სახელმწიფოს შექმნის იდეის გააქტიურებასთან. იმ ხანად მოღვაწე ქართველ ებრაელთა ცნობილი წარმომადგენლები (დავით და გერცელ ბააზოვები, ნათან ელიაშვილი, დავით აღიაშვილი (ბალესტინელი), ნორა (სამწუხაროდ, ფსევდონიმი გაუშიფრავია), ხაიმ თეთრუაშვილი და სხვები) თავიანთი მხრივ, საქართველოშიც აქტიურად უწევდნენ ამ იდეას პრობაგანდას და პრაქტიკულადაც ცდილობდნენ რეალური საფუძვლის მოზაფებას ისტორიულ სამშობლოში აქ მცხოვრებ ებრაელთა გარკვეული ნაწილის გადასასახლებლად.

ამ თვალსაზრისით დავით ბააზოვმა და ნათან ელიაშვილმა რეალურადაც შეძლეს პირველი ნაბიჯის გადადგმა და 1925 წელს, დიდ წინააღმდეგობათა დაძლევების შედეგად, მიიღეს კიდეც უფლება ქართველ ებრაელთა ერთი ნაწილის მიგრაციისა ისტორიულ სამშობლოში. ამ ნებართვის მისაღებად ისინი თავად იმყოფებოდნენ ერეც-ისრაელში (ისრაელის ტერიტორიის ერთ-ერთი ისტორიული სახელმწიფოს აღდგენამდე), საიდანაც ჩამოიტანეს ასობით

სერთიფიკატი ებრაელთა იქ გასამგზავრებლად, რის შედეგადაც პირველი ჯუფი 50 ოჯახის რაოდენობით მართლაც დაასახლეს წმინდა მიწაზე.

სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირში იმხანად არსებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური ვითარების გამო ეს პროცესი ამის შემდეგ შეწყდა და ამ დროიდან მოყოლებული წინაპართა მიწაზე ქართველ ებრაელთა მიგრაციას ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდეც და მისი ჩამოყალიბების მერეც ღიღი ხნის განმავლობაში დაესვა წერტილი და მისი განახლება მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან ხდება. ამ დროიდან მოყოლებული, თავის ისტორიულ სამშობლოს უკვე საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა დიდი ნაწილი დაუბრუნდა (ამასთან დაკავშირებით იხ.: პ. ბააზოვი, 2000).

როგორც სათანადო დოკუმენტებით დასტურდება, წმინდა მიწაზე დამკვიდრებულ ქართველ ებრაელთა არაერთი წარმომადგენელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში. ერთ-ერთი მათგანი იყო “ქართველ როტშილდად” წოდებული მორდეხაი მიხაკაშვილი, რომელმაც საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში მიაღწია თვალსაჩინო წარმატებებს. სამწუხაროდ, ამ პიროვნების მეტად მნიშვნელოვანი დამსახურება დღემდე არ არის სათანადოდ შესწავლილი. წინამდებარე ნაშრომის დაწერის უმთავრესი მიზანია, ისრაელში გამოცემულ ქართულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინო მორდეხაი მიხაკაშვილის ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ცალკეული მხარეები.

მორდეხაი მიხაკაშვილის ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობა არსებითად განსაზღვრა იმ მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, რომლებიც ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის წინარე ხანაში, გასული საუკუნის 20-40-იან წლებში განვითარდა ამ რეგიონში. როგორც ცნობილია, აღნიშნული ტერიტორია 1920 წლიდან მოყოლებული 1948 წლამდე — ისრაელის სახელმწიფოს აღდგენამდე — ბრიტანეთის სამანდატოს წარმოადგენდა და მას პალესტინა ეწოდებოდა. აღნიშნული ვითარებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნებიდან თავიანთ მამაპაპისეულ მიწაზე ასულ ებრაელებს, რომელთა რაოდენობაც თავდაპირველად 500-600 ოჯახს არ აღმატებოდა, ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრება საკმაოდ დიდ წინააღმდეგობათა და სირთულეთა დაძლევის შედეგად უხდებოდათ.

მორდეხაი მიხაკაშვილის ეროვნულ-საზოგადოებრივი ღვაწლის წარმოჩენის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ არაერთმა ებრაელმა, რომელთა შორის საქართველოდან ემიგრირებულებიც მრავლად იყვნენ, სწორედ მისი ფინანსური და მატერიალური დახმარებით შეძლო წმინდა მიწაზე დამკვიდრება. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით ისრაელში 1972 წელს დაარსებული და დღემდე უწყვეტად გამომავალ გაზეთ “ალიას” დამფუძნებელი და უცვლელი რედაქტორ-გამომცემელი აბრაამ საპირი (სეფიაშვილი) თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში “ალიას” 40 წელი: “მორდეხაი მიხაკაშვილმა ააშენა დიდი სახლი, სადაც ყველა მსურველს შეეძლო მიეღო ბინა, საჭმელი და სასმელი. ეს იყო დრო, როდესაც მთელს ახლო აღმოსავლეთში და კერძოდ, ერეც-ისრაელში შიმშილი მძვინვარებდა, ხალხი რამდენიმე გროშისათვის მთელი დღე მუშაობდა” (ა. საპირი, 2010, გვ. 192).

გარდა ზემოთქმულისა, მ. მიხაკაშვილის სახელთან სხვა ბევრი საქველმოქმედო საქმიანობაცაა დაკავშირებული, რის დასტურადაც დავიმოწმებ ამონარიდს გაზეთ „ალიას“ 1974 წლის 30 სექტემბრის პუბლიკაციიდან: “თითოეული ებრაელი, თუ მას თელ-ავივში ბინის აშენება, ან ბალის დარგვა უნდოდა, თხოვნით მიმართავდა მორდებ მიხაკაშვილს “ბირველ ებრაელ ბანკირს“ ერეც-ისრაელის მიწაზე.

ყველა იმათგანს, რომლებმაც მაშინ ფეხი მოიდგეს ისრაელის მიწაზე, ახსოვთ, თუ რა დიდი დახმარება გაუწია ებრაელებს იმ ათასობით სესხმა, რომელიც გასცა მორდებ მიხაკაშვილმა, ის იყო ყველა იმ ამოსულის შემწე, ვისაც კი უნდოდა ერეც-ისრაელის მიწაზე ბარი დაეკრა და ჩვენი სამშობლოს აშენების პიონერი გამხდარიყო...

მიხაკაშვილი არა მარტო ბალების გაშენებაში ეხმარებოდა ხალხს, არამედ თვითონ ბირადადაც აშენებდა სახლებსა და ბალებს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბინა, რომელიც მან გააშენა, დღესაც ამშვენებს იაფოს, ეს არის ყოფილი საოლქო სასამართლოს შენობა...

ეს ბინა აშენებულ იქნა მის მიერ 1936 წელს; ამ დროს დიდი არეულობა იყო იაფოში, რომელიც არაბთა ერთ-ერთ ცენტრალურ დასახლებად ითვლებოდა, მაშინ, როდესაც იაფოდან ყველა ებრაელი გაიქცა, მიხაკაშვილის სახლი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც შეეძლოთ ებრაელებს თავშესაფარი ებოვათ...

ბევრი ჩვენთაგანი, რომლებიც ახლა მის მიერ გაშენებულ ან მისი დახმარებით შექმნილ ბინებში ვცხოვრობთ, აზრზედაც კი არ მოვსულვართ, თუ ვინ იყო ის ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინაც ბარი დაასო თელ-ავივის სილებში და დასაწყისი მისცა ახალი ქალაქის დაარსებას“ (გაზეთი „ალია“, 1970წ. №4, 30 სექტემბერი).

მიუხედავად მ. მიხაკაშვილის ამგვარი ღვაწლისა თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე, მისი ბიოგრაფიული დეტალების შესახებ, სამწუხაროდ, ბევრი რამ ჯერაც უცნობი და დაუზუსტებელია. მაგალითად, ჩემ მიერ მოძიებული მასალებიდან გამომდინარე, უცნობია, თუ სად და როდის დაიბადა იგი, ან რომელი წლიდან იწყებს მოღვაწეობას თავის ისტორიულ სამშობლოში.

წყაროების სიმცირის გამო, მ. მიხაკაშვილის პიროვნების შესახებ ზოგჯერ ლეგენდად ქცეულ ისეთ ამბებსაც კი ვხვდებით, რომლებიც ნაკლებად შეესაბამებიან რეალობას. მაგალითად, როგორც გაზეთ „ალიას“ ზემოთ დამოწმებული პუბლიკაციიდან ჩანს, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მ. მიხაკაშვილი ქალაქ თელ-ავივის ერთ-ერთ დამარსებლადაც კი ყოფილა მიჩნეული.

ამავე ფაქტს აღნიშნავს გურამ ბათიაშვილიც თავის წიგნში „მზე ლრუბლებში.“ კერძოდ, აი, რას წერს იგი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „ეფრაიმ გური სიამაყით გვესაუბრებოდა:

თელ-ავივის განაშენიანება ამ საუკუნის დამდეგს დაიწყო — 1903 წელს. ექვსი კაცი ჩაუდგა ამ საქმეს სათავეში. ექვსი კაცის გონება და ფული აშენებდა ქალაქს და ამ ექვსი კაციდან ერთი ქართველი იყო — მორდებაი მიხაკაშვილი“ (გ. ბათიაშვილი, 1989, გვ. 108).

სამწუხაროდ, ჩემ მიერ თელ-ავივის ისტორიასთან დაკავშირებით ინტერნეტით მოძიებული მასალების მიხედვით აღნიშნული ფაქტი არ დასტურდება და ამ ქალაქის საფუძვლის ჩამყრელ პიროვნებათა შორის მ. მიხაკაშვილი

საღმე მოხსენიებული არ არის. ნათქვამის დასტურად მოვიყვან მოკლე ექსკურსს თელ-ავივის ისტორიიდან: თელ-ავივი დაარსებულ იქნა 1909 წლის 11 აპრილს 66 ებრაული ოჯახის მიერ. კონკრეტულ პიროვნებათა სახელები და გვარები (სულ 129 ადამიანი) შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში შემდეგ საიტზე: <http://www.geni.com/projects/Founders-of-Tel-Aviv-Ahuzat-Bait/5620>.

ახალი ქალაქი, რომელიც ისრაელის ერთ-ერთი უძველესი პორტის — იაფოს მახლობლად დაარსდა, მალევე გახდა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი. 1948 წელს, ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ, კი იგი გაეროს მიერ ქვეყნის დედაქალაქად იქნა გამოცხადებული.

მზარდი სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისრაელის მთავრობამ 1949 წლის 4 ოქტომბერს მიიღო დადგენილება თელ-ავივისა და იაფოს გაერთიანების შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში 1950 წლის 24 აპრილს შევიდა, იმავე წლის 19 აგვისტოს კი გაერთიანებულ ქალაქს თელ-ავივ-იაფო ეწოდა.

სამწუხაროდ, ჩემ მიერ ასევე ინტერნეტით მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, არც იერუსალიმის ახალი უბნების, შესუნათშინლერისა და მეკორბარუბის დაარსებაში დასტურდება მ. მიხაკაშვილის რაიმე წვლილი, როგორც ეს გაზეთ „ალიას“ 1974 წლის 15 ოქტომბრის სტატიაშია ნათქვამი.

როგორც „ალიის“ ხსენებული პუბლიკაციიდან ვგებულობთ, მ. მიხაკაშვილი, გარდა ზემოთ აღნიშნული ადამიანური ღირსებებისა, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული პიროვნებაც ყოფილა. მაგალითად, გაზეთის ინფორმაციით, მ. მიხაკაშვილმა ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრებიდან „სულ მალე, ერეც-ისრაელში ჩამოაყალიბა ათბით საფეიქრო წარმოება და მალე იგი იაპონიას დაუკავშირდა. იქ ტოკიოში თავისი ფირმის ფილიალი გახსნა.

მალე მ. მიხაკაშვილი გადაიქცა საფეიქრო ნაწარმის ერთ-ერთ უდიდეს შემომტანად ახლო აღმოსავლეთში, მაგრამ ამით როდი ამოიწურებოდა მისი საქმიანობა. მამის (არონ მიხაკაშვილი, ცნობილი ვაჭარი — ო.ნ.) რჩევით, მან ისრაელში პირველი ბანკი გახსნა (გაზეთი „ალიას“, 1974წ. №5, 15 ოქტომბერი). სწორედ ამიტომ უწოდებს მას გაზეთი „პირველ ებრაელ ბანკის ერეც-ისრაელის მიწაზე“.

სამწუხაროდ, წყაროთა სიმცირემ აქაც იჩინა თავი, რის გამოც ვერც იმის დაზუსტება ხერხდება, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია რამდენად შეესაბამება სიმართლეს.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები მ. მიხაკაშვილმა რელიგიის საფუძვლიანად შესწავლას მიუძღვნა და რაბის წოდებაც კი მიიღო. აქედან გამომდინარე, ალბათ სიმბოლურია, რომ „იგი გარდაიცვალა პარასკევ საღამოს ლოცვაზე წასვლის წინ 1962 წლის 21 სექტემბერს“ (ა. საპირი, 2010, გვ. 193).

წყაროთა სიმცირის მიუწერდავად, საბოლოოდ მაინც შეიძლება დავასკვნათ, რომ მ. მიხაკაშვილი თავისი ქვეყნისა და ხალხის უდიდესი მოამაგე პატრიოტი იყო, რის გამოც იგი უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა თანამემამულეებში. მისი ღვაწლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი სიცოცხლეში აღიარეს ისრაელში ქართველ ებრაელთა თემის ხელმძღვანელად და ერთხმად აირჩიეს ქართველთა გაერთიანების

საპატიო პრეზიდენტად. გარდაცვალების შემდეგ კი, ბატონ აბრაამ საპირის ინიციატივითა და ქალაქ აშდოდის ხელმძღვანელობის მიერ 1974 წლის 20 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილებით, აშდოდის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მორდეხაი მიხაკაშვილის სახელი ეწოდა.

აქვე აღნიშნავთ იმასაც, რომ აღნიშნულ ცერემონიალს არა მარტო ქალაქ აშდოდის მერიის მაღალჩინოსნები დასწრებიან, არამედ ქვეყნის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებიცა და მაღალი რანგის რელიგიური პირებიც. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს გაზეთ “ალიის” იმ პუბლიკაციიდან, რომელიც ამ ლირსშესანიშნავი მოვლენისადმია მიძღვნილი:

“1974 წლის 28 ნოემბერი, დღის 16 საათია. ქალაქ აშდოდის აღმოსავლეთ ნაწილში, იქ, სადაც ახალამოსულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს და სადაც შენდება ქართველი ებრაელების სალოცავი...

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქალაქის საბჭომ დაამტკიცა აბრაამის წინადადება ეზორვავის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩისათვის მორდეხაი მიხაკაშვილის სახელის მინიჭების თაობაზედა. თი, დღეს მისი გახსნის ზეიმია...

ამ დღეს ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად გვესტუმრნენ: ისრაელის სახელმწიფოს რაბი რიშონ-ლეუციონი ოვადია იოსები, თელ-ავივის მთავარი რაბი ხაიმ დავიდ ჰალევი, რაბი ხანამ რეფაელ ელაშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი დ-რი იოსეფ ბურგი, ჩვენი ჯამაათის რაბინები, ქალაქის მერი ბატონი ცვი ცილკერი, ქალაქის საბჭოს წევრები, ქართველ ებრაელთა ინტელიგენციის წარმომადგენლები და სხვა საზოგადო მოლგაწენი.

აბრაამ სეფიაშვილმა წაიკითხა მენახემ ბეგინის (ისრაელის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი 1977-1983 წლებში, 1978 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში — ო.ნ.) მოსალოცი დებეშა.

მორდეხაი მიხაკაშვილის მოღვაწეობაზე ილაპარაკეს ისრაელის მთავარმა რაბიმ ოვადია იოსებმა, რაბი ხაიმ დავიდ ჰალევიმ, ქალაქის მერმა ცვი ცილკერმა, რაბი რეფაელ ელაშვილმა.

პოეტმა აბრაამ მამისთვალოვმა წაიკითხა ლექსი მიძღვნილი მორდეხაი მიხაკაშვილის ხსოვნისადმი.

ლენტი, რომელმაც ოფიციალურად აღიარა მიხაკაშვილის ქუჩის გახსნა, გაჭრა რაბი ხაიმ დავიდ ჰალევიმ.

ცერემონია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ განსუენებულის შვილები, დაიხურა“ (გაზეთი „ალია“, 1974წ. №9, 24 დეკემბერი).

ვფერობ, მ. მიხაკაშვილის მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების სიმწირის მიუხედავად, ყოველივე ზემოთქმული მაინც საკმარისია იმ დიდმნიშვნელოვანი ეროვნულ-საზოგადოებრივი ღვაწლის წარმოსახენად, რისთვისაც ისტორიულ სამშობლოში დამკვიდრებულმა ამ გულმხურვალე პატრიოტმა სავსებით ბუნებრივად დაიმსახურა თანამემამულეთა სიყარული და პატივისცემა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, საბოლოოდ იმასაც ვიტყვი, რომ სათანადო ღოკუმენტური მასალების სიმწირისა და ხელმისაწვდომლობის გამო, წინამდებარე ნაშრომი მხოლოდ მოკრძალებული ცდაა მორდეხაი მიხაკაშვილის ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლისა და ამ საკითხის უფრო ღრმად და საფუძვლიანად გამოკვლევა სამომავლოდ გასაკეთებელი საქმეა.

დამოწმებული ლიტერატურა

- "**ალია, 1974** – გაზეთი "ალია", №4, 30. 09, 1974.
- "**ალია, 1974** – გაზეთი "ალია", №5, 15. 10, 1974.
- "**ალია, 1974** – გაზეთი "ალია", №9, 24. 12, 1974.
- პ. ბააზოვი, 2000** - პ. ბააზოვი, ფურცლები წარსულიდან - ბააზოვების ოჯახი, თელ-ავივი, 2000.
- გ. ბათიაშვილი, 1989** - გ. ბათიაშვილი, მზე ღრუბლებში, თბ., 1989.
- გ. ბათიაშვილი, 2007** - გ. ბათიაშვილი, ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა, თბ., 2007.
- ა. საპირი, 2010** - ა. საპირი, ალიის 40 წელი, ენციკლოპედიური ნაშრომი, ტ. I, ისრაელი, გაზეთ "ალიას" გამომცემლობა, 2010.
- ალ. ფრონელი, 1991** - ალ. ფრონელი, დიდებული გესხეთი, 1991.
<http://www.geni.com/projects/Founders-of-Tel-Aviv-Ahuzat-Bait/5620>

OTAR NIKOLEISHVILI

MORDEKHAI MIKHAKASHVILI - GEORGIAN JEW DOING PUBLIC WORK IN ISRAEL

The process of migration of so called Georgian Jews from Georgia to their historical homeland began long before the formation of the State of Israel. At that period the migrants were quite few. And of those successfully settled in the Holy Land we should specifically distinguish Mordekhai Mikhakashvili, nicknamed "the Georgian Rothschild", who succeeded in many spheres of social life. His national and social contribution is especially visible if we consider the fact that many of his compatriots, among whom there were migrants from Georgia as well, managed to settle in Israel thanks to his financial support.

In conclusion, it can be said that Mordekhai Mikhakashvili was a true patriot of his country and people, which earned him great love and respect among his fellow-countrymen. This evaluation of his deeds is not at all exaggerated and the fact that he was proclaimed as the leader of the Georgian community in Israel and the honorary president of their union is just another proof of the above mentioned. After the death of Mordekhai Mikhakashvili one of the streets in Ashdod was named after him.

**ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ნიკოლოზ ოთინაშვილი

**დეარტიტირებულ მესხთა ლექსიკა
(გორის რაიონის სოფელ წითელუბანში ჩამოსახლებულთა
მეტყველების მიხედვით)**

საქართველოს გაუტეხელი მხარის — მესხეთის — ტრაგედია მეთექვსმეტე საუკუნიდან დაიწყო, როცა ოსმალთა იმპერიამ მიტაცა მესხეთის ტერიტორიის ნაწილი და იქ ახალციხის საფაშო დააარსა. მეჩვიდმეტე საუკუნიდან დაიწყო ისლამის გავრცელება; თურქეთი ცდილობდა, მესხები თურქებზე უფრო მეტ მართლმორწმუნე მუსლიმებად ექცია.

1828 წელს, ახალციხის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ, ცარიზმი მესხების მტრად გადაიქცა; ცდილობდა, ისნი თურქეთში გაექვებინა და მესხეთში რუსები და სომხები დაესახლებინა, რასაც ნაწილობრივ მიაღწია კიდეც.

XIX საუკუნის დამდეგიდან ყველა ქართველ მუსლიმს “თათრები” შეარქვეს, მაგრამ მათი ენა მანაც ქართული იყო, მაგრამ ცარიზმი ყველანაირად ხელს უშლიდა ყოველივე ქართულის განვითარებას. ცარიზმი თურქეთიდან საგანგებოდ იწვევდა მოლებს და მხარეში ისლამს ავრცელებდა. მათ გაუხსნეს აზერბაიჯანული სკოლები და აზერბაიჯანელებად ჩაწერეს.

ერთ ღამეს, 1944 წლის 15 ნოემბერს, ქართველი მუსლიმების — მესხების 20000 კომლი აჟყარეს და შუა აზიაში გადასახლეს.

უცხო მხარეში გადასახლებული მესხები არ ივიწყებდნენ სამშობლოს და ყოველთვის ახსოვდათ თავიანთი სოფლები: აწყური, აგარა, წნისი, წინუბანი, მუღარეთი, გიორგიშვინდა, ტყემალა, საყუნეთი, კოლათხევი, ფერისციხე, ტობა, ასპინძა, იღუმალა, ხერთვისი, გაბიეთი, ახაშენი, ვარნეთი, ერკოტა, როკეთი, ტოლოში, ენთელი, ჩოჩანი, ანდრიაწმინდა, კლდე, ფანაკეთი, შალოშეთი, ურავეთი, ხევაშენი, ბოლაჭური, წრე, ადიგენი, ფლატე და სხვები, რომლებიც პატარა უბნებით ერთად ასობით ერთეულია.

მესხებს არ შეუწყვეტიათ ბრძოლა სამშობლოში დაბრუნებისათვის, მაგრამ ყველა გზა დახშული აღმოჩნდა. სამშობლოსთან უფრო ახლოს ყოფნის ოცენებით, შუა აზიას რესპუბლიკებიდან სათანადო ნებართვის შემდეგ აზერბაიჯანში 13 ათასი ოჯახი ანუ 30000 კაცი გადმოსახლდა.

გორის რაიონის სოფელ წითელუბანში, საქართველოს მთავრობის ნებართვით, კერძოდ პრემიერ-მინისტრის 2007 წლის №382 განკარგულებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის რეგიონის მულანიდან შერჩევით ექვსი ოჯახი ჩამოსახლდა. ესენია: ჰეიდარ ლატიბოვი-ბიბინაძე მეუღლლითა და სამი შვილით. დედა ზუბეიდა შავაძე, ხოზრევანიძეების სამი ოჯახი, ყაყუნაშვილების ორი ოჯახი, სულ კი 13 ოჯახია, რომლებიც უკვე შეეჩვინენ ქართულ ყოფა-ცხოვრებას.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ხსენებულ ოჯახებს შეძენილი ბინები დროებით გადასცა, რადგან იყო მაგალითები, რომ ზოგიერთი პირი ვერ შეეგუა აქაურ

ყოფის და უკან გაბრუნდა — აზერბაიჯანში. დარჩენილი ოჯახები არჩევანის წინაშე არიან, რადგან მოქალაქეობა არა აქვთ მინიჭებული და ამიტომ ამის გამო ძალიან არიან შეწუხებულები და საკითხის მოგვარებას მოთმინებით ელოდებიან.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ უკვე აქ არსებულ ოჯახებს პრობლემა აღარ უნდა შეუქმნას და დროზე მიანიჭოს მოქალაქეობა, რათა ამათ აღიდგინონ ძველი ქართული გვარები, ინტეგრირებული იყვნენ საზოგადოებაში და, რაც მთავარია, როგორც თვითონ გაგვიცხადეს, არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, რომ შემდგომში სხვა არანაკლები პრობლემებიც მოაგვარონ.

ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ამ ადამიანებს და ჩვენ შორის შუამავლობს ქართული ენის კარგად მცოდნე ჰერიდარ ლატიპოვი, რომლის ადრინდელი გვარია პიბინაძე. ის თსუ-ს იურიდიული ფაქტურეტის კურსდამთავრებულია. ადგენის სოფელ ჭეჭლადან არიან და ფაქტობრივად ამ ოჯახის ინტეგრაცია ქართულ გარემოსთან წარმატებით მიმდინარეობს: ჰერიდარის შვილები მარიამი, გიორგი და დავითი სოფლის რვაწლიან სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები არიან და, სხვა მოსწავლე-მესქების მსგავსად, კარგად ლაპარაკობენ ქართულად.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ 1828 წლის ახალიცის ომის შემდგომ ცარიზმი მესხების მტრად გადაიქცა, ცდილობდნენ მშობლიური მიწა-წყლიდან თურქეთში გაედევნათ მკვიდრი მოსახლეობა; ამ მიზნით მოიგონეს უაზრო ტერმინი “თურქი მესხი”, რომელიც მერე ყველგან, მათ შორის საქართველოშიც დამკვიდრდა. ამას დაერთო თურქეთიდან აყრილი და მესხეთში ჩამოსახლებული ათასობით სომხის ოჯახი; როგორც ინფორმატორები მოგვითხრობენ, მათგან მოხდა თურქული ენის, ყოფის დანერგვა მესხებში. მესხების გათურქებას საყოველთაო ხასიათი ჰქონდა, რაც ცარიზმის მიერ მიზანმიმართულად ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, გადასახლებამდე მესხთა დიდი ნაწილი ქართულ გვარს ატარებდა, ცნობიერებაც ქართული ჰქონდათ შემდეგ სოფლებში: აგარა, მუღარეთი, საყუნეთი, ნესა, ჭონთა, ბოგა, უდე, წინუბანი, კლდე, ინდუსა, ტობა, ახაშენი, ლობარეთი, თოყი, ქილდა და სხვა.

გადასახლებამდე მესხების გარკვეული ნაწილი გამუსლიმანდა. ისლამი მხარეში აქტიურად ინერგებოდა და ენობრივ-სარწმუნოებრივ აქტიურობაში გამოიხატებოდა; ეს, ცხადია, გათურქებას ნიშნავდა და ამან გამოიწვია კიდეც გადაგვარება, რაც საქართველოს დაშლასაც ითვალისწინებდა; ყოველივე ეს შოვინისტური რუსული ხელისუფლების მიერ კარგად იყო გათვლილი.

გადასახლებული მესხები, როგორც შუა აზიაში, ისე შემდგომ ნაწილი აზერბაიჯანში გადმოსულები, სწრაფი ასიმილაციის მიზნით, მოლებისა და რელიგიური ფანატიკოსების გაძლიერული პროპაგანდის ქვეშ მოექცენ, მარწუხები კი ძლიერი იყო და ნაწილობრივ მიზანს მიაღწიეს ჩვენმა საერთო მტრებმა. ეს იმაში გამოიხატა, რომ გარკვეულმა პროცენტმა თურქად აღიარა თავი, ბევრი ახალგაზრდა აზერბაიჯანიდან სასწავლებლად და სამუშაოდ თურქეთში წავიდა. წასულები არიან სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ დიდი ნაწილი თავის ფესვებს არ არის მოწყვეტილი; ამის მაგალითები კი საკმაოდ არის, ალბათ მომავალში სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურების მეონებით ამ საქმესაც მოგვარება უწერია, რომ ინტეგრაციამ მეტი მასშტაბები მიიღოს.

1944 წელს გასახლებულმა ადამიანებმა ტრაგიული წლები გადაიტანეს; რამდენიმე თაობა წავიდა ამ ქეყნიდან, მაგრამ ისინი შთამომავლობას გადასცემენ იმ ცოდნის მარაგს, რაც დამკვიდრებული იყო ხალხში. ჩამოსულთა მეტყველებაში კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ როგორც სიტყვის ფორმა, ისე მისი მნიშვნელობაც. ეს საკითხი ძირითადად გამოწვეულია როგორც ბევრითი კომპლექსის შეცვლით, ისე სიტყვის გამომსხველობის შესაძლებლობით. მაგრამ ეს ყოველ ლექსიკურ ერთეულზე არ ითქმის, რადგან ცვლილება გამოწვეულია, როგორც გარეგანი ისე შინაგანი ფაქტორებით.

ისლამის მიმდევარ მესხთა მეტყველებაში ამა თუ იმ სიტყვის დამკვიდრება გამოიწვია გენეტიკურმა კოდმა, ისტორიულმა მესიკერებამ, ძირითად მიზეზად კი შეიძლება დავასახელოთ ქართული გვარების ტარება, რომელიც ბევრს არ შეუცვლია და ატარებს დღესაც. სწორედ ეს ადამიანები უზბეკეთში გადასახლების დროსაც და შემდეგში თავს ქართველებად თვლიდნენ. მოვიყვანთ ამონარიდს ყაბარდობალყარეთის სოფელ ყროყოში გამართულ მესხთა ყრილობიდან: “საქართველო ძველი კულტურის ქვეყნაა და ჩვენ ქართველებმა ეს კულტურა არ უნდა დავკარგოთ. ჩვენ საქართველოში ქართველებად, ქართველი ხალხის კეთილი ნებით უნდა დავბრუნდეთ (ხალილ-უმაროვ გოზალიშვილი, 2005, გვ. 132).“

ამავე ავტორს მოაქვს სტატისტიკური ცნობები, რომლებიც 1870 წელს არის დასტამბული “ტფილისის გუბერნიის მასალათა კრებულში“. ცნობებში მოცემულია დასახლებულ პუნქტთა სახელწოდება, კომლობა რაოდენობა, მცხოვრებთა რაოდენობა, მცხოვრებთა ეროვნება, აღმსარებლობა. მესხთის 155 სოფლიდან ყველას უწერია ეროვნება ქართველი (ხალილ-უმაროვ გოზალიშვილი, იქვე, გვ. 53-60).

მესხთა მეტყველებაში ხმოვანფუძიან გეოგრაფიულ სახელებთან დასტურდება **მ(ოთრა)** ნახევარხმოვნი (სუსტი), რომელიც არ შედის სიტყვის ძირში: წრიოხად, ტობად, ოდუნდად, შოვად, ბოგად, ანდად, ხონად, ჭალად, ოთად, ჭეჭელად, გამოითქმის ასევე, როგორც ჩეჩილა, ჩეჩლად.

მ(ოთრა) დასტურდება ხმოვანფუძიან ადამიანთა სახელებთან: ოქრიძად, ქასანად, როზად, ანუელად, სალიმად, მევლუდად, ოსმანად, არაბად, ჰეიდარად... ასევე დასტურდება საზოგადო სახელებთან: პაპად, ბებერად, დედად, ბაბოდ, სისვად, პატიკად (ლეკვი).

ამ ადამიანების მეტყველებაში შესამჩნევია სახელების ფუძის სახით წარმოოქმნა, მაგალითად: კაკალ - უკალი, კოპ - კოპი, წარმოთქამენ ასევე, როგორც კოპერ, წიწმატი - წიწმატი, ჩარხალ - ჭარხალი, ქუნჯ - მწვანილის ერთი სახეობა, კულმახ - სიმინდის ფქვილი, ტატახ - ტალახი, გოროხი და სხვა.

განსხვავებული სემანტიკა აქვთ მთელ რიგ სიტყვებს და ბუნებრივია ამისი მიზეზი ქართულ ენასთან უკონტაქტობას უნდა მიეწეროს. ასეთი სიტყვებია: ელჩი, რომელიც მოლაპარაკეს უწოდებენ, ხოლო სულხან-საბასთან განმარტებულია, როგორც დესპანი (ს.-ს. ორბელიანი, 1991, გვ. 236).

დურაკი არის სალანძღვი სიტყვა, ხოლო საბასთან განმარტებულია როგორც საწველი ჭურჭელი (ს.-ს. ორბელიანი, 1991, გვ. 227).

დარანი — ესმით როგორც ხვრელი, საბას ლექსიკონში კი არის “კლდეში ანუ მიწის ქვეშ შესასვლელი, სახლი მიწის ქვეშ ნაგები, გინა მიწა და კლდე, შეთხრილი უჩინრად“ (ს.-ს. ორბელიანი, 1991, გვ. 197).

ეალა — არის მთაში აგებული ქოხი მწყემსებისათვის, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი ნამდვილი სახელი არის **ეილა**, მესხური მეტყველების მიხედვით.

ორმო — ქართველ ტომებში გამოიყენებოდა მარცვლეულის შესანახად, თავზე კი ბრტყელი ფიქალი ედო. სულხან-საბა ორმოს განმარტავს, როგორც “მთხრელი მიწისა” (ს.-ს. ორბელიანი, 1991, გვ. 606).

ინადი — ეს სიტყვა განიმარტება როგორც ჭიუტი, კერპი, ხოლო სულხან-საბასთან არ არის განმარტებული.

მაშა — არის რკინის ერთგვარი ჭიხი, სულხან-საბასთან “მაშა თურქთა ენაა, ქართულად ტკეცი ეწოდების” (ს.-ს. ორბელიანი, 1991, გვ. 449).

ბაბა — მესხების მეტყველების მიხედვით, არის მოხუცი აღამიანი დედის ან მამის მამა.

იჯადი — ოჯახი იხმარება ბუხრის სახელად, ამჟამად ოჯახი ესმით, როგორც საცხოვრებელი სახლ-კარი.

თაფა — არის მოხვეული თმა თავზე.

თახთახი — არის ცახცახი.

თალან — მოტაცება და სხვა.

ფუძის სახით მოცემულ სახელებში ხშირად იყარგვის მიცემითი ბრუნვის ნიშანი:

ბოშვი წიგნ მოიტანს

სკოლაში კარგ ნიშნებ იღებს

სახლ დედა ჰპატრონბს

თ სუფიქსი გამოიყენებულია შტოგვარის მრავლობითობის ალსანიშნავად: მასურათ - მაისურაძე, კოპათ - კოპაძე, გოჩათ - გოჩაძე, წაწათ - წაწანიძე და სხვა.

სამომავლოდ დეპორტირებულ მესხთა მეტყველების ნიმუშების მოპოვება, მათი ანალიზი, შედარება მნიშვნელოვან საქმედ უნდა მივიჩნიოთ. ის გაამდიდრებს ქართულ ლექსიკოლოგიას და ენის სხვა დარგებისათვის მნიშვნელოვანი მონაბოვარი იქნება.

დამოწმებული ლიტერატურა

სალილ უმაროვ გოზალიშვილი, 2005 — სალილ უმაროვ გოზალიშვილი, მესხთა ტრაგედია, თბ., 2005.

ს.-ს. ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბ., 1991.

NIKOLOZ OTINASHVILI

THE LEXIS OF DEPORTED PEOPLE FROM MESKHETI (ACCORDING TO VERBAL SPEECH OF PEOPLE SETTLED IN THE VILLAGE TSITELUBANI, GORI REGION)

Tragedy of Meskheti starts from the 16th century, when ottoman's empire started sizing most territory of the region. Ottomans subordinated these territories and they called 'Tatar' to Georgians, as some of them started believed in Islam. Anyway, they didn't change their mother-tongue.

Ottomans deported Meskhi people in mid-Asia in 1944. Migrated people didn't stop struggle for returning to home- country and the struggle is still alive.

The Prime-minister of Georgia according to order #382th enabled families from Azerbaijan republic to migrate in Tsitelubani.

We had the chance to meet them with the help of our mediator Heydar Latipov-Pipinadze, whose ancestors were from a village of Tchetcheli.

Most of Meskhi people are far from their hangovers. They remember names of villages from Meskheti and the vocabulary is unchanged in some families. Also there are cases when these changes took place for different circumstances.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

მაკა სალია

"შენ იცი რა არის მუპარიტობა?"

(მუპარიტობაზე მუსიკური კართველთა შთამომავლის, აბდულაჭ ჩელებიოლლუს ერთი ლექსის ანალიზი)

მუპარიტობი არაბული სიტყვაა და იგივეა რაც "გადასახლებული, ემიგრანტი". რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად (შე-19 საუკუნე) ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა საკუთარი მიწა-წყალი და თავშესაფრის საძებნელად უცხო ქვეყანაში გახიზნულიყო. სწორედ ამ უბედურების შედეგად, აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის ძირძველ ქართველებს,¹ რომლებიც ამჟამად თურქეთში ცხოვრობენ, ვეძახით მუპარიტ ქართველებს. თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართველ მწერლებზე საინტერესო ნაშრომი ეკუთვნის ავთანდილ ნიკოლეიშვილს (ა. ნიკოლეიშვილი, 2015). როგორც ავტორი შენიშნავს, "მათ პოეტურ შემოქმედებაში უაღრესად საინტერესოდ გამოვლინდა მუპარიტობის შედეგად მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი პიროვნების სულიერი სასოწარევთა". საინტერესოა და მეტად საყურადღებო მუპარიტ ქართველთა ნოსტალგიური განცდები. მათი სახელებისა და სახეების წარმოქმნა აუცილებელია. ამჯერად, ჩვენ კიდევ ერთ ძირძველ ქართველს გაგაცნობთ.

"შენ იცი რა არის მუპარიტობა?" — ლექსის ავტორი, თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველი, აბდულაჭ ჩელებიოლლუ, იგივე ჩელებაძეა. ეს ლექსი მისი ცხოვრების ექიმია, ამიტომაც სანამ უმუალოდ ლექსზე გადავიდოდეთ, მანამდე აბდულა ჩელებაძის ბიოგრაფიას გაგაცნობთ.

აბდულაჭ ჩელებიოლლუ დაიბადა 1958 წლის 20 ოქტომბერს. გირესუნის პროვინციის სოფელ ამბარალაში. აქვე დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად გოლიაქაში გადმოსულა. საშუალო სკოლა მას გოლიაქაში დაუმთავრებია. ა. ჩელებიოლლუ პროფესიით ისტორიის მასწავლებელია. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა საჯარო სამსახურში. წერს ლექსებს. მისი ლექსები და სხვადასხვა ხასიათის წერილები დაბეჭდილია ურნალ-გაზეთებში.

ამჟამად, აბდულაჭ ჩელებიოლლუ ოჯახთან ერთად ცხოვრობს დუზჯეში. ჰყავს მეულე და ორი შვილი.

ამ ავტობიოგრაფიის მიღმა პოეტის მეტად საინტერესო ცხოვრების გზაა. გზა ბათუმიდან გირესუნამდე... ტკივილითა და მწუხარებით აღსავსე გზა, ბედისწერა ათასობით ქართველისა. ბატონი აბდულაჭი, მუპარიტ ქართველთა შთამომავალია. მისი წინაპრები აჭარიდან მოსულან გირესუნის სოფელ ამბარალაში. ამბარალა ქართული სოფელია. პოეტის ახსნით, მის ბავშვობაში, აქ, ქართულის გარდა, სხვა ენას ვერც გაიგონებდით. აბდულას, ისევე როგორც

¹. ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისკენ — მუპარიტობის ისტორია პრესაში <https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/> (10. 10 2016).

ბევრ მის თანატოლ ქართველს, სკოლაში შესვლამდე არც სცოდნია თურქული ენა. თურქე ამის გამო, მშობლები ხშირად ილებლნენ შენიშვნებს მასწავლებლებისგან. თურცა, დღევანდელობისგან განსხვავებით, მაშინ არც მშობლებს სცოდნიათ, ქართულის გარდა, სხვა ენა.

დრო გავიდა. მშობლიური ფესვების სიყვარული და სამშობლოს მონატრექა არ განელებიათ მუჰაზირ ქართველებს. ტკივილიც ტკივილად დარჩა. მეტიც, დრომ და ახალმა გარემომ მათ ყველაზე ძვირფასს - დედაქნას - შეუქმნა საფრთხე და დღეს, სამწუხაროდ, ახალ თაობაში იშვიათად თუ იძოვით ქართული ენის მცოდნეს. ბატონი აბდულაში ძალიან სწუხს ამ ფაქტის გამო. თავად აჭარულ დიალექტზე საუბრობს. გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დრომ მასაც გადავიწყა დედაენა, არადა, ბოეტის ახსნით, დედაენა დედის ენაა; ეს „გემიელი“ ქართულია (ტკბილქართული - მ. ს.); ჩვენი დედებუები, ჩვენი ნენები ამ ენაზე „გველაპაიკებოდნენ“, როდესაც ფიქრს დავიწყებ საჭართველოზე ის ძველი სიტყვები, ბავშვობის სიტყვები გამახსენდება. ზოგჯერ რაღაც სიტყვა ამომიტივტივდება, მნიშვნელობა კი არ მახსენდება... ვინც ენას დაკარგავს, ის კაცი არ არის - ამბობს პოეტი. ენადაკარგულ ქართველზე იტყვიან „ბლაყვი გურჯიაო“. ბატონი აბდულას მამულიშვილობაზე როცა ვსაუბრობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ დუზგეს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის გახსნაში დიდი წვლილი, სხვა დიდებულ ქართველებთან ერთად, ბატონ აბდულასაც მიუძღვის. ბატონი აბდულა ხშირად სტუმრობს დუზგეს უნივერსიტეტს, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს და მადლიერებას გამოხატავს იმის გამოც, რომ თურქულის არმცოდნე თანამემამულეებთან საუბრებმა მას ბევრი მივიწყებული ქართული სიტყვა გაახსნა.

რაც შეეხება გვარს ჩელებიოდლუ, ავტორის ახსნით, მისი წინაპრები ჩელებაძეები ყოფილან. გვარის ამდაგვარი გაფორმება ბოლოკიდური ოლლუს (-ოლუ „შვილი“) დართვა თურქულისთვის დამახასიათებელია, შდრ.: ზოროლლუ (ზოიძე).

და მაინც ვინ არის აბდულა ჩელებიოდლუ, ამაზე ნათელ პასუხს მისი ემოციებით აღსავს ლექსი „შენ იცი, რა არის მუჰაზირობა?“ გაგვცემს. საანალიზო ლექსი, თურქულ ენაზეა დაწერილი და მისი ქართული თარგმანი ეკუთვნის დუზგეს უნივერსიტეტის ასოც. პროფ. ნანული კაჭარავას. ამჯერად ჩვენ ლექსის შინაარსობრივ მხარეს უფრო შევეხებით. ეს არის წრფელი განცდები, გულში ვერდატეული ტკივილი.

შენ იცი რა არის მუჰაზირობა?! - პოეტი სვამს რიტორიკულ კითხვას და ასე დიალოგს მართავს მეითხველთან. თავად გვთავაზობს პასუხს; ეძებს ენაში ტკივილის, წუხილის, დარდის, შფოთის გამომხატველ სიტყვებს და მაინც ბოლომდე ვერ ამოუტევამს სათქმელი. ალბათ, ეს არის მიზეზი იმისაც, რომ ლექსის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. შინაარსი იგივეა. პოეტი ეძებს ისეთ ფორმებს, რომ სათქმელი ბოლომდე მიიტანოს მკითხველამდე... ლექსის პირველი ვარიანტი 2014 წელსაა დაწერილი და იმის მერე რამდენჯერმე ცვლილება განიცადა მან. ლექსის საბოლოო ვარიანტი (20.11.) 2016-ით თარიღდება.

ბატონმა აბდულამ ლექსის დაწერის მიზანი ასე ჩამოგვიყალიბა: მინდა, ეს ტკივილი მარტო მუჰაზირებმა კი არა, სრულიად ქართველობამ გაითავისოს

და ამ ტკივილმა - მუჭაჭირობის ტკივილმა - გააერთიანოს ქართველობა. შეიგნოს ყველამ, რომ ეს განსაცდელი, მარტო მუჭაჭირი ქართველებისა კი არა, ზოგადად, ქართველობის განსაცდელია.

როგორც აღვნიშნეთ, ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ასე მგონია ჩამწორებების მერე, ლექსი დაზიანდა. თუმცა ყოველი სიტყვა თუ ფრაზა მაინც შთამბეჭდავად ყღერს. გთავაზობთ ლექსის საბოლოო ვარიანტს, კომენტარებით:

შენ იცი რა არის მუჭაჭირობა?

ჩამოშლაა კლდის,

მდინარის ალმა დინებაა,

გაოგნებაა მუჭაჭირობა.

მუჭაჭირობის სიმწვავეზე მიგვანიშნების შემდეგი შესიტყვებები “კლდის ჩამოშლა”. მუჭაჭირობა არის ბუნების საწინააღმდეგო ქმედება ანუ “მდინარის ალმა დინება”.

უველაფრის მიტოვება და წასვლაა;

სიზმარი არ არის, სინამდვილეა,

მწუხარებაა მუჭაჭირობა.

ავტორი გულისტკივილით შენიშნავს, რომ მუჭაჭირობა არ არის სიზმარი, გამონაგონი, სამწუხაროდ, ეს არის სინამდვილე. მწუხარებაა მუჭაჭირობა.

ბებიების, ბაბუების,

დედების, ბაგშვების დალუბგაა გზაში,

ჩამქრალი კერაა,

მინავლული ცეცხლია,

უბედურებაა მუჭაჭირობა.

სიტუაცია მძაფრდება; მუჭაჭირობა აღამიანების ხოცვასთან ასოცირდება. ყველაზე ძვირფასი, რაც შეიძლება გაგაჩნდეს, ეწირება მუჭაჭირობას, ამიტომაც მას უბედურება ჰქვია.

არცოდნაა, სად წახვიდე,

სად დათესო,

სად მოიმკა, სად მოთიბო...

მიუსაფრობაა მუჭაჭირობა.

მწარეა მუჭაჭირთა ხვედრი. მიწათმოქმედი ქართველობა სრულ გაურკვევლობაში აღმოჩნდა - არ იცის სად დათესოს, სად მოთიბოს, სად მოიმკას... მისი სარჩო მიწა და მუჭაჭირობაში - მიუსაფრობაში, მან ეს სარჩო დაკარგა.

წინაპართაგან ნასვამი წყლის ვეღარ დალევაა,

უცხოეთში გაქრობაა

გადაკარგვაა მუჭაჭირობა.

ქვეყნიერების ზურგზე წამოკიდებაა,

ყინულზე ჩაჭიდების ცდაა, დაცემაა,

სიცარიიელეა მუჭაჭირობა.

განცდა იმისა, რომ მთელი ქვეყნიერება ზურგზე გაქვს აკიდებული. უნდა შეძლო, დაუბირისპირდე რეალობას, დროს, გარემოს - ბედისწერას, რომ გადაარჩინო მოდგმა, მაგრამ როგორ? ეს ისეთივეა, ჩაეჭიდო ყინულს; “დაცემა”, დამარცხება გარდაუვალია და სიცარიიელის განცდა გიპყრობს.

რაც არ უნდა უცნაური იყოს, მაინც არსებობს ფიქრი დაბრუნებაზე; თუმცა პოეტი იმწუთშივე აცამტვერებს ამ მეღსაც - "ვერ დაბრუნებაა", უცხოობა და სილარიბეა ხვედრი მუჰაჯირისა:

უკან დაბრუნების იმედია,
მაგრამ ვეღარასოდეს დაბრუნებაა...
უცხოთა ხელში დაობლებაა,
უცხოობაში მარტოობაა მუჰაჯირობა.
ცეკვა-სიმღერის, ტრადიციების მოშლაა,
დედაენის დაკარგვაა,
დაკარგვაა მუჰაჯირობა.

მუჰაჯირობაში იშლება ტრადიციები, მათ შორის ქართველობის ერთ-ერთი ნიშანი - ქართული ცეკვა-სიმღერა და ყველაზე ძვირფასი - დედაენა იყარება და ეს ნიშავს საბოლოოდ დაკარგვას.

რაც უფრო შორდები, მეტია შიში,
წარსულში ჩანაცრებაა,
ტკივილია მუჰაჯირობა.

შენი ფიქრი და ჭავრი წარსულს დასტრიალებს, შეიძლება დაგწვას, ნაცრად გაქციოს ამ სატანჯველმა და მაინც ვერ შორდები მას. რაც დრო გადის, მეტია შიში; დაკარგვის შიში, ქართველობის დაკარგვის შიში.

შენ იცი რა არის მუჰაჯირობა?
ნაცნობი გემოს ვერ მიგნებაა,
სამოსის ვერ მორგებაა,
გემებში ჩასხდომაა,
წყალში ჩაძირებაა,
დახრხობაა მუჰაჯირობა!
შენ იცი რა არის მუჰაჯირობა?
ბათუმია, აჭარაა,
"ჩგენებურია",
ჭირთათმენაა მუჰაჯირობა.
მიუხედავად უველა სირთულისა,
მაინც ფეხზე დგომაა,
წარმატების მიღწევაა,
ძალიან ძნელია მუჰაჯირობა.

ჭირთათმენა ქართველთა ხვედრია. მიუხედავად, საშინელი ქარტეხილისა, ისინი მაინც ახერხებენ ფეხზე დგომას, მაინც აღწევენ წარმატებას. ცხოვრება გრძელდება, მაგრამ ტკივილი აღარ ნელდება; რაღაცაც ეს ტკივილი მათ სისხლშია, ხორცია, სულშია! ეს ტკივილი გადადის თაობიდან თაობაში.

შენ იცი რა არის მუჰაჯირობა?
ბაბუაჩემია, ბებიაჩემია,
დედაჩემია, ჩემი ოჯახია,
ჩემი მოდგმაა, ჩემი სისხლია,
ჩემი სულია, ჩემი გულია მუჰაჯირობა.

ახალგაზრდობაში იმდენად ვერ გრძნობ ამ ტკივილს; მხოლოდ წლების განმავლობაში დაგროვილმა განცდებმა შეიძლება ასე ამოხეთქონ:

**სიმწარეა, სიძნელეა, სისასტიკეა,
სიკვდილია, სიკვდილია მუჰაჯირობა,
ნამდვილი სიკვდილია მუჰაჯირობა!**

ასეთია, ჩვენი თანამემამულის, ძირძველი ქართველის, აბდულა ჩელებაძე-ჩელებიოლოს სულის შემძვრელი ლექსი მუჰაჯირობაზე. შეუძლებელია ამ ტერმინის არ გაგვაერთოანოს. უდავო, რომ ავტორმა მიზანს მიაღწია. ჩვენც ისევე განვიცდით, გვტანჯავს და გვტეივა მუჰაჯირთა მიერ განვლილი გზა, როგორც ლექსის ავტორს, როგორც თითოეულ მუჰაჯირს.

დამოწმებული ლიტერატურა

ა. ნიკოლეიშვილი, 2015 - ა. ნიკოლეიშვილი, ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში, ქუთაისი, 2015.

ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისკენ - მუჰაჯირობის ისტორია პრესაში

<https://oldbatumi.wordpress.com/2009/11/> (10. 10 2016).

MAKA SALIA

**“DO YOU KNOW HOW DOES IT FEEL TO BE A MUHAJIR?”
(ANALYSES OF ONE POEM BY THE DESCENDANT OF GEORGIAN
MUHAJIR ABDULLAH CELEBIOGLU)**

Muhajir is the Arab word and means “exiled, emigrant”. After the Russia-Turkey war (19th century) Georgian population was forced to leave their own land and seek shelter in a foreign country. This misfortune is the reason why we call Muhajir Georgians to the old Georgians from Adjara, Tao-Klarjeti, Lazistan nowadays.

Nostalgic emotions of Muhajir Georgians deserve interest and attention. Emphasizing their names and faces is essential. At this time let us introduce one very old Georgian.

The author of the poem “Do you know how does it feel to be a Muhajir?” is the ethnic Georgian living in Turkey Adullah Celebioglu (Chelebadze). This poem is the echo of his life.

**ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

რუსულან საღინაძე

**თურქეთის ქართველთა ენობრივ-ლიტერატურული
მემკვიდრეობა**

ჩვენი ქვეყნისთვის თანამდევმა ისტორიულმა ქარტეხილებმა და ძნელბედობამ ბევრი ქართველი დაშორა საკუთარ მიწა-წყალს და შორს გადახვეწა, მაგრამ მათი ფესვები საქართველოში დარჩა. გამოთქმა “თანაფესვებიც” ასე გაჩნდა.

საქართველოს ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქვეყანაში მყოფ ქართველთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანია მეზობელ სახელმწიფოში, თურქეთის რესპუბლიკაში, მცხოვრები ქართველობა. როგორც ძირძველ ქართველებს, ისე მუჰამედინი დროს იძულებით გადასახლებულებს ერთი საერთო ტერმინი აერთიანებთ. ისინი “ჩვენებურები” არიან. ტერმინი **ჩვენებურები** ყოველივე ქართულს უკავშირდება. ეთნოსის გარდა, ასე იწოდება პირველი ქართული ურნალი თურქეთში (დაარსებული ახმედ მელაშვილის მიერ), ფოლკლორული ანსამბლი “ჩვენებურები” (2001 წ.), რადიო “ჩვენებურები”, აგრეთვე, ინტერნეტსაიტი “ჩვენებურები” (chveneburi.net), რომელიც ქართულ, თურქულ და ინგლისურ ენებზე ავრცელებს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობამშრომლობისა და კულტურული მოვლენების ამსახველ მსალებს...

ჩვენებურებს **გურგებსაც უწოდებენ**. “გურგი ხარ?” — ესაა მათი პირველი შეკითხვა. მას რომ ჰქითხავ: “ქართველი ხარ?” — დაუყოვნებლივ გიბასუხებს: “ჰო, გურგი ვარ”. ტერმინ **გურგი**-ს ეტიმოლოგიის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ამაზე აქ არ შევჩერდებით. მხოლოდ იმას აღნიშნავთ, რომ იგი უკავშირდება ქართველს, ქართულსა და საქართველოს. ქართულ დიალექტურ კორპუსში (corpora.co) **გურგი** ძირის შემცველი 54 სიტყვაა ასახული. აქედან ზოგი ტოპონიმია — **გურგისტანი** (საქართველო), ზოგი — ეთნონიმი — **გურგი** (ქართველი), ზოგი — ქართული ენის აღმნიშვნელი — **გურგიდილი / გურგიგი**.

გურგი თურქეთელ ქართველთა მეტყველებაში გავრცელებულია ფართო მნიშვნელობითაც: გურგი სოფელი, გურგი ოჯახი, გურგი სიტყვები, გურგი თქმა, გურგი სკოლა, გურგი სახელი, გურგი ხორუმი... საინტერესოა გამოთქმა **გურგის ჭიბი**, რაც ნიშნავს ნამდვილ ქართველს, სუფთა სისხლის ქართველს: “გურგი ჭიბი მაქ, გერჩექ ხასი გურგი ვარ” (სტამბ., შ. ფუტკარაძე)... **გურგი** სინტაგმაში თურქულ სიტყვასთანაც ხშირად არის: **გურგიდილი** (თურქ. gürcüdüll = ქართული ენა): “არ დეიკარქის **გურგიდილი**” (მურღული, ქდკ, ჩვენებურების ქართული ლექსიკონი, შ. ფუტკარაძე); **გურგიჭა დერსი** (არაბ. დერს = გაკვეთილი): “ოქულებში გურგიჭა დერსი იყოს, კაი იქნება” (იქვე); **გურგი ვაიზი** (თურქ. gürcüñ vaiz = ქადაგება) (შავშ., ქდკ, ფალავა მ., ცინცაძე მ., შიომშვილი თ.)... შედრ.: **გურგი ფერეიდნულში**, შესიტყვებაში: **გურგი ბაიან** = ქართულად მოლაპარაკე (ქურთისტანის სოფელი, ქდკ, ფერეიდნული ლექსიკონი, მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე), აგრეთვე, ტოპონიმში

გურჯი შაჰალე = ქართველების სოფელი ირანის პროვინცია შაზანდარანში) (იქვე)... **გურჯი** ადამიანის სახელის მსაზღვრელადაც გვხვდება. ასეთია ოსმალეთის ისტორიაში ცნობილი ქართველი ქალის სახელი **გურჯი ხათუნი**. ამ ტიპისაა, მაგალითად, **გურჯი მეხედი** (რიზეს ფაზარის რაიონის მცხოვრები).

ქართულ დიალექტურ კორპუსში არ დასტურდება ზმნური ფორმა **გურჯობს**, თუმცა საფიქრებელია, რომ ეს ზმნაც იყოს ჩვენებურების ქართულში. **გურჯობს** ზმნა უცხო არ არის ქართული სინამდვილისთვის. მაგალითად: “როცა გურჯი გურჯობდა, ალმოსავლეთსაც გავუძელით და ჩრდილოეთსაც” (გ. ქართველი შვილი, “აიშე” (მოთხრ.): “გააგრძელე საქართველოს ისტორია”: <https://www.facebook.com>).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის არც ეთნონიმი **გურჯი** და არც **გურჯობს** ზმნა. არის მხოლოდ ტოპონიმი **გურჯისტანი**, რომელიც განმარტებულია, როგორც ქართველთა ქვეყანა — საქართველო (www.ena.ge).

თურქეთელი ქართველებისთვის “გურჯისტანი” და “მემლექეთი” საქართველო-სამშობლოს გამომხატველი ცნებებია. ზეპირსიტყვიერებაში “მემლექეთი” უფრო სჭარბობს, ხოლო ნაწერებში, აგრეთვე, იმ ქართველთა მეტყველებაში, რომელთაც საქართველოსთან აქვთ ურთიერთობა, უფრო მეტად არის ცნებები — **საქართველო** და **სამშობლო**.

საინტერესოა თურქეთელ ქართველთა ენობრივ-ლიტერატურული მემკვიდრეობის გაცნობა. ბევრი მხატვრული ნაწარმოები ქართველი მკიონებელისთვის ცნობილი გახდა უურნალების “ჩვენებურები”, “ფიროსმანი” მეშვეობით. ამასთან, “ჩვენებურების ისტორიაში პირველად, თანამედროვე თურქული ლიტერატურის რამდენიმე წარმომადგენელი (ფაშრედინ ჩილოლლუ (ფარნა-ბექა ჩილაშვილი), ეშრეფ იღმაზი (მახარაძე), სულეიმან ინოლლუ (ინაშვილი) გარდა თურქული ენისა, ქართულადაც წერს მხატვრულ ტექსტებს“ (ა. ნიკოლეიშვილი, 2015, გვ. 236). როგორც ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, მათი ნაშრომები მხატვრულობით ვერ შეეძრება თურქულ ენაზე დაწერილ მათსავე ნაწარმოებებს, მაგრამ მთავარია, “პირველი ნაბიჯები გადაიდგა და ოთხსაუკუნოვანმა ყინულმა დნობა დაწყო“ (იქვე).

მდიდარი და მრავალფეროვანია ჩვენებურების ზეპირსიტყვიერება. მათ მონათხრობში ჩანს სამშობლოსთან, ენასთან, ყოველივე ქართულთან კავშირი, სწრაფვა იმ წიალისკენ, საიდანაც მოღიან. მათი გადმოცემები, ზლაპრები, ფრაზები, გამოთქმები... ინახავს ქართულ ენას, წარმოდგენებს მშობლიურ მიწა-წყალზე. მათში ცოცხლობს სახე-ხატები დედასამშობლოს, დედაენისა...

თურქეთის რეგიონების მიხედვით განსხვავებულია ეთნიკურ ქართველთა მეტყველება, მაგრამ მათ ერთი საერთო ენა — ქართული ენა და “მემლექეთი” აერთიანებთ. თავადაც ამბობენ, “ქართულ ენის მოლაპარაკე ერთი ვაზის ტოტნი ვართ“ (შ. ზედგინიძე, 1971: ა. ნიკოლეიშვილი, 2015, გვ. 246).

ჩვენებურების შემოქმედებაში მოჭარბებულია “მემლექეთის” მოგონება, რაც მეტაფორულად არის გამოხატული სიტყვათორმებში, შესიტყვებებსა და ფრაზეოლოგიზმებში. მაგალითად, ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსებში ცოცხლობს სამშობლოსთან ასოციაციურად დაკავშირებული ქართული სიტყვათორმა **კილდე** (= კლდე):

“შოგვტიროდა ნადიკვარი, ნიგვზნარების **კილდე**,

სამახსოვროდ წამოვილე ჩემი სახლის **კილტე**”

(უცხოეთში შექმნ. ქართ. პოეზიის ანთოლ., 2014, გვ. 326).

გახმოვანებული ფუძე **კილდე** გვხვდება არა მარტო ჩვენებურების

მეტყველებაში (იხ., აგრეთვე: “დიდუანი **კილდიები** გაღმოგორდა გზაში მეგებ” — ბახ., შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 485), არამედ ქართული ენის სხვა

დიალექტებშიც. მაგალითად: **კილდე** (ხევსურ.) კლდე (ა. შან.). შდრ.: **კილტაგაშლი** (აჭარ.) ნ. კლდის ვაშლი (ალ. ლლონტი, 1984, გვ. 294).

კილტე არა შექმნება ლექსში ნახსენებ სიტყვაფორმას **კილტე**, მისი შესატყვისი

ძელ ქართულ ენაში, აგრეთვე, მომდევნონ პერიოდის ქართულში, იყო **კლიტე**,

რომელიც მიჩნეულია ბერძნულ ნასესხბად (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 362).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **კლიტე**-ს აქვს სამი

მნიშვნელობა: 1. საკეტი მოწყობილობა (კარისა, უჯრისა და მისთ.)... 2.

ბოქლომი. 3. გასაღები (www.ena.ge). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით,

“**კლიტე** არს გასაღებელი, ხოლო **მოქლონი** დასაკეტელი კართა (6.17 ბარუქ.)

(ს.-ს. ორბელიანი, 1949, გვ. 169).

ერთი ველის ფარგლებში, მაგრამ განსხვავებული სემანტიკური ნიუანსებით, გვხვდება **კლიტე** როგორც ქართულ ზეპირსიტყვირებაში, ისე მწერლობაში, ორიგინალურსა და ნათარგმნ ლიტერატურაში, კერძოდ, ბიბლიურ წიგნთა თარგმანებში, “ვეფხისტყაოსანში”, თეიმურაზ I-ის, სულხან-საბას, ვასილ ბარნოვის... ენაში. **კლიტე || კილტე** გავრცელებულია დიალექტებში.

კილტე მეტწილად დამახასიათებელია გურული, აჭარული (ქვემოაჭარული და ქობულეთური), აგრეთვე, ფერეილნული კილოებისთვის. ქართული ენის

სხვა დიალექტებში, მაგალითად, ქართლურში, კახურში, ხევსურულში, სამცხურ-

ჯავახურში, რაჭულში... გავრცელებულია **კლიტე**. ეს ფორმა არის, აგრეთვე,

ჩვენებურების ქართულშიც: შავშურ-იმერხეულში, ლივანურში, მუჰაჭირულ-

ზემოაჭარულში, მუჰაჭირულ-ქობულეთურში, ზედამაჭახლურში... ვფიქრობთ,

ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსის ერთ ტაქტში ნახსენები სიტყვაფორმა

კილტე (“სამახსოვროდ წამოვილე ჩემი სახლის კილტე”) ავტორის ძეხსიერებაში

ჩარჩინილი, სქართველოდან გამოყოლილი ფორმა უფრო არის, ვიდრე თურქული

ენის გავლენით გაჩენილი ნასესხბა. ასეთად მიგანინია ჩვენებურების ქართულში

გავრცელებული სიტყვა **ქილითი** (თურქ. *Kilit* = ბოქლომი). შ. ფუტკარაძის

განმარტებით, **ქილითი** არის ბოქლომი: ქილითი დაადგ მაგ ბელელსა“ (ფასა/

ფაცა) (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 602). სხვა მოსაზრებით, **ქილითი** არის

კლიტეც და ბოქლომიც (ბ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარაშიძე, 2014, 211).

კლიტე, გასაღები თურქულად არის **Anahtar, ბოქლომი — asma Kilit**.

ეს ფაქტები მიუთითებს საერთოენობრივ პროცესზე. ჩვენებურების

ქართულშიც ენობრივ ფორმათა გამიჯვნა წარიმართა სემანტიკური

დიფერენციაციის პრინციპით (**კლიტე || კილტე** = გასაღები, **ქილითი**

= ბოქლომი).

თურქეთის ქართველთა შესიტყვებებში, სიტყვათკავშირებში გამოსჭვივის მონატრება საკუთარი მიწა-წყლისა:

ჩირუხის წყალი (= ჭოროხის წყალი): “ჩირუხის წყალს მივეფერე, წყალი პირზე შევსხი...“ (ნური ეფენდი თავდგ.);

თოვლიანი კარჩალი (= თოვლიანი მწვერვალი): “აგიანიდან გაეხედე, ჩანდა თოვლიანი კარჩალი” (ეშრეფ ილმაზი-მახარაძე, „საგოდავი“: ჟურნ. „ჩვენებ.“: ა. ნიკოლეიშვილი, ნ. კუტივაძე, 2014, გვ. 332); ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, **კარჩალი** კუთხ. (ქიზიყ.) წყალში წაქცეული ტოტებიანი ხე, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს... **კარჩალი** მთა კუთხ. (გურ.) კლიმოვანი, ტიტველი მთა (www.ena.ge);

გარსკვლავიანი სამშობლო: “დაბრუნდი ცადატყორცნილ შენს ზვიად მთებში, მწვერვალებიდან ჩამოკიდებულ შენს ვარსკვლავიან სამშობლოში” (ეშრეფ ილმაზი-მახარაძე, „გეირანი ლალელში“: ჟურნ. „ჩვენებ.“: ა. ნიკოლეიშვილი, ნ. კუტივაძე, 2014, გვ. 332)...

სამშობლოსთან დაშორებით გამოწვეული დარღი და ტკივილი ჩანს ფრაზეოლოგიზმებში: **გულის გამოკუჭვა** (= გულის შეკუმშვა): “გულმა იმფრათ გამიეკუჭა, ნენეიც ვეღარ ვიცან”; **გულის ჭამა** (= დადარდიანება): “გორგიელზე რომ ჩამველით, დერღი გულებ ჭამდა”...

ავტორი სათქმელის მაქსიმალური გრძნობით, ემოციით გადმოსაცემად მიმართავს პლეონაზმსაც: “ეს ნამსხმანი (სხეული — რ. ს.) თვალებიდან **მწარე ნაღველს ცრიდა**” (ნური ეფენდი თავდგ.); “**ცხელი ცრემლი მიწას წვავდა**, ლომანავრში წვიმდა” (იქვე)...

სამშობლოდან გადაკარგვის სევდა გამოსჭვივის ხალხურ ლექსში “თეთრო მამალო”. შესიტყვება “თეთრი მამალი” ალეგორიული სახეა ქართველობის დამცხრალი სულისა. იყი აღარ ყივის, თითქოსდა შეგუებია “სოფლის გადაკარგვას”:

“თეთრო მამალო,
რატომ არ ყვირი?
ლამაზი ქალო,
რატომ არ ტირი?
ჩვენ სახლი კარზე
იყო ნიშანი,

გადაკარგულა ჩვენი სოფელი“ (თ. შიოშვილი, 2011, გვ. 472).

ეს ბოლო ფრაზა (“გადაკარგულა ჩვენი სოფელი”) არ არის ლექსის იმ ვარიანტში, რომელიც შ. ფუტკარაძემ ადრე (1989 წ.) ჩაიწერა ინეგოლის ქართველ მუჭაჭირთა შთამომავლებისგან (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 53).

მრავალგზის ჭირგადანახადი ჩვენებურების ცნობიერებაში ცოცხლობს ხატება აყვავებული, ერთიანი და ძლიერი საქართველოსი. ამ ყველაფერს ისინი თამარ დედოფალს უკავშირებენ. განსაკუთრებით მდიდარია იმერხევი თქმულება-გადმოცემებით. თამარს ჩვენებურები დიდ დედად “მოიხსენიებენ. თურქულის გავლენით “დიდ ანასაც” (თურქ. Anne = დედა) უწოდებენ.

თამარ მეფე მნათობს — მზეს გაუზოლა ქართველმა ხალხმა და შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენებურები მას **ზითვალს** (< მზისთვალს) აღარებენ: “ზითვალ გიგავს პირიო, მე შენთვინა და ვტირიო, რას დაგვაკლებს მტერიო...” საინტერესოა ამ სიტყვაფორმასთან დაკავშირებით მ. ფალაგას მსჯელობა: “კარგი შედარებაა “ზითვალა“ (< მზისთვალა)... ჩამდენ საიდუმლოს ინახავს ხალხის მეტყველება, ენა ზოგადად. ხანდახან ისეთ შედარებებს გამოიყენებს მთხრობელი, გული გაგიობება... ჩაიწერ უბრალო ადამიანის “შზექართულს“ (შ. ფალაგა, 2016, გვ. 16).

ქართული ენა ცოცხლობს თურქეთელ ქართველთა არა მხოლოდ წარმოდგენებში, არამედ მათ იციან, რომ “გურჯობის” მთავარი ნიშანი ქართული ენა არის. წუხან იმაზე, რომ უმცროსმა თაობამ არ იცის ქართული

ენა და ბაბუა-ბების შვილიშვილთან სალაპარაკოდ ქართულის მცოდნე შუამავალი სჭირდება: “გურჯი ვარო, ჩემ ბალიშ გუუხარდება, ჰამა გემოს ვერ მუუხტება, ვერ გეიგებს და“. მართლაც, “გურჯობას რომ “გემო გაუგო“, ქართულის ცოდნაა აუცილებელი (ზ. ფალავა, 2016, გვ. 134).

შავშურ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია რელიგიურ-ფოლკლორული ხასათის ლექსი “გურჯიჯე ვაიზი“ (“გურჯი ვაიზი“, “გურჯული ვაიზი“). ჩვენებურები მას „ქართულ მევლუდს“ უწოდებენ (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 453). ამ ლექსის შავშურ ვარიანტებში ჩანს ქართული ენისაღმი განსაკუთრებული პატივისცემა: “ახლა უნდა ვთქვათ გურჯიჯა ენით...“ (თ. შიოშვილი, 2011, გვ. 492). ეს განწყობა კიდევ უფრო კარგად ჩანს შ. ფუტკარაძისეულ ვარიანტშიც:

“იცოდე, გურჯული რომ ქართულია,

ქართული მეტად ტკბილია.

იმ დუნის ენა ჩვენებურია“ (შ. ფუტკარაძე, 1993, გვ. 271).

ქართული ენის შენარჩუნებით თავს იწონებენ თურქეთელი ქართველები და ამას გამოხატავენ ფრაზებით: “**ქართული არ დაგვარქე**, ქითაბები გვქონდა“ (რ. სალინაძე, მ. კიკვაძე, 2016, გვ. 16). სხვაგვარად ამბობენ, **სიტყვა არ დაგვარგე**, თუმცა, რაც დაიკარგა, იმის გამოც წუხან: “**გედეირეცხა ჩვენი გურჯიჯე**, აღარ დარჩა“ (შ. ფალავა, 2016, 247); “**ოქულებში გურჯიჯა დერსი რომე იყოს, ასე არ დეიკარქვის გურჯი დილი**“ (შ. ფუტკარაძე, ლივან.). სარფის “რკინის კარის“ გახსნის შემდეგ ჩვენებურებს იმედი გაუჩნდათ, რომ **ქართული არ დაიკარგება**: “აქ ბევრი ლაპარიკოფს (ქართულად). კარი არ გახსნილიყო, დაამიწყდებოდა, ახლა აღარ დეიკარქვის. იმფო ადრე გახსნილიყო, იმფო კაი იყო“ (შ. ფალავა, 2016, გვ. 97).

ქართული ენის მნიშვნელობაზე წერს ისმაილ ყარა (შავიშვილი) რომანში “მაჭახლის ულელტეხილი“. რომანის მთავარი პერსონაჟი ახმედი აღიარებს, რომ თურქეთში მცხოვრები მისი თანამემმულები კვლავაც “სათუთად და უგნებლად“ ინახავენ ქართულ ენას. მშობლიური ენისაღმი თავის დამოკიდებულებას ახმედი იმით გამოხატავს, რომ ამჯობინებს, სამართალდამცავებს ჩვენება ქართულად მისცეს. “უსაზღვროდ გამეხარდა, რომ შემეძლო ჩემი გასაჭირო მშობლიურ ენაზე ამეხსნა ჩემს ენაზევე მოლაპარაკე პირისთვის“. როგორც ა. ნიკოლეიშვილი აღნიშნავს, ეს ნაწარმოები “თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე მწერლის ქართული ცნობიერების წარმომჩენი მხატვრული ქმნილებაა... რომანში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ შავშეთისა და იმერხევის მცხოვრებთა უმეტესობას ქართველები წარმოადგენენ და მათი ყოველდღიური სამეტყველო ენა ქართულია“ (ა. ნიკოლეიშვილი, 2015, გვ. 265).

თურქეთელ ქართველთა ენობრივ-ლიტერატურული მემკვიდრეობა, მათ ცნობიერებაში შემორჩენილი სახე-ხატები და მათი შესატყვისი გამომსახველობითი საშუალებები, ენობრივი ფორმულები, გამოთქმები, ფრაზები იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენებურებში “სისხლი სტორია“, როგორც თავად ამბობენ, ანუ სისხლი არ შეცვლილა. მართალია, შესუსტდა ქართული ენა (იგი მხოლოდ უფროს თაობაში ცოცხლობს), მაგრამ ის შესაძლებლობა, რაც ორი ქვეყნის - საქართველოსა და თურქეთის - მთავრობათა გადაწყვეტილების შედეგია, და ქართული ენის სწავლებას გულისხმობს, ორივეს გადაარჩენს.

დამოწმებული ლიტერატურა

- ა. ნიკოლეიშვილი, 2015** - ა. ნიკოლეიშვილი, ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში, ქუთაისი, 2015.
- ბ. სალინაძე, მ. კიკვაძე, 2016** - ბ. სალინაძე, მ. კიკვაძე, მუჭაჭირ ქართველთა შთამომავლები ფაზიარის ჰამიდიეში (ყოფა და ენობრივი სიტუაცია): გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1-2., თბ., 2016.
- ს.-ს. ორბელიანი, 1949** - ს.-ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბ., 1949.
- უცხოეთში შექმნილი ქართული პოეზიის ანთოლოგია** (შემდგენლები:
ა. ნიკოლეიშვილი, ნ. კუტივაძე), ქუთაისი, 2014.
- გ. ფალავა, 2016** - გ. ფალავა, მუჭაჭირთა შთამომავლებთან, ბათუმი, 2016.
- გ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, 2014** — გ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, კლარჯული კილო (მასალები): კრებ. VIII, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტ. მეცნ. ფაკ., ქართველოლოგის ცენტრი, ბათუმი, 2014.
- გ. ფოჩხუა, 1974** - გ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
- შ. ფუტკარაძე, 1993** - შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.
- ალ. დლონტი, 1984** - ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
- თ. შიოშვილი, 2011** - თ. შიოშვილი, შავშური ფოლკლორი: კრებ. “შავშეთი”, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგის ცენტრი., თბ., 2011.

FROM LINGUISTIC-LITERARY INHERITANCE OF TURKISH
GEORGIANS

Majority of Georgian people living in different places outside the country is found in the neighbourhood state, Republic of Turkey. We mean not only natives of Georgia, but also those who were exiled to Turkey during the Muhajir period. Millions of Georgian people living in the territory of Turkey, are united under one common term “Chveneburebi” (meaning “of us”). They are also known as “**Gurjebi**”. Words containing the **gurj** base are toponyms – **Gurjistan** (Georgia), as well as – ethnonyms – **Gurji** (Georgian), and others – **Gurjidili / Gurjije** (Georgian Language). In general, **Gurji** is used in broad sense in Turkish Georgians’ speech: Gurji village, Gurji family, Gurji words, Gurji saying, Gurji school, Gurji name, Gurji Khorumi (dance)... It can also be found as the name determiner (Gurji Khatuni, Gurji Mekhmedi...) There are the verb forms as well in Georgian: **gurjobs**, but there is no word **gurji** nor the verb **gurjobs** in Georgian Language Vocabulary. There is only **Gurjistan**, which is defined as the country of Georgians – Georgia.

Linguistic-Literary inheritance of Turkish Georgians is worth noticing. In the writings and stories of “Chveneburebi”, one can obviously see the connection with all the Georgian, striving for those depths they come from. Their folklore, legends, fairy tales, phrases, expressions... keep the Georgian language, beliefs on native land. The article implies the word forms, phrases, phraseologisms, in which face-icons of motherland, mother-tongue and – values of “Chveneburebi” are artistically, metaphorically expressed.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ნათია სვინტრაძე

ამბაკო ჭელიძე სკარსელი პოეზის მთარგმნელი და საგრაფიკო მოღვაწე

ამბაკო ჭელიძე, როგორც მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე, მეოცე საუკუნის ქართულ-სპარსული კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობების სფეროს საინტერესო ფიგურაა. ის არ იყო აღმოსავლეთმცოდნე, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, საუნივერსიტეტო დონეზე არ შეუსწავლია სპარსული. 1926 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ მიავლინა თეირანში როგორც სპეციალისტი, საბჭოთა და ირანული ერთობლივი ბანკის დაარსებაში მონაწილეობის მისაღებად. მან ექვსი წელი დაყო ირანში. შესანიშნავად გამოიყენა ეს საშუალება და შეისწავლა სპარსული ენა. ამბაკო ჭელიძის დაინტერესება სპარსული ენითა და ლიტერატურით იმდენად დიდი იყო, რომ მან, არაირანისტმა, აღადგინა სპარსულიდან ქართულად თარგმნის დიდი ხნის მივიწყებული ტრადიცია და საფუძველი ჩაუყარა მეოცე საუკუნეში სპარსული ლირიკის თარგმნას, საიდანაც დაიწყო ახალი ეტაპი ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობაში. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებს საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული ფესვები, რაც უნდა უცნაურად მოგვეჩენოს, უშუალოდ სპარსული ლირიკის თარგმნას მე-20 საუკუნის 30-ინი წლებიდან ეყრება საფუძველი. მისი პირველი მთარგმნელია იუსტინე აბულაძე, შემდეგ კი ამბაკო ჭელიძე (ნ. ბართაია, 2014, გვ. 38).

ამბაკო ჭელიძე 1895 წლიდან მუშაობდა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში. იყო თბილისის ქართველ მუსლიმთა დამხმარე კულტურული საზოგადოების წევრი. მისი თარგმანები გაერთიანებულია კრებულებში: „სპარსელი ლირიკოსები“, „ირანელი ლირიკოსები“, „შოლა ნასრედინის ანეკდოტები“, ომარ ხაიმის „რობაათი“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავალებით სრულად თარგმნა ნიზამის პოემები „ლეილი და მაჯნუნი“, „ხისროვი და შირინი“, „საიდუმლოებათა სალარო“, საადის „ბუსთანი“ და „გოლესთანი“.

ამბაკო ჭელიძემ ირანში რამდენიმე წელი გაატარა, ეს დრო მან გამოიყენა ფერეიდნელ ქართველებთან კავშირის აღსაღებად. შეისწავლა ფერეიდნელთა კილო, ყოფა, რასაც მიუძღვნა მეტად საინტერესო წიგნები: „ფერეიდნელი ქართველები“ და „ექვსი წელი სპარსეთში“.

წიგნი „ფერეიდნელი ქართველები“ მოგვითხრობს ამბაკო ჭელიძის 1927 წელს ფერეიდნების მოგზაურობის შთაბეჭდილებების, ფერეიდნელი ქართველების ყოფის, მათი ისტორიული წარსულის შესახებ. ეს წიგნი პირველად გრე კიდევ 1935 წელს გამოვიდა, თუმცა, ცუდი რედაქტირების გამო, საბჭოთა ცენზურამ აკრძალა. ამ განადგურებული ტირაჟის შემდეგ „ფერეიდნელი ქართველები“ მხოლოდ 1951 წელს გამოიცა ხელახლა გერმანული ქიქოძის რედაქტორობით. ამ დროს ავტორი უკვე გარდაცვლილი იყო, მაგრამ მის არქივში ინახებოდა იმ პირველი გამოცემის ერთი ეგზემპლარი, ავტორის ხელითვე ნასწორები, რომელიც ბოლო გამოცემას დაედო საფუძვლად. 2011 წელს გამოიცა გიორგი ლეონიძის

სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის მიერ მომზადებული სრულყოფილი ტექსტი, სადაც ორი დამატებითი თავიცაა შესული და თან ახლავს ძალიან ძვირფასი ფოტომასალა. გამოცემა ილუსტრირებულია ცნობილი ირანელი ფოტოგრაფის ანტუან სევრუგინის, მაშმად ხანისა და სხვათა ფოტოებით. წიგნის დამატება — ირანელი სომხები და ირანელი ებრაელები, იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა მუზეუმში დაცული გამოცემიდანაა აღებული. ნაშრომი საინტერესოა იმით, რომ ახლოდან გვაცნობს ფერებინელი ქართველების ყოფით ჩეალიებს. წიგნში ავტორი საქმაოდ კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავს ჩვენი ფერებინელი თანამემამულების მიმართ. მაგრამ ესაა — ზრუნვით, თანაგრძნობითა და სინაზულით სავსე კრიტიკა. ასევე უმნიშვნელოვანესია ის რეალიები, რომლებიც წიგნმა შემოგვინახა, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა, და, გარდა ამისა, წიგნი იმითაცაა საინტერესო, რომ აქ თავად მთხრობელიც ძალიან კარგად ჩანს და ხშირად სწორედ მისი მონაწილეობა სძენს ამბავს განსაკუთრებულ ხიბლს: შეიძლება ითქვას, რომ ის სინამდვილე, რომელსაც აღწერს ამბაკო ჭელიძე თავის “ფერებინელ ქართველებში”, დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს. ბევრი რამ შეიძლება შენარჩუნებულია, მაგრამ იმ სახით, როგორც ამ წიგნშია, აღარ არსებობს. ამიტომ, ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია ფერებინელი ქართველების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც.

კრიტიკას რაც შეეხება, ამბაკო ჭელიძე ძალიან ბევრს საუბრობს ქართველების მავნე ჩვევებზე, უუნარობაზე, სიზარმაცეზე. წერს “საუკუნეობით მიწასთან დაკავშირებულ, უკულტურო ქართველს ჯერ ჩაუხედავს მიწის გულში, თუ რა სიმღიდრეს იძლევა ის და მის თვალშინ მისივე ხელით ისპობა ის, რაც მას დღიურ ლუკმას გაუდიდებდაო”. ხშირად ახსნებს ფერებინელი ქართველების გაუნათლებლობას, ცნობის წადილის უქონლობას. ფერებინელი ქართველი ჯარისკაცებიც კი ვერაფერს აღწევენ ერთი მარტივი მიზეზის გამო, რომ განათლება არ ჰქონით. ცალკე საუბრის თემაა ჩვენებურების ცრურწმენები, რაზეც არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას ამბაკო ჭელიძე (მ. ხარბედია, 2012).

ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი ფერებინელი ქალების აღწერებია. ავტორი, პირველ რიგში, იმას აღნიშნავს, რომ ირანული ცხოვრების გავლენა ქალს ყველაზე ნაკლებად ეტყობა: “ფერებინელი ქართველი ქალი დღემდე სრულიად კარჩაკეტილია. ის დაბადებიდან არ გაშორებია თავის ოჯახს... ქალის ენა უფრო სალია, რბილი და სიამით მოსასმენი. ლაპარაკის დროს ზოგჯერ სრულიად გავიწყდება, რომ ვინმე სხვას, სხვაგან, ნახევრად გადაგვარებულ აღამიანს ელაპარაკები და არა შიღაძართლელს ან კახელ ფედაკაცს. ქალი მამაკაცზე უფრო გულკეთილი და მხიარული ჩანს” (ა. ჭელიძე, 2011, გვ. 138). საგულისხმო და მნიშვნელოვანია, რომ ლამის ყველა ფერებინელს პირზე ეკერა თხოვნა და სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა.

ფერებინელში მოგზაურობა ძალიან დიდხანს იყო ქართველებისათვის პრობლემა. პირველად იქ ლადო აღნიაშვილი ჩავიდა 1894 წელს, მეორედ ამბაკო ჭელიძემ იმოგზაურა. მან ირანში გაიცნო ფერებინელ ქართველთა ლიდერი სეიფოლა იოსელიანი. მისი მეშვეობით კი იქაური ქართველები. ამბაკო ჭელიძეს ფერებინელში მოგზაურობისას თან ახლდა მეუღლე (რომელმაც

ძალიან საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა ფერეიდნელ ქართველთა შესახებ) და ირანელი ფოტოგრაფი მაჰმადხანი, რომლის ფოტომასალის ნეგატივებიც და პოზიტივებიც ასევე ინახებოდა ლიტერატურის მუზეუმში. მის მიერ ირანში მოპოვებული და შეძენილი ფოტომასალა ფასდაუდებელია.

თბილისის ლიტერატურის მუზეუმში ირანის თემაზე უნიკალური ფოტომასალა ინახება, ფოტოები გადაღებულია მე-19 საუკუნის დასასრულს და მე-20 საუკუნის დასაწყისში, რომლებზეც ასახულია ფერეიდნელი ქართველების, ირანელებისა და ირანში მცხოვრები სხვა ხალხების ცხოვრება, ხოლო ფოტომასალის ავტორები არიან ირანელი ფოტოგრაფი მაჰმადხანი და მსოფლიოში ცნობილი ფოტოგრაფი ანტუან სევრიუგინი. ეს ფოტომასალა ლადონ აღნიაშვილის მიერ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და ამბავო ჭელიძის მიერ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისშია ჩამოტანილი. როგორც ჩანს ეს ძვირფასი მასალა ამბავო ჭელიძემ ირანში ყოფნისას შეისყიდა. მსოფლიოს ისეთი ცნობილი მუზეუმები, როგორებიცაა სმითსონის ინსტიტუტის აზიური ხელოვნების მუზეუმები ვაშინგტონში, ან ლეიიდნის ეთნოგრაფიული მუზეუმი ამაყობენ, რომ მათ საცავებში სევრიუგინის ფოტოები ინახება.

ანტუან სევრიუგინი ყავარების დინასტიის კარის ფოტოგრაფი იყო (1785-1925 წწ.) და ყველაზე წარმატებული ფოტოატელიეს მფლობელი ირანში. მისი ფოტოები ყავარებისა და აღრეული ფაქტების დინასტიისდროინდელი ირანის შესასწავლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, როგორც ზოგადად ირანული საზოგადოების, ისე ამ პერიოდის ისტორიისა და კულტურის თვალსაზრისით. სევრიუგინმა ფოტოგრაფია თბილისში, ერმაკოვთან ისწავლა. იგი თეირანში დაიბადა, მამამისი სომეხი იყო და თეირანში რუსეთის საელჩოში მუშაობდა, დედა კი ქართველი ჰყავდა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ მან შვილები თბილისში ჩამოიყვანა და აქ გაზარდა. საგულისხმოა დიმიტრი ერმაკოვისა და ანტუან სევრიუგინის მეგობრობა და თანამშრომლობა. ისინი ერთმანეთს 1870-იანი წლებიდან იცნობდნენ. ამ პერიოდში ირანი მრავალი ფოტოგრაფის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. სევრიუგინი და მისი ძმები შეუერთდნენ ფოტოგრაფების ამ დიდ სწრაფვას ირანისაკენ და თავრიზში დასახლდნენ. მოგვიანებით ანტუან სევრიუგინმა შექმნა ისტორიული მნიშვნელობის ფოტოების სერია ირანსა და ირანელებზე (მუზეუმი, 2013, გვ. 24).

განსაკუთრებით საინტერესო და ფასეულია ამბავო ჭელიძის მოღვაწეობა მთარგმნელობით სფეროში. მას ნიზამის სამი პოემა უთარგმნია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნიზამი ერთ-ერთი ყველაზე ძნელად გასაგები პოეტია, მით უფრო დასაფასებელი გახდება მთარგმნელის ღვაწლი. ნიზამის გაგებას ხელს უშლის მისი სტილი, მისი მეტაფორების ლაბირინთები, რომელთაც ყველა ბოლომდე ვერ ჩასდევს. კიდევ ერთ სიძნელეს პოემების ლირიკული ხასიათი ქმნის. კერძოდ ის, რომ ბაითები უმეტეს შემთხვევაში არც კი უკავშირდებიან ერთმანეთს შინაარსობრივად. ყოველი ბეითი გარკვეული შინაარსის მქონე დამოუკიდებელი ერთეულია. ხშირად ისინი შეგიძლიათ ამოიღოთ ან ადგილი გადაუნაცვლოთ და ამით შინაარსი არ ირღვევა, რადგან პოემის უმეტესი ნაწილი ლირიკული წილსვლების, პერსონაჟთა მონოლოგებისა თუ ლირიკული აღსარებისგან შედგება. სპარსულ ლირიკაში კი ოსტატობად ასეთი ბაითების მქონე ლექსის შეთხზვა ითვლებოდა (მ. თოდუა, 1964, გვ. 20).

სპარსულიდან ქართულად თარგმნისას ერთმანეთს ხვდება განსხვავებული ლიტერატურული ტრადიციები. ცნების აღწმისა და მოვლენების შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები. მთარგმნელი რთული ამოცანის წინაშე დგას, რადგან მან მკითხველს საკუთარი კულტურის კონტექსტშე მორგებული მაღალმხატვრული თარგმანი უნდა შესთავაზოს, რაც მეტად რთულია, თუ საქმე ეხება ნიზამის ნაწარმოებების თარგმნას. ა. ჭელიძეს თარგმნისთვის თოთხმეტმარცვლოვანი ლექსი აქვს შერჩეული ორ-ორ ტაებიანი სტროფებით (მრჩობლები). ასეთი სახის ქართული ლექსი ყველაზე უფრო შეესაბამება სპარსულს და მთარგმნელთა უმეტესობა სწორედ თოთხმეტმარცვლოვანი ლექსით სარგებლობს.

საინტერესოა წიგნის რედაქტორის მ. თოდუას შეფასება, რომელსაც “ხოსროვისა და შირინის” შესავალ წერილში აძლევს თარგმანს: “რა თქმა უნდა, ეს თარგმანი ნიზამის გვიას ვერ გვაგრძნობინებს, მისი თარგმნა ხომ თითქმის შეუძლებელია, ძნელია ჯერ გაგება და მერე გადმოცემა”, მაგრამ მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ქართველი მკითხველისათვის. მისი ფორმაცა და შინაარსიც სრულყოფილია.

ა. ჭელიძეს “ხოსროვი და შირინი” თავიდან ბოლომდე უთარგმნია. მთარგმნელი არ ტოვებს არც ერთ ბეითს, დასათაურებაც ცალკეული თავებისა დედნისეულია, მის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ქართულ თარგმანში შეიტანა ვაჲიდ დასთგარდის მიერ არანიზამისეულად მიჩნეული ადგილები. ნიზამის შემოქმედების შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, რომ ზოგჯერ ეს უკუგლებული სტრიქონები ავტორს ეკუთვნის. ასეც რომ არ იყოს, ნიზამის პარენტის ჩამატებებიც იწვევენ ფართო ინტერესს.

როგორც ალვნიშნე, მის სახელთანაა დაკავშირებული სპარსულიდან ქართულად თარგმნის დიდი ხნის მივიწყებული ტრადიციის აღდგენა. არაერთი სპარსული ლირიკასის შემოქმედება განდა ცნობილი საქართველოში მის მიერ შესრულებული თარგმანების მეშვეობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ომარ ხაიამის რობაიების პირველი პოეტური თარგმანები ქართულ ენაზე ამბაკო ჭელიძის მიერ იქნა შესრულებული. 1933 წელს გამოქვეყნდა კრებული “სპარსული ლირიკა”, კრებულში, სხვა ირანელ ავტორებთან ერთად, საბატიო ადგილი აქვს დათმობილი ხაიამს. მთარგმნელი კარგად ფლობდა სპარსულ ენას და იცნობდა იმ სამყაროს, საიდანაც თარგმნიდა, რაც საუკეთესო წინაპირობაა ადეკვატური თარგმანის შესასრულებლად. მოვიყვანთ ერთ მაგალითს, რომელიც, ვფიქრობთ, საუკეთესოა ომარ ხაიამის რობაიების ამბაკო ჭელიძისეულ თარგმანთა შორის:

ორი დღის თავშესანახი თუ გაქეს ერთი პური,

ყელმოტეხილ ღოქმი წყალი ცივი, საამური,

რატომ უნდა ემსახურო სხვა კაცს, შენზე მცირეს,

ან თვითონ შენ რაღად გინდა სხვისი სამსახური.

პწყარედი:

ერთი პური ორი დღის (სამყოფი) თუ ექნება კაცს,

გატეხილი ღოქმით ცოტა ცივი წყალი (თუ ექნება),

რატომ უნდა იყო თავისზე ნაკლები კაცის მსახური,

ან თავისი ტოლი კაცის სამსახური რა საჭიროა.

თარგმანი შესანიშნავადაა შესრულებული, დაცულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობის კანონი და მხატვრულადაც კარგადაა გამართული. შენარჩუნებულია დედნის ყველა ლექსიკური ერთეული. ამ შემთხვევაში მთარგმნელი ახერხებს შექმნას დედნის ტოლფასი მხატვრული ნაწარმოები. ნ. ბართაია ომარ ხაიმის რობაიების ამბაკო ჭელიძისეული თარგმანების შეფასებისას აღნიშნავს: “სამწუხაროდ, ეს რობაი თითქმის ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თარგმანებში, სადაც მთარგმნელმა მიაღწია ფორმისა და შინაარსის მთლიანობას და შექმნა დედნის ტოლფასი მხატვრული ნაწარმოები. დანარჩენ რობაიებში გვხვდება ცალკეული პოეტური ტაქტები, მაგრამ ისინი მთლიანობაში პოეტურად მოუწესრიგებელ ლექსებში სამწუხაროდ ფერმკრთალდებიან” (ნ. ბართაია, 2014, გვ. 39). სამაგალითოდ ვნახოთ რობაი, რომლის თარგმანი, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სიტყვასიტყვით მიჰყება ორიგინალის ტექსტს, მხატვრული თვალსაზრისით ორიგინალს ჩამოუვარდება და მკითხველზე სათანადო შთაბეჭდილებას ვერ ახდენს:

ვინ იყო ქვეყნად, ვინ გადარჩა აქ უცოდველი?
ვინც არ შესცოდა, როგორ განვლო წუთისოფელი?
მე ვქენი ცუდი და შენც ცუდით გადამიხადე,
საღლაა ჩვენში განსხვავება, მე პასუხს ველი.

პწკარედი:
ცოდვა რომ არ ჩაუდენია ქვეყნად ისეთი ვინ არის მითხარი?
ის ვისაც ცოდვა არ ჩაუდენია, როგორ ცხოვრობს მითხარი?
მე ცუდს ჩავიდენ და შენც ცუდით მიხდი,
მაშ, განსხვავება ჩემსა და შენს შორის რა არის მითხარი?

რუმის სახელის შემოტანაც ქართულ ლიტერატურაში ამბაკო ჭელიძის სახელთანაა დაკავშირებული. მას რუმის მხოლოდ რობაიები უთარგმნია. მიუხედავად იმისა, რომ თარგმანისა და დედანს შორის დიდი სხვაობაა, მთარგმნელი ახერხებს დასრულებული თარგმანის შექმნას, რომელიც ძირითადად დედნის ადეკვატურია. თარგმანის ენა ღარიბია, არ არის დაცული რობაის გარითმვის წესი. ხშირ შემთხვევაში დაკარგულია პოეტური სამკაულები და თარგმანი სასურველ ემოციურ ზემოქმედებას ვერ ახდენს მკითხველზე. სანიმუშოდ მოვიტანთ ერთი რობაის თარგმანს:

კაცის ლირსებას უმნიშვნელოს მე არ ვაღიდებ,
მსურს ყოველივე დიდი იყოს მიუწვდომელი,
მე ღარიბი ვარ, წვრილ ლალის ქვებს ხელს არ მოვკიდებ,
მე მიყვარს ლალი მთისოდენა, ცეცხლისმფრქვეველი (ა. ჭელიძე, 1936, გვ. 19).
თარგმანი მეტნაკლებად ლირებულია ქართველი მკითხველისოვის, როგორც
მხატვრული, ისე შემეცებითი თვალსაზრისით. მთარგმნელის მიერ გაწეული
შრომა დასაფასებელია იმის გამო, რომ ეს იყო საქართველოში რუმის პოეზიის
თარგმნის პირველი მცდელობა.

ჰაფუზის ლირიკაც ამბაკო ჭელიძემ გააცნო ქართველ მკითხველს. მის მიერ თარგმნილ ირანელ ლირიკოსთა შორის ჰაფუზის საპატიო ადგილი უჭირავს, როგორც
ნაწარმოებთა რაოდენობის, ისე თარგმანის შესრულების ხარისხის მხრივ.

როგორც აღვნიშნეთ, ჰაფუზის შემოქმედება ამბაკო ჭელიძის თარგმანებში საქმარ ვრცლად და სხვებთან შედარებით პოეტურად სრულყოფილად არის
წარმოდგენილი. მთარგმნელი, თითქოს, ამ შემთხვევაში უფრო იმორჩილებს

ლექსს და უნარჩუნებს მას პოეტურ ელფერს (ნ. ბართაია, 2014, გვ. 128).
მაგალითისათვის მოვიტანთ ჰავეზის ერთ-ერთი ყაზალის თარგმანს.

მე ვარ სანთელი გამფანტველი ოდნავ წყვდიადის,
შენ კი სხივებში მოელვარე მზე განთიადის,
ოღონდ შენ იყავ, შენ ენთე ეგრე!...
თუმც შენი სხივი უცებ ჩანთქავს სინათლის ნელ შუქს,
მაგრამ მე მაინც ვფიცავ ჩემს თავს, ოღონდ შენ იყავ,
რომ შენს სხივებში დავიწვა, გავქრე!..
შენკენ ვილტონი სიყვარულის ეშხით დამწვარი,
თუმც ქვეყნის ძრახვით ბევრჯერ ეს გზა მე ამერია,
მე საიდუმლო ჩემი გულის როგორ დავთარო,
რომ დაფარული ქვეყანაზე არაფერია.
(ირ. ლირიკოსები, 1936, გვ. 179).

ლექსის თარგმანი ბუნებრივი ქართული ენითა და პოეტური ოსტატობით
არის შესრულებული. თარგმანში ისე ზუსტად და დახვეწილადაა გადმოცემული
ორიგინალის აზრი, რომ მკითხველს შხატვრულობის თვალსაზრისით უკმარისობის
გრძნობა არ ჩება.

უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ამბაკო ჭელიძეს ქართულ-სპარსული
ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებაში. მის მიერ ირანიდან,
ფერეიდნიდან ჩამოტანილი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა ფასდაუდებელია
ფერეიდნელ ქართველთა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. დასაფასებელია
უნიკალური ფოტომასალის შენარჩუნებისათვის გაწეული მისი ძალისხმევა.
საინტერესო და პროდუქტიულია მისი მოღვაწეობა როგორც მთარგმნელისა.
როგორც ვნახეთ, ამბაკო ჭელიძის სახელს უკავშირდება არაერთი ირანელი
პოეტის სახელის შემოტანა ქართულ ლიტერატურაში. მის მიერ შესრულებული
თარგმანებით დაწყო ახალი ეტაპი ქართულ ირანსტიკაში. ამ თარგმანებმა,
მეტ-ნაკლები ავგარგიანობის მიუხედავად, გარკვეულ ღონებდე დააკმაყოფილა
ქართველი მკითხველის მოთხოვნა და საფუძველი მოამზადა ქართული
მთარგმნელობითი სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. სპარსული პოეზიის
ნიმუშების ამბაკო ჭელიძისული თარგმანები დღესაც არ კარგავს აქტუალურობას
და საინტერესოა როგორც სამეცნიერო, ისე შხატვრული და შემეცნებითი
თვალსაზრისით.

დამოწმებული ლიტერატურა

ნ. ბართაია, 2014 - ნ. ბართაია, ქართულ-ირანული ლიტერატურულ-
ენობრივი ურთიერთობანი, თბ., 2015.

გ. თოდუა. 1964 - გ. თოდუა, ნიზამი განჯელი, ხოსროვი და შირინი,
შესავალი წერილი, თბ., 1964.

ირანული პოეზია, 1977 - შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები
დაურთოვ. კოტეტიშვილმა, თბ., 1977.

მუზეუმი, 2013 - საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ფოტოგრაფია

- საქართველოში, № 2, დეკემბერი, 2013.
http://museum.ge/files/documents/GNM_Journal_2013.pdf
- გ. ხარბედია, 2012** - გ. ხარბედია, ბიბლიოთეკა, ამბაკო ჭელიძის “ფერეიდნელი ქართველები”, ოქტომბერი 21, 2012 .
<https://www.radiotavisupleba.ge/a/library/24746063.html>
- ა. ჭელიძე, 2011** - ა. ჭელიძე, ფერეიდნელი ქართველები, თბ., 2011.
- ა. ჭელიძე, 1936** - ა. ჭელიძე, ირანელი ლირიკოსები, თბ., 1936.

NATIA SVINTRADZE

AMBAKO CHELIDZE – TRANSLATOR AND PUBLIC FIGURE IN PERSIAN POETRY

Ambako Chelidze was a Georgian translator and public figure. He is an interesting representative of Georgian-Persian cultural and literary relations of the 20th Century. He lived several years in Iran and dedicated his time to restoring the communication with the Fereydanian Georgians. He studied the Fereydanian dialect, life, and gained lots of experiences. He devoted the most interesting books to Fereydanian Georgians: “Fereydanian Georgians” and “Six Years in Persia” He restored the elapsed tradition of translating the Persian into Georgian and began to translate the Persian literature of the twentieth century, from which the new stage in Georgian-Persian literary relations was launched.

A. Tchelidze translated Nizami Ganjevi’s poems „Hüsrevve “irin”, „Leili and Majnun”, „Haft peikar”, Saadi’s „Bustan” and „Golestan”.

According to the consequences after making comparison between translated and original versions the number of examples were revealed where: translator precisely scrolls the oriental elements in the Georgian text, thoroughly makes the precision and in this case we have the adequate translated version; translation consists of some changes which are not right action in our opinion, the extreme loyalty towards the original text, it’s poorly constructed in a view of fiction.

Despite the fact that, there are differences between the translated version and the original text, from an artistic view translator tries to create the completed versions, which are primarily relevant to original. They are more or less valuable for Georgian readers in both artistic and cognitive views.

**ქართაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ტარიელ ფუტკარაძე

**ქართული ენის სწავლება საქართველოს სახელმწიფოს
ამჟამინდელ საგლორებას მიღმა მცხოვრები
ქართველებისათვის
/უახლოესი ამოცანები/**

ქორონიმი “საქართველო” ორი სემანტიკის მქონეა:

საქართველო - ქართველების საცხოვრისი;

საქართველო - მსოფლიოს მიერ აღიარებულ საზღვრებში არსებული სახელმწიფო (რომლის მეოთხედი ნაწილი დღეს ოკუპირებული აქვს რუსეთს).

“საქართველოს” პირველ მნიშვნელობას აქვს ორი ასაბეჭრი:

ქართველთა ამჟამინდელი საცხოვრისი - საქართველოს სახელმწიფო დღეგანდელ დე ფაქტო საზღვრებში (ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის... ჩათვლით);¹

ქართველთა ისტორიული საცხოვრისი - ვრცელი ტერიტორია, სადაც ცხოვრობდნენ ისტორიული ქართველური ტომები: მუშქები/მოსხები, დიალები/ტაოხები, კოლაელები, ტიბარენები, სასპეირები, ქუთები/კვიტები, კორაქები, პალიძონები/ხალიბები, ხალდები/ქალდები, დიძერები, ბიძერები, ძიდრიტები, მაკრონები/მაკროკეფალები, ფასიანები, ეკრიკტიკეს მცხოვრებნი, ჰენიოხები, სანები/ჭანები, სანიგები, ლაზები, აფხაზები (ებზეები/ობეზები), აფსარები, სვანები/მისიმიელები, ტუსკები, კახები, კუხები, ცხუმები, ფხოველები, ჰერები... ძველი ბერძნული, ურარტული, ქართული და სომხური წყაროების შეჯერებით ქართველურ ტომთა განსახლების ასეთი რუკა შეიძლება წარმოვადგინოთ:²

¹ ორიოდე წლის წინ შავშეთის რაიონის ერთ-ერთ ქართულენოვან სოფელში ჩემმა სტუდენტმა ჰეითხა ადგილობრივ ასაკოვან კაცს, თუ როდის ეწვეოდა საქართველოს; სტუდენტმა მკაცრი პასუხი მიიღო. დიალოგი დაახლოებით ასე წარიმართა:

- როდის გვეწვევით საქართველოში?

- რას მეკითხები?! არ იცა, რომ მე საქართულოში ვცხოვრობ! ათავან და ბაბადან აქ უცხოვრია ჩრენ წინაპრებს; აქ არი ჩემი შშობლების საფლავი; აქ გავიზარდე; აქ ყუელაფერს ქართული სახელი ჰქვია! მერე არ, რომ სახელმწიფო თურქეთია, მიწა-წყალი საქართველო - ქართველების საკუთარი ადგილია იმერხევი! ეს თუ არაა საქართველო, აბა არ არია!?

- მძრთალი ბრძანდებით - უპასუხა შეცაბუნებულმა სტუდენტმა. მე ჩავირიე:

- სტუდენტმა საქართველოს სახელმწიფო იგულისხმა...

მასანებელი დამწევილდა და თქვე:

- მიუხშედი, რა უნდოდა ეტქუა; მე ის არ მომწონს, რომ თქმუნ მხარეში ბევრმა არ იცის, რომ აქ ნაძღვილი ქართველები გართ, ვინც ამდენ ხანს შევინახეთ ოჯახის ენაც და მიწა-წყლის ენაც და სისხლიც! ჩრენ ქართველობას არც ერთი მთავრობა არ ხედავს და სტუდენტს გას ვერჩი...

² რუკა შედგენილია ჩვენ მიერ შემდეგი წყაროებისა და ნაშრომების მიხედვით: თ. ყაუხებიშვილი, 1955; თ. ყაუხებიშვილი, 1957; თ. ყაუხებიშვილი, 1967; თ. ყაუხებიშვილი, 1976; თ. ყაუხებიშვილი, 1983; ს. ყაუხებიშვილი, 1952; ა. როდოსიშვილი, 1975; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970... სწავლა წყაროების ანალიზისა და მსჯელობისათვის იხ., ტ. ფუტკარაძე, 2005, გვ. 79-159.



“საქართველოს” მეორე მნიშვნელობასაც ორი განსხვავებული შინაარსი აქვს:

საქართველო - 9 პრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის
საფუძველზე მსოფლიოს მიერ აღიარებული საქართველოს რესპუბლიკა
1991 წლის საზოგრებში;

საქართველო - ქართველთა მიერ დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი მონარქიული წყობის სახელმწიფო, რომელიც მსოლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო იყო XII სათკაცნეში.

ქვეყნის მთავრობის მიერ გადაწყვეტილი კანონის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო უფრო დიდი იყო, ვიდრე ქართველთა საცხოვრისი. დღეს გაცილებით პატარაა “სახელმწიფო საქართველო” ქართველების საკუთრისათან შედარებით.

თანამედროვე მსოფლიოში დაახლოებით 8 მილიონი ეთნიკური ქართველი ცხოვრობს; ამათგან სულ მცირე 4 მილიონი საქართველოს სახელმწიფოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმაა. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მცხოვრები ქართველები ჩამდენიმე ჯგუფად შეიძლება წარმოვადგინოთ:

ავტოქთონი ქართველები - ჰერეთის, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის
მცხიდრი ქართველები;

400 წლის წინ საქართველოდან ირანში დეპორტირებულ ქართველთა შთამომავლები (ისტორიული მიგრანტები). ირანში მცხოვრები ქართველების სინონიმად ნამდვილად ვერ გამოდგება შესიტყვება: “ფერებიდნელი ქართველები”, რამდენადაც ქართველთა დიდი ნაწილი სხვა პროვინციებში ცხოვრობს:

138-190 წლების წინ ოსმალეთში გადასახლებულ ქართველ მუჭავირთა შთამომავლები (ისტორიული მიკრანტები);

ბოლო 30 წელიწადში საქართველოდან წასული ახალი მიგრანტები. ზოგ ოფიციალურ დოკუმენტშიც კი საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველები ქართულ დიასპორად იხსენიება. ტერმინი „დიასპორა“ (ბერძნ. διασπορά - „გაბნევა“) აღნიშნავს ისეთ ეთნიკურ უმცირესობას (ეთნიკურ ჯგუფს), რომელიც გადასახლდა, ცხოვრობს და მოღვაწეობს მიმღებ ქვეყანაში; ამასთან აქვთ ძლიერი სენტრიმენტალური და მატერიალური კავშირები წარმოშობის ქვეყანასთან.

ვფიქრობთ, შეცდომაა, უბრალოდ, „ქართულ დიასპორად“ ჩაითვალოს: თურქეთსა და აზერბაიჯანში მცხოვრები ავტოქთონი ქართველობა; ასევე, საუკუნეების წინ ირანსა და ოსმალეთში იძულებით გადასახლებული ქართველთა შთამომავლები (გარკვეული პირობითობით, მათ შეიძლება ეწოდოთ ისტორიული დიასპორა); თანამედროვე გაგებით, დიასპორულ ორგანიზაციებს ქმნიან ახალი მიგრანტები.

ქართული ენის, როგორც ისტორიული დედაენის, სწავლების დაგეგმვის მიმართულებით, დასახელებულ ქართველთაგან პირველი სამი განსახილველია ერთ კატეგორიაში; მათი დედაენის დაცვის თვალსაზრისით სხვა რანგის აქტივობებია განსახორციელებელი იმ სახელმწიფოების ხელისუფლებებთან ერთად, რომელთა მოქალაქეებიც ეს ქართველები არიან; ახალმიგრირებული ქართველების ენობრივი უფლებების დაცვა სხვა რიგის საკითხია; კერძოდ:

ავტოქთონი ქართველებისა და ისტორიული ქართული დიასპორების ენობრივი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოყენებული უნდა იქნას დაახლოებით ისეთივე სტანდარტი, რომელსაც გვთავაზობს ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობების ენების შესახებ³, ხოლო ახალი მიგრანტების ენობრივი უფლებების დაცვის თემა განხილული უნდა იყოს "რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ჩარჩო-კონვეციის" ფარგლებში.⁴

ენობრივი უფლებების დაცვა პირველ რიგში გულისხმობს დედაენის სწავლების ორგანიზებას. წლების მანძილზე ვსწავლობდი საზღვარგარეთ მცხოვრები ავტოქთონი ქართველებისა და ისტორიული ქართული დიასპორების წარმომადგენელთა ენობრივ კომპეტენციასა და მათთვის შექმნილ სახელმძღვანელოებს; ასევე, ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარების (კითხვარები იხ., სტატიის დანართში) საფუძვლზე შევისწავლეთ ქართული ენის სწავლების პერსპექტივა ახალი მიგრანტებისათვის. დოკუმენტური მასალების ანალიზის საფუძველზე არსებული გამოწვევები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ქართული ენის შესწავლის აუცილებლობის გაცნობიერების პრობლემა;

ქართული ენის სწავლის სურვილის შემთხვევაში კვალიფიციური პედაგოგის პრობლემა;

³ „ენის ქარტია“ მოწოდებულია, ხელი შესწავლის ისტორიული (ავტოქთონი) უმცირესობის ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას; სრული ინფორმაციისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადაიძი, რ. შეროზია, 2010.

⁴ ჩარჩო კონვენციით განსაზღვრულ „უმცირესობათა უფლებებში“ მოიაზრება პიროვნების ინდივიდუალურ უფლებები და არა - მოცემული უმცირესობის ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა; მსჯელობისათვის იხ.: ტ. ფუტკარაძე, ე. დადაიძი, რ. შეროზია, 2010.

ქართული ენის სწავლის სურვილის შემთხვევაში A1, A2, B1 და B2 დონეების მიხედვით შექმნილი აკადემიური სახელმძღვანელოს პრობლემა; ქართული ენის სწავლის სურვილის შემთხვევაში სწავლებისათვის აუცილებელი ფართის, ინფრასტრუქტურის, სათანადო აღჭურვილობისა თუ, ზოგადად, ფინანსების პრობლემა.

მოკლედ თითოეული მიმართულების შესახებ:

ქართული ენის შესწავლის აუცილებლობის გაცნობიერების პრობლემა:

მოცემული საზოგადოების ეთნიკური იდენტობის (თვითაღქმის) მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო განათლებას (ინფორმაციას), რამდენადც საკუთარი ფესვების ცოდნა არსებითია ეთნიკური მეობის ფორმირების პროცესში. თვითაღქმის მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანი როლს თამაშობს ენა, როგორც მსოფლაღქმის სისტემა და მოცემული სოციუმის ენობრივი ისტორია.

სოციუმის (ეთნიკური ჯგუფის, ერის) ენობრივ ისტორიასა თუ მოცემულ აწმყოში სწავლების პროცესში შეიძლება გამოიყოს ხუთი მნიშვნელოვანი წახნაგი:

საოჯახო ენა (უმწერლობო ენა, დიალექტი/უარგონი...);

დაწყებითი განათლების ენა;

აკადემიური განათლებისა და კულტურის ენა/ენები;

საქმისწარმოების ენა (სახელმწიფო ენა);

ლვილისმსახურების ენა.

არის შემთხვევა, როდესაც ხუთივე წახნაგით სხვადასხვა ენაა გამოყენებული და პირიქით: ხუთივე დონეზე ერთი და იგივე ენა გამოიყენება.

საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ქართველთა ნაწილი იბრძვის რა ახალ საზოგადოებაში ადაპტაციისათვის, არსებითად თვლის სახელმწიფო ენის შესწავლას, რის გამოც ყველგან არის ტენდენცია, რომ ოჯახშიც კი მშობელმა ილაპარაკოს მოცემული სახელმწიფოს სახელმწიფო ენაზე და არა - ისტორიულ დედაენაზე; არაიშვიათად, ფსიქოლოგების რჩევასაც ითვალისწინებენ: დაწყებითი განათლების მიღების პროცესში მოზარდს უჭირს ორი ენის ათვისება და ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნება. შესაბამისად, მაგ., რუსეთში, საბერძნეთსა თუ ამერიკაში ბავშვის საოჯახო ენა, პირველდაწყებითი განათლების ენა, აკადემიური განათლების ენა, კულტურის ენა, საქმისწარმოების ენა და ღვთისმსახურების ენა, ხშირ შემთხვევაში, არის მოცემული სახელმწიფო ენა (შდრ.: თურქეთსა და ირანში ღვთისმსახურების ენა იქნება არაბული).

საზღვარგარეთ არაიშვიათად შემხვედრია ისეთი ქართულენოვანი ოჯახებიც, სადაც ოჯახში ქართულად საუბრობენ, პირველდაწყებითი და შემდგომი განათლება კი სახელმწიფო ენით ხორციელდება. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ქართველი (თუ სხვა ეროვნების) მშობლები უარს ამბობენ დედაენის სწავლებაზე, არის უცხო ქვეყანაში ქართული ენის ცოდნის ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოუყენებლობა და

ნაკლებსარგებლიანობა; მაგ., თურქეთის მოქალაქე ქართველს დასაქმებისათვის უფრო გამოადგება თურქული, ინგლისური, ფრანგული და სხვა მრავალრიცხვანი ხალხების ენები. ბუნებრივია, ამგვარი რეალობა დიდი საფრთხის ქვეშ აყენებს საზღვარგარეთ ქართული ენის, როგორც დედაენის სწავლებას.

დედაენის (შე)სწავლის სირთულის პროპორციულად სერიოზული საფრთხე ემუქრება ქართველთა ეთნიკურ იდენტობასაც; გამომდინარე აქედან, აუცილებელია, საქართველოს სახელმწიფომ ორგანიზება გაუწიოს უცხო ქვეყნებში მცხოვრები ქართველობისათვის ქართული კულტურისა და ხელოვნების ისტორიის გაცნობას, რომ მოცემული სუბიექტისათვის ქართველობა გახდეს საინტერესო. ასეთ შემთხვევაში გაჩნდება სერიოზული მოტივაცია, შესწავლილ იქნას ქართული ენა, როგორც დედაენა; პარალელურად, ქართული ენის შემსწავლელს უნდა მიეწოდოს ქართული ენის ისტორია (რამდენადაც, ჩვენს შემთხვევაში, ენობრივი და ეთნოკულტურული ისტორია ერთმანეთს მოიცავს).

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არ არსებობს სახელმწიფო სტრატეგია; მეტიც, ორმაგი მოქალქეობის მიღების სრულიად გაურკვეველი პრინციპები საზღვარგარეთ მცხოვრებ უფრო და უფრო მეტ ეთნიკურ ქართველს უკარგავს ხალისს, ისწავლოს ისტორიული დედაენა. ვთიქრობ, ხელისუფლებამ და აკადემიურმა წრეებმა ერთობლივად დროულად უნდა შეიმუშავონ ისეთი კონცეფცია, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოეთში ქართული ცნობიერების მქონე პიროვნებების აღზრდასა თუ გადარჩენას.


კვალიფიციური პედაგოგის პრობლემა:

უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან 25-წლიანი ინტენსიური ურთიერთობისა და საქართველოს დიასპორის სამინისტროსთან(/ საპარლამენტო კომიტეტთან) რამდენიმეწლიანი თანამშრომლობის საფუძველზე შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ავტოქთონი ქართველებითა და ისტორიული მიგრანტი ქართველებით დასახლებულ სოფლებსა თუ ქალაქებში დღემდე არც ერთი კვალიფიციური პედაგოგი არ მუშაობს. ახალი მიგრანტების დიასპორულ ორგანიზაციებში ოდნავ უკეთესი ვითარებაა, რამდენადაც, ემიგრაციაში წასულ პედაგოგთაგან მხოლოდ რამდენიმე თუა დაკავებული ქართული ენის სწავლებით.

A1, A2, B1 და B2 დონეების მიხედვით შექმნილი აკადემიური სახელმძღვანელოს პრობლემა:

საქართველოს განათლების სამინისტროს ენის სამმართველოს მიერ (ხელმძღვანელი მარიკა ოძელი) მალე დასრულდება ოთხდონიანი ელექტრონული სახელმძღვანელო “აღმართი” (“ქართული, როგორც უცხო ენა”),⁵ რომელიც ორიენტირებული არ არის უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე; მსგავსი მიზანდასახულობისაა სხვა სახელმძღვანელოც: “ბილიკი”:

⁵ http://geofl.ge/#!/page_home



დასახელებული სახელმძღვანელოების ავტორებმა დიდი საქმე გააკეთეს, თუმცა ავტორების სამიზნე ჯგუფი არ ყოფილა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები.

აღნიშნავ ორ არსებით მომენტსაც:

ქართული ენა აგლუტინაციური ტიპის ენაა და უმჯობესია, მეტი აქცენტი გაკეთდეს სახელური და ზმნური პარადიგმების წესებზე; ასევე, ყურადღება გამახვილდეს ქართული ენის ბუნების შესაბამის გრამატიკულ კატეგორიებზე;

თანამედროვე სახელმძღვანელო მდიდარი უნდა იყოს ვიდეოგაკვეთილებით, ვიდეოსიუჟეტებით, ვიდეოდიალოგებითა და მრავალფეროვანი ელექტრონული ტესტებით.

სწავლებისათვის აუცილებელი ფართის, ინფრასტრუქტურის, სათანადო აღჭურვილობისა თუ, ზოგადად, ფინანსების პრობლემა:

ჩემი ინფორმაციით, ქართველთა თითქმის ყველა ჯგუფს, რომელიც საზღვარგარეთ სწავლობს ქართულ ენას, აქვს ფინანსური პრობლემები (დიასპორული ორგანიზაციების შეხვედრაზე მხოლოდ უკრაინის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სწავლების დაფინანსება არ უჭირთ), შესაბამისად, არასაკმარისია ინფრასტრუქტურა და სასწავლო აღჭურვილობა. ამ მიმართულებითაც აუცილებელია საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა (როგორც ამას აკეთებენ სხვა ქვეყნების ხელისუფლებები).

ახლა მოკლედ შევეხებით ირანსა და თურქეთში ქართული ენის სწავლების საკითხებს.

ირანი:

ირანში ამჟამად ცხოვრობს 50 000-მდე ქართველი, რომელიც ქართულად საუბრობს; თუმცა, რამდენიმე წლის წინ საქართველოში სტუმრად მყოფმა ირანის პარლამენტის ქართველმა დეპუტატმა მუჰამად ალი ასპანაანმა (ფანიაშვილმა) გაცილებით დიდი ციფრი დაასახელა: 300 000 ქართველი.

ამჟამად მხოლოდ ოთხი ჯგუფი სწავლობს ქართულს:

ფერეიდუნშაჰრში, რუპულა სეფიანის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 30 კაცამდე;

ისპაჰანში, სოსო მიქელაძის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 60 კაცამდე (სოსო მიქელანმა თავისი სახელმძღვანელოც კი მოამზადა);

ფულდშაჰრში (ისპაჰანიდან 30 კმ.), ჰამიდ გუგუნანის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 35 კაცი;


თეირანში, ამინ ნაგელიანის ხელმძღვანელობით, დაახლოებით 30 კაცამდე.

დასახელებულ არც ერთ მასწავლებელს არა აქვს ქართული ენის მიმართულებით სპეციალური განათლება; არა აქვთ საჭირო სახელმძღვანელოები, მაგრამ მაინც წარმატებულად საქმიანობენ. საიდ მულიანის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო და სოსო მიქელანის სახელმძღვანელო ამ მიმართულებით მხოლოდ კარგ დასაწყისად შეიძლება ჩაითვალო.

საიდ მულიანის მიერ შექმნილი სახელმძღვანელო:



- სოსო მიქელანის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო:



თურქეთი:

თურქეთის ხელისუფლებამ ახლახან მიიღო დადგენილება, რომ სკოლებში არჩევით საგნად შეიტანოს “**ცოცხალი ენების და დიალექტების**” კურსი. ჩანს, თურქეთის ხელისუფლებამ ევროსაბჭოს მოთხოვნების შესაბამისად მიიღო ეს გადაწყვეტილება; ამ გზით ხდება საფრთხის წინაშე მყოფ ენობრივ ერთეულებზე ზრუნვა - არათურქული ენობრივი სამყაროს სტიმულირება...

ამ პროექტის ფარგლებში საშუალო სკოლის V-VII კლასებში არჩევით საგნად შეტანილია ქართული ენა; ამჟამად ქართული ენა არჩეულია მხოლოდ მურალულის საშუალო სკოლაში ფათიშ მეიდან ცვარიძის (Fatih Meydan Tsvaridze) აქტიურობით (რომელიც ასწავლის ქართულს). ქართული ენა, როგორც არჩევითი საგანი, მხოლოდ ორი წლის (2015-2016 წწ.) მანძილზე იყო არჩეული საქარიას გუბერნიის, გეივეს რაიონის სოფელ ნურიოსმანიში; მასწავლებელი იყო მუსტაფა ქოლათი (კოლათაშვილი); კლასში 24 მოსწავლემდე იყო.

თურქეთის სკოლებში ქართული ენის არჩევის პერსექტივას ამცირებს ის, რომ ადგილობრივი ენა თუ დიალექტი რელიგიური საგნების ალტერნატივაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ თურქული კანონმდებლობით, სკოლაში მასწავლებლობა არ შეუძლია პირს, რომელიც არ არის თურქეთის მოქალაქე; ამჟამად თურქეთის არც ერთი მოქალაქე არ არის ქართული ენის კვალიფიცირებული მასწავლებელი; შესაბამისად, სერიოზული პრობლემა შეექმნება ყველას, ვინც მოისურვებს ქართული ენის შესწავლას.

საშუალო სკოლის გარდა, ქართული ენის სწავლება ნებადართულია ე.წ. საზოგადოებრივი კურსების ფორმატით; კერძოდ, ქალაქის მერიასთან შეიძლება დაფუძნდეს სასწავლო კურსები, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება დააფინანსებს. მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული ასეთი კურსები ერეკლე დაგითაძის (ერდოგან შენოლის) აქტიურობით ფუნქციონირებდა (და ახლაც ფუნქციონირებს) საქართაში, სადაც სწავლება მიმდინარეობდა კვირაში ერთ დღეს (გასულ წლებში მასწავლებლები იყვნენ თურქეთის მოქალაქე მედიკა თავდგირიძე და დუზექს უნივერსიტეტის საქართველოდან მიწვეული მასწავლებლები). ახლა ამ კურსებს გაუძლვება მესუთ ქოჩაქი, რომელმაც დაამთავრა დუზექს უნივერსიტეტი.

რამდენიმე წლის წინ “დუზექს ქართული კულტურის ასოციაციის” აქტიურობით სასწავლო კურსები გაიხსნა ქალაქ დუზეში. აქვე ასოციაციის მოწვევით კვირაში ორჯერ მსურველებს ქართულ ხალხურ სიმღერებსა და ქართულ მუსიკალურ საქართველო (დოლი, ფანდური, სალამური) დაკვრას ასწავლის სტამბოლის ქართული ხელოვნების სახლის ხელმძღვანელი **გაესტრო იბერია თზან მელაშვილი.** ასოციაციის დაფინანსებით ტარდებოდა ქართული ხალხური ცეკვის გაკვეთილებიც. თვეში ერთხელ ტრადიციად იქცა “ქართული სამზარეულოს დღე”, კერძოდ: ასოციაციაში იკრიბებიან ქართველები და ადგილზე ამზადებნ მათთვის ტრადიციულ ქართულ კერძებს: ფხალობიოს, მალახთოს, მჭადს, ხაჭაპურს; დუზექს უნივერსიტეტის დოცენტი მაკა სალია ქართული ენის სწავლებასთან ერთად აქურებს ქართულ მენიუსაც უმრავალფეროვნებს: ასწავლა ელარჯი, გებუალია და სხვ; 2017 წლიდან ქართული ენის სწავლებას დუზექს უნივერსიტეტის მაგისტრატურის პროგრამის სტუდენტები გაუძლვებიან.

სტამბოლში ბოლო წლებში ფუნქციონირებდა და ახლაც იგეგმება სამი ფასიანი კურსები:

სტამბოლის სეფაქოს რაიონში “ქართული კულტურის ცენტრისა” და “შავშეთის კულტურის ასოციაციის” დახმარებით ფუნქციონირებდა სასწავლო კურსები, რომელსაც აფინანსებდნენ გალიფ აიდინი და სეზენ გონექი; აქ სწავლობდა 25 მოსწავლე. მასწავლებელი იყო ნატალია ფვალი. “ახლა კი ქართული კულტურის ცენტრის” ორგანიზებით ბაზებილიერებული არსებობს ქართული ენის კურსები; სწავლებას უძლვება ნატალია დგალი.

ქადიქოში, ქართული ხელოვნების სახლში არსებულ კურსებზე მასწავლებელია თამარ თევდორაძე.

ქართულ ენას სწავლობენ, ასევე, სტამბოლის “ქართული კულტურის სახლში”.

უახლოეს პერიოდში იგეგმება სასწავლო კურსები გაიხსნას ინეგოლში; მრავალრიცხვოვანი ქათული დიასპორის ამ არეალში - ინეგოლში.

გასულ წლებში ქართული ისტავლებოდა ბურსას რეგიონის ქალაქ ორპანგაზში; მასწავლებელი - ბაჩანა სტურუა (ამჟამად რომში სწავლობს; სწავლება შეჩერებულია).

ქართული ენის კურსები გაიხსნა ქოჯაელის პროგინციის გოლჯუკის რაიონში. კურსები ფინანსდება ქოჯაელის მერიის მიერ; მასწავლებელი - მაია წიკლაური.

ამჟამად ქართული ენა ისწავლება, ასევე, ყარსის (მაია მესხიძე), არტანისა (პროფ. რონი ყავრელიშვილი) და რიზეს (დოქტ. ჰიმქე, დოქტ. რუსულან სალინაძე, დოქტ. მაია კიკვაძე) უნივერსიტეტებში.

აშკარაა, რომ თურქეთში დიდი დაინტერესებაა, ისწავლონ ქართული ენა; რეალურად არსებობს სერიოზული შესაძლებლობა, თურქეთის მოქალაქე, ქართული წარმომავლობის მრავალმა პიროვნებამ დაიბრუნოს **ენობრივ-ეთნიკური იდენტობა**. აქვე ერთი ფაქტიც: თურქეთში მილიონობით ქართველი ცხოვრობს; ქართულ ენას ცოტა სწავლობს, რამდენადაც **ქართული ენის შესწავლის პრაქტიკული საჭიროება** არ აქვთ; სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის, რომ **დედაენის შესწავლა დად დირსებას შეჰმატებს**

მათ მეობას (ამ მიმართულებით წინ კიდევ ბევრი სამუშაოა გასაწევი).

რუსეთში არსებულ მსგავს ცენტრებზე ინფორმაცია ნაკლებად გვაქვს; რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, სანტ-პეტერბურგში ქართული ენის სწავლებას ხელს უწყობს **ბ-ნი აგთანდილ ბუთხაშვილი;** ლომინოსოვის უნივერსიტეტში კი ქართულ ენას ასწავლის ქ-ნი ლია ბაშალეიშვილი. ქართული ენის სწავლებისათვის პლასტუნკაში ზრუნავს ბ-ნი რაულ ჯინჭურაძე.

მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ქართულენოვან მართლმადიდებლურ ეკლესიებთან არსებობს საკვირაო სკოლები. ქართული ენა, როგორც არჩევითი საგანი, ისწავლება, აგრეთვა, ევროპისა და ამერიკის ზოგ უნივერსიტეტში; მაგ., საფრანგეთში ქართული ენა ისწავლება პარიზის აღმოსავლურ ენათა და ცივილიზაციათა ნაციონალურ ინსტიტუტში...

აქვე აღვნიშნავთ:

საზღვარგარეთ ქართული ენის სწავლებაში არსებული პრობლემების, ასევე, სწავლების მეთოდოლოგიის, სასწავლო პროგრამების, სახელმძღვანელოებისა თუ სხვა სახის სასწავლო მასალების მომზადება-შერჩევის მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრმა 2014 წლის 11-12 აპრილს ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: “**ქართული სალიტერატურო ენის სწავლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთათვის: შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები**”. გამოიკვეთა რამდენიმე კონკრეტული საკითხი; კერძოდ:

უმჯობესია ერთენოვანი თუ ორენოვანი სწავლების მოდელი? ზოგი სპეციალისტი მხარს უჭერს საკვირაო სკოლებში ორენოვან სწავლებას;

სწავლების საწყის ეტაპზე უმჯობესი ხომ არ იქნება სიმღერით სწავლება?

ინტერნეტსწავლების აქტუალურობიდან გამომდინარე, ინტერაქტიული ვებგვერდების შექმნის აუცილებლობა;

სხვადასხვა ქვეყანაში ქართული ენის სწავლების კოორდინირება თბილისიდან (რომ მოხდეს გამოცდილების ინტენსიური გაზიარება) და სხვ.

კონკრეტულად ჩვენს საკონფერენციო მოხსენებაში აღვნიშნეთ, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია, შეიქმნას ისეთი ახალი სახელმძღვანელო, რომელშიც:

წარმოჩენილი იქნება ქართული ენის ზმნის თავისებურებები (გვერდი არ აევლება ფორმათა სიმრავლეს); ახლებურად ჩამოყალიბდება ზმნური ფორმაწარმოების წესები და თანდათანობით მიეწოდება მოსწავლეს; ზოგადად, გათვალისწინებული იქნება ქართული ენის ბუნება;

ქართული ენის სახელის პარადიგმაში გამიჯნული იქნება ცალკე მდგომი თანდებულები და ბრუნვის ნიშანთან შერწყმული “თანდებულები”;

სასწავლი მასალა და პრაქტიკული სამუშაოები ორიენტირებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებსა და სწავლების ახალ მეთოდებზე; ლექსიკა და ფრაზეოლოგია დამუშავდება ინტერნეტრესურსების საფუძველზე;

ყველა სასწავლო ტექსტი მოსწავლეს მიეწოდება ვიდეოდიალოგის სახითაც და სხვ.

ასეთი ახალი სახელმძღვანელოს შექმნის მიზნით, ჩვენ, ბ-ნ ზაზა ბალდავაძესთან ერთად შევქმნით “**ქართველთა დედაენის საერთაშორისო ფონდი**”, რომლის მიზანია ჯერ ერთენოვანი სახელმძღვანელოს, შემდეგ კი მის ბაზაზე ოთხი (ქართულ-თურქული, ქართულ-რუსული, ქართულ-სპარსული, ქართულ-ინგლისური) ორენოვანი სახელმძღვანელოს შექმნა: ახალი ორენოვანი სახელმძღვანელო უნდა აღაპტირდეს იმ სახელმწიფოს ენისა და კულტურის მიხედვით, სადაც მოცემული ჯგუფის ქართველები ცხოვრობენ. სახელმძღვანელოები ორიენტირებული იქნება საერთაშორისო სტანდარტებზე; იგულისხმება სწავლების ორი ძირითადი დონე:

A - ენის ელემენტარული ფლობა,

B - მომხმარებლის დონეზე ენის კარგი ფლობა.

თითოეულ მათგანში ორ-ორი ქვედონე გამოიყოფა:

A1 - გასაღები; **A2** - საფუძველი; **B1** - ზღვრული; **B2** - ზღვრული განვითარებული.

მესამე - **C** დონე - სპეციალისტის დონეზე ენის თავისუფალი ფლობა (**C1** - მაღალი; **C2** - სრულყოფილი) უმაღლესი სასწავლებლის კომპეტენციაა.

შედრ., თითოეული დონის სახელმძღვანელოს კომპეტენციები (ძირითადი სქემა მოამზადა ქმარისა მარიამ ამარავა; ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენ მიერ ტრანსფორმირებულ ვარიანტს¹):

A1 დონე:

მოსმენა: მოსწავლეს შეუძლია ნასწავლი სიტყვებისა და მარტივი ფრაზების გაგება; თანხმოვანთა სამეულებში ასხვავებს მკვეთრ ხშულებსა და შესაბამისი ლოკალური რიგის ყრუ ფშვინვიერებს. შეუძლია გაარჩიოს კბილბაგისმიერი ვ და და წყვილბაგისმიერი ვ.

კითხვა: მოსწავლეს შესწავლილი აქვს ყველა ასონიშანი, შესაბამისად, თავისუფლად შეუძლია კითხვა.

ლაპარაკი: მსმენელს შეუძლია ნასწავლი სიტყვებისა და მარტივი ფრაზების გამოყენება ყოფითი საჭიროებების მიხედვით (ელემენტალური კომუნიკაცია); წარმოთქვამს ყ-ს; ცდილობს, სწორად წარმოთქვას

¹მ. ოძელი, ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ... (ამას დავაზუსტებ!).

თანხმოვანთკომპლექსები. საუბრისას შეუძლია გამოიყენოს ამ დონით გათვალისწინებული ზმნების პირის ფორმები აწმყოსა და წარსულ დროში.

წერა: მსმენელი წერს ყველა ასოს; ნელი კარნახის შემთხვევაში შეუძლია ჩაწეროს ტექსტი.

A2 დონე:

მოსმენა: მსმენელს შეუძლია ამ დონეზე ნასწავლი სიტყვებისა და წინადადებების გაგება;

კითხვა: მსმენელს შეუძლია აღაპტირებული ტექსტის კითხვა და გააზრება;

ლაპარაკი: მსმენელს შეუძლია ნასწავლი სიტყვებისა და მარტივი წინადადებებით საკუთარი თავის წარდგენა და თემატურ საუბრებში (აეროპორტი, სადგური, ბაზარი, მაღაზია, პროფესია, გეოგრაფია...) მონაწილეობა; საკუთარი გარემოს მარტივი ასპექტებისა და მარტივი საჭიროებების გადმოცემა. ძირითადად სწორად წარმოთქვამს თანხმოვანთკომპლექსებს. საუბრისას შეუძლია, გამოიყენოს ამ დონით გათვალისწინებული ზმნების ძირითადი მწკრივების ფორმები შესაბამისი პირის ფორმების ჩათვლით.

წერა: კარნახით შეუძლია ყველა სახის ტექსტის ჩაწერა; შეუძლია მცირეოდენი შეცდომებით დაწეროს საკუთარი მარტივი ტექსტები ნაცნობი თემების გარშემო.

B1 დონე:

მოსმენა: შეუძლია ძირითადი საკითხების შესახებ სხვისი საუბრის გაგება ნაცნობი თემატიკის ირგვლივ, როგორებიცაა: სამუშაო, სკოლა, თავისუფალი დრო და სხვ.

კითხვა: კითხულობს მხატვრულ ლიტერატურას; ტექსტს საკუთარი პროფესიის მიხედვით;

ლაპარაკი: შეუძლია ძირითადი საკომუნიკაციო სიტუაციების დაძლევა და კონკრეტული გამოცდილების, ოცნებების, იმედებისა და ამბიციების გაზიარება მათი მარტივი დასაბუთებით. სწორად წარმოთქვამს თანხმოვანთკომპლექსებს. საუბრისას შეუძლია გამოიყენოს ამ დონით გათვალისწინებული ზმნების ყველა მწკრივის ფორმები შესაბამისი პირის ფორმების ჩათვლით.

წერა: შეუძლია მინიმალური გრამატიკული და ლექსიკურ-სტილისტური შეცდომებით დაწეროს ტექსტი ნაცნობი თემების გარშემო.

B2 დონე:

მოსმენა: შეუძლია მოსმენით გაიგოს სხვადასხვა თემებზე შედგენილი კომპლექსური ტექსტების დედააზრი, მათ შორის - საკუთარი სპეციალობის ირგვლივაც;

კითხვა: შეუძლია კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე შედგენილი კომპლექსური ტექსტების წაკითხვა და გააზრება;

ლაპარაკი: შეუძლია ენის მატარებელთან სპონტანური დაუგეგმვი ინტერაქცია ენის შეუფერხებელი ფლობის გარკვეული ხარისხით; შეუძლია გარკვევით, დეტალურად ილაპარაკოს მთელ რიგ საკითხებზე დადებითი და უარყოფითი მხარეების მიმოხილვით. საუბრისას შეუძლია გამოიყენოს

ამ დონით გათვალისწინებული ზმნების ძირითადი ყალიბების ყველა მწკრივის ფორმები შესაბამისი პირის ფორმების ჩათვლით.

წერა: შეუძლია სხვადასხვა თემებზე მინიმალური გრამატიკული შეცდომებით დაწეროს კომპლექსური ტექსტები.

დასასრულს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ:

საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთათვის დედაენის სწავლება ენობრივ-ეთნიკური იდენტობის შენარჩუნების ერთადერთი გზაა; რეალურად არსებობს სერიოზული შესაძლებლობა, ქართული წარმომავლობის მრავალმა პიროვნებამ - სხვა ქვეყნების ბევრმა მოქალაქემ - დაიბრუნოს ენობრივ-ეთნიკური იდენტობა: მათ ქართული ენის შესწავლის პრაქტიკული საჭიროება შეიძლება არ აქვთ, მაგრამ დედაენის შესწავლა და მისი საშუალებით მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო კულტურის გაცნობიერება დიდ ღირსებას შექმატებს მათ მეობას.

საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის სერიოზულად თუ არ დაიგეგმება ქართული ენის სწავლება, უახლოეს მომავალში სრული ასიმილირება ელის მილიონობით ქართველს.

TARIEL PUTKARADZE
**TEACHING GEORGIAN LANGUAGE TO GEORGIANS LIVING
ABROAD AT PRESENT MOST NEW PROBLEMS**

Approximately four million Georgians living across the present day borders of Georgia nowadays. They can be represented in several groups:

Autochthon Georgians in Turkey and Azerbaijan (Tao-Klarjeti, Lazeti, Saingilo);
Descendants of Georgians deported in Iran (Phereidan, Ispahan) 400 years ago
Descendants of Georgian Muhajirs exiled in Turkey 150 years ago
Migrant Georgians left the country in 20s and 90s of 20th century.

From above mentioned Georgians first three groups should be analysed in one category; Preserving their mother tongue (teaching, functioning...) should be conducted by governments of the states where they belong as citizens; of course Georgian side should take part in organizing Georgian language teaching (guide books, teachers ...).

Defending linguistic rights for Georgians newly migrated in Europe, USA and Asia is the prerogative of receiving countries; first of all Georgia should be interested in teaching Georgian language to them.

According to present day data, there are many reasons why learning Georgian language is problematic for all four groups, due to this fact it the urgent problem for Georgia to publish modern guide book of Georgian language for millions of Georgians living in different states, which will consider the nature of Georgian language, in particular real paradigm of noun and verb existing nowadays. Besides, new guide book should be adapted to the language and culture where the given groups live. Besides publishing guide book, it's necessary to launch a strong web page for distance learning and plan the training for teachers.

For Georgians living abroad, teaching mother tongue is the only way to retain linguistic-ethnic identity; otherwise millions of Georgians face the threat of full assimilation in the nearest future.

Concerning legal status teaching Georgian abroad should be reviewed in several dimensions:

1. Teaching Georgian as mother tongue to autochthon Georgians living across the present day borders of Georgia nowadays (considering them as the representatives of diaspora won't be the precise qualification).

2. Teaching Georgian as mother tongue to descendants of Georgians also for descendants of Muhajirs exiled in Iran long time ago; particularly in Pereidan, Mazandaran, Pars, Ispahan and Khuzistan, also in middle Turkey (Adapazar, Bursa-Inegol, Amasia, Samsun-Patsa, Gonen, Ankara, Istanbul ...).

Teaching Georgian as a mother tongue to the representatives of new diasporas. Receiving country has no liability to teach mother tongue (USA, Greece, France ...), however for Georgians included in first and second groups - Autochthon Georgians and Muhajir descendants , or Georgians deported in Iran 400 hundred years ago - according to international standards relevant states have certain responsibility to teach Georgian language.

ლანართი 1

კითხვარი ქართველთა დიასპორული ორგანიზაციებისათვის

- კითხვარის შემვსების სახელი და გვარი -----
- კითხვარის შემვსების თანამდებობა დიასპორულ ორგანიზაციაში -----
- დიასპორული ორგანიზაციის მასპინძელი ქვეყნის დასახელება -----
- დიასპორული ორგანიზაციის იურიდიული დასახელება, მისამართი, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი-----
- დიასპორული ორგანიზაციის საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი-----
- დიასპორული ორგანიზაციის რეგისტრირებულ წევრთა რაოდენობა-----
- დიასპორული ორგანიზაციის ფაქტობრივ წევრთა რაოდენობა-----
- დიასპორული ორგანიზაციის მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენა/ენები----
- ზოგადი ინფორმაცია დიასპორულ ორგანიზაციასთან არსებული სკოლებისა და მასპინძელ ქვეყანაში არსებული სხვა ქართული სკოლების შესახებ (თუკი რომელიმე საკითხის შესახებ ინფორმაციას არ ფლობთ, დაწერეთ ტირე).

სკოლის დასახელება	სკოლის სტატუსი საკვირაო, კერძო, სახელმწიფო/ მისამართი, ელფოსტა	სკოლაში საკონტაქტო პირის სახელი, გვარი, ელფოსტა, ტელეფონი

- კონკრეტული ინფორმაცია დიასპორულ ორგანიზაციასთან არსებული სკოლის შესახებ (თუკი რომელიმე საკითხის შესახებ ინფორმაციას არ ფლობთ, დაწერეთ ტირე).

შენიშვნა: თუკი დიასპორასთან არსებობს ერთზე მეტი სკოლა, ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი დაკობირეთ, აქვე ჩასვით და შეავსეთ.

სკოლის სრული დასახელება:		
სკოლის მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა		
სკოლის სამართლებრივი სტატუსი		
სკოლის საკონტაქტო პირის სახელი და გვარი, ტელეფონი, ელფოსტა		
სკოლის ფართი		
ქართული ენის მასწავლებელთა რაოდენობა		
ქართული ენის მასწავლებელთა განათლება		
ქართული ენის მასწავლებელთა ხელფასის წყარო		
სკოლაში ქართული ენის მსმენელთა რაოდენობა		
ქართული ენის მსმენელთა ასაკი		
ქართული ენის მსმენელთა ისტორიული დედაენა		
ქართული ენის მსმენელთა სალაპარაკო ენა		
სკოლაში გამოყენებული სახელმ- ძლვანელოები (სახელმძღვანელოს დასა- ხელება, აგტორი, გამოცემის წელი, გამომცემლობა)		
სკოლაში გამოყენებული ძირითადი სახელმძღვანელოს სულ მცირე სამი ღირსება		
სკოლაში გამოყენებული ძირითადი სახელმძღვანელოს სულ მცირე სამი ნაკლი		

11. ქართული ენის სწავლის მსურველნი, რომლებიც დიასპორულ
ორგანიზაციისთან არსებულ სკოლაში არ დადიან (ანდა, თუკი ასეთი სკოლა
არ არსებოს), სად სწავლობენ ქართულ ენას? (თითოეულ პასუხს მიუწერეთ
მიახლოებითი პროცენტული მაჩვენებელი; საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ
სხვა პასუხი):

- ქართულენოვან ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაში
- კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ქართულენოვან სკოლაში
- მუსლიმანურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
- კერძო სკოლაში
- კერძო მასწავლებელთან
- მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო სკოლაში (როგორც არჩევით ენას)
- სახლში ინტერაქტიული ვებგვერდის საშუალებით
- სახლში სტატიკური ვებგვერდის საშუალებით
- სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებით

- სახლში დამოუკიდებლად (მშობლების დახმარებით)
- არსად!
- _____
12. თქვენს მასპინძელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველები სად სწავლობენ ქართულ ენას? (თითოეულ პასუხს მიუწერეთ მიახლოებითი პროცენტული მაჩვენებელი; საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სხვა პასუხი):
 - დიასპორულ ორგანიზაციისთან არსებულ სკოლაში
 - ქართულენოვან მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაში
 - კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ქართულენოვან სკოლაში
 - მუსლიმანურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
 - სხვა რელიგიურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
 - კერძო სკოლაში
 - კერძო მასწავლებელთან
 - მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო სკოლაში (როგორც არჩევით ენას)
 - სახლში ინტერაქტიული ვებგვერდის საშუალებით
 - სახლში სტატიკური ვებგვერდის საშუალებით
 - სხვადასხვა ინტერნეტ რესურსებით
 - სახლში დამოუკიდებლად (მშობლების დახმარებით)
 - არსად!
- _____
13. დაასახელეთ სამი (ან მეტი) პრობლემა, რომელიც, თქვენი აზრით, ხელს უშლის ქართული ენის სწავლებას საქართველოს ფარგლებს გარეთ

14. კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) _____

დანართი 2**კითხვარი****საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული ენის მასწავლებლისათვის**

1. თქვენი სახელი და გვარი _____
2. თქვენი მასპინძელი ქვეყნის დასახელება _____
3. მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენ(ებ)ის დასახელება _____
4. თქვენი განათლება _____
(დასახელეთ უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დაამთავრეთ)
5. თქვენი სპეციალობა (მიუთითოთ თქვენი სპეციალობა/სპეციალობები ან კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები) _____
6. თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია _____
(მიუთითოთ თქვენი ტელეფონი და ელფონსტა)
7. რამდენი წელია ასწავლით ქართულ ენას? _____
8. რამდენი წელია ასწავლით ქართულ ენას მასპინძელ ქვეყანაში? _____
9. სად ასწავლით ქართულ ენას? _____
(შეგიძლიათ ხაზი გაუსვათ რამდენიმე პასუხს. საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სხვა პასუხი) დიასპორულ ორგანიზაციასთან არსებულ სკოლაში
• ქართულენოვან მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაში
• კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ქართულენოვან სკოლაში
• მუსლიმანურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
• სხვა რელიგიურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
• კერძო სკოლაში
• ოჯახში, როგორც კერძო მასწავლებელი
• მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო სკოლაში (როგორც არჩევით ენას)
• არსად!
10. საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული ენის მასწავლებლის შემოსავლის წყარო (მიუთითოთ თქვენი, როგორც ქართული ენის მასწავლებლის ხელფასის წყარო. საჭიროებისას, შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი. საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სხვა პასუხი)
• მოსწავლეების შენატანი
• დიასპორული ორგანიზაციის დაფინანსება
• სხვა (მიუთითოთ)
11. რამდენ ადამიანს ასწავლით ქართულ ენას ამჟამად? _____
12. ქართული ენის სწავლებისას რომელ სახელმძღვანელო(ებ)ს იყენებთ?
(ზუსტად მიუთითოთ თქვენ მიერ გამოყენებული ქართული ენის სახელმძღვანელო(ები)ს შესახებ ინფორმაცია)

#	სახელმძღვანელოს დასახელება	სახელ.ავტორ(ებ)ი	გამოცემის წელი	გამომცემლობა

13. დაასახელეთ თქვენ მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოს სულ მცირე 3 ლირსება (თუკი თქვენ იყენებთ ერთზე მეტ სახელმძღვანელოს, მიუთითეთ თითოეული მათგანის სულ მცირე 3 ლირსება).

14. დაასახელეთ თქვენ მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოს სულ მცირე 3 ნაკლი (თუკი თქვენ იყენებთ ერთზე მეტ სახელმძღვანელოს, მიუთითეთ თითოეული მათგანის სულ მცირე 3 ნაკლი).

15. რა სახის დამხმარე მასალას იყენებთ ქართული ენის სწავლებისას?
(შეგიძლიათ ხაზი გაუსვათ რამდენიმე პასუხს)

- ნაბეჭდი მასალები
- ელექტრონული მასალები
- ვიდეო მასალები
- კომპიუტერული თამაში
- ტელევიზია
- სხვა (მიუთითეთ) _____
- დამხმარე მასალებს არ ვიყენებთ

16. მიუთითეთ დონე, რომლილანაც იწყებენ ქართული ენის სწავლას თქვენი მოსწავლეები (A1, A2, B1...) _____

17. მიუთითეთ დონე, რომლამდეც (A2, B1, B2, C1...) ასწავლით ქართულ ენას

18. სკოლის დასახელება და მისამართი (იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი), სადაც ასწავლით ქართულ ენას:

19. სკოლის იურიდიული სტატუსი _____

20. სკოლაში ქართული ენის მასწავლებელთა რაოდენობა _____

21. სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა რაოდენობა _____

22. სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა ასაკი _____

(მიუთითეთ საკვირაო სკოლის ყველა მსმენელის ასაკი)

23. სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა ისტორიული დედაქა _____

(შერეული ქორწინების შემთხვევაში - ორივე მშობლის ენა)

სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა ძირითადი სალაპარაკო ენა _____

24. ინფორმაცია სკოლის ფართის სტატუსის შესახებ

(ხაზი გაუსვით მხოლოდ ერთ პასუხს. თუკი ფართის საკუთრების ფორმის შემოთავაზებული ვარიანტებიდან არც ერთი ესადაგება თქვენი სკოლის პრაქტიკას შემოხაზეთ “სხვა” და მის გასწვრივ ხაზში ჩაწერეთ საკუთრების ფორმა)

- სკოლას აქვს საკუთარი ფართი მუდმივ სარგებლობაში
- სკოლას აქვს საკუთარი ფართი ხანგრძლივი ვადით სარგებლობაში
- სკოლას აქვს საკუთარი ფართი ხანმოკლე ვადით სარგებლობაში
- გაკვეთილებისთვის ფართს გვითმობს დიასპორული ორგანიზაცია
- გაკვეთილებისთვის ფართს ვქირაობთ

- გაქვეთილებს ვატარებთ სახლში
 - სხვა (მიუთითეთ) _____
25. საკვირაო სკოლის ფართი _____ კვ. მ²
(მიუთითეთ სკოლის ის ფართი, რომელიც ჩეალურად გამოიყენება)
26. საკვირაო სკოლის სამუშაო პირობები
- ძალიან კარგი
 - კარგი
 - ღამაკმაყოფილებელი
 - ცუდი
 - ძალიან ცუდი
27. კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) _____

დანართი 3

**კითხვარი
საზღვარგარეთ ქართული ენის შემსწავლელისათვის**

1. თქვენი სახელი და გვარი _____
2. თქვენი ასაკი _____
3. თქვენი მასპინძელი ქვეყნის დასახელება _____
4. მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენ(ებ)ის დასახელება _____
5. თქვენი განათლება _____
6. თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია (მიუთითეთ თქვენი ტელეფონი და ელფოსტა)
7. რამდენი წელია სწავლობთ ქართულ ენას? _____
8. რა დონეზე იცით ქართული ენა? (ზაზი გაუსვით ერთ-ერთ პასუხს)?
 - ძალიან კარგად
 - კარგად
 - დამაკმაყოფილებლად
 - არადამაკმაყოფილებლად
9. სად სწავლობთ ქართულ ენას? (შეგიძლიათ ხაზი გაუსვათ რამდენიმე პასუხს. საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სხვა პასუხი)
 - დიასპორულ ორგანიზაციასთან არსებულ სკოლაში
 - ქართულენოვან მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაში
 - კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ქართულენოვან სკოლაში
 - მუსლიმანურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
 - სხვა რელიგიურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
 - კერძო სკოლაში
 - ოჯახში კერძო მასწავლებელთან
10. ქართული ენის სწავლისას რომელ სახელმძღვანელო(ებ)ს იყენებთ?
(ზუსტად მიუთითეთ თქვენ მიერ გამოყენებული ქართული ენის სახელმძღვანელო(ები)ს შესახებ ინფორმაცია).

#	სახელმძღვანელოს დასახელება	სახელმძღვანელოს ავტორ(ები)ი	გამოცემის წელი	გამომცემლობა

11. დაასახელეთ თქვენ მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოს სულ მცირე 3 ლირსება (თუკი თქვენ იყენებთ ერთზე შეტ სახელმძღვანელოს, მიუთითეთ თითოეული მათგანის სულ მცირე 3 ლირსება).

12. დაასახელეთ თქვენ მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოს სულ მცირე 3 ნაკლი (თუკი თქვენ იყენებთ ერთზე შეტ სახელმძღვანელოს, მიუთითეთ თითოეული მათგანის სულ მცირე 3 ნაკლი).

13. რა სახის დამხმარე მასალას იყენებთ ქართული ენის სწავლებისას?
(შეგიძლიათ ხაზი გაუსვათ რამდენიმე პასუხს)

- ნაბეჭდი მასალები
- ელექტრონული მასალები
- ვიდეო მასალები
- კომპიუტერული თამაში
- ტელევიზია
- სხვა (მიუთითეთ) _____
- დამხმარე მასალებს არ ვიყენებთ

14. მიუთითეთ დონე, რომლიდანაც დაიწყეთ სწავლა: A1, A2, B1... ანდა:

- არ ვიცოდი საერთოდ
- ვიცოდი არადამაკმაყოფილებლად
- ვიცოდი დამაკმაყოფილებლად

15. სკოლის დასახელება და მისამართი (იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი), სადაც სწავლობთ ქართულ ენას:

16. თქვენი ისტორიული დედაენა _____
(შერეული ქორწინების შემთხვევაში - ორივე მშობლის ენა)

17. თქვენი ძირითადი სალაპარაკო ენა _____

18. რა ენაზე საუბრობთ ოჯახში? _____

19. რა სიხშირით გიწევთ ქართული ენის გამოყენება?
(ხაზი გაუსვით მხოლოდ ერთ პასუხს)

- ძირითად ქართულს ვიყენებ
- ყოველდღე
- კვირაში რამდენჯერმე
- იშვიათად

20. თქვენს ოჯახში, თქვენ გარდა კიდევ ვინ იცის ქართული?

21. სკოლის სამუშაო პირობები.

- ძალიან კარგი
- კარგი
- დამაკმაყოფილებელი
- ცუდი
- ძალიან ცუდი

22. კითხვარის შეგსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) ——————

დანართი 4:

**კითხვარი
საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველისათვის**

1. თქვენი სახელი და გვარი _____
2. თქვენი მასპინძელი ქვეყნის დასახელება _____
3. მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო ენ(ებ)ის დასახელება _____
4. თქვენი განათლება _____
(დაასახელეთ უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც დაამთავრეთ)
5. თქვენი სპეციალობა _____
(მიუთითეთ თქვენი სპეციალობა/სპეციალობები ან კვალიფიკაცია/კვალიფიკირები)
6. თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია _____
(მიუთითეთ თქვენი ტელეფონი და ელფოსტა)
7. გსურთ თუ არა, თქვენმა შვილმა (შვილიშვილმა, ახლობელმა) ისწავლოს ქართული ენა?
(ხაზი გაისვით ერთ-ერთ პასუხს)
 - რა თქმა უნდა
 - არ ვიცი
 - არა
 - კარგი იქნებოდა, მაგრამ მასწავლებელი არ არის
 - კარგი იქნებოდა, მაგრამ ამის საშუალება არ მაქვს
8. სად გსურთ, რომ ასწავლოთ ქართული თქვენს შვილს (შვილიშვილს, ახლობელს)?
(შეგიძლიათ ხაზი გაუსვათ ერთ-ერთ პასუხს. საჭიროების შემთხვევაში, დაამატეთ სხვა პასუხი)
 - საქართველოში
 - დიასპორულ ორგანიზაციისთან არსებულ სკოლაში
 - ქართულენოვან მართლმადიდებლურ ეკლესიასთან არსებულ საკვირაო სკოლაში
 - კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ ქართულენოვან სკოლაში
 - მუსლიმანურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
 - სხვა რელიგიურ სამლოცველოსთან არსებულ სკოლაში
 - კერძო სკოლაში
 - ოჯახში კერძო მასწავლებელთან
 - მასპინძელი ქვეყნის სახელმწიფო სკოლაში (როგორც არჩევით ენას)
 - არსად!
9. ფინანსურად რამდენად მძიმეა თქვენი შვილისათვის (ახლობლისათვის)
ქართული ენის სწავლება?
 - არ არის მძიმე
 - პრობლემურია
 - სხვა (მიუთითეთ)
10. ქართული ენის სწავლებისას რომელ სახელმძღვანელო(ებ)ს იყენებს თქვენი შვილის (ახლობლის) მასწავლებელი?

(ზუსტად მიუთითეთ ქართული ენის სახელმძღვანელო(ები)ს შესახებ ინფორმაცია)

#	სახელმძღვანელოს დასახელება	სახელმძღვანელოს ავტორ(ები)	გამოცემის წელი	გამომცემლობა

11. დაასახელეთ სახელმძღვანელოს სულ მცირე 3 ლიტება.
12. დაასახელეთ სახელმძღვანელოს სულ მცირე 3 ნაკლი.
13. მიუთითეთ დონე, რომლიდანაც დაიწყო თქვენმა შვილმა (ახლობელმა)
ქართული ენის სწავლა (A1, A2, B1...)
14. სკოლის დასახელება და მისამართი (იურიდიული მისამართი, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონი), სადაც ასწავლიან ქართულ ენას
15. სკოლის იურიდიული სტატუსი
16. სკოლაში ქართული ენის მასწავლებელთა რაოდენობა
17. სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა რაოდენობა
18. სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა ისტორიული დედაენა
(შერეული ქორწინების შემთხვევაში - ორივე მშობლის ენა)
19. სკოლაში ქართული ენის შემსწავლელთა ძირითადი სალაპარაკო ენა
20. სამუშაო პირობები
 - ძალიან კარგი
 - კარგი
 - დამაკმაყოფილებელი
 - ცუდი
 - ძალიან ცუდი
21. კითხვარის შევსების თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

მაია ქუქჩიშვილი

**ქართული საგანგანათლებლო სკოლები ათენში
(XX ს-ის დასასრული და XXI ს-ის დასაწყისი)**

საბერძნეთი გასულ საუკუნეში ევროპის ქვეყნებიდან ერთ-ერთი ადვილად მისაწვდომი იყო ქართული ემიგრაციისთვის. ემიგრაცია ქართველთათვის ზოგჯერ პოლიტიკური, უმთავრესად კი ეკონომიკური, პრობლემებით იყო გამოწვეული. დღესდღობით, არაოფიციალური მონაცემებით, საბერძნეთის რესპუბლიკაში დაახლოებით 200 000 საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს. ძირითადად, ისინი შრომითი მიგრანტები არიან, რომელთა უმრავლესობა ქ. ათენში, ქ. თესალონიკში, ქ. ნავპლიოსა და კუნძულ კრეტაზე ცხოვრობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან საბერძნეთში 100 000-მდე ეთნიკური ბერძენი გადავიდა საცხოვრებლად.

საბერძნეთში ჩვენი თანამემამულების მიერ დაარსებული ქართული დიასპორული გაერთიანებები სხვადასხვა ფორმით ფუნქციონირებს. დიასპორული ორგანიზაციების მიზანია იქ მცხოვრები ქართველების შეკავშირება, მომავალ თაობაში ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება და ქართული კულტურის პოპულარიზაცია. ასევე, ქართველი ემიგრანტების ინტეგრაციის ხელშეწყობა ბერძნულ საზოგადოებაში.

ქ. ათენში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე ნაყოფიერად ფუნქციონირებს შუა საუკუნეების შემდეგ ქრონოლოგიურად პირველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა “ათენის ქართული ინსტიტუტი”, რომელიც 1997 წელს თბილისის ი. ჭავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით დაარსდა. ამით საბერძნეთის დედაქალაქში, რამდენიმეწლიანი მოსამაზნებელი ბერძოლის შემდეგ, საფუძველი ჩაეყარა ათენის ქართულ-ბერძნულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, რომლის დამაარსებელი გახლავთ ცნობილი ელინისტი, პროფესორი ავთანდილ მიქაბერიძე.

ათენის ქართული ინსტიტუტის ძალისხმევით, რომელიც, ფაქტობრივად, ერთადერთ ოფიციალურად რეგისტრირებულ, ქართულ სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს უცხოეთში და კერძოდ, ევროკავშირში, ხორციელდება ქართული მეცნიერებისა და კულტურის მიღწევათა პრობაგანდა საბერძნეთში, ისტორიულად ჩვენთვის ყველაზე ახლობელ ქვეყანასთან (კვიპროსთან ერთად, ევროკავშირის ერთადერთი მართლმადიდებელი სახელმწიფო), მისი მეშვეობით კი — სამეცნიერო და კულტურული კავშირები ევროპის სხვა სახელმწიფოებთან.

ბატონი ავთანდილ მიქაბერიძის ინიციატივით, 2005 წლიდან ჩამოყალიბდა კიდევ უფრო ფართო პროფილის მქონე მეორე კულტურულ-საგანმანათლებლო კერა — ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი “კავკასია”, რომელიც აქტიურად ჩადგა ქართული დიასპორის სამსახურში და რომლის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო რამდენიმე სასწავლო-საგანმანათლებლო,

სპორტულ-კულტურულმა და სოციალური მიმართულების განყოფილებაში: ბერძნულ-ქართული თავისუფალი უნივერსიტეტი, ათენის ქართული ბიბლიოთეკა, ქართულენვანი რადიო „ივერია“-ს რედაქტორი, ათენის ჭანმრთელობის ცენტრი, საფეხბურთო კლუბი F.C. CAUCASUS, კომპიუტერული ტექნოლოგიების შესწავლა. ცენტრში ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაცია — ბერძნულ-ქართული ასოციაცია „დიოსკურია“ - „დიალოგისა და მშეიდობის აფხაზეთი“ და რამდენიმე სასწავლო-შემოქმედებითი სტუდია და კაბინეტი:

1. წმ. ნინოს სახელობის ქართული პოლიტიკური მუსიკის გუნდი თავისი სასწავლო სტუდიებით (ქართული ფოლკლორი, საეკლესიო, კლასიკური და საესტრადო მუსიკა; ფორტეპიანო, გიტარა, ფანდური, სალამური და სხვა ხალხური ინსტრუმენტები).

2. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვების ანსამბლი - „კავკასია“ თავისი სტუდიებით, მათ შორის, თანამედროვე ევროპული და ლათინო-ამერიკული ცეკვების სტუდია.

3. ათენის საკვირაო სკოლა, სადაც მიმდინარეობს მეცანიერებები ქართული ენის, ისტორიისა და კულტურის, წერა-კითხვის, ლიტერატურული მეტყველებისა და ზოგადი უნარ-ჩვევების.

4. უცხო ენების შემსწავლელი კურსები ბერძნულში, ინგლისურში, ფრანგულში, უკრაინულში, რუსულსა და არაბულში.

განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია“ მუდმივად მასპინძლობს უფასო სამედიცინო დახმარებას საბერძნეთის ქართული დიასპორისთვის.

ასევე, ცენტრი მასპინძლობს რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორიცაა „ვეფხისტყაოსნის“ მეგობართა საერთაშორისო ასოციაცია, ფონდი რუსთაველი; საერთაშორისო ორგანიზაცია „საბერძნეთის ემიგრანტთა ფორუმის“ ახალგაზრდული ცენტრი; „მსოფლიო ფილოსოფიური ფორუმის“ წარმომადგენლობა ათენში; „საქართველოს ოლიმპიელთა კლუბის“ წარმომადგენლობა ათენში.

ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრი „კავკასია“ მიჩნეულია საბერძნეთის უცხოელ დიასპორულ ორგანიზაციებს შორის სანიმუშო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებად, სადაც სწავლობს 150-მდე მოსწავლე და დასაქმებულია 25-მდე ქართველი ემიგრანტი.

ათენის ვახტანგ მეექვის სახელობის ქართული საკვირაო სკოლა 2004 წლის 26 მაისს დაარსდა, მაშინდელი ელჩის, ზეიად ჭუმბურიძის თაოსნობით. ეს გახლდათ ათენის ქართველთა სათვისტომოს ბაზაზე შექმნილი სკოლა.

სათვისტომოს საინიციატივო ჯგუფისა და ელჩის თანხმობით, სკოლის ხელმძღვანელად დაინიშნა ქალბატონი დარეჯან ლამბაშიძე. წინა სათვისტომოს დაშლის შემდეგ, ქალბატონმა დარეჯანმა დაათურდნა სათვისტომო „იბერია“, რომლის შემადგენლობაშიც შევიდა საკვირაო სკოლა და რეწვის შემსწავლელი სკოლა. 2004 წლიდან დღემდე 350-ზე მეტ ბავშვს ასწავლეს ქართულად წერა-კითხვა, შექმნეს კლას-კომბინექტები, პირველ წლებში სკოლაში 165 მოსწავლე ჩაიწერა. ეს სკოლა იყო გერმანიისა და ინგლისის შემდეგ მესამე ქართული საკვირაო სკოლა ქართულ ემიგრაციაში.

სწავლა დედაქის ერთადერთი წიგნით დაიწყეს, აქსეროქსებდნენ და ისე ასწავლიდნენ ბავშვებს. ახალი გამოწვევებისათვის პედაგოგებმა დაიწყეს ყოველკირეული ერთსაათიანი პრეზენტაციები - სწავლა-სწავლების შესახებ, რითაც კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამას. დიასპორის სამინისტროს დახმარებით, გაიარეს კონსულტაციები თბილისში, ასევე, პედაგოგებმა ტესტირების შემდეგ, მიიღეს სერთიფიკატი. როგორც სკოლის დირექტორი ბრძანებს, მოაწყეს პედაგოგთა ფორუმი, სადაც საუბარი ჰქონდათ საქართველოდან მიგრირებულ სწავლაშეწყვეტილ უფროსკლასელებზე, რომლებმაც უსაბუთობის გამო, ვერ მოახერხეს მიმღებ ქვეყანაში სწავლის გაგრძელება. ეს ბავშვები რჩებოდნენ სკოლებსა და სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიღმა. სკოლამ შეძლო კერძო “ჰუმანიტარულ კოლექტან” თანამშრომლობა, რეკომენდაცია გაუწია და გააფორმა ხელშეკრულება ასეთი მოზარდების იქ მოსახვედრად. ასევე, საქართველოდან ათენში სასწავლებლად რეკომენდაცია გასწია ქართველი ახალგაზრდებისათვის.

2013 წლის ნოემბერში გაიმართა ათენში დროებით მყოფი “პედაგოგების ფორუმი”, სადაც სკოლის დირექტორის ინიციატივით, შეთავაზებულ იქნა რეპეტიტორობა გაეწიათ ასაკის განუსხვავებლად იმ ქართველი ბავშვებისათვის, ვინც ათენში დაიბადა და საერთოდ არ იცოდა ქართული. საკვირაო სკოლის პედაგოგებმა 2013 წელს შექმნეს “მცირე მეცნიერული კვლევები”. სადაც, თითოეულ ბავშვზე დაკვირვებისას, მოიძებნა ენის ფლობის სხვადასხვა დონე და შეიმუშავეს სასწავლო სტრატეგია.

2009 წელს მოაწყვეს პირველი თბილისობა ათენში, საახალწლო ლონისძიებები, დედაქის დღისადმი მიძღვნილი ლონისძიებები; სხვადასხვა წლებში უმასპინძლეს ევროპის ქართული დიასპორების ფესტივალს. სკოლამ ბევრი საინტერესო საქველმოქმედო ლონისძიება ჩაატარა: მათ შორის, სახალხო დიპლომატიის თვალსაზრისით, ბერძნულ-რუსულ-ქართული ფორუმი 2014 წლის 29 დეკემბერს, “მობილ აირ ტურის” ბერძნული კომპანია და მაშინდელი ელჩის დავით ბაქრაძის მეუღლის, ანა მაცუკაშვილის მხარდაჭერით. ლონისძიებაზე საელჩომ საახალწლო საჩუქრები გადასცა ბავშვებს, შემოსული თანხა კი საბერძნეთის ობოლ ბავშვთა სახლის ფონდში გადაირიცხა. იგრეთვე, მცირეოდენი წვლილით, რომელიც სკოლამ შეაგროვა, მონაწილეობა მიიღეს მახათას მთაზე სამების ეკლესიის მშენებლობაში.

სკოლაში გამოსცეს გაზეთი “პატარა ემიგრანტები”, ასევე, დაიწერა წიგნი საკვირაო სკოლის იუბილესთან დაკავშირებით, პირველი გამოცემის შემდგენელი - სკოლის დირექტორი, დარეჯან ლამბაშიძე, რედაქტორი - ანა ყურშავიშვილი, გაზეთ “ელადას” რედაქტორი.

შექმნეს პროექტები - “ემიგრანტთა კავშირი სამშობლოში”, “მსოფლიო ქართველ ემიგრანტთა გაერთიანება”, რომლის განხილვაც სამი დღის მანძილზე მიმღინარეობდა თბილისში, 2014 წლის 23 მაისიდან 26 მაისამდე, მათ შორის, იუსტიციის სახლში, რომელსაც ესწრებოდნენ დიასპორის სამინისტროს წამომადგენლები და 13 ორგანიზაცია. პროგრამა ითვალისწინებდა “დიასპორის სახლის” შექმნას საქართველოში, რომელიც მოიცავდა დიასპორასთან ეფექტურ ურთიერთობას და დიასპორული ორგანიზაციების გაძლიერებას, დიასპორული ლობის შექმნას მიმღებ ქვეყანაში.

სასწავლო პროცესის გარდა, სკოლაში საქართველოდან უამრავ სტუმარს მასპინძლობენ - მთავრობის წარმომადგენლებს, მეცნიერებს, მკვლევრებს, მწერლებს, უურნალისტებს... სკოლა თანამშრომლობს ქვეყნის კულტურის მოლგაწეებთან, პარლამენტარებთან, აღოკატებთან. ქართული სიმღერის პოპულარიზაციის მიზნით, იწვევენ საქართველოდან ქართველ ცნობილ მომღერლებს.

სკოლას მიღებული აქვს უამრავი ჭილდო; ასევე, გაცემული აქვს სიგელები მეგობარ ორგანიზაციებზე. დიასპორის ყოფილმა მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ 2014 წელს ათი წლის იუბილარი სკოლა დააჯილდოვა საპატიო სიგელით, ხოლო ათენის პირების მუნიციპალიტეტმა კულტურის ფესტივალზე მონაწილეობისათვის სკოლის ანსამბლი „ნერგები“, რომელიც 2007 წელს დაფუძნდა, სამგზის სიგელით დააჯილდოვა. თბილისის ჰუმანიტარულმა კოლეჯმა აქროს მედალი გადასცა 2007 წელს.

2015 წელს შეიქმნა ათენის ქართული სახლი, რომლის შემადგენლობაში შედის ახლა სკოლა. სწავლობენ დიასპორისა და განათლების სამინისტროს მიერ მომზადებული სახელმძღვანელოებით; ასწავლიან, ასევე, იყობ გოგებაშვილის „დედაენით“; ღებულობენ მონაწილეობას სხვადასხვა დიასპორულ პროგრამაში. სკოლის ინიციატივით ეწყობა ქართველ მხატვართა გამოფენები, როგორც ხელთანავეთი ნიმუშების, ასევე სხვა.

დიასპორა ეხმარება სკოლას: ჩუქნიან წიგნებს, ღროშებს, რვეულებს, მუსიკალურ საკრავებსაც კი, რაც სკოლას სჭირდება და რაც დიასპორას შეუძლია; სკოლა მუშაობს მშობლების შემოწირულობებითა და საწევროებით, რომელიც იკრიბება ისევ ორგანიზაციის წევრებიდან, ანუ ისინი თვითდაფინანსებაზე არიან. სხვა შემოსავალი სკოლას არ აქვს.

სკოლა თანამშრომლობს „საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირთან“. მათი წარმომადგენელი, მწერალთა კავშირის წევრი ზაირა კელოშვილი, ხშირად სტუმრობს სკოლას. სულ მაღვე იგეგმება ერთობლივი ღონისძიება საბავშვო ანთოლოგიაზე, რომელიც მწერალთა კავშირმა გამოსცა.

როგორც სკოლის დირექტორი, ქალბატონი დარეგანი აღნიშნავს: „ჩვენ გვაქვს ისტორია, ცნობადობა, გამოცდილება. პედაგოგებს ყველას აქვთ სერთიფიკატი და ყველა პროფესიონალია. ასევე, სკოლის დამთავრებისას ბავშვი თუ საქართველოში ბრუნდება, ვაძლევთ ცნობას ან სერთიფიკატს, ვატანთ პირად საქმეს, სადაც ბავშვის მოელი წლების სასწავლო პროცესია აღნიშნული.

გვაქვს აღიარება აქაური მუნიციპალიტეტიდან, საეპისკოპოსოდან, განათლების სამინისტროდან, გამგეობიდან, ასევე საქართველოს დიასპორის სამინისტროდან. ჩვენგან წამოსული ბავშვი აუცილებლად გადადის მომდევნო კლასში. მოცემულ პროგრამას გავდივართ ბოლომდე. ბავშვები სწავლობენ მონდომებით და ხალისით“.

ამჟამად ხუთი მასწავლებელი უძლევება მეცანეობებს. ესენი არიან: თამარ აფციაური (14 წელია ასწავლის), მერი ზუკაკიშვილი, ელენე მეტრეველი, ლიკა ჯანელიძე, მარები გოგოლაძე, არჩილ ჩახვაშვილი წელს კუნძულზე გადავიდა. 15 მოსწავლე აქტიურად დადის მეცანეობებზე. მათ შორის ოთხი უკვე გაიზარდა, თუმცა 6 წლიდან დადიან ამ სკოლაში, ახლა არიან 15-16 წლის,

მაგრამ მაინც სწავლობენ ლიტერატურას, ისტორიას, გეოგრაფიასა და მეტყველებას.

სკოლას უკვე მეორე თაობის ემიგრანტი ბავშვები ჰყავს. სამი ბავშვი ერთი წლის ასაკიდან ამ სკოლაში არის, ახლა უკვე 14-15 წლისანი არიან და მაინც დადიან სკოლაში. ერთი ექსკლუზივი ბავშვი ჰყავთ, 18 წლის, სულ ამ სკოლაში გაიზარდა, მას არ ემის და ვერ ლაპარაკობს, ყრუ-მუნჯია, მხოლოდ სკოლის დირექტორთან თუ ახერხებს კომუნიკაციას.

მოსწავლეთა ასაკი, ფაქტობრივად, შეუზღუდვია, 5 წლიდან და ზევით, შეიძლება 18 წლის იყოს და არ იცოდეს ენა, ნებისმიერი მოქალაქეს შეუძლია ამ სკოლაში ისწავლოს ქართული.

ათენის ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების

ცენტრი „არმაზი“ საბერძნეთში, ქალაქ ათენში 2014 წელს დაარსდა. არმაზის დაარსების იდეა და სამომავლო საქმიანობა მოიაზრება სხვადასხვა მიმართულებით: საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სოციალური და სხვა, რაც გამოიხატება ორგანიზაციის ინიციატივების, იდეური მიმართულებების რეალიზებასა და თითოეული კუთხით პროფესიულ მუშაობაში. ორგანიზაციის მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ორი ქვეყნის, საქართველოსა და საბერძნეთს შორის მეგობრული ურთიერთობა, საბერძნეთში მცხოვრებ ქართველ მოქალაქთა მიმართ დადებითი დამკიდებულების შენარჩუნება, კულტურული კავშირები ქართული კულტურის პაბულარიზაციის და ქართველ ემიგრანტთა კულტურული საქმიანობის გაცნობის მიზნით. ამ მიზნით „არმაზი“ გაწევრიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. აქტიურად მონაწილეობს შემოთავაზებულ სხვადასხვა სახის ღონისძიებაში.

კულტურისა და განათლების ცენტრი „არმაზი“ მუშაობს შემდეგი მიმართულებით: ქართული ფოლკლორის სტუდია; ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები; ვოკალი; მუსიკა; სასწავლო პროგრამები: ქართული ენა და ლიტერატურა; საქართველოს ისტორია; ბერძნული ენა; ინგლისური ენა; საბავშვო ცენტრი (2-6 წლამდე) სკოლამდელი აღზრდა.

„არმაზის“ სააქტო დარბაზი დაარსების დღიდან მასპინძლობს და, შესაბამისად, ეხმარება როგორც ქართველ, ასევე ბერძნ შემოქმედ საზოგადოებას. იმართება გამოფენები, პრეზენტაციები და ა.შ.

ქართულ ორგანიზაციებთან თანამშომლობისა და მხარდაჭერის მიზნით, იმართება გაერთიანებული ღონისძიებები და ხორცილდება ღია პროექტები. „არმაზი“ წარმოდგენს დასაყრდენს იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთაც სამუშაო ბაზა არ გააჩნიათ.

„არმაზის“ ძირითად, შიდა საქმიანობას საწყის ეტაპად წარმოადგენს ქართული ემიგრაციის კულტურული განვითარების პროგრამა. ამ მიზნით შექმნილია სხვადასხვა საინიციატივო ჯგუფი. არმაზის ბაზაზე ჩამოყალიბდა ქართულენოვანი თეატრალური დასი, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს. შეიქმნა მხატვართა გაერთიანება, სადაც გაწევრიანებული არიან როგორც ქართველი, ასევე ბერძნი მხატვრები. სულ ახლახანს, 12 მარტს, არმაზის სააქტო დარბაზში გაიმართა ათენის ქართული ემიგრაციის წარმომადგენლების ხელთნაკეთი ნამუშევრებისა და ნახატების გამოფენა „ზელოვნება და ფანტაზია“.

ჩამოყალიბდა ლიტერატურისა და პოეზიის მოყვარულთა დასი, რომელიც აწევიანებს არა მნიშვნელოვან მოყვარულებს, არამედ თავად ემიგრანტ პოეტთა და მწერალთა ნაწილს.

შექმნილია საქველმოქმედო საინიციატივო ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, დახმარებას უწევს ქართულ და, ხშირ შემთხვევაში, ბერძნულ მშობელთა შზრუნველობას მოყლებულ ბავშვთა სახლებს.

ემიგრანტი ბავშვების ინტეგრაციის მიზნით, მათვის, რომლებიც ენის ბარიერის ან სხვა მიზეზის გამო, ვერ ძლევენ საბერძნეთის სასკოლო პროგრამებს, ბერძენი მეგობრების დახმარებით, შექმნილია დამხმარე პროგრამები ბერძნულ ენასა და მათემატიკაში.

ფუნქციონირებს საბავშვო ცენტრი სკოლამდელი აღზრდის პროგრამით.

ახლახანს დაარსდა ნიკო გომელაურის სახელობის მოყვარულთა თეატრალური დასი რეჟისორის, ნიკოლოზ ტყავაძის ხელმძღვანელობით, რომელიც ითვალისწინებს ახალ სასწავლო პროგრამას: მხატვრულ კითხვას, სასცენო მეტყველებას, სამსახიობო ოსტატობას.

“არმაზის” საქმიანობა დღითიდღე ფართოვდება და სასარგებლო ხდება ემიგრანტთა ყველა თაობისათვის.

ქართველები ათენში აქტიურად არიან ჩაბმულნი ქართულ-ბერძნულ კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

MAIA KUKCHISHVILI

GEORGIAN EDUCATIONAL SCHOOLS IN ATHENS (THE END OF THE 20TH CENTURY AND THE BEGINNING OF THE 21ST)

Georgian educational centres founded in Greece have historical roots. In our article we have just discussed the activities of some Georgian educational centres from the end of the 20th century and the beginning of the 21st. These centres are as follows: Georgian institute at Athens, CAUCASUS-Cultural Centre, Vakhtang VI Georgian Sunday-school, Georgian-Greek cultural and educational centre “Armazi”. All these schools are following different curriculums. Their aim is to connect Georgians, keep the national identity in the future generations, popularize Georgian culture among the Georgian population living in Greece and facilitate the integration of Georgian immigrants in Greek society.

Georgian educational organizations comprise Sunday-schools, Georgian library, the ensembles of Georgian music and dance, theatres and sections of different fields, children center with pre-school program, etc.

Our nationals in Athens actively participate in Greek cultural, public and political affairs.

ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY

VIII

2016

ფევრი ჩელები

ანისის ქართული წარწერები

ანისი - შუა საუკუნეების დანგრეული ქალაქი. ამჟამად მდებარეობს თურქეთის პროვინცია ყარსში. ანისს უწოდებენ 1001 ეკლესის ქალაქს. ანისის შენობები, სასახლეები და ციხესიმაგრეები გამოირჩეოდა მხატვრული და ტექნიკური ღირებულებებით. ქალაქში გაშენებული ეკლესიები დღემდე იპყრობენ მეცნიერთა და მკვლევართა უურადლებას (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, ვ. დონდუა, ი. დოლიძე, ა. შანიძე, მ. ბერძენიშვილი, ვ. სილოგავა, ა. ჯაფარიძე). “ანისიდან და მახლობელი ადგილებიდან, როდესაც ისინი შუასაუკუნეების საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შემოდიოდნენ, რამდენიმე ათეული ძველი ქართული წარწერაა ცნობილი - ბევრი მათგანი ძროთა განმავლობაში დაიკარგა და ალარ შემორჩა, ბევრი ამჟამადაც ადგილზეა დაცული (გ. სილოგავა, 2001, გვ. 18). ჩვენს ინტერესსაც, სწორედ, ანისის ქართული წარწერები წარმოადგენს. ამ მიზნით, 2013-2014 წლებში ვიმოგზაურე ანისში. ფეხდაფეხ მოვიარე აქ დაცული ქართული ეკლესიები, ფოტოზე აღვტეჭდე ანისის ქართული ლირსშესანიშნაობანი. ყველა ქართული წარწერა, ნაკაწრი. აღსანიშნავია, რომ აქ მოძიებული ყოველი მასალა მრავალმხრივ საინტერესოა. საყურადღებოა იგი როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ასევე ენობრივი თვალსაზირითაც.

ანისის ნაქალაქარში ოთხი ქართული ეკლესია. აქედან მხოლოდ ორგან არის დაცული ქართული წარწერები. მეცხრამეტე საუკუნეში ანისის ერთ-ერთ ეკლესიას “ქართული ეკლესის” სახელწოდებით ვხვდებით. ეს სახელდება ეკუთვნით ცნობილ მეცნიერებს, ნიკო მარსა და ივანე რაბელს. ვ. სილოგავას აზრით, “ეს სახელი იმიტომ შეერქვა, რომ წარწერებში და არც სხვა წყაროებში არ ჩანს, თუ ვის სახელზე იყო აგებული. ბაზილიკის ტიპის, საშუალო ზომის პატარა დარბაზული ეკლესია ამჟამად თითქმის მთლიანად დანგრეულია; ასე ყოფილა იგი XIX საუკუნეშიც, როდესაც პირველად გახდა ცნობილი სამეცნიერო წრეებისთვის”. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელდება მეცხრამეტე საუკუნისაა, ძეგლი კი გაცილებით აღრინდელია; ჩვენი აზრით, ეკლესია მეათე საუკუნისა უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს აქვე შემორჩენილი მეათე საუკუნის ბარელიეფებიც. **“ხარება” და “შეხვედრა”.**

“ხარების” სცენაზე წმიდა გაბრიელისა და მარიამის თავისი გამოსახულობებს შორის ასომთავრული ასოებით წერია - **ლ[ი]კ[ა]მ[უ]ნ[ი]** - ხ[ა]რ[ე]ბ[ა].

“შეხვედრის” სცენაზე გამოსახულია წმიდა მარიამისა და ელისაბედის შეხვედრა, სადაც მარიამის ფრესკის ზემოთ ვკითხულობთ: **წ[ა]რ[ი]ც[ა]ი[ს]ა[ჭ]უ[რ]ი** - წ[მ]იდა დ[ვ]ით[ის] მუ[ო]ბელი. წარწერა, როგორც ჩანს, ასომთავრული ანბანითაა შესრულებული.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ჯერ ვხვდებით **“ხარების”** სცენას და მერე - **“შეხვედრისას”**; კომპოზიციები ისეა შესრულებული, როგორც **“სახარებაში”** არის გადმოცემული.

ეკლესიის ნანგრევებში არქეოლოგების მიერ ნაპონია წარწერიანი ქვები. მათ შორის უძველესი არის 1218 წლით დათარიღებული წარწერა, რომელიც „კათალიკოს ეტიფანეს წარწერით“ არის ცნობილი. ტექსტი ასეთია: „იტუის ჭმამ საღმრთ[ოდ]: “უსასყიდლოდ მიგიღ[ებ]იეს, უსასყიდლოდ მისცემდით“ ესე იგი არს, გეტ[უის] || ღმერთი უკვდავი: “ჩემდა რამ მიგიცემიეს მაღლისა მ[ის]თუის, რომელი ჩემგან მიიღით? თქუენცა ჰყიდლით დიდსა || მაღლისა ჩემ[გ]ან უსყიდულსა. უკეთუ მე უსასყიდ[ლ]ოდ მომიცემიეს, არცა თქუენგან ჯერ - არს [ს]ყიდამლო[ც] || რათა ერ[ის]ა მიმ[ართ]. აწ, სახონო ჩემო ან[ე]ლნო ხუცესნო, ნუ ი[ქ]ნებით დასაბრკოლებელ || [სიტ]ყუათა და ნუცა გარდ[აპ]კდებით მოციქულთ[ა] [მც]ნებას[ა] ცუდისა და [წა]რმაგალი[სათუს]. უოვლად უწეს ||[ო] აღსარ[ებ]ამ თქუენგანცა გუირგუინთა კურთხე[ვისათუ]ისასისა დრამის...[ა] რსთხალ იედგას, პური აჭამოს. ეგრეთვე მკუდარისათუ[ი]ს, რომელი ჭირს... უფრო შესჭირდების მისისა სულისამ. ეგდენივე ასის სატუილურისა მიეცეს და... პური აჭამოს და სხვამ წაღებამ ძალისაებრად. უოველივე მისაცემელი მღ[დელთა უბრკოლ]ებელი იყავნ თქუენდა მოსაცემელად. მკუ[ი]დრნო ამის ქალაქისანო ქართველნო, რ...ცა... [იგი] პირველად დიდად პატივ-ცემდით, მღდელთაგან გიგმს ლოცვამ და წირვამ. ნუ გეწყინების მათ თუ[ი] სძა[ლი]საებრი მისაცემელი. უფროსად მხიარულებით მისცემდით, თუინიერ დაჭირებისა, რამეთუ „მხი[რ]ულებით მისაცემელი უყ[უ]არს უფალსა“. და თქუენ გიყუარდენ ვითარცა მამანი სულიერნი და მათ უყუარდით გ[ითარცა] შვილნი სულიერნი. ლოცვასა ნუცა თქუენ დააკლდებით და ნუცა თქუენ. უოველსა ზედა უფროსად საღმრთო [იგი] სიყუარული ერთმანეთისამ მოივეთ და ამით მიეცით სასურვო საღმრთოთა მცნებათამ. ესე მე, ეტიფანეს კათოლიკოზსა ჩემითა პელითა დამიწერია, ოდესანის[ს] ეკლესიანი ვაკურთხენ. ტფილური ასი დრამა იგი იყოს: დანგი ერთი გმიეცეს. და ზროხის ტყავი, რომელ ერთობ წაგიდია აქამდის, აწ საწირავადვე მისცემდით თუ[ი]თო შოლტს. და ჩუენსა ეკლესიოთა წესთა განრად შევიცვალებით? ვინცა ესე ჩემი გა[გე]ბული შეცვალოს, არ... ბრძანებამ ღმრთისაგან და მისთა წმიდათაგან, ქორონიკონსაკლჲ“.

წარწერა მრავალმხრივ საინტერესოა, საგულისხმოა ტექსტის შინაარსი: საქართველოს კათოლიკოსის ეტიფანეს განაჩენის ზემოთ წარმოდგენილი ტექსტი, რომელიც მოთავსებული ყოფილა ანისის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კედელზე, აღმოაჩინა ნ. მარმა 1910 წელს, ანისის არქეოლოგიური გათხრების დროს. განაჩენი გამოტანილია ანისის მართლმადიდებელ მოსახლეობასა და ანელ ხუცესთა შორის ატეხილი დავის გამო. წარწერა მოვითხრობს, რომ დავა გამოიწვია ანისის სამღვდელოების მიერ ანელი მართლმადიდებელი ქართველი და სომეხი მრევლისათვის საეკლესიო მისაცემელთა (ჯვრისწერისას, ნათლობისას, წესისაგებისას) გაღიღებამ.

უქმაყოფილო მრევლი პროტესტის ნიშნად ზოგჯერ წირვა-ლოცვასაც აღარ ესწრებოდა. გამწვავებული ურთიერთობის მოგვარება სცადა საქართველოს კათოლიკოსმა ეტიფანემ. იგი იძულებული გახდა, დაეგმო ხუცების საქციელი და შეემცირებინა საეკლესიო მისაცემელთა ოდენობა. ეტიფანეს განაჩენს ხელს აწერს ანისის სომეხი ეპისკოპოსი გრიგოლი და ქალაქის ამირა ვაჰრამი. ანისის ქართული წარწერა იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელოვანი წყაროა. წარწერა ცხადყოფს, რომ საქართველოს სახელმწიფოში შემავალი არაქართული ტერიტორიების მართლმადიდებლური ეკლესიები იერარქიულად ქართლის კათოლიკოსზე იყო დამოკიდებული. ანისის ქართულ ეკლესიებსა და წარწერებზე საინტერესო კვლევა ეკუთვნის მიტროპოლიტ ანანია ჭავარიძეს (ა. ჭავარიძე, 2010, გვ. 434-436).

სამეცნიერო ლიტერატურაში არის მსჯელობა ე. წ. „სამადინის წარწერის“ შესახებ, რომელიც 23-სტრიქნიანი ყოფილა; დათარიღებულია იგი 1288 წლით (ვ. სილოგავა, 2001, გვ. 20).

შევნიშნავთ, რომ აღნიშნული წარწერები ჩვენ ადგილზე ვერ ვიპოვეთ, ისინი მხოლოდ პუბლიკაციებსა და საარქივო მასალებშია ცნობილი; მათი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი ჩვენთვის უცნობია.

ანისში არის კიდევ ერთი ქართულწარწერებიანი ეკლესია. ჩვენ მას „სურათოვანი ეკლესია“ ვუწოდეთ. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ეკლესია სხვადასხვა სახელებით არის ცნობილი. მართალია, ეკლესიისთვის ფრესკა უცხო არ არის, მაგრამ აქ წარმოდგენილი სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის ფრესკები, მათი რაოდენობა ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ვ. სილოგავას მიხედვით, ეკლესიის ერთ მხარეს იყითხება სიტყვა - **ნათელი** - „ნათელი“, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჩვენ ეს წარწერა ვერ ვიპოვეთ. ასევე ვერ ვპოულობთ, შემდეგ წარწერას, რომელიც სამეცნიერო კვლევებში ფიქსირდება:

ურ ცას ღია იტიასცა თც ჭარაცხერ ურზური ცჯას ურც -

„ეს არს ბჭე უფლისად და შართალნი შევლენენ ამის შინა“.

ჭარაცას ურცა ცას ურ -

“თამარის ქებად არის ესე“.

რაზარ ჭარაცა სტაცაზაცა -

“დედები წმიდად საფლავთან“.

ეს წარწერები ჩვენთვის უცნობია. ჩვენ მათ ანისის აღნიშნულ ეკლესიებში ვერ მივაკვლიეთ. ეკლესიის კედლები ბევრგან ჩამოშლილია, ზოგი ადგილიც კირწასმულია. ამგვარად, ხელოვნური თუ ბუნებრივი ფაქტორის ზემოქმედებით, წარწერათა კვალი ბევრგან გამქრალია.

ეკლესიის დასავლეთ მხარეს არის ჩამოსახული ქვის ფილა ჭვრის გამოსახულებით. ეს ქვა 990 წლით თარიღდება, ეკლესია კი 1215 წელს არის აშენებული. ვიზიარებთ ვ. სილოგავას მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, “ადრე შესრულებული ქვის ფილა ჭვრის გამოსახულებით, ხელმეორედ გამოიყენეს გვიან ტაძრის მშენებლობის დროს...“ ან კიდევ, შესაძლებელია, ქრისტიანული წესის თანახმად, ამ ქვა-ჭვარით აკურთხეს ეკლესიის ასაშენებელი ადგილი და ასე შემორჩა ეს უძველესი ქვა-ჭვარი ამ ადგილს. აქვე არის წარწერა:

ჭარაცა თც ჭარაცა შარზარი ურზური ცასცა მარ გარაცხაცა მარცა -

“ძლევის და ძალის მომცემელი შეფჲ ბაგრატ, ლიბარიტ მწედ ტიგრან მეფისასი“.

ზემოთ წარმოდგენილი წარწერები არის ბარელიეფები. ასევე მრავალმხრივ

საინტერესოა ეკლესიის შიგნით წარმოდგენილი წმინდანთა გამოსახულებანი,

სხვადასხვა სცენები და შესაბამისად, წარმოდგენილი წარწერები. ესენია:

1. **ს[ც]ფიცაზ[ც] მცხვიც** - “ს[ა]ფლავ [აღ] დაღება”;
2. **[იც]ა[მც]ჭარსეცა** - “[გა]რ[და]მოხსნად”;
3. **უ[ც]+ც ჩაინაცა** ლ[ა]რ[ა]ლ[ო]ზ ფიქაჭაც პ[ც]ჩა
ცაქაზენა - “აქა წმიდავ გ[რი]გ[ო]ლი ფერხთა თ[ა]ნა აიძულბდის”;
4. **ც+ც ჩ[ა]ნაცა** ლ[ა]რ[ა]ლ[ო]ზ ერცხვილ ჟარიაშვილ
დონის მცხვირი - “აქა წ[მიდა]ვ გ[რი]გ[ო]ლ იწამების მარილითურთ
თავსა დაქცევით”;
5. **წ[ა]ნაცა ლაზილ მცხვირის გრამ ერცხვილ** - “წ[წმიდა]ვ
გრიგოლ დაგრართა მიერ იწამების”;
6. **წერ[ყ] წ[ც]ანაცაზე წ[ა]ნაცა ლაზილ ერცხვირის
ლცხადობაც** - “წინა შეე” თრ]დატის წ[მიდა]ვ გრიგოლ წარიღვინა
განკითხვად”;
7. **ც+ც ჩ[ა]ნაცა** ლ[ა]რ[ა]ლ[ო]ზ ჭარაჭაც პ[რ]ა ცას
წცხვიცა - “აქა წ[მიდა]ვ გ[რი]გ[ო]ლ მტერთა მ[ი]ერ არს წამებად”;
8. **ც+ც ლ[ა]რ[ა]ლ[ო]ზ ციხაჭაცა: მითაზავიანი** [Q] არ
ცავისცანა ჭ[ე]რ უზრუნ - “აქა გ[რი]გ[ო]ლ აკურთხა:
მლდელთმოძღვეულის რად აროსტაკეს მ[ი]სი შვილი”;
9. **ც+ც ერცხვის ჯაფრეული: მც ლ[ც]რა მც ჭავცხვირი
რა: წცხვიცა** - “აქა იწამენს რიცხვიმე: და გაანე და მისთანანი იგი:
ქალწულნი”;
10.**მც ეყვაც აქანცაზ მც ციხიან[ყრცხა]** - “....და იწყა
თრიდატი და აღმოიწვანა”.

ამ კედლებს შემორჩენილი წარწერები პირობითად შეიძლება ორ ჭარულ დავყოთ: პირველი, სადაც მოხსნიებულია წმიდა გრიგოლი და მეორე, სადაც მოხსნიებულია წმიდა ნინო. ზემოთ მოცემულ წარწერათა უმრავლესობაში წმიდა გრიგოლია ნახსენები. საყურადღებოა, ფრესკების განლაგება: იგი იწყება წმიდა გრიგოლის ფრესკებით და სრულდება ყველაზე დიდი ფრესკით, ეს არის წმინდა ნინოს გამოსახულებიანი ფრესკა. წარწერებიც, ბუნებრივია, ამ განრიგს მიჰყვება. ფაქტია ისიც, რომ წმიდა გრიგოლის ფრესკათა სიმრავლე, შესაბამისად წარწერებისა, არის ნიშანი იმ აღილის მკვიდრთა გრიგორიანელობისა და ბოლოს წმიდა ნინოს გამოსახულებაც სიმბოლურია. ამ თვალშისაცემი, გამორჩეული ფრესკით ხდება მინიშნება იმაზე, რომ ხალხი უნდა გაჰყოლოდა წმიდა ნინოს გზას; შევნიშნავთ, რომ აქ გრიგორიანელ ქართველებსაც უმოლვაშიათ.

- შემდეგი საანალიზო წარწერები ასე იყითხება:
- წ[ა]ნაცა წ[ც]ნი** - “წ[მიდა]ვ წ[ი]ნო”;
 - ც+ც სიღრიცხილი** - “აქა სუეტიცხოველი”;
 - რამცხი ა[მ]ირანი მცხვირის წ[ც]ნი წარიგი** - “დედანი რ[ო]მელ[ნი]ნი დახუდეს წ[ი]ნოს ეშინოდა”.
 - “**სარების სცენა**” არის ეკლესიის შიგნითაც: სადაც გარკვევით ვკითხულობთ:
 - ერცანაცინ, ჭავცხვილი აფცხი ყრცხაც** - “გიხაროდენ, მიმაღლებულო უფალი შენთანა”.
 - ერთ-ერთ წარწერაში ნახსენებია წმიდა ერმოლაოსი:
 - წ[ა]ნაცა წარიგი** - “წ[მიდა]ვ ერმოლაოს”.

წარწერათა შორის საყურადღებოა შემდეგი:

ჭაყრიც.....ზეზესიზეზეს - “მიყვა.....დედისაღვითისა“.

3.

სილოგავას მიხედვით, შესიტყვების პირველი ნაწილი ამოკითხულია, როგორც
“გიცვა...“

ერთგან გამოსახულია ორი ადამიანი და ქვეა შემდეგი წარწერები:

ქ[ჭარც]ა ლ[იღა]ლ[ი] - “წ[მიღა]დ გ[იღრ]გ[ი]“;

ქ[ჭარც]ა ტ[რიზოქ]ი - “წ[მიღა]დ თ[ევდორ]ე“;

ქ[რცც]წ[ა] წ[ჭაყრ]იზ წ[ცა] - “წ[ინას]წ[არ] წ[მეტყვ]ელია“;

ქ[ჭარც]ა ც[იღოჭ]იღ[ი] - “წ[მიღა]დ ალუმპ[იოს]“.

საკმაოდ ბევრი ფიგურა და წარწერაა გამოსახული საკურთხეველზეც.
ესენია:

1. **ქ[ჭარც]ა ს[იღო]რ[ეჟი]** - “წ[მიღა]დ სილობისტროს“;

2. **ქ[ჭარც]ა ც[იღო]რ[ეჟი]** - “წ[მიღა]დ ათანასიე“;

3. **ქ[ჭარც]ა ც[იღო]რ[ეჟი]** - “წ[მიღა]დ ალეონთიოს“;

4. **ქ[ჭარც]ა უ[ცხა]რ[ა] ც[იღო]რ[ეჟი]** - “წ[მიღა]დ პატრიარქი ალექსანდრიელი“;

5. **ქ[ჭარც]ა ი[ღო]რ[ეჟი] ი[ღო]რ[ეჟი]** - “წ[მიღა]დ იოანე ოქ]როპირი“;

6. **ქ[ჭარც]ა რ[იღო]რ[ეჟი]** - “წ[მიღა]დ ნიკოლოზ“;

7. **ქ[ჭარც]ა ს[იღო]რ[ეჟი] ფ[რიგო]რ[ი]** - “წ[მიღა]დ გრიგოლ ფართეველი“;

8. **ქ[ჭარც]ა ც[ა]რ[ეცხ]** - “წ[მიღა]დ არ[ოსტაცე]“.

ეკლესიის გუმბათის სიღრმეში არის დაუსრულებელი შესიტყვებები:

ქ[ჭარც]ა - “წ[მიღა]დ; **ქ[რცც]წ[ა] წ[ჭაყრ]იზ**...
“წ[ინას]წ[არ] წ[მეტყვ]ელი...“, ან კიდევ, ასო-ნიშანთა მოხაზულობები, რომელთა
ამოკითხვაც ვერ მოვახერხეთ. ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება და შემდგომი
კვლევა მეტად საშური საქმეა.

საკურთხევლის ზემოთა ნაწილში არის წარწერები, სადაც
წინასწარმეტყველთა სახელების ამოკითხვა შესაძლებელია. ესენია:

ესე - “ისაკ“, **ესეი** - “ესრომ“, **ცაცე** - “არამ“, **სცენონ** -

“სალმონ“, **რცცივი** - “ნაასონ“, **ცაქაცე** - “აბრაამ“.

ქ[ჭარც]ა ს[იღო]რ[ეჟი] მ[ცხა]რ[ეჟი] - “წ[მიღა]დ ი[ო]ნე მახარებელი“;

ქ[ჭარც]ა ზ[იღო] - “წ[მიღა]დ ლუკა“.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც წინა მკვლევართა მიერ მითითებულ
ფრესკას ვპოულობ, წარწერას კი - ვერა. ამ რიგისაა წარწერები:

გ[რ]იზ ჭ[იღო]რ[ეჟი]ნ[იღო]რ[ეჟი] - “მიქაელ მთავარანგელოზი“;

ქ[ჭარც]ა ც[იღო]ნ - “წ[მიღა]დ აპრონ“;

ქ[ჭარც]ა ტ[რიზო]რ[ეჟი] - “წ[მიღა]დ თეოქტოსტილიზვიელი“;

ქ[ჭარც]ა ს[იღო]რ[ეჟი] - “წ[მიღა]დ ზ[ა]ქ[ა]რია“;

ქ[ჭარც]ა მ[ცხა]რ - “წ[მიღა]დ მამა“;

რ[იგო]რ[ეჟი], ც[იღო]ნ ს[იღო]რ[ეჟი] თ[ც] თ[ც]

[...]რ[იგო]რ[ეჟი] [...]. გიხაროდენ, ასულო სიონისაო და აღ
[...]იღს [...]შ[...]იხარებდე“;

ქ[ჭარც]ა ა[ც] ა[ც] ა[ც] ა[ც] - “წ[მიღა]დ ხარ ა[ც] ა[ც] ა[ც]“;

ქართული წარწერების გადაღების შემთხვევა - “რათა იგინითსა [...]ნ გადიდებდენ ქურისთენ“;
ქართული წარწერების განხორციელები : ცხოვრილი
: არა - “ქურისთენ ღმერთობის მოვედინ განხორციელისაგან: ცხორებად: ჩემი“;
ქართული წარწერების გერმანული - “შემიღება გერმანოზ“;
ქართული წარწერების გერმანული - “შემიღება ქურაროდულისთ“;
ქართული წარწერების გერმანული - “შემიღება სტეფანის პირველ მოწამე“;

ქართული წარწერების გერმანული - “შემიღება ქურაროდულისთ“;

ამრიგად, ანისის ეკლესიები და მასზე აღბეჭდილი ქართულენოვანი წარწერები ქართველი ერის, ენის, ისტორიისა და კულტურის ნაწილია. აღნიშნული ცენტრი ყოველთვის იქნება მკვლევართა თუ მეცნიერთა ყურადღების საგანი. მისი საფუძვლიანი შესწავლა მეტად საშური საქმეა.

დამოწმებული ლიტერატურა

გ. სილოგავა, 2001 - ვ. სილოგავა, ანისის და ყარსის ქართული ეპიგრაფიკა (მოკლე მიმოხილვა), ახალციხე-ყარსი (სიმპოზიუმის შრომები), 2001.

მიტრობოლიტი ანანია ჯაფარიძე, 2010 - მიტრობოლიტი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, ანისის შეკრება (1218), ობ., 2010.

გ. კალანდია, ქ. ასათიანი, 2010 — G. Kalandia, K. Asatiani, ტიგრან ჰონენცის ტაძრის ქართული წარწერები /Tigran Honents İbadethanesinin Gürcüce Yazılıları/, თბილისი, “ლიტერატურა და ხელოვნება”, 2010, გვ.: 53-57.

გ. კალანდია, 2011 — G. KALANDÝA, Kişisel Görüşme, Ani Tigran Honents Kilisesi Duvar Resmi Yazýlarý, 1 Ocak, 2011, msn.

GEORGIAN INSCRIPTIONS IN ANISI

Ani- medieval city in ruins. Presently situated at Karsı, province in Turkey. Anise is called the city of 1001 churches. Buildings, palaces and fortifications of Ani were distinguished with fictional and technical values. Cathedrals built in the city still attract the attention of scientists and researchers (N. Marr, Iv. Javakhishvili, V. Dondua, I. Dolidze, A. Shanidze, M. Berdzenishvili, V. Silogava, A. Japaridze). The subject matter of our interests is the Georgian inscriptions of Ani. Our expedition in Ani served to this aim. I had a chance to walk around the churches preserved there and pictured all the Georgian sights existing in Ani, all the Georgian inscriptions, curves. We should emphasize that all the materials found there deserves diverse interest. It's interesting in terms of historical-ethnographic as well as linguistic views.

**ქათაისის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწლეული
ANNUAL OF KUTAISI PUBLIC LIBRARY**

VIII

2016

ემზარ ჭანტურიძე

XVII–XIX საუკუნეების ქართველი მოღვაწეები აღმოსავლეთის ქვეყნები (თურქეთი, ეგვიპტე, ერაყი)

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს თავისი არსებობისათვის ბრძოლაში არაერთხელ შექმნია უმძიმესი პირობები. ხშირი შემოსევები ქვეყანას ეკონომიკურად აჩანაგებდა და პოლიტიკურად ასუსტებდა. აქედან გამომდინარე, თანდათანობით სუსტდებოდა ერთიანი საქართველოს სამეფო ხელისუფლება. პოლიტიკურად და ეკონომიკურად დაქვეითებულ ქვეყანაში გააქტიურდა დაიწყო სეპარატისტულად განწყობილმა ფეოდალთა ზედა ფენა. ეს პროცესი XV ს. დამთავრდა ერთიანი საქართველოს ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლით (ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოები, სამცხის, სამეგრელოს, გურიის, მოგვიანებით აფხაზეთის და სვანეთის სამთავროები). არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა XVI-XVII სს., ხოლო XVIII ს. დასაწყისში ქართულ სამეფო-სამთავროებში თურქეთის, ირანის შემოსევებმა და ლეკთა თარეშმა აპოგეას მიაღწია. დანაწევრებულ პოლიტიკურ ერთეულებს დამოუკიდებლად აღარ შეეძლოთ გამკლავებოდნენ გარე თუ შიდა პრობლემებს. იზრდებოდა საქართველოლოდან გატაცებული და მონათა ბაზრებზე (თურქეთი, ირანი, სირია, ერაყი, ეგვიპტე) გაყიდულ ქართველთა რიცხვი.

მოთხოვნილება ქართველ ტყვეებზე აღნიშნულ ქვეყნებში ძალზე დიდი იყო. გოგონები სულთნების, შაჰების თუ სხვა დიდმოხელეთა ჰარამხანებში მიჰყავდათ. ბრძოლისუნარიანობით და მოქნილი ჰკუა-გონებით დაჯილდოებულ ბიჭებს სათანადო წვერთის შემდეგ ანაწილებდნენ ზემოთ დასახელებული ქვეყნების ელიტარულ სამხედრო ნაწილებში. საქართველოდან გატაცებულთა და გაყიდულთა ზუსტი რიცხვი ცნობილი არაა. წყაროების მიხედვით (ვახუშტი ბატონიშვილი, ჟ. შარდენი, ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, არქანჯელო ლამბერტი, ქრისტოფერო კასტელი, პატრი იოსებ რომაელი, ევლია ჩელები...) XV-XVIII საუკუნეებში ჩვენი ქვეყნილან სავარაუდო მილონ-ნახევარზე მეტი ქართველი იქნა გაყვანილი და გაყიდული ზემოთ აღნიშნული ქვეყნების მონათა ბაზრებზე.

წინამდებარე სტატიაში წარმოადგენთ თურქეთში, ეგვიპტესა და ერაყში მოღვაწე, გამაჭმაღიანებულ, წარმომავლობით ქართველი, მაღალი თანამდებობის იმ პირთა მცირე ნაწილის ბიოგრაფიულ მონაცემებს, რომლებმაც დიდი კვალი დატოვეს დასახელებული ქვეყნების ცხოვრების ყველა სფეროში. ზოგიერთი დიდი რეფორმატორის სახელითაა ცნობილი აღნიშნული ქვეყნების ისტორიაში.

ოსმალეთის იმპერიაში საუკუნეების მანძილზე ასეულობით ქართველი მოღვაწეობდა პოლიტიკურ არენაზე. მათ სამთავრობო სტრუქტურებში მაღალი თანამდებობები ეკავათ და ამდენად დიდი გავლენა ჰქონდათ სხვადასხვა სახელისუფლებო სფეროში. პროფ. ო. გიგინეიშვილის განმარტებით, იმპერიის არსებობის მანძილზე 184 დიდი ვეზირიდან 14 იყო თურქი, 22 ალბანელი, 10 ქართველი, 10 ბოსნიელი, 6 აბაზა, 5 ჩერქეზი, 3 ბერძენი, 2 იტალიელი... (ო.

გიგინეიშვილი, 1982, გვ. 163-164). დადგენილია, რომ უცხოელ ავტორთა ერთი ნაწილი ქართული წარმომავლობის ზოგიერთ პირს მოიხსენიებს ჩერქეზიად, თურქად, სომეხად ან რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენლად.

შესაბამის საუკუნეების მკვლევართა უმეტესი ნაწილი აბაზებს მიიჩნევს ქართველურ ტომად (ანონიმი ავტორი V ს., მიხეილ ატალიატე, იოანე ცეცე, ეფრემი, მ. თამარაშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. განაშია, ს. ყაუხებიშვილი, ბ. სილაგაძე, გ. მელიქიშვილი, მ. სვანიძე, დ. ჯანელიძე). ნ. მარის, ნ. ლომოურის, მ. ინაძის, ნ. კეჭალმაძის, დ. ხახუტაშვილის და ნ. ხოშტარიას მოსაზრებებს აბაზების ქართველურ ტომად მიჩნევის შესახებ ვიმოწმებ ს. ყაუხებიშვილზე დაყრდნობით (იხ. ანონიმი ავტორი V საუკუნისა. 1965, გვ. 28). აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ 6 დიდ ვეზირს, რომელიც აბაზად მოიხსენიება, მივიჩნევთ ეთნიკურ ქართველად; მაშინ უკვე 16 გამაჰმადიანებული ქართველი ყოფილა დიდი ვეზირის თანამდებობის მქონე.

თურქეთში დაწინაურებული ქართული წარმომავლობის პირთა უმეტესი ნაწილი საქართველოდან ბავშვობის ასაკშია მოტაცებული და გაყიდული საზღვარგარეთის მონათა ბაზრებზე. მათგან წარმოვადგენთ მცირე ნაწილს.

გურგი მეჰმედ-ფაშა (1536-1626 წწ.), ბავშვობის ასაკში საქართველოდან მოტაცებული და თურქეთში გაყიდული. თავდაპირველად ის, როგორც საჭურისი, სულთნის ჰარამხანაში მსახურობდა. მურად III-ის (1574-1595 წწ.) დროს ჰარამხანის საჭურისთა უფროსი გახდა, აჰმედ I-ის (1603-1617 წწ.) დროს სასახლის აღა გახდა. 1604 წელს ეგვიპტის ვალის (მმართველი) თანამდებობაზე დაინიშნა. მომდევნო წლებში ის ჯერ რუმელიაში, შემდეგ ბოსნიაში იყო ბეგლარბეგად. 1615 და 1622 წლებში დიდი ვეზირი იყო. 1625 წ. მეორე ვეზირის თანამდებობა ეკავა. 1626 წ. 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. მუსტაფა ნაიმას მიხედვით ის სიკვდილით დასაჯეს. ნაიმა მეჰმედ-ფაშას მოღვაწეობას დადგებოთად ახასიათებს: "გურგი მეჰმედ ფაშა იყო საჭურისი, გონიერი, მტკიცე ნებისყოფის, ღირსეული ვეზირი" (მუსტაფა ნაიმა, 1979, გვ. 164).

აბაზა მეჰმედ ფაშა, წარმომავლობით ქართველი, აფხაზეთიდან გატაცებული ოსმალეთში მონად გაყიდეს, შეუცვალეს სახელი და გაამაჰმადიანეს. შემდგომში თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით სწრაფად დაწინაურდა იმპერიის პოლიტიკურ სარბიელზე. 1608 წელს დაინიშნა კაფუდან ფაშას თანამდებობაზე. 1617 წ. დიდი ვეზირის - ხალილ ფაშას წარდგინებით ჯერ მარაშის, ხოლო 1620 წ. არზრუმის ვილაიეთის შმართველი (ბეგლარბეგი) გახდა. 1623 წელს, სულთან მურად IV-ის (1623-1640 წწ.) შმართველობის დროს, ის აუკანყდა ოსმალეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. 1628 წელს აღანყება ჩამობილ იქნა. აბაზა ფაშას აპატიეს დანაშაული და გადაიყვანეს ჯერ ბოსნიის ბეგლარბეგად, შემდეგ ციხე-სიმაგრე ოჩაკოვის გამგებლად. 1634 წელს, სასახლის კარზე მოწყობილი ინტრიგების შედეგად, მურად IV-ის ბრძანებით, ის სიკვდილით დასაჯეს (მ. სვანიძე, 1990, გვ. 290).

მელექ აჰმედ-ფაშა (1585-1662 წწ.) წარმომავლობით ქართველი, დაბადებული სტამბოლში. მშობლები წარმომავლობით აფხაზეთიდან, აბაზას ტომიდან იყვნენ, ამიტომ პატარა აჰმედი აღსაზრდელად სამშობლოში გააგზავნეს. აჰმედი იყო დეიდაშვილი ცნობილი თურქი ისტორიკოსის — ევლია ჩელების (ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, 1973, გვ. 6, 61, 88). სულთან აჰმედ I-ის

(1603-1617 წწ.) დროს ის ჯერ სილაპარი გახდა, შემდგომ სხვადასხვა წლებში იყო ალეპოს, ბაღდადისა და დიარბექირის ვილაიეთების გამგებელი. ცოლად შეირთო მურად IV-ის (1623-1640 წწ.) ქალიშვილი კაია სულთანი. 1650 წ. სულთანმა მეჰმედ IV-მ (1648-1687 წწ.) ის დიდი ვეზირის თანამდებობაზე დანიშნა. ერთი წლის შემდეგ გადააყენეს. 1651-1662 წლებში განავებდა ოჩაკოვის, სილისტრიის, ვანის, ბოსნიის, რუმელის ვილაიეთებს. გარალაიცვალა 1662 წელს სტამბულში.

კაპუდან ფაშა ლაზი-ჰასანი (1714-1790 წწ.) დაბადებული ყოფილა აღმოს. საქართველოს მთიანეთში, ფშაგელში, რომელიც, დ. ჯანელიძის განმარტებით, ფშავი ან მოხევეთა რომელიმე სოფელი უნდა იყოს (დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, 1967, გვ. 104). ის ბავშვობის ასაკში საქართველოდან გაუტაციათ და თურქეთში მონად გაუყიდიათ. მალე მან თავი დააღწია მონობას. თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით სწრაფად იწყებს დაწინაურებას. თავდაპირველად რიგით იანიჩარად იწყებს სამსახურს. მალე აღუირის მმართველის პირად გვარდიაში ჩაირიცხა, შემდეგში პროვინციის მმართველად დანიშნეს. რამდენიმე წლის შემდეგ გემის კაბიტნად გაღაპყავთ. 1780 წელს დააწინაურეს კაპუდან-ფაშას თანამდებობაზე. 1786 წ. სულთან აბდულჰამიდ I-ის (1774-89 წწ.) დავალებით მოაწყო სადამსჭელო ექსპედიცია ეგვიპტეში აჯანყებული ბეგების წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით ჩაატარა. სტამბულმა აღადგინა თავისი ბატონობა ეგვიპტეში. 1789 წელს ჰასან ფაშა სულთან სელიმ III-ის ბრძანებით დაინიშნა დიდი ვეზირის თანამდებობაზე. გარდაიცვალა 1790 წ. თანამედროვე ან შემდგომი ეპოქის ისტორიკოსები ჰასანს ახასიათებენ, როგორც შეუბრალებელ, მაგრამ ენერგიულ და ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწეს (დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, 1967, გვ. 105).

იუსუფ-ფაშა კოჩა (1730-1800 წწ.), ეროვნული წარმომავლობით ქართველი. ბავშვობის ასაკში გატაცებული და თურქეთში მონად გაყიდული. შემდგომში თავი დააღწია მონის მდგომარეობას. თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით სწრაფად იწყო დაწინაურება. ქართული წარმომავლობის მქონე კაპუდან-ფაშა ლაზი-ჰასანის რეკომენდაციით, 1786 წ. სულთანმა აბდულ ჰამიდ I-მა (1774-1789 წწ.) ის დიდი ვეზირის თანამდებობაზე დანიშნა, საიდანაც 1789 წ. გაღააყენეს. 1791-1792 წწ. კვლავ დიდი ვეზირია. მომდევნო წლებში ის ჯერ მედინის, შემდეგ ჯილის ფაშა ხდება. კოჩა იუსუფ-ფაშა გარდაიცვალა 1800 წელს.

კაპუდან-ფაშა ქუჩუკ-ჰუსეინი (1757-1803 წწ.), საქართველოდან გატაცებული და თურქეთში მონად გაყიდული ქართველი (ჟობერი, 1997, გვ. 240). წყაროთა ერთი ნაწილის თანახმად, სტამბულში გაამაპმაღიანეს, სახელი შეუცვალეს და უფლისწულ სელიმს საჩუქრად მიჰვარეს. ჰუსეინი სასახლეში სელიმის ქართველი დედის მიჰრიშაპის (1745-1805 წწ.) მისი ქართული სახელი და გვარი უცნობია) მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა. ჰუსეინი ნიჭისა და უნარის, ასევე მომავალ სულთანთან სიახლოვის წყალობით, სწრაფად წინაურდება. მწერალ რამაზ სურმანიძის მიხედვით, 1792 წელს ჰუსეინმა ცოლად შეირთო სულთან აბდულჰამიდ I-ის (1774-1789 წწ.) ქალიშვილი. სხვადასხვა წლებში ეკავა მაღალი თანამდებობები. სელიმ III-ის (1789-1807 წწ.) დროს 1792-1803 წწ. ის კაპუდან-ფაშას თანამდებობაზე იყო. 1800-01 წწ. იბრძოდა ფრანგების წინააღმდეგ ეგვიპტეში. გარდაიცვალა 1803 წელს.

ხუსრევლეოსრო მეჭმედ-ფაშა (1765-1855 წწ.), ბავშვობის ასაკში გატაცებული და თურქეთში მონად გაყიდული ქართველია. ის, როგორც მონა, სულთან აბდულჰამიდ I-ისთვის (1774-1789 წწ.) უჩუქებიათ. სულთნის სასახლეში მასთან ერთად იზრდებოდა წარმომავლობით ასევე ქართველი - ჰუსეინი, შემდგომში ცნობილი კაპუდან ფაშა. არსებულ წყაროებზე დაყრდნობით, ანალოგიური მოსაზრებისაა თურქი მეცნიერი მურად ქასაბი (შურად ქასაბი, 2012, გვ. 58-59).

ისტორიკოს ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით, ხოსრო ფაშა წარმოშობით ქედის რაიონ სოფელ აქუციდან იყო და ერისთავის გვარს ატარებდა. მწერალ რამაზ სურმანიძის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით (რ. სურმანიძე, 2012) ის რაჭის ერისთავების შთამომავალი ერისთავი ჩხეიძეა. დ. ჯანელიძის მიხედვით, ხოსრო მეჭმედ-ფაშა წარმოშობით ქართველი ხოსროშვილია (დ. ჯანელიძე, 1967, გვ. 176).

თავისი ნიჭისა და ჰუსეინთან ახლო ურთიერთობის წყალობით სწრაფად იწყებს დაწინაურებას სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე. თავდაპირველად ის კაპუდან ჰუსეინ-ფაშასთან მსახურობლა ჯერ ბეჭდის მტკირთველად, შემდეგ კი ქეთქუდად; 1801 წ. მან ჰუსეინ-ფაშასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ფრანგების წინააღმდეგ ეგვიპტის ლაშქრობაში; ომის დამთავრების შემდეგ იქვე დანიშნეს ალექსანდრიის ციხისთავად; 1802-1806 წლებში ის მონაცვლეობით განაგებდა ეგვიპტის, სალონიკის, დიარბექირის ვილაიეთებს; 1806-1811 წწ. იყო ტრაპიზონის, ბოსნიის, იზმითის ვილაიეთების მმართველი; 1811-1818, 1822-1826 წწ. კაპუდან ფაშას თანამდებობაზე; 1818-1822 წწ. განაგებდა ჯერ ტრაპიზონის, შემდეგ არზეუმის, ყარსის და ევბეას ვილაიეთებს. 1824 წ. მან მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩაბშობაში. 1827-1837 წწ. იყო სერასკირი. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მოახდინა თურქეთის შეიარაღებული ძალების რეორგანიზაცია. 1839-1840 წწ. დიდი ვეზირი და ოსმალეთის იმპერიის ფაქტობრივი მმართველია. 1846 წ. ჯერ მეჯლისის წევრი გახდა, შემდეგ კვლავ სერასკირი. 1847 წ. გადააყენეს. ამის შემდეგ დიდ თანამდებობებზე აღარ დაუნიშნავთ. 1848 წ. ბენსიაზე გავიდა. 1855 წ. 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. ორჯერ ქორწინების მიუხედავად მექვიდრე არ დარჩენია.

თანამედროვე თუ შემდგომი ბერიოდის მკვლევრები მის დამსახურებად მიიჩნევენ შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციას, ტაქსიმის სამხედრო სკოლის დაარსებას, შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის განმტკიცებას, სახელმწიფო აბარატში კორუფციის ნაწილობრივ აღმოფხვრას. ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მას თურქეთში მონად გაყიდული ბევრი ქართველი გამოუსყიდია, განათლების მიღებასა და თანამდებობრივად დაწინაურებაშიც დახმარებია. მიუხედავად დიდი სახელისა, ის ბოლომდე დარჩა ოსმალეთის იმპერიის ერთგულ დიდ მოხელედ.

ათიათასობით გატაცებულ და მონად გაყიდულ ქართველთა ძირითადი მასა თურქეთს გარდა ხვდებოდა ასევე ირანის, ეგვიპტის, ერაყისა და სირიის მონათა ბაზრებზე. მაგრამ ყველაზე დიდი მოთხოვთა ქართველ ბიჭებზე იყო ეგვიპტესა და ერაყში. სელიმ I-ისა (1512-1520 წწ.) და სულეიმან I-ის (1520-1566 წწ.) 1516-1534 წწ. დაპყრობითი ომების შედეგად, ერაყი, სირია, პალესტინა, ეგვიპტე ისმალეთის შემადგენლობაში შევიდა.

XVII ს. დასაწყისში ოსმალეთის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებამ და სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურებამ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის ეგვიპტე ფაქტობრივად ნახევრად დამოუკიდებელ რეგიონად აქცია. სულთნის დანიშნული ფაშების საქმიანობა ძირითადად დამოკიდებული იყო ეგვიპტეში გაბატონებული მამლუქთა ზედა ფერის ნება-სურვილზე. მათი დასაყრდენი ძალა იყო შრავალრიცხვან, გაწვრთნილ მამლუქთა შენაერთები, რომელთა შევსება ხდებოდა ძირითადად საქართველოდან გატაცებული და მონათა ბაზრებზე გაყიდული ბავშვებით.

მრავალათასიანი მამლუქთა კონტინენტის, განსაკუთრებით მისი ზედაფენის ქართული წარმომავლობისა და ეგვიპტეში მათი წამყვანი როლის შესახებ თავის მოსაზრებებს გამოთქვამენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ავტორები: იოანე ბატონიშვილი (1991, გვ. 189), ო. მარკოვა (1966, გვ. 175), აბდურამან-ალ-ჭაბარტი (1963, გვ. 580-582)... ავტორების: აპმედ მაკრიზის, ლუიზინიანის, ვოლნეის, კ. ნიბურის, ლ. პინოს, ფერიერ სოვბეფის, პ. მასონის, მარსელის, დე-ლა-პორტას და რუსეთის არქივებში დაცული ცნობები ავილეთ ჯანელიძე, სილაგაძის „ქართველი მამლუქები ეგვიპტეში და ერაყში“, 1967, ბეი-მამიკონიანის ...ქართველი მამლუქები ეგვიპტის სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში“, 1957, მისივე „ქართველ მამლუქთა მბრძანებლობა ერაყში“, 1944, შრომებში გამჭვენებული მასალებიდან.

ეგვიპტეში მყოფ მრავალრიცხვან ქართველ მამლუქთაგან წარმოვადგენთ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ლეგნდარულ ქართველ მამლუქს ალი-ბეის (1728-1773 წწ.), რომელმაც დიდი კვალი დატოვა ოსმალეთის ბატონობისაგან ეგვიპტის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ალი-ბეი ალ-ქაბირი დაბადებულია საქართველოში 1728 წელს, ლუიზინიანის ინფორმაციით, ამაზიაში, დ. ჯანელიძის განმარტებით — ლაზეთში (დ. ჯანელიძე, სილაგაძე, 1967, გვ. 46). მეორე ვერსიით, საქართველოს სხვა კუთხეში „აბაზეაში“ //აფხაზეთში. წყაროების მიხედვით, მას მოტაცებამდე იოსები რქმევია. მამამისი მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი ყოფილა. ასეთივე მოსაზრებას გამოთქვამს კარსტენ ნიბური. 1741 წ. 13 წლის ასაკში მოტაცებული იოსები სტამბულში უყიდია ქურთ ვაჭარ აპმედს. ქაიროში ჩაყვანილი იოსები, როგორც მონა, შეიძინა ეგვიპტეში ცნობილმა ქართველმა მამლუქმა იბრაჰიმ ქაპიამ (1746-1754 წლებში შეიხ ელ-ბალადი და ეგვიპტის ფაქტობრივი მმართველი). იოსებს სახელად ალი დაარქეს, მიაღებინეს მაპმადიანობა. მას, ისევე როგორც ყველა მონად გაყიდულს, დააწყებინეს წვრთნა ცხენის ჭენებასა და ყოველგვარი იარაღის ხმარებაში, ასწავლეს წერა-კითხვა. თავიდან ის საჭურველმტვირთველი იყო თავისი პატრიონის სასახლეში. შემდეგში, თავისი ნიჭისა და უნარის წყალობით, იბრაჰიმ ქაპიას მფარველობის ქვეშ სრაფად იწყებს დაწინაურებას. 1750 წელს 22 წლის ალი ქაშიფების რაზმში ჩაირიცხა. რამდენიმე წლის შემდეგ ალის მისმა მფარველმა ბეგის ტიტული მიანიჭა. 1754 წელს დალუბული იბრაჰიმ ქაპიას სამართალმემკიდრე ხდება რიდვან-ბეი, რომელმაც მამლუქთა ლიდერობა რამდენიმე თვით შეინარჩუნა. 1755 წელს რიდვან-ბეის წინააღმდეგ მამლუქთა შეიარაღებული აჯანყება ალი-ბეის გამარჯვებით დამთავრდა. 1763 წელს მან გზიდან ჩამოიცილა ეგვიპტის ფორმალური მმართველი აბდარ-რამანი, შეიხ ელ-ბალადისა და ფაქტობრივად ეგვიპტის გამგებელი გახდა.

ალი-ბეიმ თავისი მმართველობის წლებში (1763-1773 წწ.) ეგვიპტეში ჩატარა რეფორმები (საგადასახადო, საფინანსო, სამხედრო), შეამცირა კორუფცია, მოსპო ყაჩალთა ბანდების თარეში, ხელს უწყობდა საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას. მის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო ეგვიპტის ეკონომიკურ განვითარებასა და ექსპორტის ზრდას. საგადასახადო სისტემის მოწესრიგებამ და თანხების ეკონომიურად ხარჯვამ უზრუნველყო შემოსავლების ზრდა ბიუჯეტში. ამით ალი-ბეიმ საკმაოდ დიდი ფინანსური რეზერვები შექმნა (5 მილიონი პიასტრი). ყოველივე ეს ალი-ბეის საშუალებას აძლევდა გაზიარდა მასზე დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების (მამლუქთა) რიცხვი. სადაც უმეტესობა ქართველი იყო. მამლუქთა გაწვრთნასა და შეიარაღებაზე თანხებს არ იშურებდა. ყოველივე ამით ალი-ბეიმ სამომავლოდ მოამზადა პირობები ეგვიპტის სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ალი-ბეიმ დაწინაურა და მფარველობა გაუწია შემდგომში ცნობილ ქართველ მამლუქებს: ალი-ბეი ტანტავი, ისმაილ-ბეი, ჰალილ-ბეი, აბდურაჰმან-ბეი, ჰასან-ბეი ჭიდელი, მუსტაფა-ბეი, იუსუფ-ბეი, აკიფ-ბეი, მურად-ბეი, იბრაჰიმ-ბეი (მარტყოფელი შინჭიკაშვილი), მხები: იბრაჰიმ და სოლეიმან-ბეი (ტარბაიძეები)...

1769 წ. ალი-ბეიმ ეგვიპტის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებით ეგვიპტის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა დე-იურედ აქცია. ეგვიპტის ფაშას ულტიმატუმი წაუყენეს — თურქულ გარნიზონთან ერთად ორი დღის ვადაში დაეტოვებინათ ქვეყანა. იმ მომენტისათვის გართულებულმა საშინაო და საგარეო მდგომარეობამ (რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომები, პროვინციებში მიმდინარე აჭანყებები) სულთნის კარს არ მისცა მყისიერი რეაგირების საშუალება. ხელისუფლება მოქმედებისათვის შესაფერის დროს დაელოდა.

შეაფასა რა არსებული მდგომარეობა, ალი-ბეიმ, დაიწყო აქტიური საომარი ოპერაციები. 1770-1771 წწ. ალი-ბეის ჯარებმა არმეზნერმე დაამარცხეს დამასკოს ვილაიეთის გამგებლის ასმან ფაშას (ეროვნებით ასევე ქართველი) სარდლობით მის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარები. 1771 წლის 22 აქტომბერს ალი-ბეის მამლუქებმა ბალესტინელი ბედუინების ბელად ზაპირ ალ-უმართან ერთად გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხეს ასმან ფაშა და დაიკავეს სირიის დიდი ნაწილი. საიმპერიო ხელისუფლება იძულებული გახდა გადამწყვეტი ზომები მიეღო. უპირველეს ყოვლისა, მათ შეძლეს ალი-ბეისთან დაახლოებულ პირთა ერთი ნაწილის (სოლეიმან-ბეი, მურად-ბეი, იბრაჰიმ-ბეი, ისმაილ-ბეი...ეროვნებით ყველა ქართველი, აბუ-ზაპაბი...) გადაბირება. ისინი, თავიანთ მომხრეებთან ერთად, წარმომჩნდნენ იმპერიის ხელში ალი-ბეის წინააღმდეგ მიმართულ ძირითად დამრტყმელ ძალად. მათ სათავეში ჩაუდგა მისივე სიძე (ლის ქმარი) აბუ-ზაპაბი. 1773 წლის 22 აბრილს სალიპიესთან გადამწყვეტ ბრძოლაში, ღალატის შედეგად ალი-ბეი დამარცხდა. მძიმედ დაჭრილი, ტყვედ ჩავარდნილი ალი-ბეი აბუ-ზაპაბს მიჰვარა ასევე ქართველმა მურად-ბეიმ. სამი ღლის შემდეგ სახელოვანი ქართველი მამლუქი ერთი ვერსიით ჭრილობის, მეორე ვერსიით — საწამლავის შედეგად გარდაიცვალა.

ალი-ბეის დალუბვის შემდეგ იმპერიამ აღადგინა თავისი ძალაუფლება ეგვიპტეში. ქართველი მამლუქების კიდევ ერთი მცდელობა, ეგვიპტეში თავიანთი ძალაუფლების სრულად აღდგენისა, 1786 წელს მარცხით დამთავრდა. აღნიშნული

აფანების ჩახშობაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს იმპერიის დიდმოხელე, ეროვნებით ქართველებმა კაბუდან ფაშა ღაზი-ჰასანმა და დიდმა ვეზირმა იუსუფ ფაშამ, ხოლო 1801 წელს ეროვნებით ასევე ქართველმა დიდმა ვეზირმა იუსუფ ფაშა-ზიამ. ბრძოლები, შესუსტებული სახით, 1811 წლამდე გრძელდებოდა. იმავე წლის 1 მარტს, ეგვიპტის ფაქტობრივი გამგებლის, მაკედონელი მუხამედ ალი-ფაშას მიერ მოწყობილი შეთქმულების შედეგად საბოლოოდ მოისპონა მამლუქებია ეგვიპტეში.

კიდევ ერთი რეგიონი, სადაც საქართველოდან გატაცებულ ტყვეთა დიდი ნაკადი ხვდებოდა, ერაყი იყო. როგორც უკვე აღინიშნა, სულთნების სელიმ I-ისა და სულეიმან I-ის მიერ დაბყრობითი ომების შედეგად ერაყი, სირია, მესოპოტამია და ეგვიპტე შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. აღნიშნულ ქვეყნებში, მათ შორის ერაყში შეიქმნა ცალკეული საგამგებლო ოლქები - ვილაიეთები. მათ შორის ბალდადის ვილაიეთს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. XVII ს. დასაწყისში იმპალეტში დაწყებული პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას, განაპირა მხარეების მმართველებს კი უღვიძებდა დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილს.

XVIII ს. დასაწყისში იმპერიის შემადგენლობაში მყოფმა ორმა რეგიონმა, ეგვიპტემ და ბალდადის საფაშომ ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1704 წელს სულთანმა აჰმედ III-მ (1703-1730 წწ.) ბალდადის ვილაიეთის მმართველად დანიშნა ჰასან-ფაშა, რომელმაც, ცენტრალური ხელისუფლების თანხმობით ან წაყრუებით, შეძლო მთელი ერაყისა და ქურთისტანის დამორჩილება. მისი ძალაუფლების დასაყრდენს ძირითადად წარმოადგენდა მამლუქთა სამხედრო რაზმები, რომლებიც თვით სულთნებმა დატოვეს ეგვიპტესა და ერაყში, როგორც პროვინციების მმართველი ფაშების დამხმარე ძალა. ჰასანის მომდევნო ფაშები თანდათანობით ზრდილენ მათზე დაქვემდებარებული ძალების, განსაკუთრებით მამლუქთა, რიცხვს. როგორც ეგვიპტეში, ასევე ერაყშიც მამლუქთა რიგების შევსებისას უპირატესობას ანიჭებდნენ ბრძოლისუნარიანობით, ნიჭით, უნარით გამორჩეულ, მონათა ბაზრებზე გასაყიდად გაყვანილ ქართველ ბავშვებს. ამიტომაც ეგვიპტის შემდეგ ქართველი ტყვეები ისე ძვირი არსად ღირდა, როგორც ერაყში.

ჰასან ფაშას (1704-1723 წწ.) და აჰმედ ფაშას (1723-1747 წწ.) მმართველობის შემდეგ ერაყის გამგებელმა ქართველმა ფაშებმა სულეიმან აბუ ლაილაჰმა (1749-1762 წწ.), სულეიმან ბეიუქმა (1782-1802 წწ.) გააგრძელეს წინამორბედი ფაშების საქმიანობა ერაყის შემდგომი განვითარებისათვის (ეკონომიკური, პოლიტიკური, საფინანსო, სამხედრო, კულტურულ-საგანმანათლებლო) მათ მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მოამზადა ნიადაგი, ერაყის ფაქტობრივი დამოუკიდებლობა დაუდ ფაშას 1829 წელს დეიურედ ექცია.

სულეიმან დიდის გარდაცვალების შემდეგ ერაყში ისევ ქაოსური სიტუაცია შეიქმნა. 1802-1816 წწ. ერაყის მმართველებიდან ვერავინ შეძლო თანამდებობის ხანგრძლივად შენარჩუნება. სულეიმანის ანდერძის თანამზად, 1802 წელს ერაყის გამგებელი გახდა მისი სიძე, უფროსი ქალიშვილის ქმარი, აფხაზეთიდან 11 წლის ასაკში გატაცებული და ბალდაღში გაყიდული ქართველი, ჰაფიზ ალი-ფაშა. ის 1807 წელს დაიღუპა აფანებული ქურთების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1807-

1810 წწ. ერაყს მართავდა ასევე აფხაზეთიდან გატაცებული და ერაყში გაყიდული ქართველი, ჰაფუზ ალის დისმვილი სულეიმან ფაშა ქუჩუქი. 1810-1813 წლებში საფაშოს განაცემდა აბდალაპ თუთუნჯი. 1813-1816 წლებში ბალდადის ტახტის მფლობელი იყო სულეიმან დიდის შვილი საიდ ფაშა. მისი მმართველობა თავიდან წარმატებული იყო, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვდა მისსავე ქაშიას (ზოადგილეს), უმცროს დის ქმარს — დაუდს. 1814 წლის ბოლოს ინტრიგების შედეგად სიძე-ცოლისძმას შორის დაწყებული კონფლიქტი 1817 წლის ოქტომბერში დამთავრდა დაუდ ფაშას გამარჯვებით. ის ერაყს განაცემდა 1817-1831 წლებში.

დაუდ ფაშა (პირვანდელი სახელი დავითი) დაბადებულია ქვემო ქართლში 1774 წელს. ბეი-მამიკონიანის მიხედვით, 1767 წ. (გ. ბეი-მამიკონიანი 1944 გვ. 739). დავითის მშობლები გიორგი და მარიამ მანველაშვილები ლუარსაბ ორბელიანის ყმები იყვნენ. ლუარსაბ ორბელიანის მიერ გაცემული, თბილისის სამაზრო სასამართლოს მიერ 1820 წლის ნოემბერში დამოწმებული სიგელის თანახმად, ყმობიდან განთავისუფლებული დავითის დედა და ძმები თბილისში გადადიან საცხოვრებლად (მამა ამ დროისთვის გარდაცვლილი იყო). ამის შემდეგ მათ თავდაპირველი გვარი ბოჩოლაშვილი შეიცვალეს მანველაშვილის გვარით (დოკუმენტები: “გიორგი ბოჩოლაშვილის ყმობიდან განთავისუფლების სიგელი”, “გააზატების წიგნი ბოჩოლაანთ გიორგის შვილებისადმი” და 1821 წელს დაუდ ფაშას მიერ გაგზავნილი წერილი დედისადმი იხ. ბ. სილაგაძე, თსუ შრომები 91, 1960, გვ. 358-366, ასევე დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, 1967, გვ. 344-351). ექვსი წლის ასაკში გატაცებული, ჯერ სტამბულში, შემდეგ ბალდადში მონად გაყიდული დავითი მუსტაფა ბეგს საჩუქრად მიურთმევია ერაყის მაშინდელი მმართველის სულეიმან ბეიუქეისათვის (ქართველი მმღლუქი). მას სახელგამოცვლილი დაუდი მფარველობის ქვეშ აუყვანია და მამლუქთა სასწავლებელში მიუბარებია. მან სამხედრო ვარჩიშობებსა და სწავლაში გამოჩენილი ნიჭისა და მონდომების წყალობით მიიპყრო თავისი ბატონის ყურადღება. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაუდი, თავისი მფარველის წყალობით, სწრაფად იწყებს დაწინაურებას. ის სულეიმან ფაშამ ჯერ მონბიდან გაანთავისუფლა, შემდეგ ბეჭდის მცველად დანიშნა; 1801 წელს კი საფაშოს დავთადარად დანიშნა და უმცროსი ქალიშვილი ცოლად შერთო.

სულთან მაჰმედ III-ის (1808-1839 წწ.) თანხმობით, დაუდი 1817 წ. ოქტომბერში საიდ ფაშაზე გამარჯვების შემდეგ, ერაყის ერთბიროვნული მმართველი გახდა. ძალაუფლებისათვის წარმოებულმა ბრძოლებმა ქვეყანა ეკონომიკურად გახანაგა. შემცირდა შემოსავალი, შესუსტდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალი. ქვეყნის კრიზისდან გამოსაყვანად დაუდ ფაშამ დაიწყო აღმინისტრაციული, საფინანსო, ეკონომიკური, სამხედრო რეფორმების გატარება. ქურთების აჯნებების ჩატობამ, მოთარეშე ბანდების ალაგვამ ერაყის შემდგომი განვითარებისათვის სტაბილური გარემო შექმნა. ეს იწვევდა ეკონომიკურ აღმავლობას, შემოსავლების ზრდას. ფინანსების ეკომიურად და მიზნობრივად ხარჯვამ დაუდ ფაშას საშუალება მისცა შეექმნა დიდი ფინანსური რეზერვები. სამელიორაციო სისტემების განვითარებით ერაყში გაიზარდა სახნავ-სათესი მიწების ფართი, შესაბამისად — მოსავლიანობა. ყოველივე ეს ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა ადგილობრივი მრეწველობის განვითარებისათვის. ახალ საფეიქრო საწარმოებში გაზარდეს სხვადასხვა სახის ქსოვილების, მათ შორის აბრეშუმის, წარმოება. აღნიშნული დარგების შემდგომი განვითარებისათვის დაუდმა ეკონომიკურში პროტექციონისტური

პოლიტიკის გატარება დაიწყო: გაზარდა საბაჟო გადასახადები იმპორტულ საქონელზე. ამით ადგილობრივი ნაწარმი მოთხოვნადი გახადა.

ფინანსური შემოსავლები დაუდ ფაშას საშუალებას აძლევდა, გაეზარდა სხვადასხვა პროექტის დაფინანსება. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამხედრო სფეროს. 1824-28 წწ. გატარებული რეფორმების შედეგად დაუდ ფაშას სრულ მზადყოფნაში ყავდა უკვე ევროპულ ყაიდაზე გაწვრთნილი და კარგად შეიარაღებული 30 ათასიანი რეგულარული არმია. თანამედროვეთა ინფორმაციით, საჭიროების შემთხვევაში, დაუდს დამატებით შეეძლო 60-70 ათასი მეორის გამოყვანა. გარდა ამისა, მან გაზარდა პირადი გვარდიის რიცხვი 3000 მეორამდე, რომელიც ქართველი მამლუქებით იყო დაკომპლექტებული. ძლიერ, შეიარაღებულ ძალებზე დაყრდნობით, ერაყის ფაქტობრივა მპყრობელმა 1828 წელს დაიწყო მოქმედება თურქეთის შემადგენლობიდან ერაყის სრულად გამოყვანისთვის.

თავისი მიზნების განხორციელებისათვის დაუდ ფაშამ შეარჩია მისთვის ხელსაყრელი დრო. 1828-29 წწ. რუსეთმა ბალკანეთსა და კავკასიაში განადგურა თურქეთის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი, ხოლო შავ ზღვაში — საზღვაო ფლოტი. სულთნის მაჰმუდ II-ის მოთხოვნას, კავკასიის ფრონტზე რუსეთის შეტევის შესაჩერებლად ჯარების გაგზავნისა და გადაუხდელი თანხის მიცემის შესახებ, დაუდ ფაშამ უბასუხა. ეს ამბოხების გამოცხადებას ნიშნავდა. ხელისუფლებამ ურჩი ვასალის წინააღმდეგ აქტიური მოქმედება დაიწყო. 1830 წ. ბოლოს სადამსჯელო ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა ალექს ფაშა, წარმომავლობით ქართველი მუჰამედ ალი რიზა. მას დაუქვემდებარეს არზრუმ-დიარბაქირ-ალებოს საფაშოებს გაერთიანებული სამხედრო ძალები. აღნიშნული კონფლიქტი დაუდ ფაშასა და საიმპერიო ხელისუფლებას შორის დამთავრდა ამ უკანასკნელის გამარჯვებით. ერაყი კვლავ თურქეთის შემადგენლობაში დარჩა I მსოფლიო ომის დამთავრებამდე.

დამარცხებული დაუდ ფაშა, მიუხედავად ჩადენილი ქმედებებისა, სიკვდილით არ დაუსჯიათ. მას მხოლოდ ერაყის მართვის უფლება ჩამოართვეს. 1834 წელს ის ბოსნიის ვილაეთის მმართველია, 1838-1839 წლებში ინიშნება იმპერიის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ. 1839-1841 წწ. იყო ანკარის ვილაეთის გამგებლი. 1841 წ. სახელმწიფო სამსახურიდან გადადგა. 1846 წ. (ზოგიერთი მონაცემებით, 1842 წ.) სულთანმა აბდ ალ-მაჭიდმა (1839-1861 წწ.) დაუდი დანიშნა მედინაში მუჰამედ წინასწარმეტყველის მავზოლეუმის ზედამხედველად. 70 წელს გადაცილებული, ის იქაც აქტიურ სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. 1851 წელს დაუდ ფაშა 77 წლის ასაკში გარდაიცვალა. დარძალულია იქვე მედინაში, ხალიფა ოსმანის (644-656 წწ.) საფლავის ახლოს.

მის თანამედროვე თუ შემდგომი დროის მკვლევართა შეფასებით, დაუდი (დავითი) აღიარებულია როგორც გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც დიდი სახელი დატოვა ერაყის ისტორიაში.

დამოწმებული ლიტერატურა

- ანონიმი ავტორი V საუკუნისა** - გეორგიკა, ტ. II, თბ., 1965.
- არქ. ლაშერტი, 1938** - არქანჯელო ლაშერტი, სამეცნიერო აღწერა, თბ., 1938.
- ო. გიგინეიშვილი, 1982** - ო. გიგინეიშვილი, ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ., 1982.
- გ. ბეი-მამიკონიანი, 1944** - გ. ბეი-მამიკონიანი, ქართველ მამელუკთა მბრძანებლობა ერაყში, მეცნ. აკადემიის მოამბე, 1944, ტ. V, №7.
- გ. ბეი-მამიკონიანი, 1957** - გ. ბეი-მამიკონიანი, ქართველი მამლუქები ეგვიპტის სუვერენიტეტის აღდგნისათვის ბრძოლაში, "შნათობი", 1957, №9.
- დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, 1964** - დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVII ს., თბ., 1964.
- დუკა, 1970** - დუკა, გეორგიკა, ტ. VIII, თბ., 1970.
- ევლია ჩელები, 1973** - ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი, ნაკ. I, თბ., 1971; ნაკ. II, თბ., 1973.
- ეფრემი, 1967** - ეფრემის ქრონიკა, გეორგიკა, ტ. VII, თბ., 1967.
- ვახუშტი ბატონიშვილი, 1973** - ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეცნია საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.
- მ. თამარაშვილი, 1995** - მ. თამარაშვილი, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.
- იოანე ბატონიშვილი, 1991** - იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა-კალმასობა, ტ. II, თბ., 1991.
- იოანე ცეცე, 1967** - იოანე ცეცე, გეორგიკა, ტ. VII, თბ., 1967.
- გ. მელიქიშვილი, 1965** - გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
- გ. მელიქიშვილი, 1973** - გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხები, თბ., 1973.
- მიხეილ ატალიატე, 1966** - მიხეილ ატალიატე, გეორგიკა, ტ. VI, თბ., 1966.
- მურად ქასაბი, 2012** - მურად ქასაბი, ხუსრევ მეჭმედ ფაშა, თბ., 2012.
- მუსტაფა ნაიმა, 1979** - მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1979.
- იოსებ რომაელი, 1902** - იოსებ რომაელის ცნობები, მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თიფლისი, 1902.
- უან შარდენი, 1975** - უან შარდენის მოგზაურობა სპარსეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თბ., 1975.
- უობერი ამედე, 1997** - უობერი ამედე, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-1806 წლებში, თბ., 1997.
- მ. სვანიძე, 1982** - მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1982.
- ბ. სილაგაძე, 1960** - ბ. სილაგაძე, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს. 20-ანი წლები), თსუ შრომები, ტ. 91, თბ., 1960.
- რ. სურმანიძე. 2012** - რ. სურმანიძე, დიდი ვეზირი ხოსრო ერისთავი-ჩეეიძე, 2012.

- დონ ქრისტოფერო კასტელი, 1973** - დონ ქრისტოფერო კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, თბ., 1973.
- ს. ყაუხჩიშვილი, 1963** - ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, ტ. III, თბ., 1963.
- ივ. ჯავახიშვილი, 1960** - ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960.
- ს. ჯანაშია, 1935** - ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, ტფ., 1935.
- ს. ჯანაშია, 1952** - ს. ჯანაშია, აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან, შრომები, თბ., ტ. II, თბ., 1952.
- დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, 1967** - დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე, ქართველი მამელუქები ეგვიპტესა და ერაუში, თბ., 1967.
- დ. აბდურახმან ჯაბარტი, 1963** - დ. Абдурахман Джабарти, Египет под властью Мухаммада Али. М. 1963.
- ო. მარკოვა, 1966** - О. Маркова, Россия закавказье и международная отношения. М. 1966.

EMZAR TCHANTURIDZE

GEORGIAN PUBLIC PEOPLE OF XVII-XIX IN EASTERN COUNTRIES (TURKEY, EGYPT, IRAQ)

The subject matter of the article is short biographical data of Georgian Public men holding important posts in Turkey, Iraq and Egypt. They left important tracks in the history of the mentioned countries. Some of them is known as a big reformator. Large part of Georgians sold in slave markets in XVI-XVIII centuries promptly promoted to political platform of the mentioned countries due to their talent. Large part of them left their traces in Turkey, Egypt and Iraq.

Georgian Mehmed Pasha statesman if Turkey (1536-1626), Kapudan Pasha Gazis khani (1714-1790), Khosro/Kusrev Pasha (1765-1855). In Egypt Ali-Bey/ Al Kabiri (1728-1773), Murad-bei (from Tbilisi), Ibrahim-bei from Martyofi (Sinjikashvili)...From Iraq: Suleiman abu lailahi (1749-1762), Suleiman Great/Beiuq Suleiman (1780-1802), Daud-Pasha (1817-1831). Some of them: Ali-bei, Suleiman the Great and Daud-Pasha have the names of big reformators in the history of mentioned countries.

კომპიუტერული უზრუნველყოფა - ქითევან ბაზრამი

გარეკანის დიზაინი - გელა ლაჟარა

ფორმატი - A4

პირობითი ნაბეჭდი თაბაზი -
ტირაჟი -

"წელიწლეული" დაიბეჭდა ??????????